

ქეთევან ჯაში

**რომანული და ქართული ენების
შეპირისპირებითი ტიპოლოგია**

(ფრანგული, ესპანური და იტალიური ენების მასალაზე)

“Lingua Plus”



გამომცემლობა „ხირონი“
თბილისი 2008

© გამომცემლობა „ხირონი“, 2008.

© ქ.ჯაში, რომანული და ქართული ენების შეპირისპირებითი
ტიპოლოგია, 2008.

ISBN 978-99940-974-4-9

წინასწარმაცხადი

რომანული ენების განვითარების სფეროში საერთო კანონზომიერების გარდა, რომლებიც გაპირობებულია რომანული ჯგუფის ისტორიული და სტრუქტურული ერთიანობით, თავს იჩენს მრავალი ინდივიდუალური თავისებურება.

ასწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა რომანული ენების დიფერენციაციის პროცესი, სანამ მოხდებოდა მათი ლიტერატურულ ენებად ჩამოყალიბება, თითოეულ მათგანში წარმოიქმნა სპეციფიკური ნიშნები, რითაც ისინი განსხვავდებიან არა მარტო ლათინურისაგან, არამედ ასევე ერთმანეთისაგან. თავიანთი ფორმირების პროცესში რომანულმა ლიტერატურულმა ენებმა განვლეს საკუთარი განვითარების გზა, თითოეული ქვეყნის სოციალურ - ისტორიული ფუნქციონირებისა და კულტურულ - ისტორიული განვითარების სპეციფიკის გათვალისწინებით.

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. მისი მიზანია გააცნოს რომანისტიკის მიმართულების სტუდენტებს ის თუ რა მსგავსება და განსხვავება არსებობს რომანული ჯგუფის ენებსა და ქართულ ენას შორის. ჩვენს მიერ განხილულია ის რომანული ენები, რომლებიც ისწავლება ჩვენს უნივერსიტეტში. ესენია ფრანგული, ესპანური და იტალიური ენები. ჩვენი აზრით, ენების ასეთი შესწავლა აუცილებელია, რადგანაც შეუძლებელია დღეს წარმოიდგინო სპეციალისტი, რომელიც ფლობს, რომელიმე რომანულ ენას და წარმოადგენს არა აქვს სხვა მის მონათესავე ენებზე, რომ არაფერი ვთქვათ ქართული ენის შესახებ, რომლის სათანადო დონეზე არ ცოდნა, დღეს სრულიად დაუშვებელია.

რომანული ენების ქართულ ენასთან შეპირისპირება საშუალებას მისცემს ყველას, ვინც დაინტერესებულია რომანისტიკით, უკეთესად გაეცნონ მშობლიურ ენას და რომანულ ენებს, მათი კვლევისა თუ სპეციალიზაციის მიზნით.

თავი I. ზოგადი მიმოხილვა

რომანული ენების კვლევამ ბოლო 30 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი განახლება განიცადა, სხვადასხვა ტრადიციების მიხედვით, იქნება ეს ისტორიული, ტიპოლოგიური თუ ზოგადი კვლევის თვალსაზრისით. სხვადასხვა ტრადიციები აღიქმება, როგორც ურთიერთშემავსებელი ტრადიციები. არსებობს რამდენიმე წიგნი, რომლებიც განიხილავს რომანულ ენებს. ეს ძირითადად ის სახელმძღვანელოებია, რომლებიც იკვლევენ რომანულ ენებს დიაქრონულ პლანში. ზოგიერთი მათგანი აქცენტს აკეთებს მორფოლოგიასა თუ სინტაქსზე და არსებობს აგრეთვე ფონოლოგიური კვლევა. ჩვენი მიზანია ამ კვლევას უფრო სისტემური ხასიათი მივანიჭოთ. წიგნი ისახავს მიზნად რომანისტიკაში არსებული პრობლემები ისეთნაირად წარმოადგინოს, რომ ის საინტერესო იყოს ყველასათვის ვინც ლინგვისტიკითა და ინტერესებული. ჩვენ შემოვიფარგლეთ სამი ენით: ფრანგული, ესპანური და იტალიური ენებით. ჩვენს მიერ განხილულია მრავალი საკითხი, ისეთები, როგორებიცაა ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა, სტრუქტურული თუ დისკურსის ანალიზი.

ეს ნაშრომი ვერ შესძლებს ამოწუროს ყველა საკითხი, რაც საინტერესოა რომანული ლინგვისტიკისათვის, მაგრამ ჩვენი აზრით იგი დიდ დახმარებას გაუწევს როგორც რომანული ენების კვლევით დაინტერესებულ, ასევე ზოგადი ლინგვისტიკის საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

ფონეტიკა

შეპირისპირებას დავიწყებთ ფონეტიკით. ძირითადი ფონეტიკური ერთეულებია: ბგერა, ფონემა, მარცვალი, სიტყვა. ბგერა, ეს სიტყვის უმარტივესი ელემენტია,

რომელსაც ფონემას უწოდებენ. ფონეტიკა შეისწავლის ენის ბგერით შემადგენლობას, მათ ცვლილებებსა და ცვლილებათა კანონზომიერებებს. ქართულ ენაში 33 ბგერაა. ბგერის წერილობით გამოსახულებას ასო ჰქვია. ქართულში იმდენი ასოა, რამდენიც - ბგერა. ქართულ ენაში 5 ხმოვანია და 28 თანხმოვანი. ხმოვნები შეიძლება იყოს წინა (ე,ი), შუა(ა) და უკანა(ო, უ) ხმოვნები, იმის მიხედვით, თუ ენის ზურგის რომელი ნაწილი აიწევა სასის მიმართულებით. თანხმოვანები შეიძლება იყოს ხშული, ნაპრალოვანი, სპირანტები, ხშულ - ნაპრალოვანი. ნარნარა, სისინა, შიშინა. ამას გარდა ანსხვაეებენ მჟღერ და ყრუ თანხმოვნებს. წარმოების ადგილის მიხედვით ანსხვაეებენ ერთგვარ თანხმოვანთა 5 სამეულს. თითოეულ სამეულში ერთი ბგერა მჟღერია, ორი - ყრუ: ერთი მკვეთრი და ერთიც ფშვინიერი. ესენია: ბჰფ, ღთტ, ძცწ, ჯჩჭ, გქკ. მარცვალია სიტყვა, რომელიც ერთ ხმოვანს შეიცავს. თუ ხმოვნით ბოლოვდება მარცვალი ღიაა, ხოლო თუ თანხმოვნით იგი დახურულია. ქართულში მახვილი მოდის სიტყვის დასაწყისში.

ფრანგულ ენაში 26 ასოა, რომელიც ქმნის მის ანბანს. თითოეულ მათგანს თავისი ადგილი აქვს. ფრანგული ანსხვაეებს დიდ და პატარა ასოებს. მასში 6 ხმოვანია (a, e, i, o, u, y) და 20 თანხმოვანი. ხმოვანი ერთი სრული ბგერაა და შეიძლება წარმოთქმულ იქნას დამოუკიდებლად. თანხმოვანი არ ეღერს და ამიტომ მისი გაგონება შეიძლება მხოლოდ ხმოვანთან ერთად. 26 ასოს კომბინირება ხდება სხვადასხვანაირად. ზოგადად თუ ვისაუბრებთ ფონეტიკის შესახებ, ისე რომ არ შევებებით ამ მეტად დელიკატურ მეცნიერებას, შეიძლება ვთქვათ, რომ ფრანგული ენა ანსხვაეებს: ხმოვნებს, სუფთა ხმოვნებს და ნაზალურ ანუ ცხვირისმიერ ხმოვნებს. მაგალითად: **rame** - ნიჩაბი (წყლის), **cygne** - გედი, **eau** - წყალი, **an** - წელი, **brun** - ყავისფერი, **pain** - პური, **tombe** - საფლავი, თანხმოვნებს, მაგალითად: **chat** - კატა, **ballet** - ბალეტი, **photo** - ფოტო, **quatre** - ოთხი.

ნახევარ - ხმოვნებს, ან ნახევარ - თანხმოვნებს. მაგალითად: **pied** - ფეხი, **rien** - არაფერი, **tuile** - კრამიტი, **lui** - ის, მას, **fouet** - მათრახი, **oui** - დიახ. ხშირად ამბობენ, რომ უფრო მეტი ბგერაა, ვიდრე ასო. ფრანგული ენა, როგორც ქართული, ანსხვავებს ბაგისმიერ, კბილისმიერ, ხახისმიერ, მჟღერ და ყრუ ბგერებს. თანხმოვანი **h**, ხან მუნჯია, ხან ფშვინიერი. მაგალითად: **l'homme** - კაცი, **le héros** - გმირი. ფშვინიერ თანხმოვანთან არტიკლი არ იკვეცება. ლექსიკონში ფშვინიერი **h** აღნიშნება ფიფქით*. თანხმოვანი **c** იკეთებს სედილს **a, o, u** ხმოვნების წინ, რათა ბგერა წარმოეთქვათ როგორც ბგერა [s]. მაგალითად: **forçat** - კატორღელი, **rançon** - გამოსასყიდი. ხშირად ხმოვნებს ახლავს მკვეთრი, ბლაგვი და შემოსილი მახვილები, რითაც ანსხვავებენ სიტყვებს: **sur** - ზე, **sûr** - დარწმუნებული, **pêcheur** - ცოდვილი, **pêcheur** - მეუფეზე. ზოგიერთ ხმოვანზე ჩნდება ნიშანი ტრემა ანუ ორწერტილი, როდესაც სურთ ბგერა გამოყონ ხმონიდან, რომელიც მას წინ უსწრებს. მაგალითად: **aiguë** - წვეტიანი, **stoïque** - მედგარი, **maïs** - სიმინდი. ფრანგულში მახვილი სიტყვის ბოლოსაა. სიტყვები სხვადასხვანაირად წარმოითქმის და ეჭვის შემთხვევაში უნდა მივმართოთ ლექსიკონს. ფრანგულისთვის დამახასიათებელია გადაბმა. როდესაც საუბრობენ ან კითხულობენ, ხან კეთდება გადაბმა, ხან არა. ეს ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ ზოგჯერ მცდარ გადაბმას აკეთებენ, მას უწოდებენ “**pataqués**” - ანუ სიტყვების არასწორი შერწყმა მეტყველებაში.

ესპანურში ყველა სიტყვა შეიცავს მახვილიან მარცვალს, რომელშიც თვით ხმოვანი მახვილიანია. თუ სიტყვა თავდება ხმოვანზე, **n** - ზე ან **s** - ზე, სიტყვაში ბოლოს წინა მარცვალი ხდება მახვილიანი. მაგალითად: **el libro** - წიგნი, **el examen** - გამოცდა. თუ სიტყვა ბოლოდება თანხმოვანზე, **n** - ის და **s** - ის გარდა, ბოლო მარცვალი ხდება მახვილიანი. მაგალითად: **la soledad** - სიმარტოვე, **el metal** - მეტალი, **el papel** - ქაღალდი. თუ მახვილის დასმა ეწინააღმდეგება ამ

წესს, მაშინ მახვილიან ხმოვანს აუცილებლად გრაფიკულად დაესმის მკვეთრი მახვილი. მაგალითად: **el azúcar** - შაქარი, **el francés** - ფრანგული, **el limón** - ლიმონი. ესპანურში არსებობს სამი ძლიერი ხმოვანი: **a, e, o** და ორი სუსტი ხმოვანი **i, u**. ჰიატუსი ესაა ორი ძლიერი ხმოვნის შეხვედრა, რომელთაგან თითოეული ცალკე მარცვალს შეადგენს. მაგალითად: **el poema** - პოემა, **el bacalao** - ვირთევზა. თუ მახვილის დასმა არ ექვემდებარება წესს, მახვილიან მარცვალს მახვილი გრაფიკულად უჩნდება. მაგალითად: **el campeón** - ჩემპიონი. დიფტონგი ორი ხმოვნის გაერთიანებაა, რომელიც ქმნის მხოლოდ ერთ მარცვალს.

ის შეიძლება უმახვილო იყოს. მაგალითად: **Europa** - ევროპა, **la familia** - ოჯახი. ორივე შემთხვევაში მახვილი ყოველთვის ბოლოს წინა მარცვალზეა. მარცვალი შეიძლება იყოს უმახვილო. მახვილიანი ხმოვანი ძლიერია, მეორე, ანუ უმახვილო ხმოვანი სუსტია. მაგალითად: **el viaje** - მოგზაურობა, **la ruina** - ნანგრევი. როდესაც დიფტონგი წესის დარღვევით მახვილიანია, მახვილიან ხმოვანს გრაფიკულად დაესმის მახვილი. მაგალითად: **el periódico** - გაზეთი, **el huésped** - სტუმარი. თუ დიფტონგის სუსტ ხმოვანს გრაფიკულად აქვს მახვილი, მაშინ ადგილი აქვს მარცვლის ან ჰიატუსის გახლეჩას. მაგალითად: **el día** - დღე, **el ataúd** - კუბო. ზოგიერთ ზმნის ფორმაში სამი თანხმოვანი ერთმანეთს მოსდევს. ერთი ხმოვანი დაირთავს გრაფიკულ მახვილს. მაგალითად: **estudiáis** - თქვენ სწავლობთ. მდებრობითის და მრავლობითის წარმოებამ შეიძლება შეცვალოს გრაფიკული მახვილის გამოყენება. მახვილიანი ხმოვანი იგვე რჩება სიტყვებში **holgazán** - ზარმაცი, **el corazón** - გული. გამონაკლისებია: **el régimen** - რეჟიმი, **el carácter** - ხასიათი. გრაფიკული მახვილი გამოიყენება იმისათვის, რომ განასხვავონ გრამატიკულად განსხვავებული სიტყვები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთნაირად წარმოითქმის.

მაგალითად: **el** - არტიკლი, **él** - ის; **esta** - ჩვენებითი ზედსართავი, **está** - ზმნა.

იტალიურ ენაში ყველა ასო წარმოითქმის. ხმოვნები შეიძლება იყოს ღია ან დახურული. ეს დამოკიდებულია რეგიონალურ ცვლილებებზე. როდესაც ორი ან სამი ხმოვანი ერთმანეთს მოსდევს, სამივე უნდა გავიგონოთ. სამივე წარმოითქმის ერთი ამოსუნთქვით, თუ ერთ - ერთი მათგანი არაა მახვილიანი. მაგალითად: **vuoi** - გინდა, **sua** - მისი. თანხმოვნების შემთხვევაში **c** წარმოითქმის, როგორც **[k]**, ხმოვნების **a, o, u** - ს წინ. მაგალითად: **Luca**. ხმოვნების **e, i**-ს წინ წარმოითქმის, როგორც **[tch]**. მაგალითად: **Lucia, amici** - მეგობრები. თუ **c** და **e** - ს შორის **h** თანხმოვანი ჩნდება, იგი წარმოითქმის როგორც **[k]**. მაგალითად: **Luchino**. **G** თანხმოვანი, **a, o, u**, ხმოვნების წინ წარმოითქმის როგორც **[g]**. მაგალითად: **Liguria**. როდესაც თანხმოვან **g** - ს მოჰყვება ხმოვანი **u**, ეს ხმოვანიც გამოითქმის. მაგალითად: **guarda** - შეხედე. ხმოვნების **e, i** - ს წინ წარმოითქმის როგორც **[dj]**. მაგალითად: **Giorgio**. **gli** იტალიურში წარმოითქმის როგორც **[li]**. მაგალითად: **famiglia** - ოჯახი. სიტყვაში **h**, არ წარმოითქმის. თანხმოვანთა ჯგუფში **qu, u** ცალკე წარმოითქმის. მაგალითად: **qualcuno** - ვიღაც. ორ ხმოვანს შორის **s**, წარმოითქმის როგორც **[z]**. მაგალითად: **Teresa**. **Sc** წარმოითქმის როგორც **[ch]**. მაგალითად: **conosce** - მან იცის, ის იცნობს. თანხმოვანი **z**, იკითხება ხან როგორც **[ts]**, ხან როგორც **[dz]**. მაგალითად: **stazione** - სადგური, **mezzogiorno** - შუადღე. იტალიურში ხმოვნები **e, o**, შეიძლება იყოს ღია ან დახურული. თუ **e** ხმოვანს მკვეთრი მახვილი აქვს, ის დახურულია. მაგალითად: **perché** - რატომ, **trionfo** - გამარჯვება. თუ **e** - ს თავზე ბლაგვი მახვილი აქვს ის ღიაა. მაგალითად: **caffè**; ხმოვანი „**o**“ დახურულია პირის ნაცვალსახელებში, ზოგიერთ დაბოლოებებში, ზედსართავებში რომლებიც ბოლოდება **oso** - ზე. მაგალითად: **pericoloso**. ხმოვანი „**o**“ ღიაა, როდესაც მასზე მახვილია

გრაფიკულად აღნიშნული. ძირითადად, წარსულის ზმნებთან. მაგალითად: **pensó** - გაიფიქრა. ეს ხმოვანი ღიაა ასევე დიფტონგში **uo**. მაგალითად: **uomo** - კაცი.

იტალიურში ძირითადად უფრო ხშირად გხვდება აქცენტი „პიანო“, რაც იტალიურ წინადადებას მეტ რიტმს სძენს. მახვილი ძირითადად ბოლოს წინა მარცვალზეა. მაგალითად: **la strada** - გზა. სიტყვაში სადაც სამი მარცვალია ან მეტი, მახვილი მოდის მესამე მარცვალზე. მაგალითად: **difficile** - რთული. იმ სიტყვებში, რომლებსაც უწოდებენ მოკვეთილს, მახვილი გრაფიკულადაა გამოხატული. მაგალითად: **libertá** - თავისუფლება. არსებობს ფორმები, სადაც მახვილი დაისმის ბოლოდან მეოთხე მარცვალზე. მაგალითად: **abitano**. იტალიურში, წესის თანახმად ნაცვალსახელები ზმნის ფორმებთანაა შერწყმული შემდეგ შემთხვევებში: ინფინიტოვის, გერუნდოვის, ნამყო მიმღეობისა და იმპერატივის ფორმებთან. ზმნის ეს ფორმები უფრო გრძელი ხდება. მაგალითად: **parlategliene** - ელაპარაკეთ მას ამის შესახებ.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ქართულში 33 ასო - ბგერაა, აქედან 5 ხმოვანი და 28 თანხმოვანი. მახვილი ქართულ ენაში სიტყვის თავშია. ფრანგულ ენაში 26 ასო-ბგერაა. აქედან 6 ხმოვანი და 20 თანხმოვანი. მარცვალი მოდის სიტყვის ბოლოში. ესპანურსა და იტალიურშიც 26 ასო-ბგერაა. ესპანურსა და იტალიურში მახვილი ბოლოს წინა ხმოვანზე მოდის. შეიძლება ადგილი ჰქონდეს გრაფიკულ მახვილს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ამ თვალსაზრისით ესპანური და იტალიური ენები უფრო ახლოსაა, ვიდრე ფრანგული ენა, მიუხედავად მისი მათთან ნათესაური კავშირისა.

თავი II. არსებითი სახელი

სხვადასხვა ენების გრამატიკული მოვლენები შეიძლება შევუპირისპიროთ შინაარსის პლანში, გამოხატულების პლანსა და ფუნქციონირების პლანში. ყველა ენაში გამოიყოფა ლექსიკო - გრამატიკულ სიტყვათა ჯგუფები, რომელთაც მეტყველების ნაწილებს უწოდებენ. გამოხატვის ხერხების მიხედვით ანსხვავენ ძირითადი და დამატებითი მეტყველების ნაწილებს. ფრანგულ ენაში 9 მეტყველების ნაწილია ლინგვისტიკის თვალსაზრისით. ესპანურშიც 9 მეტყველების ნაწილია. იტალიურშიც იგივე მდგომარეობა გვაქვს. ქართულში 10 მეტყველების ნაწილია. ძველ ქართულში არსებობდა 11 მეტყველების ნაწილი. მეურთმეტე მეტყველების ნაწილს ნაწევარს უწოდებდნენ. იგი დაერთვოდა გაუფორმებელ ფუძეს: კაცი იგი, კაცმან მან, კაცსა მას. ნაწევარი იხმარებოდა საზოგადო არსებით სახელთან. მისი ფუნქცია იყო სახელის განსაზღვრა. შეიძლება ვთქვათ, რომ თავისი შინაარსით იგი ახლოსაა რომანული ენების დეტერმინატივებთან. ქართულში სამაგიეროდ, დღეს არ გვაქვს ის მეტყველების ნაწილები, როგორებიცაა არტიკლი, დეტერმინატივები, დამხმარე ნაცვალსახელები.

არსებითი სახელი მეტყველების ნაწილია, რომელიც ხასიათდება თავისი სემანტიკით, გრამატიკული კატეგორიებით და სინტაქსური ფუნქციებით. გრამატიკული თვალსაზრისით სახელად ითვლება ყველა სიტყვა, რომელიც პასუხობს კითხვებზე: ვინ? კაცი, ბავშვი; რა? - სახლი, ლომი, სილამაზე... ქართულ ენაში არსებითი სახელი იცვლება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით, ე. ი. მას აქვს ბრუნვისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორიები....ქართულ ენაში არ გვაქვს სქესის გრამატიკული კატეგორია. თუმცა შეიძლება ლექსიკური საშუალებებით მათი გამოხატვა. მაგალითად: დედა - მამა, გოგო - ბიჭი, ტახი - ნეზვი და სხვა. ლექსიკო - გრამატიკული თვალსაზრისით არსებითი

სახელები იყოფა სხვადასხვა ჯგუფებად. საზოგადო და საკუთარი, სულიერი და უსულო, კონკრეტული და აბსტრაქტული. კრებითი, ნოთიერებათა სახელები. ქართულ ენაში გვაქვს ადამიანთა და არაადამიანთა სახელები ანუ ვინ ჯგუფისა და რა ჯგუფის არსებითი სახელები. კითხვა ვინ? დაესმის მხოლოდ ადამიანს. ყველა დანარჩენი, მათ შორის სულიერი არსებითი სახელებიც, უპასუხებს კითხვაზე რა?

არსებითი სახელი ქართულ ენაში იბრუნვის, რაც არაა დამახასიათებელი რომანული ენებისათვის. არსებითი სახელი წინადადებაში შეიძლება 7 სხვადასხვა ფორმით შეგვხვდეს. თითოეულ მათგანს ბრუნვა ჰქვია. ესენია: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი. სახელის ფორმას, რომლითაც იგი სხვა სიტყვას უკავშირდება და მასთან გარკვეულ მიმართებებს ამყარებს ბრუნვა ეწოდება. იმ ფორმანტს, რომელიც სახელს ბრუნვის ფორმას აძლევს, ბრუნვის ნიშანი ჰქვია. სახელის ნაწილს, რომელსაც ბრუნვის ნიშანი დაერთვის და ლექსიკური ან საგნობრივი მნიშვნელობა უკავშირდება, ფუძე ეწოდება. სახელის ცვლას ბრუნვათა მიხედვით ბრუნება ეწოდება. მაგალითად: სიტყვაში ქალ - ი, ქალ - ფუძეა, ხოლო - ი ბოლოსართი ანუ ბრუნვის ნიშანი.

ბრუნვათა რიგი, რომელიც დღეისათვისაა მიღებული ქართულში, ემყარება სინტაქსურ მორფოლოგიურ საფუძველს.

სინტაქსური საფუძველია ის, რომ პირველი სამი ადგილი ქვემდებარის ბრუნვებს უჭირავთ: სახელობითს, მოთხრობითსა და მიცემითს. რომანულ ენებში ქვემდებარე მხოლოდ სახელობით ბრუნვაშია. აღნიშნულს გვერდით უდგას მორფოლოგიური ნიშანიც: პირველ სამ ბრუნვაში ფუძე სრულია, არც კუმშვა ხდება და არც კვეცა. სახელის ფუძე არის ბოლოთანხმოვნიანი თუ ის თანხმოვნით ბოლოვდება: ქალ - მა, ან ბოლოხმოვნიანი თუ ის ხმოვნით ბოლოვდება:

და - მ... ფუძე შეიძლება იყოს სრული თუ მას არ აკლია ხმოვანი: ბავშვ - ის, ან უსრული თუ მას აკლია ხმოვანი: ხმლ - ის, ე.ი. უსრულია ფუძე თუ ის შეკუმშულია ან ხმოვან მოკვეცილი. ქართულში ორი რიცხვია: მხოლოდითი და მრავლობითი. ქართულში შეიძლება სიტყვა ერთი მეტყველების ნაწილიდან გადავიდეს მეორეში. მაგალითად: ზედსართავი გაარსებითდეს. მწვანეები იბრძვიან ბუნების გადასარჩენად. მეტყველების ნაწილთა გაარსებითებას სუბსტანტივაცია ჰქვია. სუბსტანტივაციის ნიმუშებია: მასწავლებელი (მიმღეობა), მწერალი (მიმღეობა). მაგალითად: ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე. ვაი და ვუი გაარსებითებული შორისდებულებია.

ფრანგულ ენაში არსებითი სახელის მნიშვნელობაა - მისი საგნობრიობა. მას შეუძლია აღნიშნოს საგანი (**un livre**); ნებისმიერი მოვლენა (**la lumière**), პროცესი (**l'enseignement**), მდგომარეობა (**le sommeil**) და სხვა.

ფრანგულ ენაში არსებით სახელს აქვს სქესი, რიცხვი, განსაზღვრულობა, ნაწილობითობა. ფრანგულშიც იგივე ლექსიკო გრამატიკული ჯგუფები გამოიყოფა, რაც ქართულ ენაში გვქონდა. ფრანგულში 2 სახის სქესია, მამრობითი და მდედრობითი. არსებითი სახელი აწარმოებს მდედრობით სქესს მამრობით სქესზე **e - s** დამატებით. **parent - parente, chat - chatte**. ზოგჯერ მამრობით სქესის სხვადასხვა სუფიქსები იცვლიან ფორმებს მდედრობით სქესში. მაგალითად: **paysan - paysanne, veuf - veuve, acteur - actrice, dindon - dinde, roi - reine**.

ხშირად ფრანგული ენაც ქართულის მსგავსად ლექსიკური საშუალებით გადმოსცემს არსებითი სახელის სქესს. მაგალითად: **homme - femme, père - mère**. ზოგჯერ მდედრობითი სქესი გადმოცემულია მთელი პარაფრაზით. მაგალითად: **une femme écrivain, Madame le Ministre**. ზოგიერთ არსებით სახელს მრავლობითში ორი მდედრობითის ფორმა აქვს. მაგალითად: **notaire - notairesse - notaresse**,

chanteur - chateuse - cantatrice. ცხოვლების აღმნიშვნელი არსებითი სახელებისათვის, არსებობს ზოგჯერ 3 სიტყვა: ერთი სახეობისათვის, ერთი მამრისათვის, ერთიც მდედრისათვის. მაგალითად: **mouton - bélier - brebis; bœuf - taureau - vache.** ზოგჯერ, საოცარია, მაგრამ მდედრობითი სქესის სიტყვა აღნიშნავს მამაკაცს, ხოლო მამრობითისა კი ქალს. მაგალითად: **une sentinelle, un mannequin.** ზოგიერთ არსებითი სახელის სქესის მიხედვით მნიშვნელობას იცვლის. მაგალითად: **un critique - une critique; un mémoire - une mémoire; le mousse - la mousse;** ქალაქების აღმნიშვნელ არსებით სახელებთან, უზუსის მიხედვით ხან მდედრობითია და ხან მამრობითი. მაგალითად: **Rome est belle, Paris est beau.** სიტყვა **après - midi,** დიდი ყოყმანის შემდეგ გახდა მამრობითი. სიტყვები **comté, duché,** ადრე მდედრობითი სქესის იყო და გახდა მამრობითი, ხოლო სიტყვა **vicomté,** მდედრობითი სქესისაა.

უსულსაგანები შეიძლება იყოს როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის. მაგალითად: **un banc, une table.**

რიცხვის კატეგორია შეიცავს 2 სუბკატეგორიას: მხოლობითსა და მრავლობითს. მაგალითად **un homme - des hommes;** განზოგადობის შემთხვევაში ოროვე ენაში, როგორც ფრანგულში, ისე ქართულში გამოიყენება მხოლობითი რიცხვი. მაგალითად ადამიანი მოკვდავია - **L'homme est mortel.** მრავლობითი რიცხვი იწარმოება მხოლობით რიცხვზე **-s** - ის დამატებით. მაგალითად: **un chien - des chiens, une maison - des maisons.** ზოგიერთ არსებით სახელს ემატება **-x** და არა **-s** მრავლობით რიცხვში. მაგალითად: **veaux, feux.** ზოგიერთი არსებითი სახელი იმატებს **-s, landaus, pneus.** 7 სიტყვა, რომელიც ბოლოვდება **-ou** - ზე, იმატებს **-x** - ს **bijoux, cailloux, choux, genoux, hiboux, joujoux, poux.** ზოგიერთი არსებითი სახელი, რომელიც ბოლოვდება **-al** - ზე, იღებს დაბოლოებას **-aux.** **chevaux, locaux, maux.** გამონაკლისებია: **bals, cals, carnivals...9**

სიტყვა, რომელიც ბოლოვდება –**ail** -ზე, გადადის **aux**-ში. **bail - baux, corail - coraux, émail - émaux...** არსებითი სახელები, რომლებიც ბოლოვდება **s, x, z**-ზე მრავლობითში არ იცვლებიან. თავისებური ფორმები აქვთ რთულ სიტყვებს მრავლობითში. მაგალითად: **bonbons, mesdames, basses - cours, grands - pères**. თავისებური ფორმები აქვთ ასევე უცხოური წარმოშობის სიტყვებს მრავლობით რიცხვში. მაგალითად: **duos, albums, gentlemen, maximums, maxima, matchs, matches, des credo, des intérim**. აღსანიშნავია ასევე საკუთარი სახელების მრავლობითი რიცხვი. თუ გამოჩენილი პიროვნებების გვარებია, მაშინ მათ ბოლოში დაესმის –**s. les Césars, les Bourbons...** მაგრამ, **les Thibault**. არსებობს ფრანგულში ისეთი სიტყვები რომლებიც გამოიყენება მხოლოდ მრავლობითში - **pluralia tantum** - ასე ეწოდება მათ. მაგალითად **lunettes** - სათვალე; **ciseaux** - მაკრატელი; ზოგიერთი არსებითი სახელი იცვლის მნიშვნელობას რიცხვის შეცვლის შემთხვევაში. **lunette** - ჭოგრიტი, **lunettes** - სათვალე. სამი სიტყვა **amour, délice, orgue**, მამრობითია მხოლოდით რიცხვში, მაგრამ მდედრობითი ხდება მრავლობითში. **de folles amours, de parfaites délices, les grandes orgues**. ზოგიერთ არსებით სახელს ორი მრავლობითი აქვს. მაგალითად: **idéals, idéaux, yeux, oeils, travaux, travaux**. სიტყვა **Pâques** ცოტა ჭირვეულია. მხოლოდითში მდედრობითია **s**-ის გარეშე, ხოლო **s**-ით მამრობითი. მაგალითად: **la Pâque juive; j'irai te voir à Pâques prochain**. მრავლობითში მდედრობითია. მაგალითად: **Joyeuses Pâques!** სიტყვა **gens**, დასაწყისში მდედრობითი იყო, გახდა მამრობითი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას უშუალოდ წინ უსწრებს ზედსართავი სახელი, რომლის მდედრობითი სქესი განსხვავებულია მამრობითისაგან. მაგალითად: **les vieilles gens**, მაგრამ: **quels braves gens!**

ზოგიერთ არსებით სახელს აქვს მუნჯი დაბოლოება. მაგალითად: **des os, des oeufs...** არსებითი სახელს **bétail**,

არ აქვს მრავლობითი, სიტყვას **béstiaux** არ აქვს მხოლოდითი, აუცილებლობის შემთხვევაში იყენებენ სიტყვას **bête(s)**. ზოგჯერ მერყეობენ მხოლოდითსა და მრავლობითს შორის. მაგალითად: **une salle de bain(de bains)**.

უნდა აღინიშნოს სუბსტანტივაციის პროცესი, რომელსაც ადგილი აქვს ფრანგულ ენაში. როდესაც ხდება სხვადასხვა მეტყველების ნაწილების გაარსებითება. სუბსტანტივაციას განიცდის ნებისმიერი მეტყველების ნაწილი. მაგალითად: **le beau, la une** - გაზეთის პირველი გვერდია; **le mourir, le pourquoi et le comment, le demain, les quand, les qui, les quoi**. ფრანგულში შეიძლება გაარსებოდეს არა მარტო მარტოვი სიტყვები, არამედ სიტყვათშეერთებები. მაგალითად: **les qu'en dira - t - on, le je m'en foutisme**.

ესპანურ ენაშიც არსებითი სახელი ხასიათდება იგივე კატეგორიულ ნიშნებით, რაც მას აქვს ფრანგულში, ესაა მისი სემასიოლოგიური მნიშვნელობა გადმოსცეს საგნობრიობა. ესპანურში ორი სქესია, მამრობითი და მდედრობითი. განსხვავება სქესს შორის ესპანურში გადმოიცემა დაბოლოებებით. მაგალითად: **un director - una directora**; შეიძლება გადმოცემულ იქნას არტიკლითაც. მაგალითად: **el estudiante - la estudiante**. ხელობის აღმნიშვნელი არსებითი სახელები ადრე გადმოსცემდნენ იმ ადამიანის მეუღლეებს, რომლებიც ამ პროფესიას ასრულებდნენ, დღეს კი აღნიშნავენ ქალებს, რომლებიც ამ პროფესიას ასრულებენ. მაგალითად: **la farmacéutica**. სქესი შეიძლება გადმოცემულ იქნას სხვადასხვა ლექსიკური საშუალებებით. მაგალითად: **hombre - mujer**. არსებობს მცირე რაოდენობა არსებითი სახელებისა, რომელთაც აქვთ სპეციალური დაბოლოებები. მაგალითად: **alcadesa** - ქალი მერი, **poetisa** - პოეტი, **heroína** - გმირი ქალი, **actriz** - მსახიობი ქალი. ყველა არსებითი სახელი, რომელიც ბოლოვდება **-o** -ზე მამრობითი სქესისაა, გარდა სიტყვისა **la mano** - ხელი. ასევე სიტყვები, რომლებიც ბოლოვდება -

or, გარდა **la flor** - ყვავილი, **la labor** - სამუშაო, **la sor** - და(მიმართვისას), (მონაზონი).

მდედრობითი სქესისაა ყველა არსებითი სახელი, რომელიც ბოლოდება -a-ზე, გარდა **el día** - დღე, **el mapa** - რუკა, ზოგიერთი ბერძნული წარმოშობის სიტყვა **el teorema**, **el planeta**. მდედრობითი სქესისაა არსებითი სახელები, რომლებიც ბოლოდება: - **dad**, - **tad**, - **ción**, - **sión**, - **sis**, - **itis**, - **ed**, - **ez**, **la libertad**, **la acción**, **la tesis**, **una otitis**, გარდა **análisis** - ანალიზი, **paréntesis** - რკალი(ფრჩხილი), რომლებიც მამრობითი სქესისაა. გეოგრაფიული ტიპის არსებითი სახელები ექვემდებარება ზოგიერთ წესს. ზღვების, მთების აღმნიშვნელი არსებითი სახელები მამრობითი სქესისაა. მაგალითად: **el mar**, **los Pirineos**. ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების აღმნიშვნელი არსებითი სახელები არ ემორჩილებიან ერთ განსაზღვრულ წესს. მდედრობითი სქესისაა არსებითი სახელები, რომლებიც a-ზე ბოლოვდება. მაგალითად: **Sevilla es bonita**. **Toledo es antiguo**. თუმცა შეთანხმება შეიძლება გამოყენებულ იქნას ზოგიერთი ზედსართავის დახმარებით. მაგალითად: **Bilbao es bonita** - ანუ ბილბაო ლამაზი ქალაქია.

მრავლობითი რიცხვი ესპანურ ენაში გამოიხატება -s-ის დამატებით თუკი არსებითი სახელი ზმონით ბოლოვდება. მაგალითად: **casa** - **casas**; თუკი არსებითი სახელი ბოლოვდება -y-ზე მრავლობითში ემატება -es. მაგალითად: **rey** - **reyes**. თუკი არსებითი სახელი ბოლოვდება -es-ზე, მაშინ უკვე არტიკლი ჩაისმის მრავლობით რიცხვში. მაგალითად: **el lunes** - **los lunes** - ორშაბათი, **el interés** - **los intereses**. უცხოური წარმოშობის არსებითი სახელებისათვის მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად გარკვეული ფორმებია შემოღებული. მაგალითად: **el álbum** - **los álbumes**, **el eslogan** - **los esloganes**, **el chófer** - **los chóferes**, **el club** - **los clubes**. ყველა გალიციზმი შეიძლება ჩაიწეროს -t-ს გარეშე. მაგალითად: **chalé**, **carné**. ისინი აწარმოებენ მრავლობითს -

s-ის დამატებით. მაშინ, როდესაც ლათინური წარმოშობის სიტყვები უცვლელია. მაგალითად: **los déficit, los superavit** - ნამეტი. მახვილიან ხმოვანზე დაბოლოებული არსებითი სახელები მრავლობითში დაირთავენ -s-ს, **las mamás**. არსებობს ტენდენცია აწარმოონ მრავლობითი რიცხვი -s-ის დართვით, მაგრამ ასევე არსებობს მრავლობითი რიცხვი -es-ზე. მაგალითად: **rubis - rubies**. მსგავსი რამ ხდება ú-ს შემთხვევაში. მაგალითად: **interviú - interviús, tabús - tabúes**. საკუთარი სახელების აღმნიშვნელი არსებითი სახელები მრავლობით რიცხვს აწარმოებენ - s-ს დართვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებითი სახელი ბოლოდება -z-ზე ან s-ზე. **García - Garcías, los Rodríguez**. შედგენილი არსებითი სახელების შემთხვევაში, მრავლობითში ჩაისმის პირველი სიტყვა. მაგალითად: **los cafés - teatro**. რთული სიტყვა უცვლელია, თუკი მისი მეორე ნაწილი უკვე მრავლობითშია. მაგალითად: **el/los paraguas - ქოლგა, el/los parabrisas - პარბრიზი**.

ესპანურში სუბსტანტივაცია დამახასიათებელია არა მარტო ენისათვის, არამედ მეტყველებისათვისაც. ნებისმიერ გრამატიკოსს უფლება აქვს განიხილოს ნებისმიერი მეტყველების ნაწილის სუბსტანტივაციის პროცესი, არა როგორც გრამატიკული კატეგორიების არამდგრადი ბუნება, არამედ პირიქით, მათი რეალური არსებობის დადასტურება როგორც ენაში, ისე მეტყველებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზედსართავი სახელი, რომელიც სუბსტანტივაციას განიცდის არაა ზედსართავი სახელი, რომელიც ასრულებს არსებითი სახელის ფუნქციას, არამედ ესაა არსებითი სახელი, რომელსაც გააჩნია ამ კლასისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშან თვისება. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ სუბსტანტივაციის პროცესთანაა დაკავშირებული ესპანურში სქესის კატეგორია. მართალია ორი სქესი არსებობს და ლინგვისტები არ საუბრობენ საშუალო სქესზე, რომელიც თუკი იჩენს სწორედ გაარსებითებულ ზედსართავ სახელებში

არტიკლთან კომბინაციაში. სხვა რომანული ენებისაგან განსხვავებით ზედსართავთა ტრანსპოზიცია არსებითების კლასში ხორციელდება **lo**-ს დახმარებით. თავისი მნიშვნელობით **lo+adj.**, თვისების აღმნიშვნელი არსებითი სახელის სინონიმურია. მაგალითად: **lo verde - la verdura, lo oscuro - la oscuridad**. არსებობს აგრეთვე კონსტრუქცია **lo+S**, რაც განეკუთვნება მეორადი გაარსებითების მოვლენას. ეს მეორადი გაარსებითება წარმოიქმნება არსებითი სახელის ზედსართავთან ფუნქციური დაახლოებით. ასეთი კონსტრუქცია კარგავს საგნობრიობის მნიშვნელობას და იძენს ამ საგნის თვისების გადმოცემის უნარს. მაგალითად: **lo egoísta**. მისი როლი აშკარად ვლინდება იმაში, რომ აღნიშნოს გამოყოფილი სიტყვის სინტაქსური ფუნქცია. ასეთი ტიპის კონსტრუქციას ემფატიკური მნიშვნელობა აქვს. აღარკოს ლიორაკი წერს, რომ ესპანურში ორი სქესი არსებობს ამაზე არავინ დაობს, ხოლო საშუალო სქესი ვლინდება მხოლოდ ეგრეთწოდებულ აბსტრაქტული მნიშვნელობის სუბსტანტიფიკებულ ზედსართავებში და ასევე არტიკლთან კომბინაციაში. მაგალითად: **lo bueno, lo malo**, და ასევე ზოგიერთ ნაცვალსახელში: **lo, ello, esto, nada**. ზემომოყვანილი მაგალითები მიუთითებს იმაზე, რომ **lo**-თი გაარსებითებული ზედსართავი სახელები არ კარგავენ პარადიგმატული ცვლილებების ნიშნებსა და შეთანხმების თვისებებს, რაზეც მეტყველებს ფორმები **lo bueno - lo buena, lo buenos - lo buenas**. იგივე შეიძლება ითქვას არსებით სახელებზე, რომლებიც მეორად სუბსტანტიფიკაციას განიცდის: **lo amigo - lo amiga**; აქედან გამომდინარე შეიძლება ასეთი დასკვნა გავაკეთოთ. **Lo**-ს არ გადაყავს გაარსებითებული სახელები საშუალო სქესის კატეგორიაში. განსხვავება **el bueno** -სა და **lo bueno** - შორის არის მათ სემანტიკაში. პირველ შემთხვევაში გაარსებითებას კონკრეტული ხასიათი აქვს, მეორეში კი განმაზოგადოებელი და აბსტრაქტული.

იტალიურ ენაშიც არსებობს სუბსტანტივაციის პროცესი. სუბსტანტივაციის პროცესს განიცდის თითქმის ყველა მეტყველების ნაწილი. უმეტესობა არსებითი სახელებისა იტალიურში, რომლებიც ბოლოვდება **o-ზე** ან **e-ზე** მამრობითი სქესის მხოლოდით რიცხვში, მდედრობითში დაესმით ხმოვანი - **a**. მაგალითად: **l'alunno - l'alunna; il cassiere - la cassiera**. ზოგიერთ სიტყვაში, რომლებიც **e-ზე** ბოლოვდება, დაბოლოება არ იცვლება. **il cliente - la cliente**. ზოგიერთი არსებითი სახელი თავიანთ მდედრობითს აწარმოებენ სუფიქსის -**essa, -trice** დართვით. მაგალითად: **il professore - la professoressa; il direttore - la direttrice**. ბევრ არსებით სახელს აქვს განსხვავებული ფორმა მდედრობითში: **l'uomo - la donna; il re - la regina**. მრავლობით რიცხვს უცვლელი სიტყვები აწარმოებენ თავისებურად. მაგალითად: **il re - i re; il tè - i tè; la virtù - le virtù; la città - le città; la radio - le radio; la moto - le moto; il chilo - i chili; l'etto - gli etti. il camion - i camion; la tesi - le tesi; l'analisi - le analisi; la specie - le specie; la serie - le serie; la moglie - le mogli**.

ცვალებადი სიტყვები, რომლებიც მხოლოდით რიცხვში ბოლოვდება -**a-ზე**, **o-ზე** ან **e-ზე**, რომლებიც არც ერთმარცვლიანია და არც იკვეცება. მაგალითად: **la rosa - le rose; l'ala - ფრთა - le ali; l'arma - le armi; il poeta - i poeti; il fascista - i fascisti; la bugia - le bugie; la guancia - ლოყა - le guance; la ciliegia - ალუბალი - le ciliegie; il patriarca - i patriarchi; il Belga - i Belgi; la Greca - le Greche; la Belga - la Belghe**. არსებითი სახელები, რომლებიც ბოლოვდება -**e-ზე**, შეიძლება იყოს მამრობითი ან მდედრობითი. მაგალითად: **il cliente - la cliente**; არსებითი სახელები -**ore-ზე** ყველა მამრობითი სქესისაა. მაგალითად: **il dolore, მაგრამ la folgore - ელვა**; მრავლობით რიცხვში კი მათ აქვთ -**i**; **il cliente - i clienti; la cliente - le clienti**; არსებითი სახელები, რომლებიც ბოლოვდება -**ie-ზე** უცვლელია. მაგალითად: **la serie - le serie**, გარდა სიტყვისა **la moglie - le mogli**. გამონაკლისს

წარმოადგენს **il bue** - ხარი - **i buoi**. არსებითი სახელები, რომლებიც ბოლოვდებიან **-o-ზე**, მამრობითი სქესისაა. მაგალითად: **il periodo**, გარდა სიტყვისა **la mano**, რომელიც მდედრობითი სქესის არსებითი სახელია. მდედრობითი სქესისაა ზოგიერთი აბრევიატურა: **la moto, la radio, la foto...** ქალაქის სახელები: **la ricca Milano, la Torino moderna**, გამონაკლის წარმოადგენს, **il Cairo, il Pireo**; სიტყვა **l'eco** - ექო, მხოლოდით რიცხვში მდედრობითი სქესისაა და მრავლობითში მამრობითი სქესის. მაგალითად: **gli echi**. გამონაკლის წარმოადგენს სიტყვის **l'uomo** - ადამიანის მრავლობითი, **gli uomini**. თავისებური მრავლობითი აქვთ სიტყვებს, რომლებიც ბოლოვდება **-io-ზე**, თუ **-i-** მახვილიანია, მრავლობითში ექნება **-ii**. მაგალითად: **lo zio - gli zii**; თუ ხმოვანზე მახვილი არა არის, მაშინ მრავლობითში ექნება **-i**. მაგალითად: **il figlio - i figli**; სიტყვა **i tempio** - ტაძარი, მრავლობითში გვაძლევს **i tempi** ან უფრო სწორედ **i templi**, რომ გავარჩიოთ სიტყვისაგან **il tempo - i tempi; il dio - gli dei**.

არაწესიერი მრავლობითის შემთხვევაში გვექნება **il dio - gli dei**. არსებითი სახელები, რომლებიც ბოლოვდება **-co-ზე** და **go-ზე**, მრავლობითში იკეთებს **-chi-ს** და **ghi-ს**; მაგალითად: **il Turco - I Turchi, il mago - ქურუმი - i maghi**; არსებობს გამონაკლისები: **l'amico - gli amici; il nemico - მტერი - i nemici; il Greco - i Greci; il porco - i porci; il dialogo - i dialoghi; il catalogo - i cataloghi**; ზოგიერთი არსებითი სახელი, რომელიც ბოლოვდება **-o-ზე** და მხოლოდით რიცხვში მამრობითი სქესისაა, მრავლობით რიცხვში მდედრობითი სქესის იქნება. მაგალითად: **il centinaio** - ასიოდე - **le centinaia; il migliaio - le migliaia** - ათასობით, **il paio - le paia** - წყვილი. ზოგიერთ არსებით სახელს ორი მრავლობითი აქვს. წესიერი ფორმა, რომელიც **-i-ზე** ბოლოვდება და უწესო, რომელიც **a-ზე** ბოლოვდება. მნიშვნელობა ორივე მრავლობისათვის საერთოა. მაგალითად:

il ginocchio - მუხლი - I ginocchi, le ginocchia, il sopracciglio
- წარბი - I sopraccigli, le sopracciglia. რთული არსებითი
სახელები ჩვეულებრივ იწერება ერთად, რაც შეეხება
მრავლობით რიცხვს, უნდა თითოეულის ფორმა შევამოწმოთ
ლექსიკონში.

სამ რომანულ ენაში არსებითი სახელი გამოიყენება
დეტერმინატივებთან ერთად. რა თქმა უნდა არტიკლის
კატეგორია ქართულში არ არსებობს. აღსანიშნავია, რომ
არსებითი სახელები დეტერმინატივების გარეშე გამოხატავს
თვისებას. თითოეულ რომანულ ენაში დასაშვებია არსებითი
სახელის დეტერმინატივის გარეშე გამოყენება, პრედიკატის
როლში.

მაგალითად:

E. Juan y María son profesores .

I. Gianni e Maria sono professori.

F. Jean et Marie sont (des) professeurs.

არსებითი სახელები შეიძლება გამოყენებულ იქნას
არგუმენტის პოზიციაში. იტალიურ და ესპანურ ენაში
დასაშვებია მრავლობითი რიცხვი იმ არსებითი
სახელებისათვის, რომლებიც დეტერმინატივის გარეშე
გამოიყენება. ფრანგული ენაც უშვებს ასეთ გამოყენებას,
მაგრამ ეს მოვლენა უფრო იშვიათია.

მაგალითად:

E. Juan comía bizcochos y bebía leche.

I. Gianni mangiava biscotti e beveva latte.

**F. Jean était en train de manger (des) gâteaux et de boire
(du) lait.**

ფრანგულ ენაში არსებითი სახელები გამოიყენება
პრედიკატის როლში, მაგრამ **de-**ს გამოყენება რჩება
შესაძლებელი, და ხშირად აუცილებელია ამ პოზიციაში.

ის მონაცემები, რომლებიც ჩვენს მიერ იქნა განხილული სვამს ორ კითხვას:

1. როგორია უდეტერმინატივო არსებითი სახელების დენოტაცია არგუმენტის როლში?

2. როგორ გავუწიოთ ანგარიში რომანული ენების შიგნით ენობრივ ცვლილებებს და იმას, რასაც ადგილი აქვს ქართულ ენაში?

ქართულ ენაში, როგორც რომანულ ენებში გვაქვს ნივთიერებათა სახელები, რომელთაც ცალკე ვერ წარმოვიდგენთ. მაგალითად: ოქროები გულისხმობს ოქროს ნივთებს, წყლები, სხვადასხვა სახის წყალს, ფქვილები—სხვადასხვა ხარისხის ფქვილს.

უდეტერმინატივო არსებითი სახელები არ არის განუსაზღვრელი.

აღსანიშნავია, რომ უდეტერმინატივო არსებითი სახელები საშუალებას გვაძლევს გამოყენებულ იქნან ვიწრო გაგებით. წინადადებაში განუსაზღვრელი არტიკლით გამოყენებული არსებითი სახელი ორაზროვანია, მაშინ როდესაც უდეტერმინატივო არსებითი სახელი მრავლობით რიცხვში ასეთ რამეს გამორიცხავს.

მაგალითად:

I. E. María piensa que Pedro robó un libro.

I. Pietro crede che Maria conosce un politico importante.

F. Marie croit que Pierre a volé un livre.

II. E. María piensa que Pedro robó libros.

I. Pietro crede che Maria conosce politici importante.

F. Marie croit que Pierre a volé (des) livres.

Pierre croit que Marie connaît (des) politiciens importants.

ყველა ეს მაგალითი მიუთითებს იმაზე, რომ ისინი შეთავსებადია ბუნდოვანი ან არასპეციფიკური წაკითხვის შემთხვევაში, რომელშიც განუსაზღვრელ გამოთქმებთან ასოცირებული ფორმების ჩართვას ვიწრო გამოყენება აქვთ, მაგრამ გამჭვირვალე წაკითხვა შესაძლებელია მხოლოდ იმ მაგალითებში, რომლებიც აგებულია არსებითი სახელების მხოლოდობით რიცხვის განუსაზღვრელი ფორმებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, I ნაწილის წინადადებებში არსებითი სახელი მრავლობით რიცხვში დგას დეტერმინაციის გარეშე. მსგავსი ეფექტი შეიძლება გვექონდეს იმ შემთხვევაში თუკი მოდალურ გამოყენებას აქვს ადგილი. უდეტერმინაციო არსებითი სახელები მოითხოვს კავშირებითი კილოს გამოყენებას მიმართებით დამოკიდებულ წინადადებაში, როდესაც ადგილი აქვს არსებითი სახელების ვიწრო გამოყენებას, იმის მიხედვით, როდესაც კავშირებითი კილო გამოხატავს გამონათქვამის დამოკიდებულებას მოდალური კონტექსტის მიმართ.

მაგალითად:

I. E. María quiere leer un libro que describe(ind)/ describe(sub) la conquista de México.

F. Marie veut lire un livre qui décrit/ décrit la conquête du Mexique.

I. Conosci per caso un linguista che si occupa(ind)/ occupa(sub) di lingue agglutinanti.

F. Connaitrais - tu un linguiste qui s'occupe des langues agglutinantes ?

II. E. María quiere leer libros que describen(ind)/ describan(sub) la conquista de México.

F. Marie veut lire (des) livres qui décrivent la conquête du Mexique.

I. Conosci per caso linguisti che si occupano(ind)/ occupino (sub) di lingue agglutinanti ?

ასევე შეუძლებელია ფართო გაგება მივანიჭოთ იმ გამონათქვამს, რომელიც იმავე წინადადებაში რაოდენობას გამოხატავს.

მაგალითად:

E. Todos los profesores nos recomendaron un libro.

F. Tous les professeurs nous ont conseillé un livre

I. Ogni giorno telefona uno studente.

F. Chaque jour un étudiant téléphone.

E. Todos los profesores nos recomendaron libros.

F. Tous les professeurs nous ont conseillé (des) livres.

I. Ogni giorno telefonano studenti.

F. Chaque jour (des) étudiants téléphonent.

იმ წინადადებებში სადაც არსებითი სახელი მოცემულია დეტერმინატივის გარეშე და ის მრავლობით რიცხვშია, მას ვიწრო გამოყენება აქვს. ხოლო თუკი არსებითი სახელი მხოლოდით რიცხვშია, იგი გულისხმობს კონკრეტულ წიგნს და კონკრეტულ სტუდენტს. უდეტერმინატივო არსებითი სახელები მრავლობით რიცხვში გამოიყენება უმეტესწილად უარყოფის ნაწილაკის საშუალებით, მხოლოდით რიცხვში ასეთი რამ არ ხდება.

მაგალითად:

E. Llegó una carta y no llegó una carta.

F. Il y a une lettre qui est arrivée et une lettre qui n'est pas arrivée.

I. Ho trovato un libro e non ho trovato un libro.

F. J'ai trouvé un livre et je n'ai pas trouvé un (autre) livre.

E. Llegaron cartas y no llegaron cartas.

F. Il est arrivé(des)lettres et il n'est pas arrivé(de) lettres.

I. Ho trovato libri e non ho trovato libri.

F. J'ai trouvé (des) livres et je n'ai pas trouvé (de) livres.

უდეტერმინატოვო არსებითი სახელები მრავლობით რიცხვში რეფერენციულად დამოკიდებული სახელებია. გამორიცხულია მათი გამოყენების ორაზროვნება. უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოყენების კონტრასტული ხასიათი ანსხვავებს უდეტერმინატოვო არსებით სახელებს არა მარტო მხოლოდით რიცხვში გამოყენებული განუსაზღვრელი არსებითი სახელებისაგან, არამედ მრავლობით რიცხვში გამოყენებული არსებითი სახელებისაგან, რომლებიც შემოყვანილია განუსაზღვრელი დეტერმინატივებიანი არსებითი სახელებით. სინამდვილეში სახელადი სინტაგმა, რომელიც შემოყვანილია რაოდენობითი სახელებით ან განუსაზღვრელი არტიკლებით ისეთივე ნიშნებს ავლენს, როგორც მხოლოდით რიცხვში განუსაზღვრელი დეტერმინატივიანი არსებითი სახელი. იტალიურ მაგალითში: **Ogni sera telefonano tre studenti** - შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყოველ დღე ერთი და იგივე სტუდენტები რეკავენ.

ინგლისელმა ლინგვისტებმა დაუტოვეს და კარლსონმა გამოავლინეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისება, რაც მრავლობით რიცხვში ახასიათებთ უდეტერმინატოვო არსებით სახელებს. საქმე ეხება ასპექტუალურ ეფექტებსა და ანაფორულ რეპრიზას. უდეტერმინატოვო არსებით სახელებს მრავლობით რიცხვში არ შემოყავთ განუსაზღვრელი სტაბილური ერთეულები მეტყველებაში.

მაგალითად:

I. E. Escribió dos artículos en tres meses/ ¹*durante tres meses.

F. Il a écrit deux articles en trois mois/pendant trois mois.

I. Ha stirato molte camicie in due ore/*per due ore di seguito.

F. Il a repassé beaucoup de chemises en deux heures/ pendant deux heures.

II. E. Escribió artículos *en tres meses/ durante tres meses.

Il a écrit [des] articles en trois mois/pendant trois mois.

I. Ha stirato camicie *in due ore/per due ore di seguito .

F. Il a repassé [des] chemises en deux heures/ pendant deux heures.

უდეტერმინატოვო არსებითი სახელების გამოყენება იწვევს დურაციულ ინტერპრეტაციას ჩვეულებრივ არადურაციული პრედიკატების, როგორებიცაა **tuer, découvrir**. საიდანაც არსებობს საშუალება ჩავსვათ ასეთ პრედიკატში ასპექტუალური ზმნა **continuer**.

მაგალითად:

a.

E. El zorro siguió matando varias gallinas.

F. Le renard a continué à tuer plusieurs poulets.

I. Continua a scoprire tre errori di calcolo.

F. Il continue de découvrir trois erreurs de calcul.

b.

E. El zorro siguió matando gallinas.

F. Le renard a continué à tuer (des) poulets.

I. Continua a scoprire errori di calcolo.

¹ *ნიშნავს, რომ ამ ნიშნით გამოყენებული ფორმა სწორი არ არის.

F. Il continue de découvrir (des) erreurs de calcul.

მსაგავსს მოვლენას აქვს ადგილი იმ ქვემდებარის მიმართაც, რომლებიც ზმნის შემდეგ დაისმის წინადადებაში. როდესაც საქმე ეხება გარდაუვალ ზმნას, რომელიც ქვემდებარის მდგომარეობის ცვლილების დენოტაციას ახდენს.

მაგალითად:

E. Seguían llegando invitados/unos invitados.

F. Il continue d'arriver (des) invités/ quelques invités.

I. Hanno scoppiato bombe/quattro bombe per tre giorni di seguito.

F. (Des) bombes/ Quatre bombes ont éclaté pendant trois jours de suite.

უღებურმიანტივო არსებითი სახელებს გააჩნიათ განსაკუთრებული თვისებები, როგორც ნაცვალსახელოვანი გამონათქვამების ანტეცედენტებს.

მაგალითად:

a.

E. Juan recomendó unos/tres libros y María recomendó otros/los otros.

F. Jean a conseillé quelques/trois livres et Marie(en) a conseillé d'autres/les autres.

I. Oggi sono arrivati tre/molti ospiti stranieri. Domani arriveranno altri/ gli altri.

F. Trois/Plusieurs hôtes étrangers sont arrivés aujourd'hui. D'autres/Les autres arriveront demain.

b.

E. Juan recomendó libros y María recomendó otros.

F. Jean a conseillé (des) livres et Marie(en) a conseillé (d')autres.

I. Oggi sono arrivati ospiti stranieri. Domani arriveranno altri/gli altri.

F. Aujourd'hui sont arrivés (des) hôtes étrangers. Demain arriveront (d') autres/ les autres.

c.

E. Porque Usted quema libros, y Sánchez los escribe.

F. Car vous brûlez (des) livres et Sánchez les écrit.

I. Prendeva libri in prestito in biblioteca o li rubava nelle librerie del centro.

F. Il empruntait (des) livres à la bibliothèque ou il les volait aux librairies du centre ville.

ამ დაკვირვებებმა იქამდე მიგვიყვანა, რომ უდეტერმინატივო არსებითი სახელები მრავლობით რიცხვში განსხვავდებიან მხოლოდით რიცხვში მოცემული არსებითი სახელებისაგან. გამოყენების შეზღუდვა აიხსნება იმ ჰიპოტეზით, რომ უდეტერმინატივო არსებითი სახელი მრავლობით რიცხვში დამოკიდებულია წინადადებების პრედიკატზე. ასპექტუალური შედეგებით, ეს გამონათქვამები არ აღნიშნავენ ინდივიდებს, და ანაფორული თვისებები კი გვიჩვენებენ, რომ მრავლობით რიცხვის უდეტერმინატივო არსებით სახელებს არ შემოყავთ მეტყველების რეფერენტები. უდეტერმინატივო არსებითი სახელები არ შეიძლება ასიმილირებულ იქნან განუსაზღვრელ არსებით სახელებთან.

უდეტერმინატივო არსებით სახელებს არ შეუძლიათ გამობატონ სახეობები. განსაკუთრებით, როდესაც მათი კომბინირება ხდება პრედიკატებთან.

მაგალითად:

E. En la India se están extinguiendo tigres/ los tigres.

F. En Inde, (des) tigres /les tigres sont en voie d'extinction.

I. In questa regione, hanno riuscito a estermiare conigli/i conigli.

F. Dans cette region, on a réussi à exterminer (des) lapins/les lapins.

უდეტერმინატოვო არსებითი სახელები, რომლებიც დგანან პრედიკატის პოზიციაში და თუ მათ განვიხილავთ ფუნქციური თვალსაზრისით, მათი თვისება ეს ის ფუნქციაა, რომელიც გამოიყენება რომელიმე ინდოვიდის მიმართ, რათა გადმოვცეთ ჭეშმარიტება. პრედიკატის მდებარეობა საშუალებას იძლევა უდეტერმინატოვო არსებითი სახელები გამოვიყენოთ უფრო ფართო მნიშვნელობით. კერძოდ, არსებითი სახელი უარტიკლოდ, მხოლოდით რიცხვში.

მაგალითად:

E. Juan es profesor.

I. Gianni è professore.

F. Jean est professeur.

თუმცა პრედიკატები, რომლებიც შედგება უდეტერმინატოვო არსებითი სახელებისაგან მხოლოდით რიცხვში შეიძლება გამოყენებულ იქნას შეზღუდული რაოდენობის სახელებთან, რომლებიც გადმოსცემენ პროფესიას, სოციალურ ფუნქციას, სოციალურ როლს ან სოციალურ ურთიერთობებს. თუ პრედიკატია არ გადმოსცემს სოციალურ ფუნქციას, არამედ რომელიმე კლასისადმი მიკუთვნებას, განსაზღვრული არტიკლი აუცილებელია მხოლოდით რიცხვში ესპანურ, იტალიურ და ფრანგულ ენებში.

მაგალითად:

E. Bobby es (un) gato.

I. Bobby è (un) gatto.

F. Bobby est un chat.

როდესაც პრედიკატია კლასიფიკაციას გადმოსცემს, მაშინ ესპანურ და იტალიურ ენებში ზუსტად იგივე ნომინალური

ფორმებია, რაც არგუმენტირების შემთხვევაში. მხოლოდით რიცხვში განუსაზღვრელი არტიკლი და მრავლობით რიცხვში უდეტერმინატყო არსებითი სახელები. ფრანგულ ენაში შესაბამისი ფორმები მოითხოვს წინდებულ **de-ს**.

მაგალითად:

E. Estas flores son rosas.

I. Questi fiori sono rose.

F. Ces fleurs sont (des) roses.

E. Las ballenas son mamíferos.

I. Le balene sono mammiferi.

F. Les baleines sont (des) mammifères.

მრავლობითი რიცხვის გამოყენება განუსაზღვრელი დეტერმინატყით პრედიკატის როლში განსაკუთრებული მნიშვნელობის შედეგს იძლევა. იგი გამოიყენება, როდესაც პრედიკატი შედგება მახასიათებელი არსებითი სახელისაგან ანდა საქმე ეხება მეტაფორულ პრედიკაციას.

მაგალითად:

E. Eran unos pobretones. C'étaient des pauvres gens.

I. Sono dei mascalzoni. Ce sont des fripons.

E. Esas mujeres son unas víboras. Ces femmes sont des vipères.

I. Siamo tutti dei cani. Nous sommes tous des chiens.

განუსაზღვრელი დეტერმინატყების გამოყენება ასევე აუცილებელია, როდესაც არსებით სახელს ახლავს შეფასებითი მოდიფიკატორები, იქნება იგი პრედიკატის მდებარეობაში თუ არგუმენტის მდებარეობაში.

მაგალითად:

E. Son rosas blancas/ (unas) rosas magníficas.

I. Sono rose bianche/ (delle) rose magnifiche.

F. Ce sont (des) roses blanches/des roses magnifiques.

E. Me regaló rosas blancas/ (unas) rosas magnificas.

I. Mi ha regalato rose bianche/ (delle) rose magnifiche.

F. Il m'a donné (des) roses blanches/ des roses magnifiques.

ესპანური და იტალიური ენები, გამოხატავენ დეტერმინატივო მრავლობითი რიცხვის არსებითი სახელების და დეტერმინატივებიანი არსებითი სახელების მონაცვლეობას, განსხვავებას მაკლასიფიცირებელ და მაკვალიფიცირებელ დეტერმინაციას შორის. ფრანგულში ეს განსხვავება არ არსებობს.

შეიძლება დავსვათ შეკითხვა თუ რატომაა დასაშვები რომანულ ენებში მრავლობით რიცხვში არსებითი სახელების გამოყენება დეტერმინატივების გარეშე, ისევე როგორც კრებითი სახელების, თუმცა ისინი მოითხოვენ განუსაზღვრელი არტიკლის გამოყენებას მხოლობითი რიცხვის თვლად არსებით სახელებთან. ცნობილია, რომ მრავლობითი რიცხვის არსებითი სახელები და კრებითი სახელები ინაწილებენ დენოტაციურ თვისებებს. მხოლობითი რიცხვის არსებითი სახელები, რომელთა დენოტაცია ხდება ნიშანდებული ინდივიდების სფეროში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დეტერმინატივის გარეშე. მრავლობითი რიცხვის არსებითი სახელები და კრებითი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ არანიშანდებულ ერთეულებს, მათ ისეთი შიდა სტრუქტურა აქვთ, რომელიც ეფუძნება მოწესრიგებულ ურთიერთობას და ამიტომ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დეტერმინატივის გარეშე. კრებით სახელებს ყოველთვის ვიწრო გამოყენება აქვთ.

მაგალითად:

E. María cree que Juan robó leña.

F. Marie croit que Juan a volé (du) bois.

I. Pietro vuol comprare caffè.

F. Pierre veut acheter (du) café.

E. María se comió fruta.

F. Marie a mangé (des) fruits.

I. Pietro ha bevuto caffè (*in un ora).

F. Pierre a bu (du) café (*en une heure).

E. Juan adora *café/ el café .

I. Gianni adora *caffè/ il caffè.

F. Jean adore * [du] café/le café.

კრებითი სახელები, მაშინაც კი როდესაც მათ წინ უსწრებთ რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვა, ისეთ პრედიკატებთანაც კი, როგორებიცაა: **aimer** - სიყვარული, **détester**, **hair** - სიძულვილი, ზიზღი, რომლებიც არგუმენტის როლს ასრულებენ, არ უშვებენ მრავლობითი რიცხვის არსებითი სახელების გამოყენებას დეტერმინატივის გარეშე.

მაგალითად:

E. María detesta mucha agua.

I. Maria odia molta acqua.

F. Marie déteste beaucoup d'eau.

კრებითი სახელები, რომელთაც ახლავთ ან არა რაოდენობის აღმნიშვნელი დეტერმინატივები, ისევე გამოიყენება, როგორც უდეტერმინატივო არსებითი სახელები და განსხვავდებიან განუსაზღვრელი დეტერმინატივით გამოყენებული არსებითი სახელისაგან. ამგვარად, მხოლოებითი რიცხვის განუსაზღვრელი არტიკლით გამოყენებულ არსებით სახელებს სისტემატურად ორაზროვანი გამოყენება აქვთ. მათ შეუძლიათ გამოხატონ ინდოიდი, ზოგადი ხასიათის რაოდენობის აღმნიშვნელი

სახელი ან თვისება, რომლითაც შეიძლება მათი რომელიმე კლასისადმი მიკუთვნება.

გრეთწოდებული « ნაწილობითი » არტიკლები ფრანგულ ენაში. ფრანგული ენა არ უშვებს უდეტერმინატოვო არსებითი სახელების გამოყენებას არგუმენტის პოზიციაში. ის სინტაგმები, რომლებიც შედგება ნაწილობითი არტიკლი +N ფრანგულ ენაში, სრულიად საწინააღმდეგო ფორმაა უდეტერმინატოვო არსებითი სახელებისა, რომლებიც გვაქვს ესპანურ და იტალიურ ენებში. ეს განუსაზღვრელი სინტაგმები განსხვავდება იმ არსებითი სახელებისაგან, რომელსაც თან ახლავს წინდებული **de**, უარყოფით წინადადებაში, ან ახლავს ისეთი ზმნიზედები, როგორებიცაა **beaucoup, peu. Je n'ai pas vu de filles. J'ai vu beaucoup/ peu de filles.** შემდგომი ანალიზი, რომელიც ინგლისელმა ლინგვისტმა ბოსველდ დე სმეტმა განახორციელა, გვიჩვენებს, რომ უნდა განვასხვავოთ ის სინტაგმა, რომელიც შემოყვანილია **des**-თი, რომელშიც სინტაგმა შეიძლება იყოს, როგორც უარყოფით ფორმაში, ასევე შეიძლება გამოჩნდეს, როგორც ერთეულის პრედიკატი და გახდეს ანაფორის **d'autres** ანტეცედენტი.

მაგალითად:

Des élèves ne m'ont pas rendu leurs devoirs.

Des élèves étaient malades.

Des enfants tambourinaient sur leurs tables, tandis que d'autres criaient à tue - tête.

Pendant mon cours, des étudiants étaient ivres/ malades/ affamés/endormis.

Des fauteuils sont bancals.

აღსანიშნავია, რომ უდეტერმინატოვო მრავლობითი. რიცხვის არსებითი სახელების გამოყენება, თვლადი მბოლობითი არსებითი სახელების გამოყენების

პარალელურია ესპანურ და იტალიურ ენებში. თვლადი მხოლოდობითი რიცხვის არსებითი სახელები განუსაზღვრელი არტიკლის გარეშე შეიძლება გამოყენებულ იქნეს მსგავს კონტექსტებში, რომელიც დამახასითებელია ყველა რომანული ენისათვის, ფრანგულის ჩათვლით. დეტერმინატივის გამოტოვება ესპანურსა და იტალიურ ენებში და ნაწილობითი არტიკლის ფრანგულში, ეხება არსებითი სახელების ერთი და იგივე ტიპს. ესენია კრებითი სახელები და მრავლობითი რიცხვის არსებითი სახელები, რომლებიც შეიძლება შევადაროთ იმას, რომ ისინი რეფერენციას ახდენენ არანიშანდებული ერთეულებისა, რომელთა მოწესრიგება ხდება მიმართებით « être une partie de ». დეტერმინატივის გამოტოვება ესპანურსა და იტალიურ ენებში და ნაწილობითი არტიკლისა ფრანგულში, შეადგენს ორ განსხვავებულ პროცედურას, რომლითაც სახელადი გამონათქვამი, გამოხატავს არანიშანდებულ ერთეულს. დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ორი განსხვავებული სინტაქსური ფორმა, სახელადი სინტაგმები de წინდებულით ფრანგულში და უდეტერმინატივო არსებითი სახელები ესპანურსა და იტალიურ ენებში შეიძლება გაანალიზებულ იქნეს, როგორც ისეთი ერთეულები, რომელთაც დენოტაციის(თვისების) ერთი და იგივე ტიპი აქვთ.

საზოგადო სახელები, რომლებიც გამოიყენება დეტერმინატივის გარეშე იტალიურ ენაში არ აღნიშნავენ სახეობებს. იტალიელი ლინგვისტები კიერკია, ლონგობარდი, დელფიტო თვლიან, რომ უდეტერმინატივო მოდიფიცირებული არსებითი სახელები უშვებენ იმას, რომ ისინი გამოყენებულ იქნეს ზოგადი მნიშვნელობით.

მაგალითად:

I. Cani di grosse dimensioni creano seri guai.

F. (Des) chiens de grande taille provoquent de graves malheurs.

I. Assenze che non siano segnalate per tempo, non verranno giustificate.

F. (Des) absences qui ne seraient pas signalées à l'avance ne seront pas justifiées.

ასეთი ტიპის მაგალითები ნაკლებად დასაშვებია ესპანურში. ეს განსხვავება იტალიურსა და სხვა რომანულ ენებში, უდეტერმინატოვ არსებითი სახელების მიმართ, მიუთითებს დამატებითი წესის არსებობაზე ესპანურ ენაში, რაც დაკავშირებულია ძირითადად სიტყვათა რიგთან. იტალიელი ლინგვისტი კირკია თვლის, რომ იტალიურში უდეტერმინატოვ საზოგადო არსებით სახელებს შეუძლიათ სახეობები აღნიშნონ.

«Ce type d'exemples est moins acceptable en espagnol. Cette différence entre l'italien et les autres langues romanes à noms nus indique l'existence de contraintes supplémentaires en espagnol, qui sont sans doute liés à des différences concernant l'ordre des mots. Selon Chierchia, les noms nus génériques de l'italien dénotent des espèces ».

მაგალითად:

I. Qui, ragazze in minigonna sono rare.

F. Ici, (des) filles en minijupes sont rares.

I. In questa zona, belle farfalle abbondano.

F. Dans cette région, (de) beaux papillons sont en abondance.

მაგალითად:

I. Qui, ragazze in minigonna sono rare.

G. Ici, (des) filles en minijupes sont rares.

I. In questa zona, belle farfalle abbondano.

G. Dans cette région, (de) beaux papillons sont en abondance.

უნდა აღნიშნოს ერთი რამ, რომ უდეტერმინატივო მოდიფიცირებულ არსებით სახელებს არ ძალუძთ სახეობების აღნიშვნა იტალიურ ენაში, ჩვენი არგუმენტი ეწინააღმდეგება კიერკიას მოსაზრებას, ეს რომ ასე არ იყოს და ისინი გამოხატავდნენ სახეობებს, მაშინ გაუგებარი იქნებოდა, თუ რატომ ხდება მათი გამოტოვება უმეტესობა კონტექსტიდან.

სინტაქსურ მიმართებებში, უდეტერმინატივო არსებით სახელებს დისტრიბუცია ესპანურსა და იტალიურ ენებში ექვემდებარება მნიშვნელოვან შეზღუდვებს. უდეტერმინატივო არსებითი სახელები გამორიცხულია იმ პოზიციაში, როდესაც ქვემდებარე წინ უსწრებს ზმნას, მაგრამ იგი დასაშვებია იმ პოზიციაში, როდესაც ქვემდებარე ზმნას მოსდევს.

მაგალითად:

E. Olas batían contra las rocas.

F. (Des) vagues battaient les rochers.

I. Le Onde si battevano contro gli scogli.

E. Ratones salieron del armario.

F. (Des) souris sont sorties de l'armoire.

I. I topi sono usciti dall'armadio.

E. Salieron ratones del armario.

F. (Des) souris sont sorties de l'armoire.

E. Ratones salieron, pero arañas no.

F. (Des) souris, il en est sorti, mais pas d'araignées.

I. I topi sono usciti, i ragni invece no.

ბოლო წინადადება მითითებს იმაზე, რომ ამას გვთავაზობს კონტექსტი და რომ ქვემდებარე არის მოშორებული თემა. «იმ ენებში, სადაც ქვემდებარის ინვერსია თავისუფლად არ ხდება, ზმნის წინ დასმული ქვემდებარე შეიძლება იყოს თემა, ან იგი შეიძლება მიეკუთვნებოდეს რემას, ხოლო ენაში, სადაც თავისუფლად ხდება ქვემდებარის ინვერსია,

შემასმენლის წინ მდგომი ქვემდებარე, მიბმული ან თემაა ან კონტრასტული ფოკუსი. » ასეთ ტიპს განეკუთვნება ესპანური და იტალიური ენები, რომელიც შეუთავსებადია თვისების დენოტაციასთან. შემასმენლის წინ დასმული ქვემდებარე, რომელიც გამოყოფილია კონტრასტული მახვილით ან რომელიც განიცდის ცვლილებებს, შეიძლება გადმოიცეს, როგორც ფოკუსი და შეესაბამებოდეს თვისების დენოტატს. რაც შეეხება ფრანგულს, იგი განეკუთვნება იმ ენას, სადაც ქვემდებარის ინვერსია თვისუფლად არ ხდება, რაც მას შეუთავსებადს ხდის SN სინტაგმასთან, რომლებიც აღნიშნავენს თვისებებს, საიდანაც ჩნდება საშუალება გამოვიყენოთ სახელადი სინტაგმა **de(s)**-თი ქვემდებარის წინა პოზიციაში.

თავი III. არტიკლი

არტიკლი გრამატიკული კატეგორიაა, რომელიც ახლავს არსებით სახელს. იგი დამახასიათებელია ყველა რომანული ენისათვის. ქართულ ენაში არტიკლის კატეგორია არ არსებობს, თუმცა ძველ ქართულში არსებობდა ნაწევარი. იგი იხმარებოდა საზოგადო სახელთან, მისი ფუნქცია იყო სახელის განსაზღვრა.

განსაზღვრულობა/ განუსაზღვრულობა დაკავშირებულია მოლაპარაკის ინფორმაციასთან საგნის შესახებ და ახასიათებს მთელ გამონათქვამს. დეტერმინაციის კატეგორია ფრანგულში გამოხატულია არტიკლით. მას ორი ასპექტი აქვს: თვისობრივი და რაოდენობრივი. თვისობრივი დეტერმინაცია ეხება თვლად არსებით სახელებს და გამოიხატება ოპოზიციით **le/un**; რაოდენობრივი დეტერმინაცია: - მისი ბირთვია ტოტალურობისა და ნაწილობითობის მნიშვნელობა, გამოიხატება ოპოზიციით **le/du**. სხვა უთვლად სახელებთან გვაქვს დაპირისპირებულობა

კონკრეტული/ერთეული; ერთეული არსებითი სახელები გამოიყენება განსაზღვრული არტიკლით ან უარტიკლოდ (**le soleil, la beauté, la France**).

განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობა გადმოიცემა სიტყვათა რიგით, ლექსიკური საშუალებებით (ნაცვალსახელი, ზედსართავი). არტიკლი გრამატიკული კატეგორიაა, რომელიც ახლავს არსებით სახელს. არტიკლი პირველ რიგში განსაზღვრავს იმ არსებითი სახელის სქესსა და რიცხვს, რომელიც მას შემოყავს. მაგალითად: **le pain, la robe**. ანსხვავებენ სამი ტიპის არტიკლს: განსაზღვრულს, ნაწილობითსა და განუსაზღვრელს. მაგალითად: (**prendre**) **le pain, du pain, un pain**. განსაზღვრული არტიკლის ფორმებია: **le, la, les**.

განსაზღვრული არტიკლი იკვეცება ხმოვნითა და მუნჯი **h**-ით დაწყებული არსებითების წინ. მაგალითად: **l'agent, l'homme**. ზოგიერთი სიტყვის წინ ეს არტიკლი შენარჩუნებულია. მაგალითად: **le un, le huit, le yacht, la ouate(l'ouate)**. განსაზღვრული არტიკლი ერწყმის წინდებულებს **à**-ს და **de**-ს. მაგალითად: **la mousse au(à le) chocolat, l'ombre du hêtre**. უწინ ახდენდნენ წინდებულის **en** განსაზღვრულ არტიკლთან **les**-თან შერწყმას. მაგალითად: **docteur ès (en les) sciences, ès lettres, agir ès qualités**.

არტიკლის გამოყენება ფრანგულში მეორად მნიშვნელობებს ქმნის. განსაზღვრულ არტიკლს განსაზღვრულობის გრამატიკული მნიშვნელობის გარდა, აქვს ჩვენებითი მნიშვნელობა, რომელიც მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობაა, რომელიც შენარჩუნებული აქვს თავისუფალ სიტყვათშეერთებებშიც. მაგალითად: **Contre toute attente, il m'a répondu dans la semaine**. **Le**-ს ეტიმოლოგიური მნიშვნელობა შეიძლება გადმოვცეთ ზედსართავი სახელით. მაგალითად: **J'ouvris la bouche pour dire enfin ce que j'avais à dire sur la question**. განუსაზღვრელი არტიკლი გამოიყ-

ენება ასევე თავისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობით - „ერთი“
- un. მაგალითად: **Elle n'eut qu'une pensée: s'enfuir.**

un - შეიძლება გამოვიყენოთ განუსაზღვრელი ნაცვალ-
სახელის მნიშვნელობით. მაგალითად: **C'était dans les Tuileries, je vois un Monsieur avec sa dame. Les-**ს ეკვიალენ-
ტად ვიღებთ იგივე განუსაზღვრელ ნაცვალსახელებს მრავ-
ლობით რიცხვში. მაგალითად: **Il a des idées, mais il ne connaît pas les faits.** განუსაზღვრელობის მნიშვნელობასთან
შეიძლება ადგილი ჰქონდეს პოსესიურობის მნიშვნელობას.
მაგალითად: **Elle vit des mains et des yeux: ça et là une tâche de lumière. Les-**ს შეიძლება ჰქონდეს განმაზოგადებელი
ფუნქცია. მაგალითად: **Il observe scrupuleusement les règles du jeu.**

Le - არტიკლი, ცხოველების აღმნიშვნელი არსებითი
სახელების წინ, გამოხატავს მათ სიმრავლეს. მაგალითად:
C'était la saison du canard sauvage. Un-ს გამომყოფი
კონკრეტული ფუნქცია აქვს. მას შეუძლია გამოყოს საგანი
მისი მსგავსი საგნების რიგიდან. მაგალითად: **Des chiens se mirent à aboyer.** ის აფორმებს გამონათქვამის შინაარსობრივ
ცენტრს, ანუ ამ არტიკლს შემოყავს გამონათქვამში ახალი
ინფორმაცია. აბსტრაქტულ სახელთან **un** არტიკლის
ხმარებისას, ინდოიდუალური მნიშვნელობა გამოხატავს არა
განზოგადოებულ თვისებას ან ხარისხს ზოგადად, არამედ
მის გამოვლინებას ან ამ თვისების მატარებელს. იქმნება ასე
ვთქვით სიტყვის ლექსიკო სემანტიკური ვარიანტი.
მაგალითად: **C'était une attention pour elle.**

ოპოზიცია **le/un** - თუ კვირის დღეებთან ვიყენებთ არტიკლ
le-ს, მაშინ იგი გამოხატავს რეგულარულობას. მაგალითად:
le jeudi, le dimanche - ხუთშაბათობით, კვირაობით. ხოლო
un არტიკლი - გამოხატავს შემთხვევით ხასიათს. მაგალითად:
Venez me voir un mardi à 7 h. Je reçois ce jour - là. Le matin, le soir - დილაობით, საღამოობით, **un soir** - ერთ
საღამოს. სტრუქტურამ **des+S** დროის მნიშვნელობით

შეიძლება გამოხატოს მოქმედების ხანგრძლიობა. მაგალითად: **Des mois de sanatorium, des années peut - être.**

Un/du+N de mat - écroulé sur une chaise, il demanda un café. Paul s'est éveillé et boit le café. Du შეიძლება გამოიყენოს ცხოველთა სახელების წინ. აქ უკვე ამ ცხოველის სახეობას აღნიშნავს. მაგალითად: **Il y a du lièvre ici. Du** შეიძლება აღნიშნავდეს ცხოველის ხორცს. მაგალითად: **du porc** - ღორის ხორცი. **Du+N concret**, წინა პლანზე გამოდის მისი თვისობრივი ნიშნები - **Ses cris, ses larmes, tout ça, c'est du théâtre!**

სტრუქტურაში არტიკლი+N **propre** არტიკლმა შეიძლება შეინარჩუნოს ეტიმოლოგიური მნიშვნელობა. **La tendre Cécile, la Cécile que j'adore.** ამავე სტრუქტურამ შეიძლება გამოხატოს დამამცირებელი მნიშვნელობა **Toujours le Durand - pensa Françoise.** საკუთარ სახელებთან **les+გვარი** - გამოხატავს ოჯახს. **Les Thibault** - ტიბოს ოჯახი; **Un Thibault** ოჯახის წარმომადგენელი. გამოჩენილი პიროვნების გვართან **le** - ნიშნავს ყველა ნაწარმოებს, ხოლო **du**, ნაწილი ნაწარმოებისა. მაგალითად: **J'ai lu du Balzac** ანდა **j'ai lu le Balzac.** სტრუქტურა: **du+N propre** - გამოჩენილი ადამიანის გვართან შეიძლება აღნიშნავდეს მის სტილსაც. მაგალითად: **Les vers de ce poète ne sont guère originaux, c'est du Prévert. Un+N propre** - აღნიშნავს მის ნაწარმოებს - **un Balzac.**

ზმირად არტიკლი არ გამოიყენება. ის არ გამოიყენება საერთო ხასიათის ფორმულებში, ანდაზურ გამონათქვამებში, ანდაზებში: **Noblesse oblige.** ზმნურ გამონათქვამებში: **avoir soin, prendre garde.** ელიპტიკურ სტილში (სათაურები, პორტრეტები, რეკლამები...):

Mémoires d'outre - tombe(Chateaubriand); Appartement à louer, maison à vendre. არსებითი სახელების ჩამოთვლის დროს. მაგალითად: **Femmes, moine, vieillards, tout était descendu(La Fontaine).**

ესპანურ ენაში არტიკლი განიხილება როგორც მეტყველების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს არსებით სახელს და გამოხატავს მის სქესს და რიცხვს. უნდა აღვნიშნოთ, რომ არტიკლი ერთი მხროვ წარმოადგენს ცალკე სიტყვას, მეორე მხრივ, იგი დამოუკიდებლად არასოდეს გამოიყენება. არტიკლი შეიძლება განვიხილოთ, როგორც დამხმარე სიტყვა, მაგრამ იქაც იგი ინარჩუნებს ინდოიდუალურ თავისებურებებს. არტიკლის გამოყენება ფაკულტატიურია ესპანურში, რადგანაც არსებითი სახელი თავისი ფორმით მშვენიერად გადმოსცემს სქესისა და რიცხვის კატეგორიას.

მაგალითად: **(la)mesa - (las)mesas; (el)libro - (los)libros.** ესპანურ ენაში არტიკლის მორფოლოგიური ფუნქციები, როგორც სქესის და რიცხვის მაჩვენებლის, ერთგვარად შესუსტებულია ფრანგულთან შედარებით. ამის მიზეზი გახლავთ ესპანური არტიკლის დიდი დისტანციური ხასიათი. ფრანგულ ენაში არტიკლი ფაკულტატიური არ არის, პირიქით ის აუცილებელია, რადგანაც ზოგიერთი არსებითი სახელი სქესს მხოლოდ არტიკლის მეშვეობით განასხვავებს.

მაგალითად: **le secrétaire - la secrétaire; le journaliste - la journaliste.**

თავისი ფუნქციით არტიკლი იტალიურში უფრო ესპანურ ენასთან ახლოსაა. არსებით სახელს შეუძლია თავისი ფორმით გადმოსცეს სიტყვის სქესი და რიცხვი. მაგალითად: **il paese; l'Italia .**

ესპანურ ენაში განსაზღვრულ არტიკლებს განეკუთვნება ფორმები **el, la, los, las.** განსაზღვრული არტიკლი მხოლოდობით რიცხვში შეერწყმის წინდებულებს **a, de-**ს და გვაძლევს **al, del.** განსაზღვრული არტიკლი არსებით სახელთან დაისმის შემდეგ შემთხვევებში:

1. როდესაც მეორეჯერ ხდება სახელის ხსენება, ანუ როდესაც უცნობი სახელი ხდება ნაცნობი.

მაგალითად: **Y una tarde, siendo invierno, llegó al pueblo una niña. La niña era sobrina de las dos viejas encargadas de Telégrafos** - ერთ საღამოს, ზამთარში, სოფელში პატარა გოგო ჩამოვიდა. გოგონა იმ მოხუცი ქალბატონების ძმისწული იყო, რომლებსაც ტელეგრაფი ებარათ.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რეგულარულობის თანმიმდევრობა, ანუ **un/el**, არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ განუსაზღვრელ არტიკლს აუცილებლად უნდა მოსდევდეს განსაზღვრული არტიკლი. მაგალითად: **Es un instante, un corto instante**.

მეორე მხრივ, განსაზღვრული არტიკლის არსებობა არ გულისხმობს მეორეჯერ მისი გამოყენების შემთხვევაში, რომ მისი ანტეცედენტი აუცილებლად განუსაზღვრელი არტიკლი იყო. მაგალითად: **El día llegará y en el día no podríamos aguantar su mirada** - გათენდება და დღისით ვერ გაუძლებთ მის მზერას.

2. ანაფორის გარეშე განსაზღვრული არტიკლი აფორმებს არსებით სახელს, რომელიც გამოხატავს როგორც ერთადერთ შესაძლებელ საგანს მოცემულ სიტუაციაში ან მოცემულ კონტექსტში.

მაგალითად: **Barquero ofrece el mejor asiento que tiene: esta silla. El cazador apuntó la escopeta y tiró del gatillo** - მენავე გვთავაზობს ადგილს, რომელიც მას უკავია ამ სკამს. მონადირემ თოფი დაუმიზნა და ჩახმახს გამოჰკრა. უნდა აღინიშნოს, რომ მონადირემ დაუმიზნა არა რომელიმე იარაღიდან, არამედ რომელიც მას ხელში ჰქონდა და გამოსწია არა რომელიღაც ჩახმახი, არამედ მისი იარაღის ჩახმახი.

3. განსაზღვრული არტიკლი მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს განსაზღვრული მიმართება არსებით სახელებთან, რომლებიც უთანხმდება ზედსართავ სახელებს აღმატებით ხარისხში და რიგობით სახელებთან. მაგალითად: **Esta es la mejor medalla que podía darme la Agrupación; y habló el**

más viejo de los viejos - ეს საუკეთესო მედალია, რაც შეიძლება მოეცა გაერთიანებას ჩემთვის. თქვა უხუცესმა უხუცესთა შორის. პირველ წინადადებაში განსაზღვრული არტიკლი არის **la+mejor** ფორმის შემადგენელი ნაწილი და ასევე განსაზღვრულობის მაჩვენებელია არსებითი სახელისათვის **medalla**. მეორე მაგალითში არტიკლი ითავსებს რამდენიმე ფუნქციას. მორფოლოგიურს და კატეგორიულს; პირველში ქმნის აღმატებითი ხარისხის ფორმას, მეორეში კი ზედსართავი გადაჰყავს არსებითი სახელის კატეგორიაში. რიგობით სახელთან არტიკლს არ გააჩნია მორფოლოგიური ფუნქცია და არ გადაჰყავს რიცხვითი სახელი არსებითი სახელის კატეგორიაში; მაგალითად: **Un navío de la retaguardia disparó el primer tiro** - პირველად ზუგში მდგარმა გემმა გაისროლა. **El** ცვლის **la**-ს მდედრობითი სქესის არსებითი სახელების წინ, რომლებიც იწყება მახვილიანი **á**-თი. მაგრამ მდედრობითი სქესის არტიკლი **la** ჩნდება ჩვეულებრივ მდედრობითი სქესის ზედსართავის წინ ან მდედრობითი სქესის არსებითის წინ, რომელიც იწყება უმახვილო **a**-თი. მაგალითად: **el alma pura** - წმინდა სული, **el hacha** - ნაჯახი. ფრანგულისაგან განსხვავებით, განსაზღვრული არტიკლი გამოიყენება სიტყვებას **señor, señora, señorita** წინ, რომელსაც მოსდევს ან არ მოსდევს არსებითი სახელი. მაგალითად: **El señor no está. Venga, señor Garcia**. ასევე დროის აღსანიშნავად: **Es la una. A las tres**. კვირის აღნიშვნელ დღეებთან, არტიკლი მხოლოდით რიცხვშია თუ აღნიშნავს კერძოდ, ერთ დღეს და მრავლობითშია, თუკი ის აღნიშნავს პერიოდულობას. მაგალითად: **Vendremos el martes. Van al cine los sábados**. არტიკლი ჩნდება ასევე, რომ მოვახდინოთ მოქმედების ლოკალიზება განსაზღვრულ მომენტში: **por la mañana, a los doce años**. არტიკლი შეიძლება გამოტოვებულ იქნას ქვეყნებისა და რეგიონების სახელების წინ, რომლებიც არაა განსაზღვრული ზედსართავით ან დამატებით, ზოგიერთი

გამონაკლისის გარდა. მაგალითად: **España, Francia, la Mancha, El Salvador**. არტიკლი არ გამოიყენება სიტყვასთან **casa**, მნიშვნელობით „შინ“ და სიტყვის წინ **clase** - გაკვეთილი. მაგალითად: **estar en casa, salir de casa**. არტიკლი გამოტოვებულია სასწავლო საგნის აღმნიშვნელი სიტყვის წინ, რომელიც გამოიყენება პირდაპირი დამატების როლში. მაგალითად: **Estudio ingles**; არტიკლის გამოტოვება ესპანურში ქმნის უამრავი გამოთქმის წარმოქმნის საბაბს, თუკი არსებითი სახელი არაა განსაზღვრული ზედსართავით ან დამატებით. მაგალითად: **tener tiempo, tener derecho a...**, **a principios de enero** - იანვრის დასაწყისში. ესპანურში განვითარებულია აგრეთვე სუბსტანტივაციის პროცესი. არტიკლი შეიძლება დაისვას ინფინიტოვის წინ. მაგალითად: **el volar de los pajaros; el querer, el(los) cantares**. არტიკლი დაისმის ზმნის ფორმების, ზედსართავების, ნაცვალსახელების ზმნიზედების ან წინდებულების წინ, რაც იწვევს მათ სუბსტანტივაციას. მაგალითად: **el debe, el(los) haber, el(los) porqué(s)**. განსაზღვრული არტიკლი არსებითი სახელის დამატების წინ, რომელიც შემოყვანილია **que**-თი შეიძლება გადაიქცეს ჩვენებით ნაცვალსახელად. მაგალითად: **los chicos de ayer - los de ayer**. ხოლო ჩვენებითი ნაცვალსახელის ჩასმა არტიკლის ნაცვლად მიუთითებს ამ თვისებაზე, რომელიც არ აქვს არტიკლს. მაგალითად: **Mira el coche que está parado - mira ése que está parado** - შეხედე მანქანას, რომელიც გაჩერებულია. საშუალო სქესის არტიკლი **lo**, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არსებითი სახელის წინ, რადგანაც ის საშუალო სქესისაა. ის დაისმის ზედსართავის ან ნამყო მიმღეობის წინ, მხოლოდითი რიცხვის მამრობით სქესში. ის გამოხატავს მუდამ ზოგად ან აბსტრაქტულ აზრს. მაგალითად: **Lo raro de este asunto..** - ყველაზე უცნაური ამ საქმეში... არტიკლი **lo** შეიძლება იყოს ანტეცედენტი მიმართებითი წინადადების, რომელიც შემოყვანილია **que**-თი. მაგალითად: **Lo que dijiste** - ის რაც

შენ თქვი. **Lo de**, რომელსაც მოსდევს არსებითი სახელი, ზმნიზელა ან ინფინიტივი გამოხატავს ბუნდოვან ან განზოგადოებულ იდეას, რომელიც გულისხმობს მსმენელისათვის ნაცნობ რეფერენტს. მაგალითად: **lo de ayer** - ის რაც გუშინ მოხდა. თუკი მას მოსდევს ზედსართავი ან, ზმნიზელა + **que**, იგი ეკვოვლენტურია ძახითი ნაწილაკის **qué** და ნიშნავს „როგორ“ რამდენი“. ზედსართავი უთანხმდება არსებით სახელს, რომელსაც ის ახასიათებს, მაგალითად: **No sabes lo lejos que está=No sabes qué lejos está. Lo** თან ახლავს ზმნას, როდესაც **todo** არის პირდაპირი დამატება. მაგალითად: **Ahora lo entiendo todo** - ახლა ყველაფერს ვხვდები. რაც შეეხება განუსაზღვრელ არტიკლს, მისი მამრობითი სქესის ფორმა აუცილებელი არაა, მაგრამ ხშირია მდედრობითი სქესი არსებითი სახელების წინ, რომლებიც იწყება **a**-ზე ან მახვილიან **ha**-ზე; მაგალითად: **un agua clara; un hada benéfica** - კეთილი ფერია. მამრობითი სქესის არტიკლი, შეკვეცილია რიცხვითი სახელის **uno**, რომლის გამოყენება აუცილებელია, როდესაც არტიკლი გამოყენებულია ნაცვალსახელოვანი ფორმით და ცვლის არსებით სახელს. მაგალითად: **Tiene dos hermanos y yo uno** - მას ორი ძმა ყავს, მე კი ერთი. მრავლობითში არტიკლი არ ჩაისმის. ფორმების **unos, unas** მრავლობითი რიცხვი ეკვოვლენტურია განუსაზღვრელი ნაცვალსახელის **algunos**. მაგალითად: **Estaba con unos amigos**. ის გამოიყენება ასევე მიახლოებითი რიცხვის გამოსახატავად. მაგალითად: **Quedan unos veinte kilómetros** - დარჩა ოციოდე კილომეტრი. ის დაისმის წინადადების თავში, რომ შემოიყვანოს მრავლობითი რიცხვის ქვემდებარე. მაგალითად: **Unos enormes camiones circulaban por la calle**. როდესაც ხდება არსებითი სახელების ჩამოთვლა ის არ გამოიყენება. მაგალითად: **Camiones, coches y motos estaban aparcados**. ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზესართავებისა და ნამყო მიმღეობების წინ, რომელთაც არსებითის ფუნქცია აქვთ. მაგალითად: **Son unos cobardes** -

ესენი ლაჩრები არიან. განუსაზღვრელი არტიკლი გამოტოვებულია ნაწილობით გამოთქმებში. მაგალითად: **Comía pan y carne.** ზოგიერთი განუსაზღვრელი ზედსართავის წინ, რომელიც არსებითი სახელის წინაა დასმული, **otro, medio, tal, igual, semejante, tanto, cualquiera,** ასევე ზმნიზედის **tan** წინ. მაგალითად: **Vendré otro día. Vuelve dentro de media hora.** გამონათქვამი **y medio** იწვევს არტიკლის გამოტოვებას. მაგალითად: **Saldré dentro de hora y media** - საათნახევარში გავალ. არტიკლი არ გამოიყენება ვითარების გარემოებისა და შედარებითი გამონათქვამების წინ. მაგალითად: **Hablaba con voz suave** - ის ლაპარაკობდა ნაზი ხმით. არტიკლი არ გამოიყენება კატეგორიის გამომხატველი. არსებითის წინ. მაგალითად: **Todas estas casas tienen garaje.**

იტალიურ ენაში არტიკლი იგივე დანიშნულებით გამოიყენება, რაც ფრანგულ და ესპანურ ენებში. განუსაზღვრელი არტიკლი წინ უსწრებს არსებით სახელს და მას ეთანხმება სქესში. განუსაზღვრელ არტიკლს მრავლობითი რიცხვის ფორმა არ აქვს. ამ შემთხვევაში არსებითი სახელი დაისმის უარტიკლოდ, ან მას შეიძლება ახლდეს წინდებული, რომელიც ერწყმის განსაზღვრულ არტიკლს, რითაც იგი ფრანგულ ენაში არსებულ შერწყმულ არტიკლს მოგვაგონებს. მაგალითად: **Legge le notizie nel giornale. Pensa agli studi...** ფიქრობს სწავლაზე. განუსაზღვრელ არტიკლს იტალიურში არა აქვს მრავლობითის ფორმა. მაგალითად: **Ho amici in Italia.** თუმცა შეიძლება მრავლობითში ჩავსვათ შერწყმული არტიკლის ფორმები. მაგალითად: **di+** განსაზღვრული არტიკლი. მაგალითად: **Ho degli amici in Italia.** განსაზღვრული არტიკლი უთანხმდება სქესსა და რიცხვში არსებით სახელს, რომელსაც ის წინ უსწრებს. მრავლობით რიცხვში არტიკლი არ იკვეცება ხმოვნის წინ, არტიკლი იგივეა ხმოვნით თუ თანხმოვნით დაწყებული არსებითი სახელებისათვის.

მაგალითად:

l' Italia, le italiane (მრავლ.)

la lingua, le francesi (მრავლ.)

Ti piace il paese ?

Ti piace l'italiano ?

Il signore vive a Roma ?

Lo studio m'interessa.

Lo zio vive a Milano

იტალიურ ენაში განუსაზღვრელი არტიკლი ნაკლებად ახდენს არსებითი სახელის ინდივიდუალიზებას, ვიდრე განსაზღვრული არტიკლი. იგი გამოხატავს სქესსაც. მრავლობით რიცხვში იგი არ არსებობს. იტალიურში, როგორც ესპანურ ენაში მდებარებითი სქესის განუსაზღვრელი არტიკლი ისევე იკვეცება ხმოვნით დაწყებული არსებითი სახელების წინ. მაგალითად: **un'illusione; una macchina, un automobile**. მამრობით სქესში არსებობს ორი ფორმის მამრობითი სქესის არტიკლი: **un**, რომელიც დაისმის ხმოვნით ან თანხმოვნით დაწყებული არსებითი სახელების წინ და **uno** არსებითი სახელების წინ, რომლებიც იწყება **S**+თანხმოვნით ან **Z**-ით. მაგალითად: **Sergio è un amico. L'Italia è un paese europeo. L'Italia è uno stato repubblicano. A Milano c'è uno zoo.**

Lo-ს მრავლობითი რიცხვის ფორმა არის **gli**. მაგალითად: **lo psicologo, gli psicologi**. **Lo** შემორჩენილია **il**-ის ნაცვლად ზმნიზედურ გამონათქვამებში. მაგალითად: **per lo più, per lo meno**. განსაზღვრული არტიკლი დაისმის გამოჩენილი პიროვნებების გვარებთან, განსაკუთრებით მამრობითი სქესის ფორმებთან, მაგრამ ასეთი გამოყენება არაა სისტემატური. მაგალითად: **l'Ariosto, la Callas**. ასევე ქალის სახელებთან, ფამილარულ ენაში. მაგალითად: **Mi ha telefonato la Paola**. სიტყვების **signore, signora, signorina**, როდესაც საუბრობენ ვინმეს შესახებ. მაგალითად: **Ho visto il signor Dini**. არტიკლი

გამოტოვებულია თუკი მიმართვენ ვინმეს. მაგალითად: **Buon giorno, Signor Dini.** არტიკლი არ გამოიყენება როდესაც მიუთითებენ დროს, პროცენტს, ათასწლეულს. მაგალითად: **Sono le tre.** განსაზღვრული არტიკლი არ გამოიყენება ბერძნული და ლათინური წარმოშობის საკუთარი არსებითი სახელების წინ. მაგალითად: **Omero, Virgilio.** ასევე გამოჩენილი ადამიანების გვარების წინ. მაგალითად: **Dante, Tiziano, Raffaello, Puccini, Verdi.** მეფეთა ან პაპების სახელების წინ. მაგალითად: **Re Vittorio Emanuele II,** მაგრამ **l'imperatore Napoleone.** არტიკლი დაისმის საკუთარი არსებითი სახელების წინ. მაგალითად: **I Bianchi sono gente rispettabile. Il Signore Bianchi, la Signora Bianchi, la Signorina.**

იტალიურ ენაში საკუთარ სახელებთან დაისმის არტიკლი იმ შემთხვევაში თუ ის აღნიშნავს მწერალს, მხატვარს, ხელოვანს. მაგალითად: **In l'isola di Arturo, la Morante ci parla dell'infanzia (Elza Morante)** - არტურის კუნძულზე მორანტე გვიყვება ბავშვობაზე. შეიძლება გამოვიყენოთ ასევე გვარი და სახელი. მაგალითად: **Il Barone rampante è di Italo Calvino** - ხეებზე მცოცავი ბარონი იტალის კალვინოს ნაწარმოებია. განსაზღვრული არტიკლი დაისმის ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც სურთ მწერალი ან ხელოვანი განსაზღვრონ მის ნაწარმოებთან მიმართებაში. მაგალითად: **In molti suoi Racconti, il Buzzati è fantastico.** განსაზღვრული არტიკლი დაისმის იტალიურ ენაში როდესაც სურთ პატრიციუმის გამოხატვა და მათზე საუბრობენ. მაგალითად: **Il Signore Direttore, la Signora Direttrice, il Signor Preside, il Signor Professore, la signora Professoressa.** როდესაც მათ უშუალოდ მიმართვენ მაშინ არტიკლი არ გამოიყენება. მაგალითად: **Signor Direttore, Professore.** შეიძლება ითქვას: **Il Magnifico Rettore.** კორესპონდენციაში გამოიყენება ფორმები როგორც პატრიციუმის, ისე ემფატიკურობის თუ თავაზიანობის გამოსახატავად. მაგალითად: **Egregio**

Direttore, Gentilissima Signora Direttrice. ზედსართავი **gentile, gentilissimo, gentilissima** ხშირად გამოიყენება სიტყვებთან **Signore, Signora, Signorina** კორუსპონდენციაში. არტიკლი არ გამოიყენება ზოგიერთი ადგილის გარემოების წინ, თუ არსებითი სახელი განსაზღვრული არაა ზედსართავით ან არსებითი სახელის დამატებით. მაგალითად: **È un giardino**, მაგრამ **È un giardino pubblico**. იტალიურ ენაში, ისევე, როგორც ფრანგულსა და ესპანურში არსებობს შერწყმული არტიკლები. ისინი მიიღება წინდებულების განსაზღვრულ არტიკლთან შერწყმით. მაგალითად: **Il sole brilla nel cielo. Dammi del pane!** ნაწილობითი არტიკლი ნაკლებად გამოიყენება ვიდრე ფრანგულში. მის ნაცვლად გამოიყენება არსებითი სახელი არტიკლის გარეშე. მაგალითად: **Sul tetto ci sono uccelli** - სახურაზე არიან ჩიტები. შეიძლება არსებითი სახელი გამოყენებულ იქნას განსაზღვრული არტიკლით. მაგალითად: **Ho comprato la carne**. არსებითი სახელი, რომელსაც ახლავს გამონათქვამი **un po' di**. მაგალითად: **Dammi un po' di pane!** ნაწილობითი არტიკლი არასოდეს გამოიყენება უარყოფით წინადადებაში. მაგალითად: **Non mangio marmellata**.

დასკვნა. ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ არტიკლი არსებით სახელთან ასრულებს სამ ძირითად ამოცანას. პირველ რიგში, ის განსაზღვრავს არსებითის მნიშვნელობას, აღნიშნავს კონკრეტულ საგანს, პიროვნებას, მოვლენას, რომელიც დაკავშირებულია მოცემულ სიტუაციასთან, ან აღნიშნავს აბსტრაქტულ ცნებას აღებულს სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით. არსებითი სახელის თვისობრივი მახასიათებლის გარდა, არტიკლმა შეიძლება მიუთითოს რაოდენობრივ მხარეს, ანუ აღნიშნოს ის, რომ საქმე ეხება ერთ თუ მრავალ ერთნაირ საგანს შორის არჩევანს, თუ საქმე ეხება განუსაზღვრელი რაოდენობის ჰომოგენურ ნივთიერებას, რომელიც გამოხატულია უთვლადი არსებითი სახელით. ამიტომაც, სამივე რომანული ენა ანსხვავებს განსაზღვრულს

და განუსაზღვრელ არტიკლებს. ფრანგულში გვაქვს ნაწილობითი არტიკლიც. ესპანურში გვაქვს განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლები. ასევე „საშუალო“ სქესის არტიკლი **lo**. იტალიურში არის განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლები. იტალიურში განუსაზღვრელ არტიკლს მრავლობითი რიცხვი არა აქვს. არაფერს ვამბობთ შერწყმულ არტიკლებზე, რაც დამახასიათებელია სამივე ენისათვის და შეადგენს განსაზღვრული არტიკლების წინდებულთან შერწყმის შედეგად მიღებულ ფორმებს. ამიტომ ლინგვისტიკაში შერწყმული არტიკლი განიხილება განსაზღვრული არტიკლის სახესხვაობად. არტიკლის გიუსტავ გიომისეული თეორია, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია და მიმზიდველი ეყრდნობა ლინგვო-ფილოსოფიურ ცნებებს, რომლის მიხედვითაც ყოველი ენა თავისი შემადგენელი ელემენტებით, ადამიანისათვის დამახასიათებელ რეალური აღქმის სურათს იძლევა. ესენია: დრო და სივრცე. ყველაფერი რაც არსებობს სამყაროში, მდებარეობს სივრცეში. ყველაფერი რაც ხდება, ხდება დროში. არსებითი სახელები აღნიშნავენ საგნებს, რომლებიც მდებარეობენ სივრცეში, როგორც ამ სივრცის ელემენტები. ზმნები აღნიშნავენ პროცესებს, რომლებიც დროში ხდება. არტიკლი კი ხაზს უსვამს არსებითი სახელის, როგორც სიტყვის ინტერპრეტაციას, რომელიც გამოხატავს ინდივიდუალიზებულ კონცეპტს, რომელიც იხილავს საგანს მოცემულ სიტუაციასთან დაკავშირებით, ან აღნიშნავს საერთო ცნებას, წარმოდგენილს მისი მოცულობის მთელი სისრულით, როგორც აბსტრაქტული ცნება. როგორც განსაზღვრულ, ისე განუსაზღვრელ არტიკლებს შეუძლიათ შეასრულონ ორი აღნიშნული ფუნქცია, მაგრამ ისინი ამას აკეთებენ დისკურსის განსხვავებულ პირობებში.

თავი IV. ზედსართავი სახელი

ზედსართავი სახელი ეწოდება მეტყველების ნაწილს, რომელიც არსებით სახელს ახლავს და აღნიშნავს საგნის რაიმე ნიშან-თვისებას. მაგალითად: ლამაზი ქალი, დიდი სახლი, საინტერესო წიგნი. ქართულ ენაში ზედსართავი იბრუნვის, რიცხვსაც იცვლის, მაგრამ სახელთან ხმარების შემთხვევაში მისი ბრუნვაც და რიცხვიც განსაზღვრულია იმ არსებითის ფორმით, რომელსაც ის ახლავს. წინადადებაში ზედსართავი სახელი განსაზღვრების როლს ასრულებს. ზედსართავის კითხვებია: როგორი? რომელი? რანაირი? სადაური? როდინდელი? ქართულ ენაში ზედსართავი სახელი ორგვარია: ვითარებითი და მიმართებითი. ვითარებითი ზედსართავი პირველადია. იგი სხვა რამესთან მიმართების გარეშე ასახელებს საგნის ნიშან-თვისებას. მაგალითად: მაღალი კაცი. მიმართებითაა ზედსართავი, რომელიც საგნის ნიშან-თვისებას ასახელებს სხვა რამესთან მიმართებით: ქუდიანი, უქულო, ცხენიანი კაცი. ვითარებითი ზედსართავები პირველადი ზედსართავებია, მიმართებითი კი - ნაწარმოები. შინაარსის მიხედვით ზედსართავი სახელი შეიძლება იყოს: ქონების, უქონლობის, წარმომავლობის, დანიშნულების და ხარისხის. მსაზღვრელი შეიძლება იყოს ატრიბუტული და სუბსტანტიური. ატრიბუტი ანუ ნიშან-თვისება (ფერი, ზომა, რაოდენობა, კუთვნილება...) ძირითადად გადმოიციემა ზედსართავებით, მიმღეობებით, რიცხვითი სახელებით, ნაცვალსახელებით, გაზედსართავებული არსებითებით... ასეთი სახელებით გადმოციეებული მსაზღვრელი ატრიბუტული მსაზღვრელია და მისი ბრუნვა იგოვია, რაც საზღვრული სახელისა, ანუ ატრიბუტული მსაზღვრელი შეთანხმებული მსაზღვრელია. სუბსტანტივურია მსაზღვრელი, რომელიც გადმოიციემა ნათესაობითში მდგომი არსებითი სახელით. იგი მართული მსაზღვრელია, მაგალითად: ხის სახლი, მეგობრის წიგნი... თუ მართული

მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, იგი ბრუნვის ნიშნებსაც დაირთავს და მართულ - შეთანხმებული ხდება (სახლი ხისა, სახლმა ხისამ, სახლსა ხისას...) მსაზღვრელ-საზღვრულის რიგი (წყობა) არის პრეპოზიციული (მსაზღვრელ-საზღვრული) და პოსტპოზიციური (საზღვრულ-მსაზღვრელი). დღევანდელ ქართულში პრეპოზიციული რიგი ანუ პირდაპირი წყობა არის ნორმა. პოსტპოზიციური რიგი კი ინვერსიულ (შებრუნებულ) წყობად ითვლება. ძველი ქართულისათვის, პირიქით, პირდაპირ წყობად ითვლება პოსტპოზიციური რიგი, პრეპოზიციური - კი ინვერსიულ ანუ შებრუნებულ წყობად არის მიჩნეული.

ვითარებით ზედსართავებს შეუძლიათ საგნის ნიშან-თვისება სხვადასხვა ოდენობით წარმოადგინონ. არსებობს სამი ფორმა. პირველ ფორმას (მწვანე) დაწყებითი ანუ დადებითი ხარისხის ფორმა ეწოდება, მეორეს (უმწვანესი) - შედარებითი ხარისხის, მესამე (მომწვანო) - ოდნაობითი ხარისხისა. უფროობითი ხარისხის ფორმებს უ-ეს აფიქსები აწარმოებს. არსებითი სახელის ადიექტივიზაციის პროცესს ქართულშიც აქვს ადგილი. მაგალითად: მუჭა სიმიინდი, მტკაველი მიწა.

შინაარსის მიხედვით ზედსართავი სახელი შეიძლება იყოს: ქონებისა (ქუდიანი), უქონლობისა (უგემური), წარმომავლობისა (ქალაქელი), დანიშნულებისა (სასკოლო) და ხარისხისა (მწვანე). ქართულ ენაში ზედსართავი იბრუნვის. გაარსებითების შემთხვევაში იგი იბრუნვის, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე საზოგადო არსებითი სახელი. ზედსართავის წარმოება ხდება ბრუნვის ნიშნების დართვით. მაგალითად: დადებ-ით-ი; თანდებულის დართვით: ლომის-ებრ-ი. დღევანდელ ქართულში პრეპოზიციული რიგი ანუ პირდაპირი წყობა (მსაზღვრელ-საზღვრული) არის ნორმა. პოსტპოზიციური რიგი კი ინვერსიულ წყობად ითვლება.

ფრანგულში ზედსართავი სახელი მდებარეობით სქესში – e-ს დაირთავს. მაგალითად: **Grand - grande, noir - noire**. ზოგიერთი ზედსართავი, რომელიც ბოლოვდება –**et, - ot, - s** (ზოგიერთი მათგანი) იორმაგებს თანხმოვნებს. მაგალითად: **muette, sotté, basse**, მაგრამ **complète**; ზოგიერთ ზედსართავს ორი ფორმა აქვს მამრობითში. მაგალითად: **beau, bel - belle; fou - fol - folle**; ზედსართავებს **aigu, ambigu, exigu, contigu**, უწნდება ტრემა. მაგალითად: **aiguë, ambiguë** ა.შ. ზოგიერთ ზედსართავს არა აქვს მდებარეობითი სქესი, რადგანაც ისინი გამოიყენება მხოლოდ მამრობითი სქესის არსებით სახელებთან. მაგალითად: **nez aquilin**; ზოგიერთ ზედსართავს არა აქვს მამრობითი, რადგანაც გამოიყენება მხოლოდ მდებარეობითი სქესის არსებით სახელებთან. მაგალითად: **bouche bée**; ზოგიერთ ზედსართავი იყენებს ერთნაირ ფორმებს, როგორც მამრობითი, ისე მდებარეობითი სქესისათვის. მაგალითად: **chic, angora, kaki**. ზედსართავები **grand, fort, e-ს** არ დაისვამენ ზოგჯერ მდებარეობით სქესში. მაგალითად: **grand - mère, grand - chose**.

ფრანგულ ენაში, ყველა ზედსართავი მრავლობით რიცხვში დებულობს **s, x**, დაბოლოებას, გარდა იმ ზედსართავებისა, რომლებიც ბოლოვდება **s, x-ზე**. ზედსართავები, რომლებიც –**al-ზე** ბოლოვდება მრავლობითში იკეთებს –**aux**. მაგალითად: **royal - royaux**; ზოგიერთი ზედსართავი ბოლოვდება **s-ზე**. მაგალითად: **festivals, pluvials, navals** და სხვ. ზედსართავი სახელი უთანხმდება არსებით სახელს სქესსა და რიცხვში. თუ იგი გამოიყენება რამდენიმე არსებით სახელთან, ჩაისმის მრავლობით რიცხვში. მაგალითად: **L'Amérique et l'Asie sont à peu près égales en superficie**. თუ არსებითი სახელები განსხვავებული სქესისაა, მამრობითი სქესი უპირატესობას იჩენს. მაგალითად: **Al'équinoxe, le jour et la nuit sont égaux**

ბუნიაობაზე დღე და ღამე თანასწორია. თუ არსებითი სახელი წარმოდგენილია რამდენიმე ზედსართავი სახელით, თითოეული მათგანი შეიძლება ჩაისვას მხოლოდით რიცხვში.

მაგალითად: **les langues latine et grecque**. აზრის მიხედვით, ზედსართავი უთანხმდება ან არა ერთ არსებით სახელს. მაგალითად: **un fromage et un fruit sec, un fromage et un fruit secs**. როდესაც ის დაკავშირებულია საშუალო სქესის ნაცვალსახელთან, ის ჩაისმის მამრობითში; მაგალითად: **quelque chose de beau (de bon, de laid...)**; თავაზიანი მრავლობითი რიცხვის დროს, ის რჩება მხოლოდობითში. მაგალითად: **Soyez prudent, monsieur**. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რთულ ზედსართავ სახელებს. თუ ისინი შედგება ორი ზედსართავისაგან, ორივე ჩაისმის მრავლობით რიცხვში. ზოგ შემთხვევაში პირველი ზედსართავი შეიძლება დარჩეს უცვლელი. მაგალითად: **sourds - muets, extrême - orientales, gallo - romains**. თუ შედგენილ ზედსართავ სახელში პირველი ნაწილი უცვლელი სიტყვაა, მაშინ მარტო ზედსართავი იცვლება. მაგალითად: **des régions sous - développées**. ფერის აღმნიშვნელ ზედსართავებში, სადაც პირველი ზედსართავი ზუსტდება სხვა ზედსართავით, ან არსებითი სახელით, ჯგუფი რჩება უცვლელი. მაგალითად: **des robes bleu ciel** - ღია ცისფერი კაბები. ფრანგულში არსებითი სახელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზედსართავი სახელის მნიშვნელობით. მაგალითად: **café nature; robes marron**. სიტყვა **marron**, მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ s-ს არ ირთავს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ანსხვაებენ შემდეგ ფორმებს: **des cravates rose et bleu** - ერთი და იმავე ჰალსტუხსზეა საუბარი, ოღონდ ორფეროვანია. **Des caravates roses et bleues** - სხვადასხვაა და ერთი ფერის მქონე. ფრანგულში ჭარბობს პოსტპოზიციური წყობა, თუმცა არსებობს ზედსართავები; რომლებიც არსებითის წინ დაისმის. ზოგიერთი მათგანი ადგილის მიხედვით მნიშვნელობას იცვლის. მაგალითად: **un grand homme - un homme grand; un brave homme - un homme brave**. შედარებითი ხარისხის ფორმები ფრანგულშიც გვაქვს. იქაც სამი ფორმაა მოცემული. ესენია დადებითი,

შედარებითი და აღმატებითი. შედარებით ხარისხს სამი ფორმა აქვს. უფროობითი, ოდენობითი, უმცირესობითი. მაგალითად: **Il est plus fort que moi, il est aussi fort que moi et il est moins fort que moi.** ფრანგულში ზოგიერთი ზედსართავი სახელი თავისებურად აწარმოებს შედარებით ხარისხებს. მაგალითად: **bon - meilleur, petit - moindre, plus petit, mauvais - pire.** უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზედსართავები **majeur, mineur, supérieur, inférieur, antérieur, postérieur,** ეტიმოლოგიურად შედარებითი ხარისხის ფორმებია. აღმატებით ხარისხში იწარმოება არტიკლისა და ზმნიზედების **plus** ან **moins,** დართვით. მაგალითად: **Il est le plus courageux. Il est le moins courageux.** აღმატებითი ხარისხი ანსხვავეს ნაწილობრივ და აბსოლუტურ ფორმებს. აბსოლუტურ ხარისხში შეიძლება გვექნოდეს **très peu, bien peu, fort peu.** შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაწარმოები ფორმები აღმატებითის საწარმოებლად. მაგალითად: **richissime, rarissime, ultime, minime;** ასევე შედგენილი ფორმები: **archibanal, extra - fort, surfin, supertendu...** მაგალითად: **des haricots surfins.**

თვისებითი ზედსართავის გარდა ფრანგულში გვაქვს კიდევ ნაცვალსახელოვანი ზედსართავები, როგორებიცაა კუთვნილებითი, ჩვენებითი, განუსაზღვრელი, კითხვითი, მიმართებითი (იშვიათია) და რიცხვითი (რაოდენობითი და რიგობითი).

არსებითი სახელის განმსაზღვრელად არტიკლის გარდა გამოიყენება კუთვნილებითი ზედსართავი სახელები **adjectifs possessifs.** მაგალითად: **Il a extrait de sa poche un mètre pliant.** აღწერის შემთხვევაში, როდესაც კუთვნილებით ზედსართავი ახლავს არსებით სახელს, თარგმნის დროს ვიყენებთ პირის ნაცვალსახელს. მაგალითად: **Sa tête était ronde, ses oreilles petites, son nez droit.** პატოვისცემას გამოხატავს **adjectif possessif,** როდესაც იგი ახლავს სამხედრო ჩინს. მაგალითად: **Ah! c'est vous mon lieutenant!**

როდესაც მოსამსახურეს მიმართავენ, **adjectif possessif** გამოხატავს უგულვებელყოფილ დამოკიდებულებას. მაგალითად: **Dis donc, ma fille (la bonne), tu vas nous faire déjeuner.** თუ კუთვნილებითი ზედსართავი გამოიყენება ნათესაობის გამომხატველ სიტყვებთან, იგი აღარ გამოხატავს პატივისცემის გრძნობას, მას მხოლოდ გრამატიკული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად: **Je dis: "Eh, bien, mon oncle, vous êtes couché? Ça ne va donc pas?"** ისეთ სიტყვებთან, როგორიცაა **frère, soeur, neveu, nièce - adjectif possessif**-ს ემოციური დატვირთვა აქვს. **Eh bien! ma soeur, je viens d'apprendre ton mariage.** კუთვნილებითი ზედსართავი გამოიყენება სხვადასხვა გამონათქვამებში. მაგალითად: **faire ses études** - სწავლა; **se mettre sur ses gardes** - ფრთხილად ყოფნა; **prendre son parti**—დამორჩილება, შეგუება; ეკვივალენტს ამ შემთხვევაში მთელი გამონათქვამისათვის ვეძებთ.

ჩვენებითი ზედსართავი მასაც შეუძლია არსებითი სახელის აქტუალიზება და ამ შემთხვევაში თარგმნისას იგი არ მოითხოვს გამოხატვის განსაკუთრებულ ფორმებს. მაგალითად: **Il prit la chatte dans ses bras. Il lui passa ses doigts sur le museau et elle mordilla le bout de ce doigt** - მან აიყვანა ხელში კატა, ხელი მოუსვა მის დრუნჩს. ფისომ კი მას თითზე უკბინა. თუ ჩვენებითი ზედსართავი ახლავს დღის მონაკვეთის აღმნიშვნელ სიტყვას, რომელიც ლაპარაკის მომენტს ემთხვევა, ქართულ ენაში შეიძლება დაემატოს სიტყვა „დღეს“ ან ჰქონდეს ნულოვანი ეკვივალენტი. მაგალითად: **Il te prie de l'excuser pour ce qui s'est passé ce matin** - ის ბოდიშს გიხდის იმის გამო, რაც მოხდა დღეს დილით. შეიძლება მსგავს შემთხვევაში ჩვენებითობის ფუნქციას დაემატოს პოსესიურობის მნიშვნელობა. მაგალითად: **Jean de La Monnerie, continua - t - il, restera comme l'un des plus grands écrivains de cette époque, le plus grand peut - être** - და მან დასძინა: ჟან დე ლამონერი,

ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში შვეა, როგორც ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი მწერალი და შესაძლებელია გამოჩენილიც კი.

ჩვენებითი ზედსართავი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ემოციურად გაფორმებულ მეტყველებაში. მაგალითად: **Ah, ces Virenet!... Que je suis fatigué!... Ces Virenet! Mon Dieu!** აქ სრული დამთხვევა გვაქვს. თუმცა თუ ინტონაცია ემოციურად საკმაოდ გამოხატულია, **Adjectif démonstratif**-ს შეიძლება ლექსიკური ეკვივალენტი არ ჰქონდეს. მაგალითად:

Tiens, cette question! répondit Nana - რა რთული შეკითხვაა! - შესძახა ნანამ.

განუსაზღვრელი ზედსართავები. არსებითი სახელის აქტუალიზატორის როლში ზოგიერთი განუსაზღვრელი ზედსართავიც გამოდის. **Aucun** - დადებით წინადადებაში და კითხვითში, ითარგმნება „ვინმე“, „რომელიმე“, „რაიმე“. უარყოფითში — არაეინ, არც ერთი. მაგალითად: **Je doute qu'il trouve aucun secours auprès de lui** - ვეჭვობ, რომ მან რაიმე დახმარება მიიღოს მისი მხრიდან. **Quelque** ზედსართავი, აღნიშნავს რომელიმეს; სამივე მათგანი ქართულში განუსაზღვრელ ნაცვალსახელს წარმოადგენს, რომელსაც სინტაქსურად შესაძლოა გააჩნდეს შეთანხმებული მსაზღვრელის, ატრიბუტული განსაზღვრების ფუნქცია, **quelques** კი — რამდენიმეს. მაგალითად: **Nous partirons pour quelque temps que ce soit**

ჩვენ გავემგზავრებით ნებისმიერ ამინდში. თუ **quelque** ახლავს რიცხვით სახელს იგი გამოხატავს მიახლოებითობას. მაგალითად: **Il a quelque 40 ans**-ის დაახლოებით 40 წლისაა. **Tout+Oart+S** - აღნიშნავს ნებისმიერი, ყოველი **tout peuple** - ყოველი ხალხი; **pour+tout** - აღნიშნავს — ერთადერთს. მაგალითად: **Pour tout bagage, il emporta un parapluie** - ერთადერთი ბარგი რომელიც მან თან წაიღო, იყო ქოლგა. **Tout + un +S** - ნიშნავს - მთელი; **tout un peuple** - მთელი ხალხი - **tous +les +S** - აღნიშნავს „ყოველი“. **Tous les jours**

- ყოველ დღე. **Tous +les +N de nombre - tous les quatre** - ოთხივე. თუ **tout** ახლავს ზედსართავ სახელს, იგი ზმნიზედის ფუნქციას ასრულებს. მაგალითად: **Ils sont tout contents** - ისინი ძალიან კმაყოფილნი არიან; **tout** შედის მყარ შესიტყვებებში. მაგალითად: **tout à coup, tout à l'heure, pas du tout**. **Même** არსებით სახელთან განუსაზღვრელი ზედსართავი სახელის მნიშვნელობას ღებულობს, **art+S+même** - ნიშნავს ერთი და იმავე, მსგავსი; **art+S+même** - ნიშნავს « თვითონ ». მაგალითად: **Ils ont les mêmes goûts** - მათ მსგავსი გემოვნება აქვთ. **Il le fera lui - même** - ის თვითონ გააკეთებს ამას. იგი შედის ზმნიზედურ გამონათქვამებში **quand même, tout de même, de même, à même**. ფრანგული ზედსართავების **quelque, tout, même** ქართული შესატყვისები სხვადასხვა ჯგუფის ნაცვალსახელებია, რომელთაც სინტაქსურად განსაზღვრების ფუნქცია აკისრიათ.

ფრანგულ ენაში ზედსართავი სახელი პოსტპოზიციანია. თუმცა გვაქვს გამონაკლისები. მაგალითები: **petit, grand, seul**. თუ სიტყვა **petit** ახლავს კონკრეტულ სულიერ სიტყვას, მაშინ აღნიშნავს საშუალოზე დაბალ ზომას; **un petit vieux; un petit avion; un petit enfant; de petits événements** - უმნიშვნელო მოვლენები. თუ იგი ახლავს აკუსტიკური და მხედველობითი მოვლენების გამომხატველ სიტყვებს, მას ემატება სიტყვა „სუსტი“, „ჩუმი“. **Un petit rire** ჩუმი სიცილი. ზედსართავი **grand** - დიდი - **un grand chien**. ბუნების მოვლენებთან აღნიშნავს „ძლიერს“ - **une grande chaleur**. აკუსტიკური და მხედველობითი მოვლენების გამომხატველ სიტყვებთან ითარგმნება « აშკარა, კაშკაშა ». მაგალითად: **une grande lumière** - კაშკაშა სინათლე. მას გამაძლიერებელი მნიშვნელობაც აქვს. ითარგმნება სიტყვით „ხანგრძლივი“. მაგალითად: **durant de grands mois** - ხანგრძლივი თვეების განმავლობაში. თვისობრივი მახასიათებლის როლში იგი აღნიშნავს **une grande nouvelle** - მნიშვნელოვანი ახალი ამბავი; **un grand jour** - მნიშვნელოვანი დღე, **un grand écrivain**

- გამოჩენილი მწერალი. **Seul +S** - ერთადერთი. **Elle a une seule amie. Seul+art+S** ნიშნავს « ერთი, მხოლოდ ». მაგალითად: **Le hasard seul peut le favoriser** - მხოლოდ შემთხვევას შეუძლია მას დაეხმაროს. **Lui seul pourrait le faire** - მხოლოდ მას შეუძლია ამის განხორციელება. ზმნასთან **Seul** აღნიშნავს « მარტო ». მაგალითად: **Il resta seul**-ის მარტო დარჩა.

ესპანურ ენაში ზედსართავ სახელს მსგავსი ნიშნები აქვს, რაც ფრანგულსა და ქართულში. ესპანურში ემთხვევა არსებითი სახელებისა და ზედსართავეების სქესისა და რიცხვის კატეგორიები, რადგანაც ზედსართავი უთანხმდება არსებით სახელს სქესსა და რიცხვში. ესპანურშიც არსებობს ორი ტიპის ზედსართავი სახელი. ვითარებითი და მიმართებითი სახელები. მაგალითად: **bandera roja, techo bajo; casa pobre; vida estudiantil, revista semanal, sombrero cordobés.** ესპანურ ენაშიც ისევე როგორც ფრანგულში ზედსართავი შეიძლება იყოს როგორც პრეპოზიციისაში, ისე პოსტპოზიციისაში. მაგალითად: **La razón fría no es fría razón. La razón fría no es razón, que el distintivo de la razón es ver, y la frialdad acorta la vista y el horizonte. La fría razón es la necesaria tranquilidad en el espíritu** - ცივი გონება, არ არის საღი გონება. ცივი გონება არ არის გონება. გონების განმასხვავებელი თვისება ხედვაა, ხოლო სიცივე მხედველობასა და ჰორიზონტს ამოკლებს. საღი გონება სულისათვის აუცილებელი სიმშვიდეა. ესპანურში ზედსართავეების შევსება ხდება არსებითი სახელების ადიექტივიზაციის შედეგად. მაგალითად: **Eres muy hombre. Más hombre que tú de aquí a Roma.** ესპანურში ადიექტივიზებული არსებითი სახელები, რომლებიც გამოხატავენ ფერს, არ უთანხმდება იმ არსებით სახელს, რომლის განმსაზღვრელადაც ისინი გამოდის. მაგალითად: **zapatos café.** მსგავსს მოვლენას ადგილი აქვს ფრანგულ ენაშიც.

ესპანურ ენაში მდებარეობითი სქესი იწარმოება —ა ხმოვნის დართვით. ზედსართავები, რომლებიც ბოლოვდება —o, -án, -ín, -ón, -or, მდებარეობით სქესში დაესმით —a. მაგალითად: **bueno - buena, burlón - დამცინავი - burlona, seductor - მაცდური - seductora.** გამონაკლისია **ruin, una ruin traición** - უღირსი მუხანათობა. ზედსართავები, რომლებიც აღნიშნავენ ეროვნებას, ან პიროვნებას, რომელიც მიეკუთვნება რომელიმე ქალაქს ან რეგიონს, ისიც დაირთავს ხმოვანს —a. მაგალითად: **francés - francesa, andaluz - andaluza.** გამონაკლისია ზედსართავები, რომლებიც ბოლოვდება —í-ზე და e-ზე. მაგალითად: **una ciudad marroquí** - მაროკოს ქალაქი. გამონაკლისია ასევე ზედსართავები, რომლებიც ბოლოვდება —ete, -ote-ზე. მაგალითად: **una casa grandota** - ძალიან დიდი სახლი. სხვა დანარჩენ ზედსართავებს აქვთ მხოლოდ ერთი ფორმა. მაგალითად: **natural, grande.** ფერის აღმნიშვნელი შედგენილი ზედსართავები უცვლელი რჩება, რასაც ფრანგულშიც ჰქონდა ადგილი. მაგალითად: **una camisa azul claro** - ღია ცისფერი პერანგი. ზედსართავი უთანხდება არსებით სახელს. მაგალითად: **Las salas eran espaciosas y muy claras** - ოთახები იყო განიერი და ნათელი. ჩვეულებრივ ზედსართავი ესპანურში დაისმის არსებითი სახელის შემდეგ. მაგალითად: **el clima español** - ესპანეთის კლიმატი. ის შეიძლება დაისვას არსებითი სახელის წინ თუკი საჭიროა ხაზი გაუსვან რაიმე თვისებას ან შექმნან სტილის ეფექტი. მაგალითად: **la blanca nieve** - თეთრი თოვლი; **el nuevo coche** - ახალი მანქანა. ფრანგული ენის მსგავსად ზედსართავის ადგილმა შეიძლება შეცვალოს სიტყვის მნიშვნელობა. მაგალითად: **un pobre hombre** - საბრალო კაცი, **un hombre pobre** - ღარიბი კაცი. ზედსართავები, რომლებიც ბოლოვდება —ior-ზე, დაისმის არსებითი სახელის შემდეგ: **la parte exterior** - გარეთა ნაწილი; ზედსართავი (შედარებით ხარისხში), რომელიც ბოლოვდება —or-ზე დაისმის არსებითის წინ. მაგალითად: **la mejor solución** -

საუკეთესო გადაწყვეტა. სიტყვები **mayor, menor** დაისმის არსებითის შემდეგ გამოთქმებში. მაგალითად: **la plaza mayor, la hija menor**. ძახით წინადადებებში მისი ადგილი დამოკიდებულია გრამატიკულ ფუნქციაზე. მაგალითად: **¡Qué hermosa casa!** - რა ლამაზი სახლია! **¡Qué chico tan antipático!** - როგორი ანტიპატიური ბიჭია! შედარებით ხარისხის ფორმებია: **más, menos...que; Luis lee más que Juan** - ლუისი უფრო მეტს კითხულობს ვიდრე ხუანი. ესპანურში ფრანგულის მსგავსად ზოგიერთ ზედსართავს შედარებით ხარისხში თავისებური ფორმები აქვს. ესენია: **mejor** - საუკეთესო, **peor** - უარესი, **mayor** - უფრო დიდი, **menor** - უფრო პატარა. მაგალითად: **Pili es mayor que Paco** - პილი უფროსია პაკოზე. ზოგიერთი მათგანი ჩვეულებრივი ზედსართავის ფუნქციითაც შეიძლება შეგვხვდეს. როდესაც შედარებითი ხარისხის მეორე ელემენტი წინდებულია, იგი შემოყვანილია ნაწილაკებით **de lo que**. მაგალითად: **Era más importante de lo que decías** - ეს უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე იტყოდი. შედარებითი ხარისხის ოდენობითი ფორმის საწარმოებლად ვიყენებთ ზმნიზედას **tanto(tan)** და ზედსართავს **tanto, tanta, tantos, tantas**, რომელთაც მოსდევს **como**. **Carlos estudia tanto como Luisa** - კარლოსი სწავლობს ისევე როგორც ლუიზა. ზმნიზედა **tanto** იკვეცება ზმნიზედის ან ზედსართავის წინ. **Pedro trabaja tan de prisa como Enrique** - პეტრე ისევე სწრაფად მუშაობს, როგორც ენრიკე. **Tanto**, თუ იგი გამოიყენება როგორც ზმნიზედა ან ზედსართავი, რომელსაც მოსდევს **que**-თი შემოყვანილი წინადადება, მიუთითებს შედეგს. **Hace tanto tiempo que ya no me acuerdo de él** - იმდენი ხანი გავიდა, რომ მას ვეღარ ვიხსენებ. **Tan pronto, como**, როდესაც ერთმანეთთან კავშირში გამოიყენება, შემოყავს წინადადება, რომელიც გამოხატავს მონაცვლეობას. მაგალითად: **Tan pronto viene como se va** - მოდის, და მაშინვე მიდის. აღმატებით ხარისხს ორი ფორმა აქვს: აბსოლუტური და მიმართებითი. აბსოლუტური ფორმა

იწარმოება **muy**-ს დართვით. მაგალითად: **una casa muy hermosa, una casa hermosísima** - ძალიან ლამაზი სახლი. ასევე გამოიყენება სუფიქსები -**ísimo, - ísima**. მაგალითად: **joven - jovencísimo** - ძალიან ახალგაზრდა; **grande - grandísimo**. პრეფიქსები როგორებიცაა **re-, requete-, super-, extra-, archi-**, განეკუთვნება ფამილარულ მეტყველებას. მაგალითად: **un pastel requetebueno** - ზედმეტად გემრიელი ნამცხვარი. შედარებითი ხარისხის მიმართებითი ფორმა იწარმოება შედარებითი ფორმისაგან არტიკლის დამატებით. მაგალითად: **más joven - el más joven**. როდესაც აღმატებითი ხარისხის ფორმა დგას განსაზღვრული არსებითი სახელის შემდეგ, რომელიც შემოყვანილია განსაზღვრული არტიკლით ან კუთვნილებითი ზედსართავით, ის კარგავს თავის არტიკლს. მაგალითად: **el alumno más listo** - ყველაზე ჭკვიანი მოსწავლე, **su amigo más fiel** - მისი მეგობარი ყველაზე ერთგული. როდესაც აღმატებით ხარისხის ფორმას წინ უსწრებს არსებითი სახელი, სტრუქტურა იდენტურია იმ სტრუქტურის, რაც ფრანგულში გვაქვს. მაგალითად: **Es la película más divertida que conozco** - ესაა ყველაზე მხიარული ფილმი რომელიც მე ვიცი. აღმატებით ხარისხთან გამოიყენება კავშირებითი კილო, თუკი ის აღნიშნავს რეალურ ფაქტს. მაგალითად: **Iremos a ver la mejor película que encontremos** - ჩვენ წავალთ საუკეთესო ფილმის სანახავად რომელსაც ვიპოვით. მსგავსი სტრუქტურებია: **el único, el primero, el último**. მაგალითად: **Es el último libro que he leído** - ეს უკანასკნლი წიგნია, რომელიც მე წავიკითხე. ესპანურ ენაში კუთვნილებით ზედსართავეებს შემდეგი ფორმები (უმახვილო) აქვთ: **mi, tu, su, nuestro, - a, vuestro, - a, su; mis, tus, sus, nuestros, - as, vuestros, - as, sus**. ეს ზედსართავეები დაისმის არსებითი სახელის წინ, რომელთანაც ისინი უთანხმდებიან. **Mi primo** - ჩემი ბიძაშვილი. მესამე პირში, ზრდილობიან ფორმასთან აღრევა რომ არ მოხდეს, საჭიროა დავაზუსტოთ მფლობელი და

გამოიყენოთ კონსტრუქცია **de+pron. Su (La) casa de VD, es más grande** - თქვენი სახლი უფრო დიდია. **La casa de ellos es más moderna** - მათი სახლი უფრო თანამედროვეა. კუთვნილებითი ზედსართავები უფრო ნაკლებად გამოიყენება ესპანურში ვიდრე ფრანგულში. არტიკლი ცვლის კუთვნილებითი ზედსართავის ფორმას, თუკი არაა ეჭვი მფლობელზე. მაგალითად: **Debido al tráfico, he venido sin el coche** - მოძრაობის გამო, მე მოვედი მანქანის გარეშე. თუ ზმნა უკუქცევით ფორმაშია, მაგალითად: **Me pongo la mano en el bolsillo** - ხელს ჯებეში ვიყოფ. მახვილიანი ფორმებია: მხოლობითში - **mío, -a, tuyo, - a, suyo, - a, nuestro, - a, vuestro, - a, suyo, - a**; მრავლობითში - **míos, - as, tuyos, - as, suyos, - as, nuestros, - as, vuestros, - as, suyos, - as**. ეს ზედსართავები დაისმის არსებითი სახელის შემდეგ, რომელთაც ის უთანხმდება და გამოიყენება, როგორც ზმნა **ser**, ატრიბუტი. მაგალითად: **El diccionario es mío** - ლექსიკონი ჩემია. როდესაც სიტყვას წინ უსწრებს სხვა მსაზღვრელი: **Los juguetes suyos están muy estropeados** - მისი სათამაშოები ძალზე დაზიანებულია. როდესაც დეტერმინატოვი განუსაზღვრელი არტიკლია, მას შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა ერთ-ერთი მისი მეგობართაგანი. მაგალითად: **Acaba de llegar un amigo suyo** - ერთ-ერთი მისი მეგობართაგანი ეს-ესაა მოვიდა. წოდებითში და ძახით წინადადებებში: **¡Tú también, hijo mío!** - შენც აგრეთვე, შვილო ჩემო ! ჩვენებითი ზედსართავები მიუთითებენ ამა თუ იმ საგანზე და ახდენენ საგნის მდებარეობის განსაზღვრას საუბარში მონაწილე პირების **yo, tú, él** ადგილის ზმნიზედების **aquí, ahí, allí** მიმართ. ჩვენებითი ზედსართავის ფორმებია **este, esta, estos, estas, (yo - aquí); ese, esa, esos, esas (tú - ahí), aquel, aquella, aquellos, aquellas - (él - allí)**. მაგალითად: **Toma este libro** - აიღე ეს წიგნი. **Dame esa taza** - მომეცი ეს ფინჯანი. **Aquella casa del fondo es de Eduardo** - ეს სახლი, რომელიც სიღრმეშია ედუარდოს ეკუთვნის. საგნები,

რომლებიც სხვადასხვა პირებს განეკუთვნება, როგორებიცაა **yo, tú**, განსხვავდება ოპოზიციით **este/ese**: **¿Esos zapatos son tuyos ? Porque éstos son míos** - ეს ფეხსაცმელები შენია ? რადაგანც ესენი ჩემებია. ყველა ჩვენებითი ზედსართავი შეიძლება დაისვას არსებითი სახელის შემდეგ, რომელსაც წინ უსწრებს განსაზღვრული არტიკლი. მაგალითად: **la máquina esta** - ეს მანქანა, დანადგარი. არსებითი სახელის წინ დავსვამთ თუ მის შემდეგ, **ese**-მ შეიძლება მიიღოს პეიორაციის მნიშვნელობა. ჩვენებითმა ზედსართავმა **aquel**, შეიძლება შეიძინოს შექების ფუნქცია. მაგალითად: **El chico ese no trabaja nada** - ეს ვაჟბატონი სრულებითაც არ მუშაობს. **Aquella señora era muy elegante** - ეს ქალბატონი ძალიან ელეგანტური იყო.

ესპანურში განუსაზღვრელი ზედსართავებია: **algún(o), alguna, algunos, algunas** - რომელიმე, რამდენიმე. **Ningún(o), ninguna, ningunos, ningunas** - არაფერ, **cada, cualquiera, todo, varios, varias, otro, demás, tal, tales**. განუსაზღვრელი ზედსართავები უთანხმდება არსებით სახელს. მაგალითად: **No nos queda ninguna botella de leche** - არ დავგრჩა არც ერთი ბოთლი რძე. მრავლობით რიცხვში, განუსაზღვრელი ნაცვალსახელები ეკვივალენტურია განუსაზღვრელი არტიკლების **unos, unas**. მაგალითად: **Se oían algunos gritos** - მოისმოდა რაღაც ყვირილი. უარყოფით წინადადებაში იგი იღებს ფორმას **ningún(-a,-os,-as)**. მაგალითად: **No son ningunos genios** - არც ერთი არ არის გენიოსი. ზედსართავი სახელი **cada**, ცვალებადია, როდესაც ვიყენებთ მხოლოდობით ან მრავლობით რიცხვში მდგომი არსებითი სახელის წინ. მაგალითად: **Cada casa tenía un jardín** - ყოველ სახლს ჰქონდა ბაღი. ზედსართავი **cualquiera**, იკვეცება მხოლოდობითი რიცხვის არსებითი სახელის წინ. მაგალითად: **Dame cualquier lápiz** - მომეცი რამე ფანქარი. ზედსართავი **todo, a, os, as**, უთანხმდება არსებით სახელს, რომელსაც ის ახასიათებს. მაგალითად: **Todos los días traen algo nuevo** -

ყოველ დღეს მოაქვს რაღაც ახალი. ზედსართავი **varios** უთანხმდება არსებით სახელს, რომელსაც ის ახლავს. **Te están esperando varias personas** - რამდენიმე ადამიანი გელოდება. ზედსართავი **otro, -a, -os, -as**, ფრანგულისგან განსხვავებით დაისმის მხოლოდ რიცხვში განუსაზღვრელი არტიკლის გარეშე. მაგალითად: **Dame otro café** - მომეცი კიდევ ერთი ყავა. ზედსართავი **tal-es**, არასოდეს გამოიყენება განუსაზღვრელი არტიკლით. მაგალითად: **No vayas a tal sitio** - ნუ წახვალ ასეთ ადგილას.

იტალიურში ზედსართავები ხასიათდება იგივე თვისებებით, რაც ფრანგულსა და ესპანურში გექონდა. მამრობითი სქესის ზედსართავებს მრავლობითში დაბოლოება აქვს -i, მდედრობითი სქესის ზედსართავებს კი - e. იტალიურში ზედსართავი უთანხმდება სქესსა და რიცხვში არსებითს. მაგალითად: **un signore distinto, una signora elegante; un giovane artista, un turista curioso. I giovani artisti danno un concerto. I turisti curiosi erano distinti e signore eleganti.**

Vive in una bella città. Roma e Venezia sono belle città. Difendiamo le libertà individuali.

იტალიურ ენაში თუ ზედსართავი ფერს აღნიშნავს ის არ იცვლება. მაგალითად: **Il cielo è rosa e viola al tramonto** - ცა ვარდისფერი და იისფერია შზის ჩასვლისას. **Le nuvole sono rosa e viola** - ღრუბლები ვარდისფერი და იისფერია. მაგრამ თუ ისინი ყვავილებს აღნიშნავენ, შეთანხმება ხდება ჩვეულებრივ. მაგალითად: **Le rose sono profumate, le viole sono fragili** - ვარდები სურნელოვანია, იები სათუთია. ისეთი ზედსართავები, როგორებიცაა **buono, bello, grande, santo** ისეთივე სახით უთანხმდება არსებით სახელებს, როგორც არტიკლები. მაგალითად: **Hanno costruito un bello stadio. Un bel giorno passa presto. Passano presto i bei giorni. Gli stadi nuovi sono belli. Che bella casa! Che belle case! Che bella casa! Che belle case! Ci sono belle automobile in mostra.**

ზედსართავი სახელი **Grande** შეიძლება შეგვხდეს ფორმით **gran** თანხმონის წინ **s, z** თანხმონების გარდა, როგორც მამრობით ისე მდედრობით სქესში. თუმცა უფრო ხშირად თანამედროვე ენა მას სრული ფორმით იყენებს. მაგალითად: **Nella grande aula sedevano studenti attenti. Nelle grandi aule sedevano studenti attenti** - დიდ აუდიტორიებში სტუდენტები ყურადღებით ისხდნენ. **La studentessa, la professoressa**, მდედრობითი სქესის ფორმებია სიტყვების **lo studente, il professore. È un buon film. È un buono spettacolo. È un buon albergo**. ზედსართავი **buono** ისეთივე ნიშნებს ავლენს, როგორც განუსაზღვრელი არტიკლი **uno**. **Buon** თანხმონის წინ; **buono s+** თანხმონის წინ; **buon** ხმონის წინ. მრავლობითში **buoni**. მდედრობით სქესში შეიძლება შეგვხდეს როგორც **buona**, ისე **buon** ხმონის წინ ან მრავლობითში **buone**. მაგალითად: **E' una buona idea. Sono buone idee**. ზედსართავი **santo** იცვლის ფორმებს საკუთარი არსებითი სახელების წინ. მაგალითად: **La Piazza San Pietro a Roma è famosa. Santo Stefano ricorre il 26 dicembre** - წმინდა სტეფანეს ხსენების დღეა 26 დეკემბერი. **La porta Sant'Andrea è barocca** - წმინდა ანდრიას ტაძრის კარი ბაროკოს სტილისაა. ამბობენ **il Santo Padre**, როდესაც საუბრობენ რომის პაპზე და **il Santo Natale (Noël)** - შობაზე. მეორე მხრივ საზოგადო არსებითი სახელების წინ ის არ იცვლის ფორმას: **Santo cielo!** (შეძახილის დროს). **Santa** შეიძლება შეიკვეცოს ხმონის წინ. მაგალითად: **Sant'Anna**, ან არ შეიცვალოს თანხმონის წინ, მაგალითად: **Santa Lucia**. ის ზედსართავები, რომლებიც ბოლოვდება **co, go**-ზე, მრავლობითში ხდება **ci, gi**. მაგალითად: **La gente va e viene nel giardino pubblico. Quel giovane. I giardini pubblici sono aperti** - საზოგადოებრივი ბაღები. **Quei giovani sono simpatici**. ზედსართავები, რომლებიც ბოლოვდება **-ca, -ga**-ზე, ინარჩუნებენ ხახისებრ ბგერას მრავლობით რიცხვში. მაგალითად: **La Lombardia è una regione ricca. La Lombardia**

e la Liguria sono delle regioni ricche. Quella regione è anche turistica. Quelle regioni sono anche turistiche. მაგრამ, Questi paesaggi sono magnifici; Queste regioni sono magnifiche. Ho incontrato amici simpatici. Ho incontrato amiche simpatiche.

შედარებითი ხარისხები დამახასიათებელია იტალიური ენის ზედსართავებისთვისაც. შედარებითი ხარისხი იტალიურში გადმოიცემა შემდეგი ფორმებით **così ...come... Ada è così bella come Lia.** ანდა გამოიყენება ფორმა **tanto...quanto;** როდესაც რამეზე ხაზის გასმა გვინდა მაშინ **tanto altrettanto.** უფროებითი ფორმა გადმოიცემა **più...di..., ან più ...che...** უმცირესობითი **meno...di..., ან meno...che.**

ორვეს ერთნაირი სტრუქტურა აქვთ. **Di** დაისმის სახელის ან ნაცვალსახელის წინ, რომელსაც არ უსწრებს წინდებული. მაგალითად: **Ada è meno bella di Lia** - ადა ნაკლებად ლამაზია ლიაზე. **È più cortese di te**-ის უფრო თავაზიანია შენზე. **Di** უთანხმდება არტიკლს, რომელიც სახელს წინ უსწრებს. მაგალითად: **L'acqua è meno cara del vino** - წყალი უფრო იაფია ღვინოზე. იგი დაისმის ზოგიერთი დროის ზმნიზედის წინ. მაგალითად: **È più ricco di prima** - ის უფრო მდიდარია ვიდრე იყო ადრე. **Che** დაისმის ყველა სხვა შემთხვევაში, არსებითი სახელის, წინდებულიანი ნაცვალსახელის, ზმნის, ზედსართავის, ზმნიზედის წინ. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: **Guida più veloce che bene** - მას უფრო სწრაფად დაყავს, ვიდრე კარგად. **Più che un lavoro è un piacere** - ეს უფრო სიამოვნებაა ვიდრე სამუშაო. **Lia è meno bella che onesta** - ლია უფრო უშნოა, ვიდრე პატიოსანი. აღმატებითი ხარისხში ზედსართავს ერთვის ფორმები: **il più, la più, il meno, la meno** - მხოლოდით რიცხვში, **i più, le più, i meno, le meno** - მრავლობით რიცხვში. დამატება შემოყვანილია წინდებული **di,** რომელიც არტიკლს ერწყმის. მაგალითად: **La lancetta delle ore è la più piccola delle due** - საათის ისარი ყველაზე პატარაა ორი ისრიდან. განსაზღვრული არტიკლი აღმატებით ხარისხში არ

გამოიყენება თუკი ამ უკანასკნელს უშუალოდ მოსდევს არსებითი სახელი, რომელსაც თავის მხრივ ახლავს განსაზღვრული ოტიკლი. მაგალითად: **Vive nella miseria più nera** - ის უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს. აღმატებით ხარისხი იწარმოება სუფიქსების -issimo/ -issima (-issimi/ -issime) მეშვეობით, რომელიც ემატება ზედსართავის ფუძეს. მაგალითად: **buono - buonissimo, simpatico - simpaticissimo; ricco - ricchi - ricchissimo**. ზოგჯერ აღმატებითი ხარისხის საწარმოებლად გამოიყენება **molto, tanto, assai**; ზედსართავი მეორდება. მაგალითად: **una voce sottile sottile** - ძალიან ნაზი ხმა. ორი ზედსართავი ქმნის იდიომატურ გამონათქვამს. მაგალითად: **stanco morto** - დაღლილობისაგან მკვდარი; ზოგჯერ პრეფიქსი აწარმოებს ზოგიერთ ზედსართავში აღმატებით ხარისხს. მაგალითად: **ultrapotente** - უმძლავრესი, **ipersensibile** - ზედმეტად მგრძნობიარე. ზოგიერთი ზედსართავი თავისებურ ფორმებს ქმნის აღმატებით ხარისხში. მაგალითად: **buono - migliore - ottimo; cattivo - peggiore - pessimo; grande - maggiore - massimo; piccolo - minore - minimo; alto - superiore - sommo/supremo; basso - inferiore - infimo**. მაგალითად: **È migliore degli altri** - ის საუკეთესოა. ზოგიერთ ზედსართავს აქვს თავისებური ფორმის აღმატებითი ხარისხის ფორმა. მაგალითად: **celebre - celeberrimo - molto celebre** - უკეთესი ფორმაა, **misero - miserrimo - miserissimo - molto misero** და სხვა. იტალიურ ენაში კუთვნილებითი ზედსართავების ფორმებია, მხოლოდით რიცხვში: **il mio, il tuo, il suo, la mia, la tua, la sua, il nostro, il vostro, il loro, la nostra, la vostra, la loro**; მრავლობით რიცხვში: **i miei, i tuoi, i suoi, le mie, le tue, le sue, i nostri, i vostri, i loro, le mie, le tue, le sue, le nostre, le vostre, le loro**. ამას ემატება **il proprio, la propria**, რომელიც ასევე შეესაბამება III პირს, მიუთითებს ქვემდებარეს და იშვიათად დაისმის სხვა კუთვნილებით ზედსართავ სახელთან ერთად. მაგალითად: **Guida la propria macchina** - მას საკუთარი

მანქანა დაჰყავს. ის აუცილებელი ხდება უპირო
 წინადადებაში, ან იმ წინადადებაში, რომლის ქვემდებარე
 განუსაზღვრელია. მაგალითად: **Bisogna fare il proprio
 dovere** - საჭიროა საკუთარი დავალების გაკეთება.
 განსაზღვრული არტიკლი დაისმის კუთვნილებითი
 ზედსართავის წინ. მაგალითად: **il mio libro - una tua casa**.
 ნათესაობის გამომხატველ სიტყვებთან არტიკლი არ
 გამოიყენება **mio fratello**, მაგრამ თუ ასეთი ტიპის სიტყვა
 მრავლობითშია, მაშინ არტიკლი ისევ გამოიყენება.
 მაგალითად: **le sue sorelle**, მაგრამ **sua sorella**. თუ ნათესაობის
 აღმნიშვნელი სიტყვა კნინობითი ფორმითაა გამოხატული,
 მაშინ არტიკლი დაისმის კუთვნილებითი ზედსართავის წინ.
 მაგალითად: **i suoi fratellini, il suo papà - suo padre**. თუ
 ნათესაობის გამომხატველ სიტყვას ახლავს თვისებითი
 ზედსართავი სახელი, მაშინაც არტიკლი გამოიყენება.
 მაგალითად: **il mio caro padre**. თუ არსებითი სახელი წოდებით
 ბრუნვაშია, კუთვნილებითი ზედსართავი დაისმის არსებითის
 შემდეგ: **O sole mio!** თუ არსებითი სახელი დანართადაა, მაშინ
 არტიკლი არ გამოიყენება. მაგალითად: **Ada, nostra amica**.
 მაგრამ არტიკლს აღადგენენ თუ ატრიბუტი განსაზღვრულია.
 მაგალითად: **Leo è mio amico**; თუ ატრიბუტი არსებითი
 სახელია და შეესაბამება საპატიო წოდებას, არტიკლი არ
 დაისმის. მაგალითად: **Sua Santità** - თქვენო უწმინდესობავ;
 კუთვნილებითი ზედსართავები დაისმის სიტყვებთან **Signore,
 Signora, Signorina. Il Suo Signor padre**. თუ ორაზროვნება
 გამორიცხულია, მაშინ შეიძლება კუთვნილებითი
 ზედსართავი არ იქნას გამოყენებული, ზოგჯერ იყენებენ
 მხოლოდ არტიკლს. მაგალითად: **Penso alla nonna** - ვფიქრობ
 ბებიასზე; **Marco prende la cartella** - მარკო იღებს თავის
 ჩანთას. ხშირად კუთვნილებითი ზედსართავი სახელის
 ჩანაცვლება ხდება პირის ნაცვალსახელით. მაგალითად: **Si
 mette il cappotto** - ის იცვამს პალტოს. რომ არ მოხდეს
 აღრევა ორაზროვნების. მაგალითად: **L'uomo parla al suo**

amico e alla moglie di lui - კაცი ელაპარაკება თავის მეგობარს და ამ უკანასკნელის ცოლს.

იტალიურ ენაში, ჩვენებითი ზედსართავების ფორმებია: **questo, codesto, a, i, e, quello, stesso, a, i; Questo** აღნიშნავს პიროვნებას, საგანს, მოვლენას, რომლებიც ახლოსაა დროსა და სოვრცეში. მაგალითად: **Questa giacca e questo cappotto sono miei** - ეს პიჯაკი და პალტო ჩემია. ზედსართავი შეიძლება შეიკვეცოს მხოლოდობითში ხმოვნის წინ. მაგალითად: **Quest'estate - ero a Firenze** - ამ ზაფხულს ფლორენციაში ვიყავი. მისი შეკვეცილი ფორმები გვხვდება ზმნიზედებში: **stamani, stamattina** - ამ დღით, **stasera** - ამ საღამოს, **stanotte** - ამ ღამე. ზედსართავი **codesto, a, i, e** - ლიტერატურული ან ტოსკანური გამოყენება აქვს. ის აღნიშნავს პიროვნებას ან საგანს, რაც ახლოსაა მოსაუბრესთან. მაგალითად: **Dammi codesto libro** - მომეცი ეს წიგნი. ხშირად ეს ფორმა ჩანაცვლებულია ფორმით **questo. Quello** - გამოხატავს პიროვნებას, საგანს, მოვლენას, რომელიც მოშორებულია დროსა და სოვრცეში. მაგალითად: **Non posso parlare di quell'anno senza pensare a te** - არ შემიძლია ვილაპარაკო იმ წელიწადზე ისე, რომ არ ვიფიქრო შენზე. ზედსართავს **quel**, აქვს თავისებური ფორმები. ესენია: **quello romano** - რომაელი - **quei romani, quello zingaro - quegli zingari** - ბოშა; ჩვენებითი ზედსართავებს არ ახლავს არტიკლები. მაგალითად: ისინი შეიძლება წინ უსწრებდეს კუთვნილებით ზედსართავს, რომელსაც არ ახლავს არტიკლი. მაგალითად: **questo mio amico** - ეს ჩემი მეგობარი. ზედსართავი **stesso, a, i, e**, - იგოვე, აღნიშნავს მსგავსებას ან იგოეობას. მაგალითად: **Silvia ha la stessa età di Marco** - სილვია იმდენივე წლისაა, რამდენისაც მარკო. ეს ზედსართავი დაისმის არსებითი სახელის წინ და გამოიყენება, როგორც შედარებითი ხარისხის ფორმა. არსებითი სახელის შემდეგ, აძლიერებს ჩვენებით ან კუთვნილებით ზედსართავებს. მაგალითად: **Il presidente stesso ha accolto gli ambasciatori**

- თვით პრეზიდენტმა მიიღო ელჩები. იტალიურ ენაში, განუსაზღვრელი ზედსართავებია: **ogni, qualche, più, meno, abbastanza, qualunque, qualsiasi, alcuno, a, i, e, nessuno, a, poco, parecchio, molto, tanto, altrettanto, troppo, tutto, quanto, altro, tale.** Ogni წინ უსწრებს არსებით სახელს მხოლოდით რიცხვში, გამონაკლისია **Ognissanti** - ყველაწმინდა. მაგალითად: **Ogni sera, guardo la televisione** - ყოველ საღამოს ვუყურებ ტელევიზორს. რიცხვითი სახელის წინ, მას აქვს დისტრიბუციული მნიშვნელობა და არსებითი სახელი მრავლობითში დაისმის. მაგალითად: **Ogni tre giorni, va a Roma** - ყოველ სამ დღეში ის რომში მიდის. **Qualche** ყოველთვის წინ უსწრებს არსებითს სახელს მხოლოდით რიცხვში. მაგალითად: **Andrà qualche giorno al mare** - ის წავა რამდენიმე დღით ზღვაზე. **Mangi meno carne e più verdura!** - ჭამე ნაკლები ხორცი და მეტი მწვანელი! **Puoi telefonare a qualsiasi ora** - შენ შეგიძლია დარეკო ნებისმიერ დროს. **Qualunque vestito compri, le sta sempre male** - რა კაბაც არ უნდა იყიდოს, ის მას ყოველთვის ცუდად აქვს. **Alcuno** ზედსართავი მხოლოდითში იცვლება როგორც **uno**, ნიშნავს არც ერთი და ჩაისმის უარყოფით წინადადებაში ან სიტყვის **senza** - ს შემდეგ. ის შეიძლება ჩანაცვლებულ იქნას სიტყვით **nessuno**. მაგალითად: **Non ho alcuna speranza** - მე არანაირი იმედი არ მაქვს. მრავლობით რიცხვში, დადებით წინადადებაში, ის აღნიშნავს რამდენიმეს. მაგალითად: **Ho alcuni amici a Firenze** - მე რამდენიმე მეგობარი მყავს ფლორენციაში. **Nessuno** ნიშნავს არცერთს და იცვლება როგორც **uno**. იგი ჩაისმის მხოლოდით რიცხვში და უარყოფით წინადადებაში. **Tutto** უთანხდმება არსებით სახელს, რომელსაც ის უსწრებს. ის წინ უსწრებს არსებით სახელს, რომელიც არტიკლის გარეშეა გამოყენებული. **Tutta Roma era fuori** - მთელი რომი გარეთ იყო. **Altro**-მ შეიძლება მიიღოს დროისეული მნიშვნელობა გასული ან მომავალი. მაგალითად: **L'ho visto l'altra settimana** - მე ის გასულ კვირას

ვნახე. ზედსართავი **Tale** შეიძლება შეიკვეცოს მხოლოდით რიცხვში თანხმონის წინ. მაგალითად: **Tale il padre, tal il figlio** - როგორიც მამა, ისეთი შვილი.

დასკვნა. ზედსართავი სახელი განეკუთვნება იმ მეტყველების ნაწილების რიცხვს, რომელიც ახასიათებს საგნებს, პიროვნებებს, ცნებებს, რომლებიც გამოხატულია არსებითი სახელებით. ზედსართავ სახელს შეუძლია დაახასიათოს რეალური სამყაროს ნებისმიერი მოვლენა, რომელიც ფლობს თვისებას, რომელიც მის მიერაა გამოხატული. ზოგიერთი ზედსართავის გამოყენება ამა თუ იმ არსებითის მიმართ გაპირობებულია მათი უნარით იქონიონ ეს თვისებები, რაც დამოკიდებულია დენოტატის ბუნებაზე, რომელიც არსებითი სახელითაა წარმოდგენილი. ზედსართავი შეიძლება გამოყენებულ იქნას პირდაპირი ან გადატანითი მნიშვნელობით, რაც აფართოვებს მნიშვნელოვნად მის სემანტიკურ ველს და განსაზღვრავს მის თვისებას, თან ახლდეს არსებით სახელებს, რომელთაც განსხვავებული სემანტიკური მნიშვნელობა გააჩნიათ. ქართულში გამოიყოფა ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავეები; რომანულ ენებში გვაქვს თვისებითი ზედსართავეები და დეტერმინატივები. ქართულ ენაში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზედსართავეებს გააჩნიათ ბრუნვის კატეგორია, რაც არ არსებობს რომანულ ენებში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქართულში ზედსართავი დაისმის არსებითი სახელის წინ, რომანულ ენებში კი ის შეიძლება იყოს როგორც არსებითი სახელის წინ, ისე მის შემდეგ.

თავი V. რიცხვითი სახელი

მეტყველების ნაწილს, რომელიც აღნიშნავს საგნის რაოდენობას, რიგს ან ნაწილს მთელთან შეფარდებით, რიცხვითი სახელი ეწოდება. რიცხვითი სახელი სამი სახისაა ქართულ ენაში: რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი.

რაოდენობითია რიცხვითი სახელი, რომელიც აღნიშნავს საგნის რაოდენობას. მისი კითხვაა: რამდენი? - ერთი, ორი, სამი...ათასი, მილიონი...აგრეთვე გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელი სახელები: ბევრი, მრავალი, ცოტა... რაოდენობითი რიცხვითი სახელები მარტოვია (ერთიდან ათის ჩათვლით, ასევე ოცი, ასი) ან რთული (ყველა დანარჩენი). რთული ფუძე მიიღება უკავშიროდ (ათასი, ათას ცხრას შვიდი...) ანდა კავშირის მეშვეობით (ოც-და-ხუთ-ი).

რიგობითია რიცხვითი სახელი, რომელიც აღნიშნავს საგნის რიგს. მისი კითხვებია: რომელი? მერამდენე? პირველი, მეორე, მესამე... რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება რაოდენობითისაგან მე პრეფიქსისა და -ე სუფიქსის დართვით: მე-ცხრ-ე, მე-ოც-ე და კავშირით შეერთებულ სახელთაგან რიგობითის წარმოების შემთხვევაში მე - ე აფიქსები მეორე ფუძეს დაერთვის: ოცდა-მე-ხუთ-ე, ას-მე-ათ-ე.

წილობითია რიცხვითი სახელი, რომელიც გამოხატავს მთელის ნაწილს რიცხობრივი შეფარდებით. მისი კითხვაა: მერამდენედი? - მეხუთედი. წილობითი სახელები ნაწარმოებია რიგობითი რიცხვითი სახელების ვითარებითში დასმულ ფუძეთაგან: მე-ხუთე-დ(ი). განსხვავებული წარმოებისაა ნახევარი (მეორედი). რაოდენობითი რიცხვითი სახელები ძირეულია, რიგობითი და წილობითი - წარმოქმნილი. რიცხვითი სახელები წინადადებაში ატრიბუტული მსაზღვრელებია. არსებითთან ერთად რიცხვითი სახელი ისევე იბრუნვის, როგორც ზედსართავი, იმ განსხვავებით, რომ წოდებითში იშვიათად იხმარება. მაგალითად: ორო კაცო...

არსებითი სახელი მხოლობითში დაისმის, თუ მისი მსაზღვრელი რაოდენობითი რიცხვითი სახელია: სამი ბიჭი, ხუთი წიგნი.

ფრანგულ ენაში ისევე, როგორც ქართულში გვაქვს მარტოი, **un, deux, cinq...** და რთული ანუ შედგენილი (მიმატებით, გამრავლებით, გამრავლებით და მიმატებით) რიცხვითი სახელები: **dix - sept, quatre - vingts, deux cent quatre - vingt - dix - sept...** რიცხვითი სახელები, 21, 31, 41, 51, 61, 71, იმატებენ კავშირს **et, un, onze** - ის წინ. მაგალითად: **vingt et un, soixante et onze**; დანარჩენი რიცხვითი სახელები, რომლებიც 100 - ზე ნაკლებია იკეთებენ ტირუს. მაგალითად: **dix - huit, soixante - dix - neuf**; ზოგიერთ რეგიონში, ისეთ რიცხვით სახელებს, როგორებიცაა 70, 80, 90 წარმოთქვამენ შემდეგნაირად: **septante, octante(uitante, huitante), nonante**. რაოდენობითი რიცხვითი სახელები უცვლელია, გარდა **un**, რომელიც იცვლება სქესში: **un chien, une chatte, soixante et une pages; vingt, cent**, ბოლოში იმატებენ **-s**-ს, თუ ისინი გამრავლებულია, მაგრამ უცვლელი რჩებიან, თუ მათ მოსდევს სხვა ციფრი. მაგალითად: **quatre - vingts, trois cents**, მაგრამ **quatre - vingt - deux, trois cent six**. რიცხვითი სახელი ფრანგულ ენაში განსაზღვრავს არსებით სახელს. მაგალითად: **trois amis, les trois amis**. თუ რიცხვითი სახელი მარტოა გამოყენებული არსებითი სახელის გარეშე, ის ასრულებს ნაცვალსახელის როლს. მაგალითად: **Trois sont là**. მარტო გამოიყენება და წინ უწრებს არტიკლი, ის ხდება არსებითი სახელი. მაგალითად: **avoir un vingt en dictée**. რაოდენობითი რიცხვითი სახელი აღნიშნავს ძირითადად ზუსტ რიცხვს, სულიერი თუ უსულო საგნების ზუსტ რაოდენობას. მაგალითად: **J'ai invité trois amis. Le jour a vingt - quatre heures**. ზოგიერთ ფამილიარულ გამონათქვამში ის კარგავს სიზუსტეს და გამოხატავს ბუნდოვან რაოდენობას. მაგალითად: **C'est à deux pas. Attends deux secondes**. ზოგჯერ, ის გასაოცრად, იკავებს რიგობითი რიცხვითი

სახელის ადგილს, რომ აღნიშნოს თარიღი, რაიმე ნაშრომის ნაწილები, ქუჩის ნომრები, დიდგვაროვანთა სახელები: **le 5 mai, tome 2, page 27, le cent vingt de la rue Jean - Jaurès, Louis XIV...**

რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება რაოდენობითზე სუფიქსი –**ième** დართვით. მაგალითად: **trois, trois - ième, cent, cent - ième**. შედგენილ რაოდენობით სახელებში, მხოლოდ მეორე ელემენტი იღებს სუფიქსს: **trente - huitième; cent quatre - vingt - sixième**. მხოლოდ **premier, second**, არ იყენებს სუფიქსს –**ième**; **Premier** შეცვლილია **unième** - ით რთულ რიცხვით სახელებში: **vingt et unième, cent unième; second** კონკურენციას უწევს სიტყვას **deuxième**, გარდა რთული ფორმებისა: **son second fils, son vingt - deuxième ouvrage. Premier** ზოგჯერ ჩანაცვლებულია ფორმებით **prime; troisième, quatrième, cinquième** ფორმით **tiers (tierce), quart(e), quint(e): de prime abord, le tiers monde, Charles Quint, le quart livre, une tierce personne**. თუ რაოდენობითი რიცხვითი სახელი განსაზღვრავს არსებითს, რიგობითი უფრო ახლოსაა თვისებით ზედსართავ სახელთან, მიუთითებს რიგს. მაგალითად: **Il est brillant (premier) en français**.

როგორც თვისებითი ზედსართავი სახელი ის უთანხმდება სქესსა და რიცხვში არსებითს: **premier, première, premiers, premières**. მას იგივე შესაძლო ფუნქციები აქვს, რაც თვისებით ზედსართავს.

Mon deuxième fils est troisième en dictée. თუ მარტო გამოიყენება და მას ახლავს არტიკლი, ის ასრულებს ნაცვალსახელის როლს: **Le troisième jalouse le premier**. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მარტო და ამ შემთხვევაში არსებითი სახელის გამოტოვება ხდება. მაგალითად: **habiter au sixième (étage) dans le cinquième (arrondissement)**. ხშირად ის ჩანაცვლებულია რაოდენობითი რიცხვითი სახელით, მაგრამ როდესაც საქმე ეხება პირველს, ის კველავ გამოიყენება. მაგალითად: **Napoléon III, Napoléon I, le 2 mai**,

le 1 mai. არსებული არაბული და რომაული ციფრების გადმოცემა სიტყვებითაც შეიძლება. ოთხი არითმეტიკული მოქმედება ასე წარმოითქმის: **l'addition, la soustraction, la division, la multiplication. Quatre moins deux égale deux. Deux et deux font quatre. Deux multiplié par deux égale quatre. Quatre divisé par deux égale deux.**

ჩვეულებრივი წილადების შემადგენლობაში მნიშვნელად შედის რიგობითი რიცხვითი სახელი, ხოლო მრიცხველად - რაოდენობითი რიცხვითი სახელი. **1/8 un huitième.** არსებობს ფორმები **un demi, une demie, un tiers, un quart.** ათწილადები ასე წაიკითხება. **0,5 zéro, virgule, cinq.** პროცენტის აღსანიშნად იხმარება შემდეგი ფორმულები: **2% - deux pourcent, 1/2 - un demi pourcent.**

ესპანურ ენაში გვაქვს ორი ტიპის რიცხვითი სახელი: რაოდენობითი და რიგობითი. **16** დან რაოდენობითი სახელები იწერება **y** კავშირით, თუმცა ისეთ რიცხვით სახელებთან, როგორებიცაა **diez, veinte, y** კავშირი გამქრალია. მაგალითად: **dieciséis, veintidós.** ციფრი **3**-დან, რიცხვითი სახელები სამი სიტყვით იწერება. მაგალითად: **treinta y uno, cuarenta y dos.** ასეულებში **doscientos, seiscientos,.. mil,** ერთადერთი რიცხვითი სახელი, რომელიც ანალოგიური არაა, ეს გახლავთ **quinientos; setecientos, novecientos** - ში დიფტონგიზაცია არ ხდება. **100**-დან რიცხვითი სახელების წარმოება ხდება ერთმანეთის მიყოლებით დასმით. მაგალითად: **doscientos uno; Mil** უცვლელია, **miles** ნიშნავს ათასობით. მაგალითად: **Vinieron miles de personas.** მილიონი რიცხვით სახელებს აწარმოებს ფრანგული ენის მსგავსად. მაგალითად: **quinientos millones** (**500** მილიონი). მილიარდი ესპანურად ითქმის **mil millones.** რიცხვითი სახელები უცვლელია, როდესაც ისინი აღნიშნავენ ციფრებს. მაგალითად: **el uno; uno, una,** და მისგან ნაწარმოები რიცხვითი სახელები ცვალებადია რიცხვში, ისევე როგორც ასეულები. მაგალითად: **doscientas veintiuna**

pesetas. Uno გადადის ფორმაში **un** არსებითი სახელის წინ, ხოლო **ciento, cien** - ში, არსებითი სახელის ან ციფრის წინ, რომელსაც ის ამრავლებს. მაგალითად: **cien casas**; კრებითი რიცხვითი სახელები იწარმოება სუფიქსის **-ena-**ს მეშვეობით. მაგალითად: **decena, veintena**, მაგრამ **millar. Millar** ზოგჯერ იღებს იმავე მნიშვნელობას, რაც ფრანგულში აქვს „ათასობით“. **Ambos, - as**, ყოველთვის მრავლობითში და არტიკლის გარეშე, აღნიშნავს ორ განსაზღვრულ არსებას ან საგანს. მაგალითად: **Ambos/as/ amigos/ as venían** - ორივე მეგობარი მოდიოდა. რიგობითი რიცხვითი სახელებია **primero, cuarto, noveno...** მეათედან რიგობითი სახელები ჩანაცვლებულია რაოდენობითი სახელებით, რადგან მათი გამოყენება იშვიათია. მაგალითად: **Voy al piso 15**. რიგობითი რიცხვითი სახელები ჩაისმის, როგორც ზედსართავი არსებითის წინ, რომელსაც უთანხმდება სქესსა და რიცხვში. მაგალითად: **la cuarta ventana. Primero, tercero**, კარგავენ ბოლო ხმოვანს მხოლოდობითი რიცხვის არსებითი სახელის წინ. მაგალითად: **el primer tren, el tercer hombre**. რიგობითი რიცხვითი სახელები დაისმის საუკუნეებისა და მეფეთა სახელების წინ. მაგალითად: **Carlos Quinto, el siglo sexto. Primero** არტიკლის გარეშე შეიძლება ზმნიზედის ფუნქციით შეგვხვდეს. მაგალითად: **Primero pasa a verla** - პირველ რიგში მას გაუარე. წილადებში მრიცხველი გამოხატულია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი არტიკლით, ხოლო თუ ორზე მეტია, რაოდენობითი რიცხვითი სახელით. მნიშვნელი გამოხატულია რიგობითი რიცხვითი სახელით 4-დან 10-მდე, **un cuarto**, 10-ის შემთ რაოდენობითი რიცხვითი სახელით, რომლის დაბოლოებაა **-avo(s)**. მაგალითად: **un doceavo** - ერთი მეთორმეტედი. სასაუბრო ენაში მნიშვნელი გამოხატულია მდედრობითი სქესით და მას მოყვება სიტყვა **parte, una quinta parte** - მეხუთედი. როდესაც **Medio**, გამოყენებულია არტიკლის გარეშე, ის როგორც ზედსართავი უთანხმდება არსებით სახელს. მაგალითად: **media naranja =**

una mitad de una naranja, tercero ხშირად ჩანაცვლებულია გამონათქვამით **tercera parte. Las dos terceras partes** - ორი მესამედი. როდესაც მნიშვნელი დიდია, მაშინ ფორმები დაბოლოებით **-avo(s)** იცვლება ფორმით **dividido por**. მაგალითად: **treinta y cinco dividido por trescientos cincuenta**. ათწილადები გადმოიცემა მდედრობითის ფორმით. მაგალითად: **una décima, una centésima, una milésima. Treinta grados y dos décimas** - 30 გრადუსი და ორი მეათედი. პროცენტი ესპანურად ითქმის **por ciento**. ციფრი, რომელიც მიუთითებს პროცენტს, მას წინ უნდა უსწრებდეს არტიკლი, განსაზღვრული თუკი პროცენტი ზუსტია და განუსაზღვრელი, თუკი პროცენტი მიახლოებითია. მაგალითად: **una tasa de crecimiento del tres por ciento** - ეკონომიკური ზრდის სამპროცენტიანი მაჩვენებელი. **Un tipo de interés de un ocho a un diez por ciento** - 8-დან 10-მდე საპროცენტო განაკვეთი. ათწილადების წაკითხვა ხორციელდება სიტყვით **coma** დახმარებით. მაგალითად: **uno coma cinco** - 1,5; რაც შეეხება 4 არითმეტიკულ მოქმედებას, ესენია: **la suma, la resta, la multiplicación, la división; 7+9=16, 7 y 9 igual a 16**.

იტალიურ ენაში ისევე, როგორც ფრანგულსა და ესპანურში გვაქვს რიცხვითი სახელი. ის ორი ტიპისაა: რაოდენობითი და რიგობითი. რაოდენობითია: **uno, quattro, venti, ventotto, diecimila, trecento**. რაოდენობითი რიცხვითი სახელები უცვლელია გარდა ფორმებისა **zero, uno, mille, milione, miliardo. Uno** სხვა რიცხვით სახელთან იკვეცება და არ უთანხმდება. მაგალითად: **un uomo di trentun anni**. ადმინისტრაციულ ენაში, ის მოსდევს არსებით სახელს, ისე, რომ არ იკვეცება. მაგალითად: **un uomo di anni trentuno**. როდესაც ის დაკავშირებულია სიტყვებთან **cento, mille, კავშირით e**, ის უთანხმდება არსებით სახელს, რომელიც რჩება მხოლოდობითში. მაგალითად: **Le mille e una notte**. შედგენილი რიცხვითი სახელი იღებს მახვილს. მაგალითად:

quarantatré. მრავალი რიცხვითი სახელი კარგავს ბოლო ხმოვანს **uno**-ს და **otto**-ს წინ. მაგალითად: **ventuno, trentotto.** მრავალი ელემენტისაგან შედგენილი რიცხვითი სახელი იწერება ერთად, ტირეს გარეშე. მაგალითად: **quattrocentotrentatré - 433.** რიცხვითი სახელები, რომლებიც იწყება **cento**-თი და **nulla**-თი შეიძლება ჩაიწეროს ცალ-ცალკე და შეიძლება დავაკავშიროთ კავშირით **e.** რაოდენობითი რიცხვითი სახელები დაისმის ჩვეულებრივ არსებითის წინ. მაგალითად: **un appartamento di sei vani** - ექვსოთახიანი ბინა. შეიძლება რიცხვითი სახელი დაისვას არსებითის შემდეგ კომერციულ ენაში. მაგალითად: **lire tremila il chilo.** რიცხვითი სახელები გამოიყენება თარიღებისა და დროის გამოსახატავად. ისინი გამოიყენება საუკუნეების გამოსახატავად. თუკი მათ ახლავთ მამრობითი სქესის განუსაზღვრელი არტიკლი, ისინი იღებენ მიახლოებითობის მნიშვნელობას. მაგალითად: **C'erano un venti clienti.** იტალიურში გვაქვს გამოთქმები, რომლებიც მიიღება რაოდენობითი რიცხვითი სახელებისა და წინდებულების კავშირით. მაგალითად: **a uno a uno, a due a due; uno a testa, uno alla volta, uno per uno, in due, in tre, in sei...** გამოსატყვის იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც ქმნიან ჯგუფს. მაგალითად: **Vanno in dieci al cinema. Erano in pochi** - ისინი ბევრნი არ იყვნენ. ამას ემატება გამოთქმები, რომლებიც იწარმოება სიტყვით **ogni - ogni sei ore** - ყოველ 6 საათში. არითმეტიკული ოპერაციები იტალიურად წარმოითქმის შემდეგნაირად: **l'addizione, la sottrazione, la divisione, la moltiplicazione. 2+2=4, due più due fa (fanno) quattro.**

იტალიურში პროცენტი გამოიხატება ციფრით, რომელსაც ახლავს მხოლოდობითი რიცხვის მამრობითი სქესის არტიკლი. არტიკლი განსაზღვრულია, თუკი პროცენტი ზუსტია, ხოლო განუსაზღვრულია, როდესაც მიახლოებითია. მაგალითად: **Fará il 10% (il dieci per cento) di sconto, C'era un 20% di partecipanti.** ზომების გამოსატყვა ხდება რაოდენ-

ნობითი რიცხვითი სახელით, რომელიც დაისმის ზმნის შემდეგ ან ზედსართავის შემდეგ. მაგალითად: **Maria è alta 1 metro 60; La stanza è larga 4 metri** - ოთახი 4 მეტრი სიგანისაა. რიგობითი რიცხვითი სახელებია: **primo, secondo, terzo...** პირველი ათი რიცხვი უწესოა, შემდეგ რიგობითის წარმოება ხდება რაოდენობით რიცხვით სახელზე სუფიქსის - **esimo**-ს დართვით, რომელიც კარგავს ბოლო ხმოვანს. მაგალითად: **ventinovesimo. Tre**, შედგენილ ფორმაში ინარჩუნებს ბოლო ხმოვანს, ვინაიდან მახვილიანია. მაგალითად: **ventitreesimo, ventisei**, შენარჩუნებულია ბოლო ხმოვანი, თუმცა ის მახვილიანი არაა.

შედგენილი ფორმა აწარმოებს რიგობით რიცხვით სახელს ფორმიდან **mille** და არა **mila, duemillesimo**. რიგობითი რიცხვითი სახელები უთანხმდება არსებით სახელს. მაგალითად: **Telefono per la decima volta**. რიგობითი რიცხვითი სახელი გადმოსცემს რომის პაპების თანმიმდევრობას. მაგალითად: **Papa Giovanni Paolo secondo. Primo** წინ უსწრებს რაოდენობით სახელს (**altro, ultimo**, რომლებიც არაა რიგობითი რიცხვითი სახელები, ისინიც ექვემდებარებიან იგივე წესს). მაგალითად: **i primi due** - პირველი ორი, **gli ultimi due** - ბოლო ორი. ისინი აღნიშნავენ აგრეთვე საუკუნეებს. შესაძლებელია მათი გაარსებითება. მაგალითად: **la tredicesima** - მე-13-ე ხელფასი. წილადები იწარმოება რაოდენობითისა და რიგობითის მეშვეობით. მაგალითად: **un quinto, due centesimi. Mezzo** როდესაც ის არსებითი სახელის წინ დგას გამოიყენება არტიკლის გარეშე, ის ასრულებს ზედსართავის ფუნქციას და უთანხმდება არსებით სახელს და შეიძლება შეიკვეცოს. **Ho dormito mezz'ora**. არსებითი სახელის შემდეგ ის უცვლელი რჩება. მაგალითად: **una mela e mezzo**. როდესაც ის გამოიყენება ზმნიზედის როლში ის უცვლელია. მაგალითად: **La casa è mezzo vuota** - სახლი ნახევრად ცარიელია. კრებითი რიცხვითი სახელებია: **ambo, ambedue, entrambi, il paio, la**

decina, la dozzina, il centinaio, il migliaio ასევე **il biennio, il triennio, il decennio, il millennio, il quintetto, il duo, il trio.** ზედსართავები **doppio, triplo, decuplo, centuplo** აღნიშნავენ 2, 3, 10, 100 გამრავლებულ რაოდენობას. მაგალითად: **una doppia porzione.** ზედსართავები **duplice, triplice, quadruplica** მიუთითებენ, რომ საგანი შედგება ორი, სამი, 4 ელემენტისაგან. ისინი ჩაისმის მხოლოდ მხოლოდითი რიცხვის არსებით სახელთან. მაგალითად: **La Triplice Alleanza fu firmata nel 1882.** დღეების გამოსახატავად კითხვა ასე დაისმის: **Quanti ne abbiamo oggi? Il cinque aprile, è il primo marzo.** წელიწადის აღმნიშვნელ ციფრს წინ უსწრებს განსაზღვრული არტიკლი მამრობით სქესში. მაგალითად: **Il 1946 vide nascere la Repubblica italiana.** არტიკლი კომბინირებს წინდებულთან ერთად თუ ამის შესაძლებლობა არის. მაგალითად: **L'Italia è entrata in guerra nel 1915.** საუკუნე გადმოიცემა ორნაირად. სიტყვით **secolo** რომელიც ახლავს რიგობით რიცხვით სახელს, **il secolo ventesimo - XX** საუკუნე. 1200 დან 1999-მდე ციფრით, რომელიც იწყება დიდი ასოთი და რომელსაც წინ უსწრებს მამრობითი სქესის არტიკლი. მაგალითად: **Il Novecento - XIX** საუკუნე. ასევე ამბობენ **avanti Cristo - ქრისტესშობამდე, dopo Cristo - ქრისტესშობის შემდეგ.** როდესაც დროს ეკითხებიან, პასუხში საათი იგულისხმება და იგი ჩანაცვლებულია მხოლოდითი ან მრავლობითი რიცხვის მდებარეობითი სქესის არტიკლით. მაგალითად: **è l'una, sono le sei. Mezzogiorno, mezzanotte** ჩაისმის არტიკლის გარეშე და ზმნა მხოლოდით რიცხვშია. მაგალითად: **è mezzogiorno, è mezzanotte.** წუთებს გადმოსცემენ ყოველთვის **e** კავშირით. მაგალითად: **sono le tre e un quarto** - ოთხის თხუთმეტი წუთია. **Mezzo** უცვლელია თუკი ის მოსდევს დროის გამოსახატავ ციფრს. მაგალითად: **Sono le due e mezzo.** ასაკის შეკითხვის დროს პასუხში ასე ამბობენ: **Ho dieci anni.** ზედსართავები იწარმოება სუფიქსის **enne** რაოდენობით რიცხვით სახელზე დართვით.

მაგალითად: *è una ragazza quindicenne* - ესაა 15 წლის გოგონა. მიახლოებითობა გადმოიცემა წინდებულთ *su*, რომელიც კომბინირებს განსაზღვრულ არტიკლთან. მაგალითად: *Nina è sui trent'anni*.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რიცხვითი სახელების თვალსაზრისით მსგავსებაა რომანულ ენებსა და ქართულს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი გრამატიკისტი გამოყოფს «კოლექტიურ» რიცხვით სახელებს, რომლებსაც ჩვენ კრებითი ვუწოდეთ. ასეთი ფორმები ქართულში არ გვაქვს. რიგობითი რიცხვითი სახელები სულ უფრო ახლოსაა ზედსართავებთან და ნაცვალსახელებთან. რაოდენობითი რიცხვითი სახელები, მიუხედავად თავიანთი მოკლე ფორმებისა ყოველთვის როდი ახდენენ რიგობით რიცხვითი სახელების ჩანაცვლებას.

თავი VI. ნაცვალსახელი

ნაცვალსახელი ეწოდება მეტყველების ნაწილს, რომელიც მიუთითებს საგანზე, საგნის ნიშან-თვისებაზე თუ რიცხვზე, აგრეთვე კუთვნილებაზე პირთან მიმართებით, მაგრამ ისე, რომ არ ასახელებს მათ. ზოგი ნაცვალსახელი ცვლის არსებით სახელს, ზოგი ზედსართავს, ზოგიც რიცხვით სახელს. შინაარსის მიხედვით ქართულ ნაცვალსახელებს ათ ჯგუფად ყოფენ. ეს ჯგუფებია: პირისა (მე, შენ, ის...), ჩვენებითი (ეს, ეგ, ის, იგი, ასეთი...), კითხვითი (ვინ?, რა?, რომელი?, როგორი?, რანაირი...), კუთვნილებითი (ჩემი, შენი, მისი, მათი...), კითხვით - კუთვნილებითი (ვისი? რისი? რისა?), მიმართებითი (ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, სადაურიც...) ურთიერთობითი (ერთმანეთი, ერთიმეორე),^o განსაზღვრებითი (თვითონ, თავად, თვითოეული, ყოველი, ყველა, ყველაფერი...), განუსაზღვრელობითი (ზოგი, ერთი,

ზოგიერთი, კაცი) და უარყოფითი (არაფერი, ვერაფერი, აღარაფერი...).

ფრანგულ ენაშიც თითქმის იგივე ჯგუფები გვაქვს. ესენია: პირის, კუთვნილებითი, ჩვენებითი, განუსაზღვრელი, კითხვითი, მიმართებითი. ფრანგულ ენაში პირის ნაცვალსახელის კატეგორიაში შეყავთ აგრეთვე განუსაზღვრელი ნაცვალსახელი **on**, უპირო **il**, ზმნიზედური ნაცვალსახელები **en** და **y**. ქართულ ენაში მათ გამოსახატავად, არ არსებობს ნაცვალსახელთა სპეციალური ფორმები. ფრანგულში გვაქვს უკუქცევითი ნაცვალსახელი **soi**, რომელიც მხოლოდ მხოლობითი რიცხვის III პირში გამოიყენება. ქართულ ენაში პირის ნაცვალსახელებს უფრო იშვიათად ვიყენებთ, ვიდრე ფრანგულში. მათი გამოყენების შეზღუდვა ზმნებთან ქართულ მეტყველებას ანიჭებს დინამიურობას, აჩქარებს მის ტემპს. ფრანგულ ენაში, ფუნქციური პლანის მიხედვით, ნაცვალსახელები დიდ როლს ასრულებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ფრანგული ენის შესწავლისას, მათ უფრო მეტი ყურადღება უნდა მოვაქციოთ. პირის ნაცვალსახელი ცვლის არსებით სახელს, რათა თავიდან ავიცილოთ მისი გამეორება. მაგალითად: **Cette femme aime les chats; elle les soigne bien**. უნდა აღნიშნოს, რომ საშუალო სქესის ნაცვალსახელები არსებობს მხოლოდ მხოლობითი რიცხვის III პირში. მაგალითად: **Il pleut. Je le sais. Cela se dit. J'en ris. Je n'y peux rien**. პირის ნაცვალსახელებში არსებობს როგორც უმახვილო ასევე მახვილიანი ფორმები. ნაცვალსახელი **soi** გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ქვემდებარე ბუნდოვანია. მაგალითად: **Chacun pour soi**. კლასიკურ ენაში, მას იყენებდნენ განსაზღვრულ ქვემდებარესთან. მაგალითად: **Gnathon ne vit que pour soi**. ფორმა **soi - disant**, გამოიყენება სულიერი საგნებისათვის. მაგალითად: **un soi - disant champion**. უსულლო არსებითი სახელებისათვის იყენებენ **prétendu, une prétendue réussite...** საშუალო სქესის ნაცვალსახელი **il**,

ხშირად ფორმალურია. მაგალითად: **Il court des bruits fâcheux**(=**des bruits fâcheux courent**). უწინ ნაცვალსახელი ქვემდებარე არ იყო საუაღდებულო, განსაკუთრებით საშუალო სქესის ნაცვალსახელთან **il. Fais ce que dois (tu) - Suffit ! - Si bon te semble...**ზოგჯერ პირის ნაცვალსახელი შეიძლება იყოს ექსპლიციტური ანუ გრამატიკული მნიშვნელობის გარეშე. მაგალითად: **Je m'en vais. Paul vient - il ? Voyez - moi ce vaurien !...** როდესაც ის ქვემდებარე არა არის, უნდა დაეზუსტოთ უკუქცევითია თუ არა. მაგალითად: **Je me blesse** (უკუქცევითია); **Tu me blesses** (არაა უკუქცევითი). ადგილის მიხედვით პირის ნაცვალსახელი ჭირვეულია. როდესაც ზმნას წინ უსწრებს ორი დამატება ნაცვალსახელი, ჯერ ირიბი და ისმის და მერე პირდაპირი. მაგრამ თუ ორივე ნაცვალსახელი მესამე პირის ფორმითაა გადმოცემული ჯერ პირდაპირი და ისმის და მერე ირიბი. მაგალითად: **On me le dit; on le lui dit.** ბრძანებით კილოში, ჯერ პირდაპირი დამატება გვაქვს და მერე ირიბი. თუ ნაცვალსახელი ინიფინიტივის დამატებაა, ის უშუალოდ წინ უსწრებს ინფინიტივს. მაგალითად: **Rends - le - moi; Je veux te rencontrer.** ფრანგულში ნაცვალსახელებს არ გააჩნიათ ბრუნვის კატეგორია. დამოუკიდებელი და დამხმარე ნაცვალსახელების ფუნქციები მნიშვნელოვნად განსხვავდება. ფრანგულ ენაში უფრო ხშირად, ვიდრე ქართულში ნაცვალსახელი წინ უსწრებს იმ არსებით სახელს, რომელსაც შეესაბამება. მაგალითად: **Je, l'ai vu ce film** - და საერთოდ ნაცვალსახელთა ჯგუფები უფრო ხშირად გამოიყენება ფრანგულ ტექსტებში, ვიდრე ქართულში. ქართულთან შედარებით, ფრანგული ნაცვალსახელების სისტემა, ხასიათდება არქაული ფორმების არსებობითა და გამოყენებით.

ფრანგი ლინგვისტები ვაგნერი და პენშონი ასე ახასიათებდნენ ნაცვალსახელს: „**Les pronoms sujets je, tu, il, sont devenus indispensables depuis que les désinences**

verbales, aux modes personnels, ne présentent plus de différences sensibles à l'oreille.” ქართულში იგი სავალდებულო არაა ენის სინთეზურობიდან გამომდინარე. მაგალითად: **Il regardait et il écoutait** - ის უყურებდა და უსმენდა. იგივე შეიძლება ითქვას დამატება ნაცვალსახელზე. მაგალითად: **Elle ôta son manteau, le brossa et le mit dans l'armoire.** ნაცვალსახელის ადგილი განისაზღვრება წინადადების ტიპით. მაგალითად: **Que fait - il?** - რას აკეთებს? **Les enfants sont - ils à l'école?** ამ წინადადებაში ნაცვალსახელი **ils** არ ითარგმნება. ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც წინადადება იწყება ზმნიზებით, რომელსაც შეზღუდული აზრი აქვს. მაგალითად: **Peut - être viendra - t - il** - შეიძლება კიდევ მოვიდეს. ნაცვალსახელისათვის ეკვივალენტის შერჩევის დროს, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ზმნის მართვა და შესაბამისად ბრუნვის ფორმები, შესადაარებელ ენებში ყოველთვის არ ემთხვევა. მართალია, არსებით სახელს ბრუნვის ფორმა არ გააჩნია, მაგრამ უმახვილო პირის ნაცვალსახელებს იგი შენარჩუნებული აქვთ. მაგალითად: **Je lui ai acheté ce livre.**

Le neutre თან ან როგორც მას უწოდებენ **le démonstratif**, იგი შეიცავს დამატებით ინფორმაციას და თარგმნისას, მას შეესაბამება ფორმები ეს, ის, სწორედ ასე“. მაგალითად: **Tu te justifieras après si tu le peux.** **Le-**ს მნიშვნელობა შეიძლება გადმოიციეს ლექსიკური ეკვივალენტის განმეორებით. მაგალითად: **Je les appelle assassins parce qu'ils le sont.**

ფრანგი გრამატიკოსები გამოყოფენ **nous de modestie**-ს. ეს ფორმა ქართულში არსებულ ფორმას ემთხვევა. მაგალითად: **Qu'on nous permette d'insister sur ce point...** - ჩვენ მიგვაჩნია; „ჩვენ“ ნაცვალსახელი „მე“-ს ნაცვალად გამოიყენება. ეს ფორმა დამახასიათებელია სამეცნიერო სტილისათვის. ფრანგულში გვხვდება აგრეთვე **nous de**

solidarité et de substitution - რომლის დროსაც თითქოს
ოსაუბრე თავის თავს იმათ რიცხვს მიაკუთვნებს, ვისკენაც
იმართულია გამონათქვამი. მაგალითად: **Eh bien, Madame
a baronne, comment allons - nous?** - ქალბატონო ბარონესა,
ზოგორ ვგრძნობთ თავს? **Vous** - გამოიყენება განზოგადოების
რეალსაზრისით. ქართულში რამდენიმე ეკვივალენტი
შეიძლება გვექონდეს « თქვენ, ადამიანი, შენ, ვინმე ».

მახვილიანი დამოუკიდებელი ნაცვალსახელები
ხასიათდება სხვადასხვა სახის თავისებურებით. მაგალითად:
Mes frères et moi, nous étions tout enfants. მახვილიანი
ნაცვალსახელი, კუთვნილებით ზედსართავ სახელთან
გამოიყენება პოსესიურობის გამოხატვის გასაძლიერებლად.
ამ შემთხვევაში ეკვივალენტია ზედსართავი „საკუთარი“.
მაგალითად: **Il n'avait besoin qu'on lui donne de conseils, il
avait ses idées à lui sur ce que doit être un journal** - მას
რჩევა არ ესაჭიროებოდა. მას საკუთარი წარმოდგენა ჰქონდა
იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო გაზეთი.
მახვილიანი ნაცვალსახელის ეკვივალენტი შეიძლება იყოს
კავშირები, ნაწილაკები, პირის ნაცვალსახელები. მაგალითად:
**Cours chez le médecin, ramène - le de force, moi, je
téléphonerai au professeur, à la clinique.** ზმნიზედური
ნაცვალსახელებია ფრანგულში **en** და **y**; მაგალითად: **Aux
murs la trace demeurerait encore des portraits anciens qu' avait
pris Bernard pour en orner le salon** კედლებზე
დარჩენილიყო ძველი სურათების ნაშთები, რომლებიც
ბერნარმა მოხსნა, რათა მათი საშუალებით მოერთო
სასტუმრო ოთახი. როდესაც **en** ცვლის **du+N de matière** -
ქართულში მას შეიძლება ეკვივალენტი არ ჰქონდეს.
მაგალითად: **Elle préparait du café - Vous allez en prendre
un bol avec nous ?** - ის ხარშავდა ყავას, დალევთ ჩვენთან
ერთად ერთ ფინჯანს? **En** ნაცვალსახელის ეკვივალენტი
შეიძლება ზოგჯერ იყოს კუთვნილებითი ნაცვალსახელი.
მაგალითად: **Elle connaissait le grand jardin, elle en savait**

les cachettes ის კარგად იცნობდა ამ ბაღს და მის სამალაგებს. **En** შეიძლება იყოს სიტყვის ან გამონათქვამის გადატანითი მნიშვნელობის არადისკრეტულობის მაჩვენებელი. მაგალითად:

რა თქმა უნდა, როდესაც საქმე გვაქვს გამონათქვამთან, მთელი გამონათქვამისათვის უნდა შეირჩეს ეკვივალენტი. მაგალითად:

— **Ah, Fred, dit, - elle, si vous saviez comme j'en ai assez de cette ville.**

y - ზმნიზედა ნაცვალსახელს შეესაბამება პირის ან ჩვენებითი ნაცვალსახელი. მაგალითად: **Elle se préparait de bons plats et puis elle n'y touchait pas.** **Y**-ს სინტაქსურ პოზიციაში შეიძლება ეკვივალენტად ჰქონდეს ზმნიზედა, პირის ნაცვალსახელი ან არსებითი სახელი, არსებითი სახელის ლექსიკური ეკვივალენტი, რომლის სუბსტიტუტია **y**. მაგალითად: **Est - ce que tu peux parler du château? N'y as - tu pas joué dans ton enfance?** - შეგიძლია გვიამბო სასახლის შესახებ? შენ ხომ ბავშობაში იქ თამაშობდი. **Pourquoi Marcel ne rentrait - il pas? Le téléphone... Elle y revenait sans cesse, s'en éloignait, y revenait encore** - რატომ არ დაბრუნდა მარსელი? ტელეფონი...ის მას უახლოვდებოდა გამუდმებით, შორდებოდა და კვლავ უბრუნდებოდა.

კუთვნილებითი ნაცვალსახელები გამოხატავს მიმართებას მფლობელსა და საგანს შორის. ქართულში კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფორმა თავიანთი მნიშვნელობით, ემთხვევა არსებითი სახელის ნათესაობით ბრუნვას. ქართულში გვაქვს ნაცვალსახელი თავისი გამოიყენება III პირში. ეს ნაცვალსახელი ნაგენიტეარო სახელია, წარმოქმნილი „თავ“ სიტყვისაგან. მართალია, ქართული ენა არ მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ჯგუფს, მაგრამ ამ სინტაქსური კონსტრუქციით, ნაცვალსახელით „თავისი“ ის მოგვაგონებს ფრანგულს.

არადისკრეტული მნიშვნელობა	დისკრეტული მნიშვნელობა
s'en laver les mains	se laver les mains
en ouvrir les yeux à qn	ouvrir les yeux
s'en mordre les doigts	se mordre les doigts
s'en prendre à qn	se prendre à qn

დანარჩენი კუთვნილებითი ნაცვალსახელები კი გენიტიური სახელების მსგავსად არის ნაწარმოები: ჩემ-ი; შენ-ი; ჩვენ-ი; თქვენი ფუძედ იყენებს ნათესაური ბრუნვისათვის საფარაუდებელ ფორმას: ჩემ, შენ, ჩვენ, თქვენ. მის-ი და მათ-ი კი ნაწარმოებია «მა» ფუძისაგან, რომელიც „იგი“-ს ენაცვლება ნათესაობითსა და სხვა ბრუნვებში. კუთვნილებით ნაცვალსახელს აქვს არსებითი სახელის ყველა შესაძლო თვისება. მაგალითად: **Sa main trembla dans la mienne** - მისი ხელი ჩემს ხელში კანკალებდა. ზოგჯერ მას არსებითი სახელის მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითად: **Il aime les siens (ses parents)** - მას უყვარს თავისიანები.

ჩვენებითი ნაცვალსახელი ოროვე ენაში აღნიშნავს საგნის ადგილმდებარეობას მოსაუბრის მიმართ. ნეიტრალიზაციის დროს ფრანგულ ენაში გამოიყენება ფორმა, რომელიც გვიჩვენებს დაშორებას **cela**, ქართულში კი პირიქით სიახლოვეს (ეს). ფრანგულში გვაქვს კითხვით - მიმართებითი ნაცვალსახელები (**de qui, dont, duquel**). ქართულში ა. შანიძე ცალკე ჯგუფად გამოყოფდა ვისი, რისი, როგორც კითხვით - კუთვნილებითს. საშუალო სქესის ნაცვალსახელი ხშირია მხოლოდით რიცხვში, მაგრამ იგი მრავლობითში არ არსებობს. მაგალითად: **Retenez bien ceci. Cela** ხშირად იკვეცება და ღებულობს ფამილარულ ფორმას **ça. Si tu me fais ça, tu me le paieras**. იგი არ უნდა შეგვეშალოს ფორმაში **çà** (ადგილის გარემოება) და **çâ** (შორისდებული). მაგალითად:

Errer çà et là. Çà, dit - il, revenons à nos moutons. Ce ნაცვალსახელი იკვეცება ხმოვნის წინ და სელილთან ერთად ხმოვნის -a-ს წინ. **C'est dit. Ç'a été dur.** როგორც ჩვენებითი ზედსართავი სახელი, მას შეუძლია გამოხატოს ბევრი ნიუანსი. **Ci-**თან ერთად მან შეიძლება აღნიშნოს ახლოს მდებარე საგანი, ხოლო **là-**სთან შორს მდებარე საგანი. მაგალითად: **Ce pays - ci, celui - ci, ce pays - là, celui - là.** შედარებისას, - **ci** მიუთითებს საგანზე, რომელიც ბოლოს ვახსენეთ და **là,** რომელიც პირველად მოვიხსენიეთ. მაგალითად: **Celui - ci (l'un) est bon, celui - là(l'autre) mauvais.** ძახით წინადადებაში, მან შეიძლება გამოხატოს სიყვარული, შექება ან პეიორაცია. მაგალითად: **Celle - là, quelle artiste! Celui - là, un vaurien !** ნეიტრალურ ფორმაში, მას შეუძლია გამოხატოს პირის ნაცვალსახელი: **C'est haut comme trois pommes et ça veut commander.**

ფრანგულ ენაში ზოგიერთი განუსაზღვრელი ნაცვალსახელი წარმოადგენს ობიექტის თვისობრივ ან რაოდენობრივ გამოხატულებას; **quelques,** ვინმე, რამე, ვიღაც, რაღაც. ორივე ენაში პირის ნაცვალსახელები, კუთვნილებითი, მიმართებითი ურთიერთდამოკიდებულია. ფრანგულში სქესისა და რიცხვის კატეგორია ყველაზე კარგად მესამე პირში ჩანს. განუსაზღვრელ ნაცვალსახელებში, ერთნი ანსხვავებენ სქესისა და რიცხვის ფორმას. სქესის (**chacun, quelqu'un, aucun, tout,** მეორენი კი არა **personne, rien, autrui, tout le monde**). განუსაზღვრელი ნაცვალსახელი **aucun** მრავლობით რიცხვში გამოხატავს ნაწილობით რაოდენობას. მაგალითად: **D'aucuns(certains) prétendent que tu as menti. On** განუსაზღვრელი ნაცვალსახელი, რომელიც ეტიმოლოგიურად არსებითი სახელია **homme,** შეიძლება შემოყვანილ იქნეს შეკვეცილი განსაზღვრული არტიკლით. მაგალითად: **Ici l'on chante, ici l'on rit.** განუსაზღვრელი ნაცვალსახელის შესახებ ფრანგი ლინგვისტები ვაგნერი და

პენშონი ასეთ რამეს წერენ: „**Ce pronom évoque sous un aspect indéterminé plusieurs personnes ou un ensemble d'individus envisagés collectivement.** მაგალითად: **On vient de me le dire** - მე ეს-ესაა შემატყობინეს ამის შესახებ. **On frappe** აკაკუნებენ. **On-ს** შეიძლება ჰქონდეს განზოგადოებული მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდითი რიცხვის III პირი. **On ne sait jamais comment s'y prendre** - არასოდეს არ იცი როგორ მიუდგე მას. **On** შეიძლება დაუკავშირდეს ნებისმიერ პირს. მაგალითად: **On va encore danser?** – ვიცეკვოთ კიდევ? დიალექტში **On**-თან შეიძლება შესაბამისი პირის ნაცვალსახელიც გამოიყენოთ. მაგალითად: **On a d'abord espéré ça, nous aussi** - ჩვენ დასაწყისში ამის იმედი გვქონდა. **On** ნაცვალსახელმა შეიძლება შეინარჩუნოს თავისი მნიშვნელობა, რომელიც მის ეტიმოლოგიურ მნიშვნელობასთანაა ახლოს. ქართულში მას შეესაბამება „ადამიანი“. მაგალითად: **On est accessible à la flatterie dans la mesure où soi-même on se flatte** - ადამიანი მგრძნობიარეა ლაქუცისადმი იმის მიხედვით, თუ რა ზომით შეუძლია თავის თავს ელაქუცოს.

მიმართებით ნაცვალსახელებს ორმაგი ფუნქცია გააჩნიათ, როგორც ნაცვალსახელის, ისე დაქვემდებარებული კავშირის. ქართულად იგი ითარგმნება კავშირი+ნაცვალსახელი. მაგალითად: **On l'entendit qui disait sans tourner la tête - La nuit est d'un noir!** - მათ გაიგონეს როგორ ამბობდა ის, თავის მოუბრუნებლად: რა საშინლად ბნელი ღამეა! როდესაც სახელადი ანტეცედენტი გვაქვს **qui**-ს ეკვივალენტია „რომელი“ ან ნულოვანი ნიშანი. მაგალითად: **Le lendemain matin, qui était mardi, il partit pour Lyon** - მეორე დღეს დილით, სამშაბათს ის გაემგზავრა ლიონს. **Qui** – შეიძლება აღნიშნავდეს - ვინ-ს. აბსოლუტურ კონსტრუქციაში იგი გამოიყენება **voici**-ს და **voilà** შემდეგ **ce qui**-ს მნიშვნელობით. მაგალითად: **Voilà qui me fait plaisir.** სინტაქსურ პირობებში **qui** შეიძლება იყოს პირდაპირი ან ირიბი დამატება.

მაგალითად: **Appelle qui tu voudras. Qui** გამოიყენება როგორც მაკავშირებელი დაქვემდებარებული წინადადებისა - **Entrez dit - elle, votre petite est là qui dort** - შემობრძანდით, თქვენი პატარა გოგონა აქ არის, მას სძინავს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს **qui, que** ნაცვალსახელები, გამოძყოფ კონსტრუქციებში **c' est que, c'est qui**. მაგალითად: **c'est son frère qui l'a envoyé. C'est son frère que Jean cherche**. ეკვივალენტი შეიძლება იყოს სიტყვათა რიგი ან ლექსიკური საშუალება (სწორედ); **dont** ნაცვალსახელს ანალოგი არა აქვს ქართულ ენაში. აქ გამოიყოფა რამდენიმე სინტაქსური პოზიცია. იგი დამატების შემცველია და ქვემდებარის როლს ასრულებს დამოკიდებულ წინადადებაში. მაგალითად: **Il vit la carriole s'éloignant, dont les roues tournaient dans la poussière** - მან დაინახა ეტლი, რომლის ბორბლებიდან მტვერი ადიოდა. **Dont** - დამატების სუბსტიტუტია, რომელიც სინტაქსურად წევრი - კავშირის როლს ასრულებს დამოკიდებულ წინადადებაში. მაგალითად: **Il sortit de sa poche un journal dont il commença à s'éventer** - მან ჯიბიდან ამოიღო გაზეთი და დაიწყო დანიაება. **Dont** დამატების სუბსტიტუტია დაქვემდებარებულ წინადადებაში. მაგალითად: **Par son intermédiaire j'ai fait la connaissance de nombreux autres Français dont Pierre**. ისეთ მყარ შესიტყვებებს, როგორიცაა **à la manière dont, à la façon dont**, ქართულში შეესაბამება ეკვივალენტი „იმისდა მიხედვით თუ როგორ“; მაგალითად: **A la manière dont je lisais la lettre de mon collègue, je pouvais passer pour ne pas savoir mes lettres** - იმისდა მიხედვით თუ როგორ ვკითხულობდი ჩემი კოლეგის წერილს, შეიძლება გეფიქრათ, რომ მე კითხვა არ ვიცოდი. ხშირია შემთხვევები, როდესაც ანტეცედენტი გამოტოვებულია. მაგალითად: **Qui dort dîne**.

კითხვითი ნაცვალსახელის ფორმებია: უცვლელი **qui ?**, **que ?**, **quoi ?** ცვალებადი: **lequel ? laquelle ? lesquels ?**

lesquelles ? გაძლიერებული: **qui est - ce qui ? qui est - ce que ? qu'est - ce qui ? qu'est - ce que ? qu'est - ce que c'est que ? qui(quoi) est - ce que ?** მაგალითად: **qui es - tu ? qu'est - ce qui se passe ?** ცვალებადი კითხვითი ნაცვალსახელები შერწყმის წინდებულებს à, de. **Auquel de tes amis as - tu écrit ?** კითხვითი ნაცვალსახელები გვხვდება დამოუკიდებლად და ასევე კითხვით დამოკიდებულ წინადადებაში. მაგალითად: **Qui es - tu ? Dis - moi/ qui tu es.**

ესპანურში ნაცვალსახელის იგოვე ჯგუფები გამოიყოფა, რაც ქართულსა და ფრანგულში. იგოვე შეიძლება ითქვას იტალიურ ენაზეც. ესპანურში პირის ნაცვალსახელები შეიძლება დაისვას ზმნის წინ ან მის შემდეგ. მაგალითად: **Eso te lo digo yo.** ესპანურში ზრდილობიანი ფორმები გადმოიცემა მესამე პირის მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმებით **usted, ustedes,** მისი შემოკლებული ფორმები ასე იწერება **Vd. (Ud.), Vds(Uds):** **Señorita, ¿quiere Vd. venir ? Señoritas, ¿quieren Vds. venir ? Vosotros**

(- as) კოლექტიური მრავლობითი რიცხვი გადმოიცემა მრავლობითი რიცხვის II პირით. **¿Hablaís español ? Ello** ნაცვალსახელი მესამე პირის საშუალო სქესის ფორმაა, სინონიმურია ჩვენებითი ნაცვალსახელის **eso,** მან შეიძლება გაიმეოროს მანამდე გამოყენებული ფრაზა ან კონცეპტი. მაგალითად: **La casa es pequeña, pero ello tiene ventajas.** ქვემდებარე ნაცვალსახელებს შეიძლება თან ახლდეს წინდებულები ან ზმნიზედები **según, hasta (aun, incluso), excepto (salvo, menos), entre: Hasta tú lo sabes.**

პირის ნაცვალსახელები ჩვეულებრივ გამოტოვებულია, რადგან ზმნის ფორმა მიუთითებს პირს. **¿Sales pronto mañana ? - Sí, salgo a la una.** ნაცვალსახელი დაისმის იმ შემთხვევაში, თუკი ზმნის I და III პირებს ერთნაირი დაბოლოებები აქვთ. მაგალითად: **Yo decía lo contrario. Él decía lo contrario.** ნაცვალსახელი დაისმის თუკი სურთ განსაკუთრებულად ხაზი გაუსვან ქვემდებარეს. **Yo eso no lo**

hago. როდესაც უნდათ ხაზი გაუსვან დაპირისპირებას: **Tú puedes salir, si quieres. Yo, en cambio, no pienso ir. Nosotros, vosotros, Vds.,** ესპანურში შეიძლება გამოტოვებულ იქნეს. მაგალითად: **Los hombres sois todos iguales.** როდესაც რამდენიმე ნაცვალსახელია, ირიბი დამატება წინ უსწრებს პირდაპირს. მაგალითად: **Te lo diré mañana.** თუ ორივე ნაცვალსახელი მესამე პირითაა გადმოცემული, ირიბი დამატებები **le, les** გადადის ფორმაში **se: Se lo digo.** თუ პირდაპირი ან ირიბი დამატება მოთავსებულია ზმნის წინ, ის მეორდება ნაცვალსახელით. მაგალითად: **El vaso lo rompió el niño - el vaso lo rompió el niño.** ირიბი დამატება ნაცვალსახელი ესპანურში გამოხატავს ირიბ დამატებას, რომელიც მოცემულია ზმნის შემდეგ. მაგალითად: **Le dije a tu madre que viniera a casa.** თუ პირდაპირი ან ირიბი დამატება წინდებულიანი ნაცვალსახელია, ის უნდა განმეორებულ იქნეს დამატება ნაცვალსახელით. მაგალითად: **A ella no la conozco.** დამატება ნაცვალსახელები შეიძლება გამოყენებულ იქნეს წინდებულებით. მაგალითად: **Estamos encantados de salir con vosotros esta noche.** დამატება ნაცვალსახელები, რომლებსაც ახლავს წინდებული **a,** გამოიყენება, იმისათვის, რომ განამტკიცოს პირდაპირი ან ირიბი დამატება ნაცვალსახელი. მაგალითად: **A él, no le importa conducir de noche.** იგი გამოიყენება ზრდილობიან ფორმულებში: **Le deseo a Vd. un buen viaje, señor.** ასევე, იმისათვის, რომ ახლდეს ირიბ დამატებას. მაგალითად: **A tí, te lo digo porque eres mi amiga.** ფრანგულის მსგავსად ესპანურში არსებობს უკუქცევითი ნაცვალსახელი, იგი ახლავს პირის ნაცვალსახელს როგორც დამატება. მაგალითად: **Me lavo las manos.** ზოგიერთი ზმნა, რომლის მსგავსი ფრანგულში არსებობს და არა არის ნაცვალსახელოვანი, ესპანურში ნაცვალსახელოვანია. მაგალითად: **moverse, parecerse, olvidarse, atreverse** (გაბედა), **despedirse** - შევბულების აღება, **quedarse** და სხვა.

მაგალითად: **No se atrevió a decirtelo.** ზოგიერთი ზმნა, რომელიც ნაცვალსახელოვანი ფრანგულში, ესპანურში არა არის ნაცვალსახელოვანი. მაგალითად: **descansar - se reposer, recordar - se rappeler. Los niños descansan - Les enfants se reposent. Recuerdo tu visita - Je me rappelle ta visite.** ხშირად უკუქცევითი ფორმები გამოიყენება, რათა ხაზი გაუსვან ქვემდებარის უნებლიე მოქმედებას. მაგალითად: **Me he comido todos los pasteles** - მე შევჭამე ყველა ნამცხვარი. უკუქცევითი ფორმა ხშირად გამოხატავს ფლობის ფუნქციას. მაგალითად: **Con mis amigos, nos pasamos el tiempo riendo.** მესამე პირში უკუქცევით ფორმას შეუძლია შეცვალოს პასიური ფორმა გამოყენებული დამატების გარეშე. მაგალითად: **Estos coches se fabrican en España.** დამატება ნაცვალსახელი, პირდაპირი, ირიბი თუ უკუქცევითი, ჩაისმის ზმნის წინ თხრობით კილოში, კავშირებითსა და პირობითში. მაგალითად: **Lo he visto.** ის ჩაისმის ზმნის შემდეგ თუკი გვაქვს ბრძანებითი კილო, ინფინიტოვი ან გერუნდოვის ფორმა. მაგალითად: **¡ Dámelo !** ნაცვალსახელოვანი ზმნების ბრძანებითი კილო გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. I და II პირების ფორმებში « s » ქრება. მაგალითად: **Sentémo(s)nos.** თუ ზმნას მოსდევს ერთი ან მრავალი ნაცვალსახელი ის ერთად იწერება და მასზე ვრცელდება მახვილის დასმის წესები. მაგალითად: **Compra el juguete - Cómpralo.** არც ერთ შემთხვევაში ნაცვალსახელები არ შეიძლება ჩასმულ იქნეს საუღლებელ ზმნასა და ინფინიტოვს შორის. მაგალითად: **Tengo que verlo** და არა **Lo tengo que ver.** როდესაც ზმნას ორი ნაცვალსახელი ახლავს, ჯერ დაისმის ირიბი და მერე პირდაპირი დამატება. მაგალითად: თუ ორივე ნაცვალსახელი მესამე პირითაა გადმოცემული ნაცვალსახელები **le, les,** გადადის **se-**ში და დაისმის **lo(s), la(s), le, la, les-**ს წინ. მაგალითად: **Se lo he dado.** უკუქცევითი ნაცვალსახელი წინ უსწრებს სხვა დამატება

ნაცვალსახელს. მაგალითად: **Ya se le contestó a Vd. la semana pasada.**

კუთვნილებითი ნაცვალსახელები შედგება ზედსართავის მახვილიანი ფორმებით, რომლებსაც თან ახლავს განსაზღვრული არტიკლი. მაგალითად: **Este proyecto es el tuyo**, ანდა საშუალო სქესის არტიკლი. მაგალითად: **Toma lo tuyo y dame lo mío.**

ჩვენებითი ნაცვალსახელები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ახდენენ მინიშნებას ორ საგანზე და გამოიყენება ოპოზიციური ფორმები **éste.../aquél... Te mando un paquete y una carta, aquél es para Paco y ésta para ti.** საშუალო სქესის ნაცვალსახელები გამოიყენება, რომ მიუთითოს ადრე ნახსენებ კონცეფტზე. მაგალითად: **Cuéntame eso.** როდესაც სურთ წინადადების გამეორება: **No estoy de acuerdo con eso que acabas de decir** ჩვენებითი ნაცვალსახელი გამოიყენება, რომ შემოიყვანოს რაიმე განცხადება ან ჩამონათვალი: **Sólo diré esto...** ჩვენებითი ნაცვალსახელები **éste, ése, aquél** გამოიყენება, რომ მოახდინონ რაიმეს წარმოდგენა. მაგალითად: **Este es Manuel. Ésa es mi casa. Aquél es mi vecino.** განუსაზღვრელი ნაცვალსახელებია: **algo, nada, nadie, alguien. Vas a ver algo bueno. ¿Alguien sabe algo?** ნაცვალსახელი **alguno (-a,-os,-as)** თუ მას გამოიყენებთ სულიერი საგნების აღმნიშვნელი არსებითების წინ, გამოხატავს ერთ ან მრავალ ინდივიდს ერთი კოლექტივიდან და ის უფრო ნაკლებადაა განუსაზღვრელი, ვიდრე **alguien**. მაგალითად: **¿Viste a alguien? ¿Viste a alguno (de ellos)?** ნაცვალსახელი **Cada+uno, una, cual**, განუსაზღვრელი ნაცვალსახელია. მაგალითად: **Cada uno de los miembros se pronunció positivamente** - თითოეული წევრი დადებითად გამოვიდა სიტყვით. **Todo** ნაცვალსახელი უთანხმდება იმ არსებით სახელს, რომელთანაც ისაა დაკავშირებული. მაგალითად: **¿Encontraste todas las que buscabas?** როდესაც იგოვე ნაცვალსახელი საშუალო სქესის

უცვლელი ნაცვალსახელია, ზმნა გამოიყენება საშუალო სქესის არტიკლთან ერთად. მაგალითად: **Ellas lo han hecho todo.**

Varios, otro, ასევე განუსაზღვრელი ნაცვალსახელებია. მაგალითად: **Varios me lo han dicho. Vinieron otros. Demás** გამოიყენება მრავლობითი რიცხვის განსაზღვრული არტიკლით. მაგალითად: **Coge la ropa necesaria y deja lo demás. Tales**, მისი მნიშვნლობა შეიძლება ახლოს იყოს ჩვენებით ნაცვალსახელებთან. მაგალითად: **Tales eran las condiciones.**

იტალიურ ენაში იგოვე ტიპის ნაცვალსახელები გვაქვს. ნაცვალსახელების განლაგება ხდება ზმნის პირების თანმიმდევრობით. I პირი, II, III. მაგალითად: **Io e mia madre stiamo a Roma**, ასეთი ფორმით ის ჰგავს ქართულ ენაში არსებულს ფორმას - მე და დედაჩემი, მაგრამ **tu ed io**, მხოლობითი რიცხვის მესამე პირში, ამბობენ: **egli, lui** ადამიანის აღმნიშვნელი არსებითი სახელებისათვის, **esso** ცხოველებისა და საგნებისათვის. **Ella, lei, essa** ადამიანებისათვის მდებარეობითი სქესის, **essa** ცხოველებისა და საგნებისათვის. **Parla con Pietro, egli sa tutto.** მრავლობითი რიცხვის III პირში, ჩაისმის **loro** ადამიანების აღმნიშვნელი მამრობითი სქესის არსებითი სახელების წინ, **essi, esse**, ცხოველებისა და საგნებისათვის, რათა თავიდან აცილებულ იქნეს ორაზროვნება. მაგალითად: **Loro erano insieme, poi essi partirono, esse rimasero.** ქვემდებარე ნაცვალსახელი დაისმის ზმნის შემდეგ, როდესაც სურთ მისი ხაზგასმა. მაგალითად: **Sono io.** ასეთ შემთხვევაში აუცილებლად ჩაისმის **lui, lei, loro**, და არა **egli, essa, essi, esse. È lui.** დამატება ნაცვალსახელები დაისმის ზმნის წინ. მაგალითად: **La vedo e le parlo. Lo, la** ფორმები იკვეცება **h-**ის წინ ზმნა **avere-**ს აწმყო დროსთან. მაგალითად: **L'ho incontrato ieri.** დამატება ნაცვალსახელის სუსტი ფორმები ზმნაზეა მიბმული. მაგალითად: **Ho paura d'incontrarlo. Perché non averlo detto ? Voglio vederti, ti**

voglio vedere, აქ ოროვე ფორმა დასაშვებია. ზმნაზე გადაბმა ხდება ბრძანებითი კილოს შემთხვევაშიც. მაგალითად: **Portami al mare!** სუსტი ფორმები ხშირად ცვლიან კუთვნილებით ნაცვალსახელებს. მაგალითად: **Ti porto la valigia, porto la tua valigia**-ს ნაცვლად. სუსტი ფორმების უკუქცევითი ნაცვალსახელებია პირდაპირი დამატება ან ირიბი დამატება. **Laura si alza**. სუსტი ფორმების უკუქცევით ნაცვალსახელებს შეუძლიათ შეცვალონ კუთვნილებითი ზედსართავი. მაგალითად: **Mi tremano le gambe** - ფეხები მიკანკალებს. ძლიერი ფორმების უკუქცევითი ნაცვალსახელები მიგვანიშნებს წინადადების ქვემდებარეზე. მაგალითად: **Maria pensa solo a sé**. ძლიერი ფორმის ნაცვალსახელი შეიძლება განმტკიცებულ იქნას ზედსართავით **stesso, sé** კარგავს ამ შემთხვევაში თავის მახვილს. მაგალითად: **Maria pensa solo a se stessa**. ირიბი დამატება ნაცვალსახელები დაისმის პირდაპირი ნაცვალსახელის წინ და ასევე ნაწილაკის **ne** წინ. **Glief'ho detto**. ბრძანებით კილოშიც იგვე თანმიმდევრობა გვაქვს, ანუ ჯერ ირიბია და მერე პირდაპირი დამატება ნაცვალსახელი. მაგალითად: **Fammelo vedere! Loro** ხშირად გამოირჩევა სხვა ნაცვალსახელებისაგან. **Lo dico loro. Ne parlo loro. Dillo loro**. თანამედროვე ენაში **gli** ხშირად ცვლის **loro**-ს. ნაცვალსახელები **mi, ti, gli, le, ci, vi** დაისმის ნაწილაკების **ci**-ს და **si**-ს წინ. მაგალითად: **Mi ci abito. Ci si vive in pace. Lui, lei, loro**, დამატება ნაცვალსახელის ძლიერი ფორმებია და გამოიყენება მხოლოდ აღმიანების აღმნიშვნელი არსებითი სახელების ნაცვლად. მაგალითად: **Maria telefona a sua madre e pensa sempre a lei. Esso, essa, essi, esse**, გამოიყენება მხოლოდ ცხოველების და საგნების აღმნიშვნელი არსებითი სახელების ნაცვლად. მაგალითად: **Quel cappotto è di lana, con esso non ho freddo**. ძლიერი ფორმები არასოდეს ებმის ზმნას. მიმართებითი ნაცვალსახელი **che**, ყოველთვის ქვემდებარეა. **La donna che entra è bella. Il ragazzo che vedo è alto. Cui**, ყოველთვის

ირიბი დამატებაა და მას თან ახლავს წინდებული. მაგალითად: **È la persona a cui/cui pensi. Il quale**, ასევე ირიბი დამატებაა. მაგალითად: **È l'amica alla quale pensi. È l'uomo con il quale parlo. Di cui** ცვლის ირიბ დამატებას. **Sono le donne di cui ti parlo. Dove, in cui, nel quale (nella quale)** მიმართებითი ნაცვალსახელება. **Questa è la casa dove/in cui (nella quale) abita.**

კითხვით ნაცვალსახელებში **chi**, უცვლელი ნაცვალსახელია, რომელიც მხოლოდ ადამიანებს აღნიშნავს. **Chi viene ? Che** უცვლელია, მაგრამ აღნიშნავს მხოლოდ საგნებს. **Che fai ? Quale** აღნიშნავს როგორც ადამიანებს, ისე საგნებს, მას არასოდეს არ ახლავს არტიკლი. **Quale vestito ti piace di più ? Quanto** აღნიშნავს როგორც ადამიანებს, ისე საგნებს. **Quanti sono venuti ?** სხვა კითხვითი ნაცვალსახელება: **Perché, come, dove. Perché sei venuto ? Come fai ? Dove vai ? Da dove vieni ?** ძახითი ფორმებია: **chi, che, quale, quanto, come. Chi si vede ! Che bello ! Quale temerità ! Quanto sei bella ! Quanti fiori ! Com'è simpatica !** განუსაზღვრელი ნაცვალსახელი **tutto** შეიძლება გაძლიერებულ იქნას ფორმით **quanto. Lo conoscono tutti. Vengono tutti quanti. Tale**, ნაცვალსახელს ახლავს განუსაზღვრელი არტიკლი და ნიშნავს « ვიღაცას ». მაგალითად: **C'è un tale che ti cerca.** განუსაზღვრელი ნაცვალსახელის ფორმებია: **uno, ognuno, chi, chiunque, qualcosa, niente, nulla.** მაგალითად: **C'è uno che ride. Uno-**მ, შეიძლება უპირო მნიშვნელობა მიიღოს. მაგალითად: **Quando uno non vuole studiare, inutile insistere. Qualcuno** ჩაიმის მხოლოდ მხოლოდობითში. **Sento cantare qualcuno. Ognuno ha la propria idea. Chi** გამოიყენება მხოლოდ პიროვნებების მიმართ. მაგალითად: **Chi rompe paga. Chiunque lo sa fare. Qualcosa, niente, nulla,** გამოიყენება საგნების აღსანიშნავად. თუ ისინი ზმნის წინ დგანან, მაშინ უარყოფითი ნაწილაკი საკვალდებულო არაა, მაგრამ თუკი ზმნას მოსდევენ, უარყოფის ნაწილაკი **non**

აუცილებლად დაისმის. მაგალითად: **Niente è accaduto. Non è accaduto niente.** ზრდილობიანი ფორმები იტალიურში გადმოიცემა ნაცვალსახელებით მხოლოდითი რიცხვის მესამე პირში **Lei**, მრავლობითში **loro. Lei può venire.** თუ მდებარეობითი სქესის მიმართ იყენებენ ამ ნაცვალსახელს, მაშინ ნამყო მიმღეობა და ატრიბუტი უთანხმდება სქესსა და რიცხვში იმ პირს, რომელსაც მიმართავენ. მაგალითად: **Lei è stato comprensivo, Signore. Lei è stata comprensiva, Signora. Loro sono stati comprensivi, Signori. Loro sono state comprensive, Signore.** ფორმა **voi** გამოიყენება ყოველთვის კომერციულ მეტყველებაში. ფაშისტების ოკუპაციის დროს იგი გამოიყენებოდა **Lei**-ს ნაცვლად.

ლინგვისტიკაში გამოყოფენ ისეთ ელემენტებს, რომელთა მოქმედება პრობლემატურია, რადგან მათ უკავიათ შუალედური ადგილი. ისინი არც დამოუკიდებელი სიტყვებია და არც აფიქსები. ასეთ ელემენტებს უწოდებენ კლიტიკებს.² XIX საუკუნის კომპარატივისტები და სტრუქტურალისტები ანსხვავებენ პროკლიტიკებს და ანკლიტიკებს იმის მიხედვით, ის სიტყვას მოსდევს თუ მას წინ უსწრებს. რომანულ ენებში პირის ნაცვალსახელები ორ დიდ ჯგუფში ნაწილდება. ერთი მხრივ ეს ნაცვალსახელები კლიტიკებია, რომელთაც უწოდებენ ძლიერ ფორმებს და მეორე მხრივ, რასაც უწოდებენ ტრადიციულად ძლიერ ფორმებს, მახვილიანი ან დამოუკიდებელი ფორმებია, რომელთაც იგივე დისტრიბუციული მოქმედების არე აქვთ როგორც ჩვეულებრივ სახელად სინტაგმებს.

მაგალითად:

1. a. F. Pierre te le donnera.

² ესაა სიტყვა, რომელიც ეყრდნობა წინა სიტყვას და მასთან ერთად ქმნის ერთ მახვილიან ერთეულს. მაგალითად: **ce**, სიტყვათა ჯგუფში **qu'est-ce**. პროკლიტიკი იგივეა, მაგრამ მას არ აქვს მახვილი. ესენია არტიკლები, მიმართებითი ნაცვალსახელები, ერთმარცვლიანი წინდებულები.

b. I. Pietro te lo dar .

E. Pedro te lo dar 

2. a. F. Pierre lira un livre pour Marie/ pour elle.

b. Pierre donnera le livre   Marie.

c. I. Pietro dar  il libro a Maria.

E. Pedro /lo/ dar  un libro a Maria.

პირველ ჯგუფში ჩანს, რომ დეიქტიკური ნაცვალსახელები ზმნის წინაა. მეორე ჯგუფში 2a-ში ნაცვალსახელი *elle* ზმნის შემდეგაა. უნდა აღვნიშნოთ ასევე, რომ მიცემითი ბრუნვის ნაცვალსახელი *te* წინ უსწრებს ბრალდებითი ბრუნვის ნაცვალსახელს. სიტყვათა რიგი ბრალდებითი ბრუნვა მიცემითი, შესაძლებელია იმ სინტაგმებისათვის, რომელიც მოცემულია მეორე ჯგუფში. შეიძლება დავასკვნათ, რომ ნაცვალსახელები სპეციალური ტიპის კლიტიკებია.

პირველი ნაშრომები, რომლებიც გენერაციული ლინგვისტიკის მიერ იქნა შესწავლილი, დასაწყისში კლიტიკების შესახებ იხრებოდა იქითკენ, რომ ამ ელემენტებს განიხილავენ, როგორც განსაკუთრებული სინტაქსური სტატუსის მქონე ელემენტებს. ფრანგული ენიდან გამომდინარე, რომელიც კეინმა გამოაშკარავა, მხედველობაში მიიღო ამ ელემენტების განსაკუთრებული სინტაქსური ნიშნები, რომელიც დამახასიათებელია უმეტესობა რომანული ენებისათვის. რომანულ ენებში კლიტიკური ნაცვალსახელებისათვის ყველაზე თვალში საცემი თვისებაა ის, რომ ის არ ჩნდება იმავე პოზიციაში რასაც ადგილი აქვს სახელად სინტაგმაში SN ან ნაცვალსახელოვან სინტაგმაში SP. საქმე იმაშია, რომ ნაცვალსახელები ჩვეულებრივ სრული ზმნის წინ გვხვდება, მაშინ როდესაც მათი ადგილი სრულ სინტაგმაში, ზმნის შემდეგაა.

მაგალითად:

I. a. Martina legge il libro.

F. b. Martine lit le livre.

E. c. Martina lee un libro.

I. a. Martina lo legge.

F. b. Martine le lit.

E. c. Martina le lee.

მონაცემები იდენტურია ფრანგული, ესპანური და იტალიური ენებისათვის. კლიტიკების წყობა ფიქსირებულია, იმის საპირისპიროდ, რაც დამახასიათებელია დამატება სინტაგმებისათვის.

მაგალითად:

F. a. Martine donnera le livre à Jean/ à Jean le livre.

I. b. Martina dará il libro a Gianni/ a Gianni il libro.

E. c. Martina dará el libro a Juan/ a Juan el libro

F. d. Martine le lui donnera.

I. e. Martina glielo dará.

E. f. Martina se lo dará .

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სიტყვათა რიგი ფრანგულსა და იტალიურში საპირისპიროა. განსაკუთრებით ფრანგულში, რადგან თუ დამატება ნაცვალსახელი მესამე პირითაა გადმოცემული, ჯერ ბრალდებითი ბრუნვა იქნება, მერე მიცემითი, ხოლო თუ ნაცვალსახელები სხვადასხვა პირითაა გადმოცემული მაშინ, ჯერ მიცემითი იქნება, ხოლო შემდეგ ბრალდებითი. მაშასადამე ჩნდება. სირთულეები განსაკუთრებით კლიტიკების თანმიმდევრობის მიხედვით. იმ შემთხვევაში თუ კლიტიკი ახლავს ზმნას, რომელიც ინფინიტივშია ან მიმღებობით ფორმაში, მაშინ იტალიური, ესპანური და ფრანგული ენები ითხოვენ ენკლიზას-ს.

მაგალითად:

I. Martina vuole leggerlo.

F. Martine veut le lire.

E. Martina quiere leerlo.

E. Habíendolo leído, fue fácil decidir.

I. Avendolo letto, fu facile decidere.

F. En l'ayant lu, il fut facile de décider.

უნდა აღნიშნოს, რომ იტალიურსა და ესპანურში მსგავსი ტენდენციები შეიმჩნევა. კლიტიკები მიბმულია ზმნასთან. ხოლო ფრანგულში ინფინიტოვისა თუ მიმდებარებითი ფორმების წინ ადგილი აქვს პროკლიზს. ბრძანებით კილოში კლიტიკები თავისებურებას იჩენენ. სტანდარტულ ფრანგულში თუ ზმნა ბრძანებითი კილოს დადებით ფორმაშია, კლიტიკები თავს იჩენენ, როგორც ანკლიტიკები, ხოლო ბრძანებითი კილოს უარყოფით ფორმაში როგორც პროკლიტიკები.

მაგალითად:

F. Lis - le !

Ne le lis pas !

სასაუბრო ენაში ბრძანებით კილოში, სადაც **ne** ნაწილაკი არ გამოიყენება, ადგილი აქვს კლიტიკების მონაცვლეობას დიალექტების მიხედვით.

მაგალითად:

F. Le lis pas !

F. Lis - le pas !

ესპანურ ენაში სიტუაცია სტანდარტული ფრანგულის მსგავსია. მაგრამ იმპერატივის სპეციფიკური ფორმები შესაძლებელია მხოლოდ ბრძანებითის დადებით ფორმებში. ბრძანებითი კილოს უარყოფით ფორმაში გამოიყენება კავშირებითი კილო.

მაგალითად:

E. Léelo ! No lo leas !

იტალიურ ენაში ბრძანებით კილოში გვხვდება უფრო სპეციფიური ფორმები.

მაგალითად:

I. Leggi - lo! Non lo leggere! Non leggerlo!

Leggete - lo ! Non lo leggete ! Non leggetelo !

Lo legga ! Non lo legga! Non leggalo!

იტალიურში კლიტიკების ადგილის მიხედვით სიტუაცია გაცილებით რთულია, ვიდრე სხვა ენებში. უარყოფით ფორმაში გვაქვს ინფინიტოვის ფორმა. კავშირებითი კილოს ფორმები დასაშვებია ყველა პირში, ოღონდ მათ უფრო მოწოდების ფორმა აქვს და ის უფრო ფორმალური რეგისტრიდან გამომდინარეობს. თუ უარყოფითი ფორმა არ გვაქვს, მაშინ კლიტიკი წინ დაისმის, ხოლო უარყოფით ფორმასთან ორივე დასაშვებია. კავშირებით კილოსთან კლიტიკი ყოველთვის მოსდევს ზმნას, თვით უარყოფით ფორმასთანაც კი. თავიანთი განსაკუთრებული სწორხაზოვანი პოზიციის გარდა, თანამედროვე რომანულ ენებში კლიტიკები ყოველთვის ზმნასთან უნდა ახლოს იდგნენ, გარდა ზოგიერთი გამონაკლისი შეზღუდული შემთხვევისა. ეს წესი კატეგორიულად დაცულია ყველა რომანულ ენაში, როდესაც საქმე ეხება ენკლიტიკებს.

მაგალითად:

I. *Leggi - bene - lo! *Voglio leggere - bene - lo

E. *Lée - bien - lo! *Quiero leer - bien - lo!

F. *Martine le souvent lit.

I. *Martina lo non legge.

E. *Martina lo no lee.

ფრანგული მაგალითი ნაკლებად სარწმუნო ჩანს, რადგანაც ჩვეულებრივ დაუშვებელია ზმნიზედის დასმა ზმნის წინ. თუმცა ინფინიტიურ კონსტრუქციებთან, სადაც კლიტიკი ინფინიტივთან ზმნის შემდეგ დგას, შეიძლება დავანახოთ ნათლად განსხვავება. სინამდვილეში, ინფინიტივების წინ შეიძლება იდგეს ზმნიზედა.

მაგალითად:

F. Je veux bien le regarder. *Je veux le bien regarder.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კლიტიკები შეიძლება დავაშოროთ ზმნებს. შეუძლებელია ჩავსვათ იმ წინადადებაში, სადაც ზმნა, რომელზეც ისინი დამოკიდებულია, გამოტოვებულია.

მაგალითად:

F. Que voit Martine ? *Le./*Me [=Martine le/me voit].

I. Che vede Martina ? *Lo./*Mi.

E. Qué ve Martina ? * a mí/ me ve a mí

F. *Jean la voit, et Martine le/me. [=et Martine le/me voit].

I. *Gianni la vede e Martina lo/mi.

E. *Juan la ve y Martina a mí. [Martina ve a mí].

კლიტიკი სემანტიკურად ატრიბუტი ზედსართავის დამატებაა მიცემით ბრუნვაში, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს მაკავშირებელი ზმნა.

მაგალითად:

F. L'article semble incompréhensible à Paul.

L'article lui semble incompréhensible.

I. L'articolo gli sembra incomprensibile.

E. El artículo le parece incomprensible.

ზმნის არ ქონის შემთხვევაში, ეპითეტი ზედსართავი არ შეიძლება მართავდეს მიცემითი ბრუნვის კლიტიკს. ამ შემთხვევაში გამოიყენება წინდებულთ შემოყვანილი ფორმა.

მაგალითად:

F. Un article incompréhensible pour lui.

I. Un articolo incomprensibile per lui.

E. Un artículo incomprensible para él.

მოცემული მაგალითების მიხედვით კლიტიკები რომანულ ენებში სპეციალური კლიტიკებია. თუმცა მათი მდებარეობის პრინციპი დამოკიდებულია სინტაქსურ და მორფოსინტაქსურ თვისებებზე და არა პროსოდიკაზე. ეს გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ კლიტიკები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ზმნის ფლექსიური აფიქსები, ყოველ შემთხვევაში თანამედროვე რომანულ ენებში. კვინი აღნიშნავს, რომ კოორდინაციის თვალსაზრისით ფრანგულ ენაში კლიტიკები არ მოქმედებენ ისე, როგორც სრული სინტაგმები. კვინი მიუთითებს იმაზეც, რომ ფრანგულში დამატება კლიტიკებს არ შეუძლიათ ჰქონდეთ ფართო ზეგავლენა ზმნების კოორდინაციაზე.

მაგალითად:

F. *Martine la voit et écoute.

[შეადაროთ: **Martine voit et écoute Marie**]

I. *Martina la vede e ascolta.

[შეადაროთ: **Martina vede e ascolta Maria**].

სხვა რომანულ ენებში საკითხი უფრო რთულადაა. ყველა შემთხვევაში ფართო გამოყენება შეუძლებელია.

მაგალითად:

I. *Voglio vedere e ascoltarla. [je] veux voir et écouter - la.

E. *Quiero ver y escucharla.

ფრანგულ ენაში, ჩვეულებრივ შეუძლებელია ნაცვალსახელის ძლიერი ფორმის გამოყენება თუკი

არსებობს შესაბამისი კლიტიკი. შეიძლება ითქვას, რომ დამატება ნაცვალსახელების კლიტიზირება აუცილებელია. მაგალითად:

F. *Marie voit moi/toi/elle/lui/nous/vous/eux.

Marie me/te/le/la/nous/vous/les voit.

***Marie parle à moi/toi/elle/lui/nous/vous/eux.**

Marie me/te/lui/nous/vous/leur parle.

ესპანურშიც, იტალიურისგან განსხვავებით ერთი შეხედვით იგივე მდგომარეობაა, მაგრამ ის უნდა განხილულ იქნას სხვანაირად, ვიდრე სტანდარტულ ფრანგულში.

მაგალითად:

E. *Veo solo a él. [je] vois seulement à lui.

Lo veo solo a él. [je] le vois seulement à lui.

***Hablo solo a él. [je] parle seulement à lui.**

Le hablo solo a él. [je] lui vois seulement à lui.

ამ თვალსაზრისით იტალიური თითქოს დგას მეორე ბოლოში. რთულია თქვა, რომ ამ ენის ნაცვალსახელების კლიტიზაცია აუცილებელია. არაკლიტიზაცია შესაძლებელია დამატება ნაცვალსახელის მოდიფიკაციისა და კოორდინაციის გარეშე, მაგალითად კონტრასტული ფოკალიზაციის შემთხვევებში.

მაგალითად:

I. Adesso vogliamo andarcene a Roma.

Perché te la prendi con me ? (pourquoi t'en prends - tu à moi).

Se ne intende di politica. (Il s'y entend en politique):

La penso come te. (Je pense comme toi).

Smetti la con queste storie ! - მორჩი ამ ამბებს.

ნაცვალსახელებს კლიტიკებს რომანულ ენებში აქვთ თვისებები, რომლებიც ერთი შეხედვით შუალედურია

სიტყვებსა და აფიქსებს შორის. ენების მიხედვით კლიტიკური ნაცვალსახელების მოქმედება მეტ-ნაკლებად ახლოსაა აფიქსებთან.

დასკვნა. რომანულ ენებში კლიტიკები უამრავი შრომის კველვის ობიექტი ხდება. ძირითადი აქცენტი კეთდებოდა სინტაქსურ მოვლენებზე, ისე, რომ ანგარიშს არ უწევდნენ მორფოლოგიურ და ფონოლოგიურ თვისებებს. ჩვენი ამოცანაა, შევუხამოთ მორფოფონოლოგიური თვისებები სინტაქსურ მახასიათებლებს. კლიტიკები განეკუთვნება იმ სფეროს, რომლითაც უნდა გავიგოთ გრამატიკის სხვადასხვა მოდულების ურთიერთქმედება და მათი შინაგანი ორგანიზაცია. უმეტესობა რომანულ ენებში კლიტიკები მოქმედებს როგორც მორფოლოგიური ელემენტები. ისინი თვისებებით ძალზე ახლოსაა ფლექსიურ აფიქსებთან.

თავი VII ზმნა

ზმნა არის მოქმედების ან მდგომარეობის აღმნიშვნელი ფორმაცვალებადი სიტყვა, რომელიც იცვლება, უპირველეს ყოვლისა, პირის, რიცხვის, დროისა და კილოს მიხედვით. ხშირად ამათ ემატება აგრეთვე ზმნის ცვლა ჯერობის, აქტის, თანამდევრობის კატეგორიების მიხედვითაც.

ზმნის ცვლას ჩამოთვლილი კატეგორიების მიხედვით უღლება ეწოდება. ქართულში ზმნის კატეგორიები ორი სახისაა: უღლებისა და წარმოქმნისა. უღლებისაა კატეგორია, თუ ის ზმნის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას არ ცვლის, მაგრამ აუცილებლად მონაწილეობს ამა თუ იმ მწკვრივის წარმოებაში. უღლების კატეგორიებია: პირი, რიცხვი, დრო, კილო, ჯერობა, აქტი. უღლების კატეგორიები მოქმედებენ მწკვრივთა ფარგლებში. ამიტომ ზმნა შეიძლება ასედაც განიმარტოს: ზმნა არის უღლებადი სიტყვა, ანუ

სიტყვა, რომელიც იცვლება მწკერივთა მიხედვით. წარმოქმნისაა კატეგორია, რომელიც ცვლის ზმნის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას. წარმოქმნილი ზმნა იმეორებს ძირეული ზმნის მწკრევებს. წარმოქმნის კატეგორიებია: მიმართულება (გეზი), ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი. პირი არის ზმნის ფორმა, რომელიც აღნიშნავს მოუბარს ან თანამოუბარს ან კიდევ მათი საუბრის საგანს. ქართული ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი. ქართულში ზმნა იმდენპირიანია, რამდენ პირის ნაცვალსახელსაც შეიწყობს. ზმნა, რომელიც ბრუნვაცვალებად ობიექტურს პირს შეიწყობს, გარდამავალია, ხოლო ზმნა, რომელსაც ბრუნვაუცვლელი ობიექტური პირი შეეწყობა, გარდაუვალია. ზმნასთან შეწყობილი მოქმედი პირი შეიძლება იყოს ერთი ან ერთზე მეტი. ზმნა შეიძლება გამოხატავდეს ერთი პირის მოქმედებას ან ერთზე მეტი პირის მოქმედებას.

დრო ეწოდება ზმნის ფორმას, რომელიც გვიჩვენებს (თქმის, დაწერის) მომენტს. დრო სამია ქართულში: ახლანდელი, წარსული და მომავალი. გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა, ახლანდელი დროის ფორმა შეიძლება აღნიშნავდეს მუდმივ მოქმედებას. მაგალითად: ზამთარს ზაფხული მოსდევს. მოქმედებას, რომელიც ჩვეულებრივ მეორდება განუსაზღვრელად ხანგრძლივ დროში. მაგალითად: მემწვანილე ბაზარში ყველაზე ადრე მიდის. მოქმედებას, რომელიც მოხდება თქმის შემდეგ. მაგალითად: ჩასვლისთანავე დეპეშას ვაგზაჟნით. კილო არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოსაუბრის მიერ დასახელებული მოქმედება უნდა იქნეს გაგებული ან როგორც უეჭველი ფაქტი, ან როგორც შესაძლებელ - საუარაუდებელი, ან კიდევ, როგორც შესასრულებელი (ა. შანიძე). კილო არის თხრობითი, კავშირებითი ან ბრძანებითი. ჯერობა არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს რამდენჯერაა ჩადენილი მოქმედება - ერთხელ თუ მრავალჯერ, ანუ ერთგზის თუ

მრავალგზის (ა. შანიძე). ახალ ქართულში მრავალგზისობის ფუნქციის გამოხატვა უწყვეტელსა და ხოლმეობითს დაეკისრა: მაგალითად: მხოლოდ შენ კითხულობდი მის ამბავს. აქტი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს ნახა მოუბარმა ზმნით გამოხატული მოქმედება თუ არა. ქართულში აქტი ორია: ნახული და უნახავი. მწკრივის რაობა. ქართულ ზმნას ერთმანეთისაგან პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავებულ ფორმათა თერთმეტი ჯგუფი მოეპოვება. თითოეულ ამ ჯგუფს მწკრივი ეწოდება. აღნიშნული თერთმეტი მწკრივი სამ სერიად იყოფა. პირველ სერიაში 6 მწკრივია, მეორეში 2, მესამეში 3. უღლების კატეგორიებისაგან განსხვავებით, წარმოქმნის კატეგორიები ზმნას ახალ მნიშვნელობას ანიჭებენ. წარმოქმნის კატეგორიებია: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა და კონტაქტი.

გეზი არის გრამატიკული კატეგორია, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორია ზმნით გამოხატული მოქმედების დამოკიდებულება სივრცეში მდებარე სხვა პუნქტთან. ზმნით გამოხატული მოქმედება შეიძლება იყოს მიმართავი და მიმართული. მოქმედების მიმართულება გამოიხატება ზმნისწინის საშუალებით. მაგალითად: ცურავს და მი-ცურავს, მო-ცურავს. ორიენტაცია ჰქვია ზმნის კატეგორიას, რომელიც გვიჩვენებს როგორ დამოკიდებულებაშია მოუბარი პირი მოქმედების მიმართულებასთან. ორიენტაცია შეიძლება იყოს სააქეთო (მაახლოებელი) და საიქეთო (მაშორებელი). მაგალითად: მოდის კაცი, მოიყვანეს კაცი; მიდის კაცი, წაიყვანეს კაცი.

ასპექტი. ზმნის ფორმას, რომელიც აღნიშნავს მოქმედების დაუსრულებლობა-დასრულებულობას, ასპექტი ეწოდება. გვარდ არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორია ურთიერთობა გრამატიკულად მოქმედ პირსა და ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შორის (ა. შანიძე). გვარი სამია ქართულში: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი. ქცევის

რაობა. ზმნის ფორმას, რომელიც გამოხატავს კუთვნილებით-
 დანიშნულებით ურთიერთობას სუბიექტსა და ობიექტს
 შორის ან ობიექტსა და ობიექტს შორის, ქცევა ჰქვია. ქცევა
 სამია ქართულში: საარავისო, სათავისო და სასხვისო.
 ზოგიერთ ზმნას შეიძლება ქცევა არ ჰქონდეს. მაგალითად:
 ი-ცის. სიტუაცია. სიტუაცია არის ზმნის კატეგორია,
 რომელიც გვიჩვენებს მოქმედების ლოკალიზაციას ამა თუ
 იმ საგანთან მიმართებით. სიტუაცია არის მითითებული და
 მიუთითებელი. მითითებელია მოქმედება: ა-წერს, ა-დებს.
 კონტაქტი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ
 სუბიექტური პირი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე
 უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით. კონტაქტი არის
 უშუალო ან მეშვეობითი. უშუალო კონტაქტის ფორმა
 გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს უშუალოდ,
 სხვისი დახმარების გარეშე: წერს, ხატავს. შუალობითი
 კონტაქტის ფორმა გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი
 მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე ირიბი ობიექტის მეშვეობით.
 აწერინებს, ახატვინებს. ქართულში უღლების ოთხი ტიპია.
 პირველი ტიპის უღლებას განეკუთვნება მოქმედებითი
 გვარის ზმნები, მეორეს - დინამიკური ვნებითი, მესამეს -
 (მედიაქტივი), მეოთხეს - საშუაალ-ვნებითი (მედიაპასივი)
 და სტატიკური ვნებითი გვარის ზმნები. სახელზმნა. სიტყვას,
 რომელიც სახელის ნიშნებს ატარებს და ზმნისასაც,
 სახელზმნა ჰქვია. სახელზმნა ორი სახისაა:
 საწყისი(მასდარი) და მიმდებარე.

რომანულ ენებში გამოიყოფა ანალოგიური ლექსიკო-
 გრამატიკული ჯგუფები: ძირითადი და დამხმარე, პირიანი
 და უპირო, გარდამავალი და გარდაუვალი. ფრანგულ ენაში
 დამხმარე ზმნების რაოდენობა დიდია და იგი თამაშობს დიდ
 როლს წინადადების გრამატიკულ ორგანიზაციაში. იგი
 დაკუთმირებულია ენის საერთო ანალიტიკურ ტენდენციებთან.
 ისეთი ზმნები როგორცაა **avoir, aller, venir, faire, laisser,**
être და მოდალური ზმნები **pouvoir, vouloir, devoir**

გამოიყენება დამხმარე ზმნების მნიშვნელობით. ამით განსხვავდება ფრანგული ქართული ენისაგან, თანაც მოდალურ ზმნებს ქართულში არ აქვთ ასეთი ფართო გამოყენება. ყველა ენაში ზმნები განსხვავდება ერთმანეთისაგან ვალენტობის მიხედვით, ანუ იმ უნარით, რომლითაც უთანხმდება წინადადების წევრებს, (სუბიექტსა და ობიექტს). ფრანგულში ანსხვავებენ 3 პირსა და 2 რიცხვს. ფრანგულში სქესის კატეგორია გამოიხატება წარსული დროის მიმდევობით ანალიტურ პასოჟში: *elle fut invitée, être*-ით ზმნების უღლებისას; *tu es allée, avoir*-ით უღლების დროს დამატების პრეპოზიციის შემთხვევაში - *la voisine que j'ai rencontrée*. ზეპირმეტყველებაში სქესი გამოიხატება არარეგულარულად. ფრანგულ ენაში სისტემა მოიცავს 10 ფორმაზე მეტს ინდიკატოვში. ეს აიხსნება სპეციფიკური ოპოზიციის არსებობით. მათ მიეკუთვნება: 1. დროისეული მიმართება; 2. მოვლენის წარმოდგენის სიზუსტე და ხაზოვნება; 3. მოქმედების აქტუალურობა და არაქტუალურობა; 4. დროისეული ინტერვალი.

ასპექტის კატეგორია. მისი ძირითადი მნიშვნელობაა - მოქმედების მიმართება შიდა ზღვართან (მისი დასრულებულობა ან დაუსრულებლობა). ფრანგულში ასპექტისეული მნიშვნელობები შეიძლება გამოიხატოს ლექსიკო-გრამატიკული საშუალებებით, თვით ზმნების სემანტიკით. ანსხვავებენ დურაციულ ზმნებს *aimer, hair*; რეზულტატიურს - *trouver*; არარეზულტატიურს - *chercher*; აფიქსებით - *s'endormir*; გამეორებას - *sautiller*; ზმნური პერიფრაზირებით - *commencer, se metre à faire qch*. კილოს კატეგორია და მოდალურობა. ფრანგულში ანსხვავებენ კილოს კატეგორიას ანუ ზმნის გრამატიკულ კატეგორიას და მოდალურობას, რომელიც უფრო ფართო ენობრივი კატეგორიაა. კილო გამოხატავს მოქმედების მიმართებას სინამდვილისადმი. ფრანგულში გამოიყოფა 4 კილო: თხრობითი, პირობითი, კავშირებითი და ბრძანებითი.

ფრანგულში ბრძანებითი კილო ფორმალურად ემთხვევა თხრობითს. ფრანგულში ხშირად თხრობითი კილო გამოიყენება ირიბი კილოს ფუნქციით. მაგალითად: **un pas de plus et vous êtes mort.** გვარის კატეგორია. ისეთი კატეგორიაა, რომელიც გამოხატავს ურთიერთმიმართებას, გრამატიკულ და სემანტიკურ სუბიექტსა და მოქმედების ობიექტს შორის. ფრანგულში ოთხი გვარი გვაქვს: საშუალი, აქტიური, პასიური, უკუქცევითი. აქტიურ გვარს მიეკუთვნება ზმნები, რომლებიც აღნიშნავენ მოქმედებას, რომელსაც ასრულებს სუბიექტი და მიმართულია ობიექტისაკენ. მაგალითად: **Il a donné un livre à son ami.** პასიური ფორმა ფრანგულში გადმოიცემა ზმნა **être**-ით და საუღლებელი ზმნის ნამყო მიმღობით. მაგალითად: **Les motocyclistes précèdent la voiture - La voiture est précédée de motocyclistes,** ვნებითი გვარი ორგვარია: დინამიკური და სტატიკური. უკუქცევითი ფორმა - ეს ფორმა მრავალმნიშვნელოვანია. ფრანგულში **se** ნაწილაკი იცვლება პირის მიხედვით. **Je me lave, tu te, il se.** მაგალითად: **Ce plat se mange froid.** კაუზატიურობის კატეგორია. ესაა ობიექტის გარკვეული მდგომარეობის შექმნა. **Devenir sourd, rendre sourd;** ანდა **faire, laisser+infinitif** - ზოგიერთი ლინგვისტი მას ანალიტურ ფორმად მიიჩნევს. ფრანგულში უღვლილების 3 ჯგუფი არსებობს. I და II ჯგუფებში შედის ზმნები, რომლებიც ახალ წარმოქმნილი ზმნებისათვის ნიმუშებს წარმოადგენენ. მაგალითად: **radiographier, téléviser, atomiser...** III ჯგუფის ზმნები, მეტ-ნაკლებად არაწესიერია. ფრანგულში სამი გვარია. აქტიური, ვნებითი და ნაცვლასახელოვანი. მაგალითად: **Le vent souffle. L'arbre est abattu. Le vent se calme.** ფრანგულში არის 7 კილო. აქედან 4 კილო პირიანია(თხრობითი, პირობითი, ბრძანებითი, კავშირებითი) და 3 კილო უპირო. ინფინიტივი, ნამყო და გერუნდოვი. თითოეულ კილოში ერთი ან მრავალი დროა. ფრანგულ ენაში ანსხვავებენ მარტოვ, რთულ და ზერთულ

დროებს. მაგალითად: **Je chante, j'ai chanté, j'ai eu chanté.** დამხმარე ზმნებია **avoir, être**, რადგან ისინი მონაწილეობას იღებენ სხვა დროების წარმოებაში. ბრძანებით კილოს მხოლოდ სამი პირი აქვს. არსებობს ზმნები, რომელთაც მხოლოდ ერთი პირი აქვთ. მათ უპირო ზმნები ჰქვია. მაგალითად: **Il pleut.** კითხვით ფორმაში ხდება ქვემდებარის ინვერსია, მაგრამ ძალზე ხშირად იყენებენ გალიციზმს: **est - ce que**, რომელიც აღარ ითხოვს ინვერსიას. მაგალითად: **Est - ce que tu ne viens pas ?** ფამილარულ მეტყველებაში, საკმარისია მხოლოდ ინტონაცია. **Tu viens ?** ზოგჯერ კეთილზმონებისათვის დაისმის **t, -e, -a**-ს წინ. მაგალითად: **Chante - t - elle ?**

თხრობით კილოს ხუთი დრო აქვს, რომელთაგან თითოეულს სამი ფორმა გააჩნია: მარტივი, რთული და ზერთული. აწმყო დრო შეიძლება გამოყენებულ იქნას უახლოესი მომავლის აღსანიშნავად. მაგალითად: **Je pars demain pour un long voyage** - მე მივემგზავრები ხვალ ხანგრძლივ მოგზაურობაში. პირობით წინადადებაში **Présent** გამოიყენება დამოკიდებულ წინადადებაში, აღნიშნავს მოქმედებას, რომლის რეალიზაცია დამოკიდებულია გარკვეულ პირობებზე. მაგალითად: **Si nous recevons la moindre nouvelle, mon fils ira vous le porter aussitôt** - თუ ჩვენ შევიტყობთ სულ პატარა ახალ ამბავს, ჩემი ვაჟიშვილი მაშინვე წამოვა ამბის შესატყობინებლად. აწმყო დრო გამოიყენება ახლანდელი წარსულის მნიშვნელობით; მაგალითად: **Je vous ramène votre petit garçon qui s'était perdu près de la rivière** - მე მოგიყვანეთ თქვენი ბიჭუნა, რომელსაც გზა დაეხნა მდინარესთან. ფრანგულში გამოყოფენ **Présent historique** - ესაა ზმნის უსრული ასპექტის ახლანდელი დრო. მაგალითად: **Je regardais avec inquiétude la lumière des lampes qui menaçaient de s'éteindre. Tout à coup une harmonie semblable au chœur lointain des esprits célestes se fit entendre. Je me lève et**

j'avance - შეწუხებული ვუცქერდი ნათურებს, რომლებიც ჩაქრობას ლამობდნენ. უცებ გაისმა ღვთაებრივი მუსიკა, რომელიც სერაფიმების შორეულ გუნდს მოგვაგონებდა. მაშინ წამოდექი და გავემართე. **Imparfait** - აღნიშნავს მოქმედებას, რომელშიც არაა გადმოცემული არც დასაწყისი და არც დასასრული. ესაა უსრული ასპექტის წარსული დრო. მაგალითად: **J'adorais ma mère, je redoutais mon père et je les respectais tous les deux** - დედას ვაღმერთებდი, მამის მეშინოდა, მაგრამ ორივეს პატივს ვცემდი. **Imparfait** - სგრამატიკული მნიშვნელობა შეიძლება ურთიერთქმედებდეს ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობასთან. მაგალითად: **A huit heures moins cinq j'arrivai devant l'hôpital. Cinq minutes plus tard, l'auto du chef s'arrêtait devant la grille** - რვას რომ ხუთი წუთი აკლდა მე ვიყავი სააუადმყოფოს წინ. ხუთი წუთის შემდეგ ჭიშკართან შეფის მანქანა გაჩერდა. ამ დროს უწოდებენ **imparfait stylistique**. ის გადმოსცემს უახლოეს წარსულს სხვა წარსულ დროსთან მიმართებაში. მაგალითად: **Nous arrivions à peine, que l'orage éclata**. მას შეუძლია გადმოსცეს მომავალი მოქმედება სხვა წარსულ მოქმედებასთან მიმართებით. **J'ai appris que tu revenais demain**. მას შეუძლია გადმოსცეს წინარე წარსული წარსულ პლანში. მაგალითად: **Sans toi, il se noyait**. სავარაუდო ან არარეალიზებული მოქმედება. მაგალითად: **Si j'avais un vélo, je serais heureux**. **Imparfait** გადმოსცემს ვარაუდს, მუქარას, სურვილს: **Et si je te dénonçais !** არსებობს **Imparfait de politesse, de tendresse: Vous désiriez Madame ? - Je voulais un renseignement**. **Imparfait** შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც გამომყოფი საშუალება. მაგალითად: **20 jours avant moi, le 15 août 1768, naissait dans une île, l'homme qui a mis fin à l'ancienne société, Bonaparte** - ჩემამდე 20 დღით ადრე, 1768 წლის 15 აგვისტოს კუნძულის მეორე მხარეს დაიბადა ბონაპარტე, ადამიანი რომელმაც წერტილი დაუსვა ძველ საზოგადოებას.

Imparfait-ს ეკვივალენტი „**présent du passé**“-ს ფუნქციაში არის არასრული ასპექტის წარსული ან აწმყო დრო.

მაგალითად: **Le fracas empêcha Jérôme de comprendre ce qu'elle disait** - ხმაურის გამო ჟერომს არ შეეძლო გაერჩია თუ რას ამბობს ის (ან რას ამბობდა ის).

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს **Imparfait**-თვის ეკვივალენტის შერჩევა რომელსაც იგი პირობითი წინადადების შემადგენლობაშია. აქ უნდა განვასხვაოთ რამდენიმე შემთხვევა:

1) თუ მთავარ წინადადებაში **futur du passé**-ა, **Imparfait**-ს ეკვივალენტი დამოკიდებულ წინადადებაში იქნება მომავალი დრო. მაგალითად: **Pierrot protesta qu'il tournerait le dos à Gaston s'il le rencontrait** - პიერომ დაგვარწმუნა, რომ თუ შეხვდება გასტონს, მას ზურგს შეაქცევს. ამ შემთხვევაში ორივე წინადადების შემასმენელი, მთავარისაც და დამოკიდებულისაც მყოფადის მწკრივით ითარგმნება. მართებულად თარგმნისათვის აუცილებელია ქართული პირობითი დამოკიდებული წინადადების ბუნების ცოდნა.

2) თუ მთავარ წინადადებაში **Conditionnel**-ია, დამოკიდებულ წინადადებაში **Imparfait**-ს ეკვივალენტი იქნება ან კავშირებითი ან ბრძანებითი კილო. მაგალითად: **Si je ne le savais pas en Amérique en bonne position, je croirais que c'est lui** - რომ არ ვიცოდე რომ ის ამერიკაშია და კარგადაა მოწყობილი, ვიფიქრებდი, რომ ეს ისაა.

3) პირობითი წინადადების მთავარ ნაწილში **imparfait**-ს გამოყენების შემთხვევაში, ქართულ ენაში მისი ეკვივალენტი იქნება კავშირებითი კილო გამაძლიერებელი ზმნიზედებით „უეჭველად“, ჩართულით „რა თქმა უნდა“, ანდა ბრძანებითი კილო კავშირებითის მნიშვნელობით. ასეთი მიმართებაა დამოუკიდებელ წინადადებაშიც, რომელიც გამოხატავს პირობითობას ან დათმობას.

მაგალითად: - **Un peu plus, tu m'échaudais la main** - კიდევ ცოტაც და შენ უეჭველად ხელს დამიმდუღრავდი.

4) უკავშირო პირობით წინადადებაში, რომელშიც ქვემდებარის ინვერსიაა მარკირებული და უარყოფითი მეორე ნაწილაკი ელიპსურ მდგომარეობაში, ქართულ ენაში **Imparfait**-ს შეესაბამება კავშირებითი ან ბრძანებითი კილო პირობითი მნიშვნელობით.

მაგალითად: **A vrai dire, pourquoi serait - elle sortie, n'était le desir de constater qu' elle était devenue respectable et respectée** - სიმართლე რომ ვთქვათ, გაერეოდა კი ის ხალხში თუ არა სურვილი დარწმუნებულიყო იმაში, რომ გახდა პატოცემული ქალი რომელიც პატოცისცემის ღირსი იყო.

Passé simple - წარსული დრო გადმოსცემს ზუსტ მოქმედებას, ქართულში მას შეესაბამება წარსული დროის სრული ასპექტის ფორმა. მაგალითად: **J'ouvris la fenêtre sans bruit et je m'assis au pied de mon lit** - უხმაუროდ გააღე ფანჯარა და დაჯექი ლოგინზე. **Passé simple**-ის დროისეული ჩარჩო რომელიც გამოხატავს ხაზობრივ ან განმეორებად მოქმედებას, შეიძლება დაზუსტდეს სიტყვებით ან სინტაგმებით, როგორცაა: **toujours, souvent, de temps en temps, longtemps, tout le jour, plusieurs fois, à plusieurs reprises**. მაგალითად: **Nous errâmes longtemps sous la lumière des enseignes de néon** ჩვენ დიდხანს დაეხეტებოდით ნეონის აბრების შუქზე.

თუ ზმნიზედა გამოიყენება, რომელიც მოქმედების ზღვარს გამოხატავს, ეკვივალენტად შეიძლება გვქონდეს წარსული დროის როგორც სრული, ისე არასრული ასპექტის მქონე ზმნები, ე. ი. ზმნისწინიანი ან უზმნისწინო წყვეტილი.

მაგალითად: **Il feignit de ne pas la voir et passa fièrement près d'elle. Elle en pleura pendant 2 jours et depuis lors elle souffrit sans fin** - მან თავი ისე მოაჩვენა, რომ თითქოს მას (ქალს) ვერ ხედავს და ამაყად ჩაუარა გვერდზე. მან (ქალმა)

ორი დღე იტირა (ქალი ორი დღე ტიროდა) და მას შემდეგ უსაზღვროდ იტანჯებოდა.

Passé composé - გამოხატავს წარსულ მოქმედებას. მისი ეკვივალენტია სრული ასპექტის წარსული დროის ზმნა.

ბრიუნოს განსაზღვრებით, მას უნარი შესწევს გამოხატოს: 1) წერტილოვანი მოქმედება (**le coup est parti**); 2) დროში შეზღუდული მოქმედება (**nous l'avons attendu deux ans**); 3) დროში შეუზღუდავი მოქმედება (**les hommes ont toujours vécu en société**). თუ გამონათქვამში მხოლოდ მოქმედების ფაქტის კონსტატირება ხდება, **Passé composé**-ს ეკვივალენტია უსრული ან სრული ასპექტის წარსული დრო. მაგალითად: **Nous avons roulé en silence jusqu'à Champeaux** - ჩვენ უხმოდ ვიმგზავრეთ შამპომდე. **J'ai lu dix heures de suite** - მე ათი საათი მიყოლებით ვკითხულობდი(ვიკითხე).

ქართულში ორი ვარიანტია შესაძლებელი. ლიტერატურულ ენაში დაპირისპირება **passé composé** და **passé simple** ხელს უწყობს მნიშვნელობის ნიუანსების გამოხატვას. ფრანგი ლინგვისტი კრესო ასე ახასიათებთ მათ „**Le passé défini détache du présent, le passé indéfini rattache au présent**”. **Passé composé**-ს კავშირი მეტყველების მომენტთან და **passé simple**-ის კავშირი შორეულ წარსულთან შეიძლება ქართულ ენაში დაზუსტდეს დროის გარემოებით. მაგალითად: **Tout à l'heure, ils se sont attardés auprès des ruines qui furent la maison de Lousteau**. თუ **P.C.** მოცემულია ჰიპოტეტიური წინადადების დამოკიდებულ ნაწილში, რომლის მთავარ ნაწილში გამოყენებულია **Futur simple, passé composé** გამოიყენება ამ შემთხვევაში **futur antérieur** - ის მნიშვნელობით. მისი ეკვივალენტი იქნება სრული ასპექტის მომავალი დრო:

მაგალითად: **Si dimanche ou lundi tu n'as rien reçu de moi, tu pourras revenir** - თუ კვირას ან ორშაბათს შენ არაფერს არ მიიღებ ჩემგან, შენ შეგიძლია დაბრუნდე. **Passé composé** შეიძლება გამოვიყენოთ **Présent d'anticipation** -

ის მნიშვნელობით. ქართულში მისი ეკვივალენტი იქნება მომავალი დრო. მაგალითად: **Avez - vous bientôt fini de battre cet enfant?** - ბოლოს და ბოლოს მორჩებით ამ ბავშვის ცემას. ემოციურად შეფერილ წინადადებაში ეკვივალენტი შეიძლება იყოს მომავალი დრო.

მაგალითად: - **Deux mots de plus, duègne, et vous êtes morte** - კიდევ ერთი სიტყვა, დუენია და თქვენ მოკვდებით. მან შეიძლება გადმოსცეს წინარე მოქმედება აწმყოსთან მიმართებით. მაგალითად: **Quand j'ai fini, je sors.** ის გადმოსცემს დასრულებულ მოქმედებას, რომლის შედეგიც კიდევ მოქმედებს. **Il a pris sa retraite (il est donc en retraite).** მას შეუძლია გადმოსცეს ზოგადი ჭეშმარიტება. **La discorde a toujours régné sur la terre.** უახლოეს მომავალში მომზადარი მოქმედება, რომელიც წარმოდგენილია, როგორც უკვე მომზადარი. მაგალითად: **Attends - moi: j'ai terminé dans deux secondes.** მოქმედება, რომელიც წინარე მომავალში შესრულდა. მაგალითად: **Si j'ai fini à temps, nous irons au cinéma ce soir.** ფიქსირებულ სტილში არსებობს ზერთული წარსული. მაგალითად: **Quand il a eu fini, il est sorti.**

Le plus - que - parfait - მისი ქართული ეკვივალენტია სრული ასპექტის მქონე წარსული დროის ზმნა. მაგალითად: **L'entretien avait commencé par un conseil personnel** - საუბარი დაიწყო პირადი ხასიათის რჩევით. ვაგნერი და პენშონი წერდნენ: „**Mais en rapport avec un autre verbe à la forme simple, il (le plus - que - parfait) est apte à traduire un rapport chronologique d'antériorité**“. ამ შემთხვევაში მიმართება წინარე მოქმედებისა ქართულ ენაში შეიძლება დაზუსტდეს ზმნიზებით. მაგალითად: ადრე, აქამდე და ა.შ. მაგალითად: **Quand j'arrivai, elle était partie** - როდესაც მოვედი, იგი უკვე წასულიყო. პირობით წინადადების დამოკიდებულ ნაწილში **plus - que - parfait**-ს ეკვივალენტი კავშირებითი ან ბრძანებითი კილო, პირობითი მნიშვნელობით. მაგალითად: **S'il avait écrit, je lui aurais répondu.** მას

შეუძლია გადმოსცეს ძახით წინადადებაში სინანულს
მაგალითად: **Si j'avais eu une moto, j'aurais été heureux**
მას აგრეთვე აქვს ფამილარულ სტილში ზერთული დრო
მაგალითად: **A peine avait - eu fini, qu'il s'en alla.**

Le passé antérieur - დამოკიდებულ წინადადებაში
გადმოიცემა სრული ასპექტის მქონე ზმნით. მაგალითად: **Dè
que j'eus fini de déjeuner, je retournerai au Luxembourg**
იგი შეიძლება შეგვხვდეს დამოუკიდებელ წინადადებაში
როდესაც სურთ გამოხატონ მოქმედება, რომელიც სწრაფად
დასრულდა. მაგალითად: **Et le drôle eut lapé le tout en un
moment.**

Le futur simple გამოხატავს ძირითადად მომავალ
მოქმედებას. მაგალითად: **Je partirai ce soir.** მას შეუძლია
გამოხატოს შერბილებული ბრძანება. მაგალითად: **Tu fera
les commissions ce soir en rentrant de l'école.** მას შეუძლია
გადმოსცეს განზრახვა, დაპირება, ალბათობა. მაგალითად: **Il
reviendra lundi. Je te rembourserai demain.** აღშფოთება
გამოხატავს არსებული ფაქტის წინაშე, რომელიც უნდა
გაგრძელდეს. მაგალითად: **Quoi ! ces gens se moqueront de
moi !** - როგორ ! ეს ადამიანები მე დამცინებენ ! ის
გადმოსცემს საერთო ჭეშმარიტებას სიტყვებთან **toujours
souvent, jamais.** მაგალითად: **Homme libre, toujours tu
chériras la mer.** ის გადმოსცემს წარსულ მოქმედებას, თვით
შორეულს (მას უწოდებენ **futur historique, de narration**)
**La campagne de Russie sera fatale à Napoléon, qu
abdiquera à Fontainebleau et se retirera à l'île d'Elbe.**

Le futur antérieur - მისი ეკვივალენტია სრული ასპექტის
მქონე მომავალი დროის ზმნა. მაგალითად: **Lucienne, grâce
à moi est partie pour Londres, espérons qu'elle sera arrivée
assez tôt.** **Le futur simple** - მისი ეკვივალენტია მომავალი
დრო, სრული ან სრული ასპექტის. მაგალითად: **Je t'écrira
demain. Je t'écrirai chaque jour.** **Le futur dans le passé**
მისი ეკვივალენტია უსრული ან სრული ასპექტის მქონე

ზმნა მომავალ დროში. მაგალითად: **Je pensais que vous seriez parti plus tôt.** მას შეუძლია გადმოსცეს მომავალი დრო, რომელიც განიხილება, როგორც უკვე შესრულებული მოქმედება. მაგალითად: **Attends un peu: j'aurai terminé dans dix minutes** - დამიცადე ცოტა ხანი: 10 წუთში მოვრჩები. მას შეუძლია გამოხატოს წარსულის მოქმედება, რომელიც გამოხატავს ემოციურ ნიუანსებს. მაგალითად: **Il aura encore perdu ses lunettes!** - მან ისევ დაკარგა სათვალეები! ფამილიარულ სტილში მას აქვს ზერთული დრო. მაგალითად: **Quand tu auras eu parlé, je pourrai peut-être dire un mot.**

Le conditionnel. მისი ანალოგია კავშირებითი კილო, რომელიც გამოხატავს საუარაუდო მოქმედებას. მაგალითად: **Si j'avais des jumelles, je pourrais lire les lettres que j'avais tracées** - ბინოკლი რომ მქონოდა, შევძლებდი იმ ასოების გარჩევას, რომლებიც მე თვითონ დავწერე. **Conditionnel** - გამოიყენება იმ საუარაუდო ინფორმაციის გადმოსაცემად, რომლის სისწორეში მოსაუბრე არაა, დარწმუნებული. იგი გამოიყენება ემოციურად შეფერილ გამოთქმებში, ძახით და კითხვით წინადადებებში. მაგალითად: **Tiens! C'est vrai serait-elle vraiment partie?** - მართლა ხომ არ გამგზავრებულა ის სინამდვილეში? მას აქვს, აწმყო და წარსული დროები. ფამილიარულ სტილში მას აქვს ზერთული დროც. მაგალითად: **Elle aurait eu dilapidé bien vite cette immense fortune**-ის ალბათ ჩქარა გაანიავენს ამ უზარმაზარ ქონებას. ზმნებს **dire** და **croire**-ს განუსაზღვრელ ფორმაში გააჩნიათ **Conditionnel**-ში შედარებითი მნიშვნელობა. მას შეესაბამება ეკვივალენტები „შეიძლება გეფიქრათ“, „ზუსტად“, „გეგონებოდათ“. მაგალითად: **Il y avait un très maigre avec de grandes mains, on aurait dit des pinces de homard** - მათ შორის იყო ერთი გამხდარი კაცი, გამხდარი ხელებით, რომლებიც ასთაკის მარწუხებს ჰგავდა.

ზერთული დროები - მისი ეკვივალენტია სრული ასპექტის ზმნა. მაგალითად: **Quand il a été parti, Mlle est rentrée** - როდესაც ის გაემგზავრა, მადმუაზელი სახლში დაბრუნდა.

L'impératif-ში მას აქვს ორი დრო, მარტოვი ანუ აწმყო და რთული ანუ წარსული. წარსული იშვიათია და გვხვდება მხოლოდ აქტიურ ფორმაში. მაგალითად: **Finis, aie fini à temps - Rentre, sois rentré(é) à l'heure.** თითოეულ ამ დროს მხოლოდ სამი პირი აქვს. ზრდილობიანი ფორმის მრავლობითი რიცხვი ხშირია ბრძანებით კილოში. მაგალითად: **Entrez, monsieur - Asseyez - vous, madame.** ის გადმოსცემს ბრძანებას, აკრძალვას. მას შეუძლია გადმოსცეს ახლო თუ შორეული მომავალი. მაგალითად: **Revenez ce soir - Revenez le mois prochain.** ბრძანებითი კილოს წარსული დრო იშვიათად გამოიყენება, მხოლოდ ისეთ ზმნებში, რომლებიც გამოხატავენ მოქმედების დასასრულს, რომელიც მომავალში უნდა შესრულდეს. მაგალითად: **Aie fini , sois parti quand ton père rentrera.** ზოგჯერ, ბრძანებას იძლევიან შეპარულად, მალვით, თხრობითი კილოს აწმყო დროით, იმისათვის, რომ იგი ძალზე უხეშად არ იქნეს შეგრძნებული. მას გადმოსცემენ ასევე თხრობითი კილოს უსრული ფორმით, ან პირობითი კილოს აწმყო დროით, ინფინიტივის აწმყო დროით. მაგალითად: **Tu prends en face, tu fais cent mètres, tu tournes à gauche. Si tu faisais tes devoirs ? Prendre un cachet par jour.** ბრძანებითი კილო შეიძლება იყოს ნაკლებად უხეში და გამოხატოს თავაზიანი მოპატიჟება, რჩევა, თხოვნა, სურვილი, ვარაუდი ანდა გამოვიდეს უბრალო შორისდებულის როლში. მაგალითად: **Entrez, messieurs. Aidez - moi. Fais un pas, je t'abats. Allons ! allez ! tiens ! voyons !...**

Subjonctif - ის ეკვივალენტია კავშირებითი კილო მოდალური ნაწილაკები « ნეტავ » - თუ იგი შემოყვანილია კავშირით **pourvu que.** მაგალითად: **En composant le numéro, il murmura: pourvu qu'elle ait réussi** - კრეფდა რა მის

ნომერს, ის ჩურჩულებდა: ნეტავი კი გამოუვიდეს. **Qu'on envoie immédiatement ambulance pour malade couché. Qu'on prépare salle d'opérations** - ახლავე გამოაგზავნონ სასწრაფო დახმარების მანქანა მწოლიარე აუადმყოფისათვის. მოაშხადონ საოპერაციო მაგიდა. **Sors d'ici ! Et que je ne te revoie plus** - აქედან გაეთრიე და მეტი აქ აღარ გნახო! კავშირებით კილოს შეიძლება ფამილარულ სტილში ჰქონდეს ზერთული დრო. მაგალითად: **Ne viens pas, avant que j'aie eu fini ce travail.** ის შეიძლება შეგვხედეს როგორც დამოუკიდებელ, ისე დამოკიდებულ წინადადებაში. ზოგჯერ იგი არაა შემოყვანილი კავშირით **que. Sauve qui peut.**

როდესაც მთავარ წინადადებაში **savoir** ზმნა **Subjonctif**-შია, მას ქართულში შეესაბამება შემზღუდავი ფორმულა, ჩართული „რამდენადაც ცნობილია“. მაგალითად: **Je ne sache guère d'orateur qu'on n'ait accusé de déclamation** - რამდენადაც ჩემთვის ცნობილია არ არსებობს ორატორი, რომელსაც არ ადანაშაულებდნენ ყალბ პათოსში. დამოკიდებულ წინადადებაში მას შეესაბამება თხრობითი ან კავშირებითი კილო. მაგალითად: **Voulez - vous que j'appelle un médecin** - გინდათ ექიმი გამოვიძახო.

იმ წინადადებაში, სადაც დამოკიდებული წინადადებები შემოყვანილია კავშირებით **jusqu'à ce que, avant que, d'ici que**, მას შეესაბამება თხრობითი კილო.

მაგალითად: - **Écoute, Caroline, avant que tu me quittes, je voulais te demander qch** - მომისმინე კაროლინა, სანამ შენ წახვალ, მე მინდა რაღაც გთხოვო. იმ წინადადებაში რომელსაც ეწოდება „**subordonnée de fausse cause**“ რომელიც კავშირი **non (pas) que** თი შემოდის მისი ეკვივალენტია არა იმიტომ+თხრობითი კილო. მაგალითად: **On décida qu'on ne le changerait pas de travail. Non que le courage lui manquât, au contraire, il était prêt à tout risquer** - გადაწყვიტეს არ დაერტვირათ ის საქმით. არა იმიტომ

რომ მას გამბედაობა აკლდა. პირიქით, ის მზად იყო ნებისმიერი რისკისათვის.

მაგალითად: **Aussi étouffant qu'il fasse dans le parc, nous y serons mieux** - როგორი სიცხეც არ უნდა იყოს პარკში, იქ უკეთესი იქნება.

Infinitif - ფრანგულში მას უფრო მეტი ფუნქცია აქვს - არსებობს მისი 2 მორფოლოგიური ფორმა. მარტოი(**finir, aller**) და რთული(**avoir fini, être allé**). რთული ფორმა აღნიშნავს წინარემოქმედებას პირიანი ზმნის ფორმასთან მიმართებით. მაგალითად: **Quelle folie d'être parti de les avoir laissés** - რა სიგიჟე იყო გამგზავრება და მათი დატოვება. **Infinitif** - ქვემდებარის ფუნქციით ემსგავსება არსებით სახელს, მაგრამ მასში დომინირებს ზმნური სემანტიკა. არსებითი სახელისაგან განსხვავებით იგი აღნიშნავს მოქმედებას არა სტატიკაში არამედ დინამიკაში.

ინდოევროპული ინფინიტოვის ქართული ეკვივალენტია საწყისი, რომელიც ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას პირის კატეგორიისაგან განყენებულად ასახელებს. ქართული საწყისი იბრუნვის და წინადადებაში არსებითი სახელის ფუნქციას ასრულებს. ზმნურ კატეგორიათაგან გააჩნია: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, კონტაქტი და ზოგჯერ გვარიც კი. ფრანგულ ენაში ძალზე ბევრია სუბსტანტივირებული ინფინიტოვი. მაგალითად: **Ce n'est pas la mort que je crains, c'est le mourir** სიკვდილის კი არ მეშინია, არამედ მოკვდინებისა. **Plaisanter n'est pas répondre** - ხუმრობა პასუხი არაა. აქ იგი გამოყენებულია ქვემდებარის ფუნქციით ქართულში ხშირად ხდება ასეთ დროს მორფოლოგიური შეცვლა. **Infinitif sujet** ზმნური არსებითი სახელი. მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნები (**être, rester, demeurer, s'arrêter**)+**à+inf** - გამოიყენება ზმნური არსებითი სახელი. მაგალითად: **Nous étions toujours là à attendre le départ** - ჩვენ სულ იქ ვიყავით გამგზავრების მოლოდინში. **sans+infinitif** - ქართულში გადმოიცემა რთული წინადადებით

მაგალითად: **Ils partirent sans avoir prononcé une parole** - ისინი წავიდნენ ისე, რომ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისათვის. თუ ეს სტრუქტურა უარყოფითი სტრუქტურის კომპონენტია, მას შეესაბამება პირიანი ზმნის ფორმა დადებით ფორმაში. მასთან ერთად გამოიყენება ზმნიზედები „აშკარად“ და ჩართული „ალბათ“ - **Vous êtes pas sans savoir que** - თქვენ ალბათ იცით, რომ...

Commencer (finir) par+infinitif - ორი სტრუქტურული ეკვივალენტი აქვს ქართულში: 1. დასაწყისში; 2. დაწყება+დამოკიდებული წინადადება. მაგალითად: **Il avait commencé par faire mes versions, par me souffler mes leçons** - დასაწყისში იგი ჩემს მაგოვრად თარგმინდა და მკარნახობდა გაკვეთილებზე. **finir par+infinitif** - ეკვივალენტია „ბოლოს და ბოლოს“. **Le père et le fils finirent par se brouiller** - მამა და შვილი ბოლოს და ბოლოს წაიჩხუბნენ.

aller+infinitif ითარგმნება „ახლავე“+ზმნის პირიანი ფორმა. **Venir+de+infinitif** - ითარგმნება ეს-ესაა+ზმნის პირიანი ფორმით რომელიც სრული ასპექტითაა წარმოდგენილი.

Infinitif de narration გამოიყენება ლიტერატურულ ენაში, იმ მოქმედების გამოსახატავად, რომელიც წარსულში ხდებოდა. მისი ეკვივალენტია წარსული ან მომავალი დრო+უცებ. მაგალითად: **Et les spectateurs d'applaudir** - უცებ მაყურებლებმა დაიწყეს ტაშის დაკვრა.

ინფინიტიური კონსტრუქციების მოდალური მნიშვნელობა - **devoir+infinitif** - გამოხატავს ვალდებულებას, განზრახვას, ჰიპოთეტიურობას (მისი ეკვივალენტია ლექსიკური საშუალებები ალბათ, აშკარად). მაგალითად: **Tu dois être fatigué. Couche - toi, ne m'attends pas** - შენ ალბათ დაიღალე. დაწეკი, ნუ დამელოდები. **avoir beau+infinitif** - ეკვივალენტია „ტყუილუბრალოდ“, „ამაოდ“. მაგალითად: **J'ai des remords. Je me demande bien pourquoi, dit - il. Vous avez beau dire, je suis responsable de tout ce qui est arrivé**

- სინდისი მქენჯნის. საკუთარ თავს ვეკითხები რატომ - თქვა მან - თქვენ ამაოდ ლაპარაკობთ. ყველაფერზე რაც მოხდა, მე ვარ პასუხისმგებელი.

faillir+infinitif, manquer de +infinitif კინალამ.

მაგალითად: **Il a manqué de se faire écraser** - კინალამ მანქანამ გაიტანა.

faire(laisser)+infinitif ესაა კაუზატიური

კონსტრუქციები, სადაც **faire** და **laisser** ღებულობს მოდალურ მნიშვნელობას. **Faire** ნიშნავს იძულებას, ხოლო **laisser** - ხელის არ შეშლას. მაგალითად: **Je lui ferai examiner cette affaire** - მე მას დავუვალე ამ საქმის განხილვას. ზმნა **faire**-თან გამოყენებულ ზმნებს შეიძლება თარგმნის დროს თავისებური ნიუანსი გაუჩნდეთ. მაგალითად:

faire acheter	ვინმეს დაუალებით რაიმეს ყიდვა
faire comprendre	ახსნა, გაგებინება
faire croire	ჩანერგვა
faire dire	გადაცემა
faire manger	ჭმევა
faire penser	აზრის გაჩენა
faire remarquer	ვინმეს ყურადღების მიზიდვა
faire rire	გაცინება ვინმესი
faire sourire	ღიმილის გამოწვევა
faire savoir	შეტყობინება
faire sortir	გამოყვანა
faire suivre	გადაგზავნა
faire venir (entrer)	შემოყვანა

laisser+infinitif - **laisser pousser les cheveux** თმის

გაზრდა; **laisser échapper** - წამოცდენა, **laisser tomber** - ხელიდან გაშვება მაგალითად: - **Ne laissez entrer personne** - არავინ არ შემოუშვათ.

ინფინიტიური კონსტრუქციის ტრანსფორმაცია - როგორც ცნობილია ინფინიტივი შეიძლება შეუთანხმდეს არსებით სახელს, ზედსართავს ან ზმნას. მაგალითად: **un problème à résoudre, une musique douce à entendre; Il se décida à partir** - ასეთი კონსტრუქციები დასაშვებია ქართულისათვის და მაგრამ ზოგჯერ ითხოვს ტრანსპოზიციას და ტრანსფორმაციას. ქართულ ენაში შეიძლება ორი ტიპის ეკვივალენტი ჰქონდეს.

მაგალითად:

la maison à vendre - გასაყიდი სახლი, სახლი, რომელიც იყიდება.

un texte facile à comprendre - ადვილად გასაგები ტექსტი
une tactique à suivre ტაქტიკა, რომელსაც უნდა მიემხრო. პირველ ორ შემთხვევაში დამთხვევა გვაქვს, მესამე შემთხვევაში კი განსხვავება. მაგალითად: **Je ne suis pas homme à m' exalter facilement** - მე ის ადამიანი არა ვარ ვინც ადვილად იგზნება.

Accusatiyus cum infinitivo ინფინიტივი, რომელიც დამოკიდებულია გრძნობით აღქმის ზმნებთან. **J' entends Pierre jouer=j'entends que Pierre joue** - ქართულში მას ასე ვთარგმნით. მე შესმის, თუ როგორ თამაშობს პიერი. აზროვნების, შინაგანი განწყობილების, ნება - სურვილის გამომხატველ ზმნებთან ინფინიტივი ითარგმნება დამოკიდებული წინადადებებით. ასეთი ზმნებია:

dire, déclarer, affirmer, être soupçonner de... regretter de, être fâché de, avoir envie de, souhaiter და სხვა. მაგალითად: **J' étais content de me remettre à la linguistique** მე მოხარული ვიყავი რომ კვლავ მივუბრუნდი ლინგვისტიკას.

de (pour, à)+infinitif - მათი ეკვივალენტებია მიზეზით დამოკიდებული წინადადებები - მაგალითად: **Le petit revient essoufflé d' avoir couru sur le boulevard** - პატარა ქოშინით დაბრუნდა, რადგან ბულვარით ირბინა.

à+infinitif - ამ კონსტრუქციას პირობის ან დროის გარემოების მნიშვნელობა აქვს. **À les entendre ils ne sont pas coupables** - მათ თუ მოუსმენ ისინი დამნაშავენი არ არიან. გვაქვს მთელი რიგი გამონათქვამები; **à partir de ce jour** - ამ დღიდან მოყოლებული; **à l'entendre** - მისი სიტყვებით; **à vrai dire** - სიმართლე რომ გითხრათ; **à n'en pas douter** - ეჭვგარეშე

Gérondif - გამოხატავს მოქმედებას, რომელიც ახლავს ზმნურ მოქმედებას და წინადადებაში ასრულებს გარემოების ფუნქციებს. მაგალითად: **En se retrouvant dans la rue, il se sentit mal à l'aise** - აღმოჩნდა რა ქუჩაში, მან თავი უხერხულად იგრძნო. **Gérondif** არაა მიმღეობის ფორმა, რომელსაც ახლავს წინდებული **en**. მას მხოლოდ ერთი დრო აქვს, აწმყო დრო. იგი უპიროა, მაგრამ მაინც იცვლება პირების მიხედვით, ნაცვალსახელოვან ფორმაში. მაგალითად: **en me lavant, ne te lavant, en se lavant, en nous lavant...** აღსანიშნავია ერთი რამ, რომ გერუნდივის გამოუხატავი ქვემდებარე იგივე უნდა იყოს, რაც იმ ზმნის, რომელზეც ისაა დამოკიდებული. მაგალითად: **En rentrant de l'école, maman me questionne**. ამ წინადადებაში დედა მასწავლებელია და ის ბრუნდება სკოლიდან. პირველ პირზე, რომ იყოს საუბარი იქნებოდა **En rentrant de l'école, je subis les questions de maman**. წერილის ბოლოს ხშირად გვხვდება უხეში შეცდომა. ***En espérant une prompte réponse, veuillez agréer...** სწორი ფორმა იქნება **En espérant une prompte réponse, je vous prie d'agréer...** იმედის ქონა დაკავშირებულია პირველ პირთან.

Participe présent - მიეკუთვნება ზმნის სახელად ფორმებს და ახასიათებს მოქმედების სუბიექტს. მაგალითად: **Je l'ai trouvé lisant le journal. Le participe**, მიმღეობა არის უპირო ფორმა. მას ორი დრო აქვს: აწმყო და წარსული. აწმყო გადმოსცემს ერთდროულობას ზმნასთან მიმართებაში, რომელზეც ის დამოკიდებულია. მაგალითად: **On la voit**

gémissant sans cesse. წარსული გადმოსცემს წინარე მოქმედებას. **Ayant terminé son travail, il alla prendre l'air...** მას ასევე აქვს ფამილარულ სტილში ზერთული დრო. მაგალითად: **Grondée (ayant été grondée) par sa mère, elle sanglotait.**

Participe passé - იგი რთული ფორმის შემადგენელი ნაწილია. წინადადებაში იგი შეიძლება დაშორებულ იყოს სხვა განუშორებელ გრამატიკულ კომპონენტებს. მაგალითად: **J'avais donc été marié, divorcé, remarié, malade, guéri, de nouveau malade, de nouveau guéri** - მაშასადამე, მე დაექორწინდი, გაეშორდი, მეორეჯერ ვიქორწინე, აუად გავხდი, გამოუჯანმრთელდი, კვლავ აუად გავხდი და კვლავ გამოუჯანმრთელდი. ქართულ ენაში მისი ეკვივალენტი ზმნის დროისეული ფორმა იქნება. გარდამავალი ზმნების **participe passé**-ს, რომელიც განსაზღვრების როლში გამოდის შეესაბამება ქართულ ენაში მიმღეობა. მაგალითად: **Elle s'interrompt pour rallumer sa cigarette éteinte** - იგი გაჩუმდა, რათა მოეკიდებინა ჩამქრალი სიგარეტისათვის. თუ ზმნების **participe passé**-ა, რომლებიც გამოხატავს ტანსაცმლის ნაწილებს, მაგალითად: **bagué, botté, casqué, chapeauté, chaussé, coiffé, ganté** - ამ დროს **participe passé** განიცდის ტრანსპოზიციას. **Parisiennes, chapeautéés à miracle** - პარიზელი ქალები მომხიბლავ ქულებში. ზმნიზღებთან **une fois, aussitôt, sitôt** - ითრგმნება „როგორც კი“. მაგალითად: **Une fois assis ils se tournèrent aux fenêtres** - როგორც კი ისინი დასხდნენ, შემობრუნდნენ ფანჯრისაკენ.

აბსოლუტური მიმღეობითი კონსტრუქციები **propositions participes absolues** - ქართულში მისი ეკვივალენტია დამოკიდებული წინადადება. მაგალითად: **J'aurais bien voulu dormir, mais sitôt allongé, mon sommeil s'en alla** - მე ძალზე მინდოდა დაძინება, მაგრამ ვერ მოვასწარი დაწოლა, რომ ძილი გადაამცილდა.

განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს პრედიკატიული განსაზღვრება ან ბრიუნოს ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ „**complément non prépositionnel**”. იგი შედგება არსებითი სახელისა და მიმღეობისაგან. იგი ახასიათებს სუბიექტს. მაგალითად: **Il écoutait son récit, le coeur battant** - იგი უსმენდა მის მონათხრობს გულისფანცქალით. ასეთი სახის პრედიკატიული განსაზღვრებანი გამოიყენება პოზის, ექსტის აღსაწერად. მაგალითად: **les bras croisés, les mains jointes, les manches retroussées**. პრედიკატიული განსაზღვრების ეკვივალენტია ზედსართავი, მიმღეობა. მაგალითად: **Il y avait M. Lafforgue coiffé d'un feutre élégant, la moustache fièrement relevée** - იქ იყო ბატონი ლაფორგი, ელეგანტური ქუდით, ზევითაწკვერტილი ულვაშებით. პრედიკატიული განსაზღვრება შეიძლება იყოს ტრანსფორმირებული დამოუკიდებელი წინადადებით მაშინ ეს წინადადება შემდეგ სახეს მიიღებდა - იქ იყო ბატონი ლაფორგი. მას ეხურა ელეგანტური ქუდი, რომელსაც ულვაშები ზემოთ აწკვერტა.

ესპანურ ენაში ზმნა ხასიათდება მსგავსი ნიშანთვისებებით. ზმნა ერთ-ერთი მთავარი მეტყველების ნაწილია. ზოგიერთი გრამატიკისტი მას ძირითად ლერძს უწოდებს. თანამედროვე ენაში ზმნა წარმოადგენს მეტად რთულ სისტემას, იგი უფრო მეტად განვითარებულია, ვიდრე სახელი. ზმნის სისტემაში შედის აგრეთვე „უპირო“ არაუღლებადი ფორმები: ინფინიტივი, მიმღეობა და გერუნდივი. ზმნური ფორმები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: 1. უღლებადი ზმნები რთული, მაგრამ მკვეთრი მორფემული სტრუქტურით; 2. არაუღლებადი ფორმები. მათი გრამატიკული თუ ლექსიკო-გრამატიკული მნიშვნელობებით თუ გამოყენებით, ჩვეულებრივ ანსხვავებენ: მთავარ და დამხმარე, პირიან და უპიროს, გარდამავალ და გარდაუვალ, ნაცვალსახელოვან ზმნებს და სხვა. ზმნების გარდამავლობა განისაზღვრება დამატებასთან შეთანხმებით, ანუ

სინტაქსურად. მაგალითად: **Le di un duro para que me reservaran un ejemplar y atravesé los jardines de la plaza** - მე მას ერთი ღურო მოვეცი, რომ ერთი ეგზემპლარი ჩემთვის შეენახათ და გადავკვეთე მოედნის ბაღი.

ესპანური ენისათვის, ისევე როგორც სხვა რომანული ენებისათვის დამახასიათებელია მეტად გავრცელებული ტენდენცია ზმნის ფორმების დროისეულ გვარისეული სისტემების შევსება ახალი ანალიტური ფორმებით, რომლებიც წარმოიქმნება ზმნის უპირო ფორმების საფუძველზე.

ესპანური ენა ანსხვაებს ზღვრულ და არაზღვრულ ზმნებს. ზღვრული ზმნები გამოხატავენ მოქმედების მიმართულებას საბოლოო მიზნისაკენ, რომლის ამოწურვის შემდეგ მოქმედება წყდება. მაგალითად: **morir, nacer**. არაზღვრულ ზმნებს განეკუთვნება ისეთი ზმნები, რომლებიც გამოხატავენ მოქმედებას მის მიმდინარეობაში, რომელიც არაა შეზღუდული რაიმე ზღვარით: **querer, mirar** და სხვა. ზმნების განაწილება ზღვრულ და არაზღვრულ ზმნებად პირობითია, რადგანაც არაზღვრულმა ზმნებმა ზოგიერთ სინტაქსურ პირობებში შეიძლება შეიძინონ ზღვრული ზმნების მნიშვნელობა. მაგალითად: ზმნა **hacer** გამოთქმაში **hacer castillos en el aire** - ესპანური კოშკების აგება. ზმნა გამოდის არაზღვრული ზმნის როლში. **Hacer un punto** - წერტილის დასმა, აქ კი ზღვრული მნიშვნელობითაა.

ზმნის გრამატიკული კატეგორიები. პირის კატეგორია დაკავშირებულია ნაცვალსახელთა კლასში პირის კატეგორიებთან. ზმნის სისტემაში იმდენი პირია, რამდენი პირის ნაცვალსახელიცაა. ესპანურში პირის ნაცვალსახელების როლი უმნიშვნელოა ფრანგულთან შედარებით. მაგალითად: **Bailé con él y cambiamos sarcasmos respecto a Gregorio. Después de unos minutos de tfo vivo, Enrique renunció y se detuvo frente al Central. Nosotros nos quedaremos aquí** - მე მასთან ვიცეკვე და სარკაზმით

მოვიხსენიეთ გრეგორიო. რამდენიმე წუთი კარუსელის შემდეგ, ენრიკემ აღარ მოინდომა და გაჩერდა ცენტრალური ფოსტის წინ. ჩვენ აქ დავრჩით.

ესპანური ენისათვის, ისევე როგორც სხვა რომანული ენებისათვის, რომლებიც გრამატიკულ კატეგორიებს გამოხატავენ სინკრეტულად, ფლექსია ყოველთვის გამოხატავს ორ გრამატიკულ კატეგორიას, პირისა და რიცხვის კატეგორიას. დროის კატეგორია ერთ - ერთი ძირითადი კატეგორიაა ესპანური ენის, რომელიც გამოიყენება წინარემოქმედების, ერთდროულობისა და მომავალი მოქმედების გამოსახატავად. ესპანურში ანსხვავებენ წარსულის სხვადასხვა ტიპებს, ორ წინარეწარსულ დროს, წარსულის შემდეგ დროს, მომავალს წინარემომავალს. აწმყო დრო არაა აუცილებელი გამოხატავდეს მოქმედებას, რომელიც ლაპარაკის მომენტში ხდება. იგი შეიძლება უფრო ფართო სივრცეს მოიცავდეს. ჩვეულებრივ ანსხვავებენ დროებს **el Presente actual** და **el Presente habitual**, დრო, რომელიც გამოხატავს მოქმედებას, რომელიც არ ემთხვევა მეტყველების მომენტს, არამედ გადაიკვეთება მასთან. ასეთ აქტუალურობას შეიძლება ჰქონდეს ზოგადი ხასიათი და მოიცვას წარსულიც. მაგალითად: **Tengo vino... - dijo ella, con timidez - Si usted quiere...lo guardo, siempre, para cuando viene a verme mi Manuel** - მე ღვინო მაქვს, თქვა მან მორცხვად, ყოველთვის ვინახავ, როდესაც ჩემი მანუელი ჩემს სანახავად მოდის. აწმყო შეიძლება დაუპირისპირდეს წარსულს ან მომავალს. **Presente habitual** გამოიყენება ზოგადი ცნებებისა და ბუნების კანონების გამოსახატავად. მაგალითად: **El sentimentalismo vano, el mistiscismo, la fiebre, la alucianación, el delirio, desaparecen, y el que antes era enfermo, hoy está sano, y se goza con placer indecible en la justa apreciación de las cosas** - ამო სენტემენტალიზმი, მისტიციზმი, ციხე - ცხელება, ჰალუცინაცია, ბოღვა, გაქრა, და ისინი ვინც ადრე ავად იყო, დღეს გამოჯანმრთულდა, და

გამოუთქმელად კმაყოფილი არიან საგნების სწორ შეფასებაში. ესპანურში ისევე, როგორც ფრანგულში გამოიყენება ისტორიული აწმყო (**el Presente histórico**), რომელიც გამოიყენება იმისათვის, რომ თხრობა უფრო ცოცხალი იყოს, როდესაც სურთ აღწერონ წარსულში მომხდარი ამბები, როდესაც სურთ მათი აქტუალიზება. აწმყო მომავლის ნაცვლად გამოიყენება მოძრაობის ამღვნიშნულ ზმნებთან ასევე ზღვრულ ზმნებთან, თითქოს დრო მომავლში ხდება სინამდვილეში მოქმედება ხდება აწმყო დროში. მაგალითად: **Soy un hombre. - Un miserable ! Acabemos: yo te niego a mi hija, yo te la niego. - Pues yo la tomaré ! No tomo más que lo que es mío** - მე მამაკაცი ვარ. საბრალო ! მოურჩეთ მე შენ უარყოფ, შენ უარყოფ ჩემს ქალიშვილს. მაშასადამე მე მას წავიყვან ! მე იმაზე მეტს არ წავიღებ, რაც მე მეკუთვნის.

თხრობითი კილოს აწმყო დრო გამოიყენება იმ მოქმედების გამოსახატავად, რომელიც ლაპარაკის მომენტში ხდება. მაგალითად: **Ve el tren que entra en la estación.** აწმყო დრო გამოიყენება, რომ გადმოსცეს მოქმედების ხაგრძლიობა. მაგალითად: **Trabaja en una empresa privada.** ის გადმოსცემს საერთო ჭეშმარიტებას და დეფინიციას. მაგალითად: **La tierra es redonda.** მას იყენებენ ანდაზებში, ჩვეულებრივი ან განმეორებადი ფაქტების გამოსახატავად. მაგალითად: **Bebo vino en las comidas.**

წარსულ დროს გააჩნია მრავალფეროვანი დროისეული და გვარისეული ნიშნები. რთული წარსული (**Pretérito compuesto, Presente perfecto**) და მარტოვი (**Pretérito simple**) არსებითად აბსოლუტურია, წინარეწარსული (**Pluscuamperfecto, Pretérito anterior**) დროები ძირითადად მიმართებითია.

Imperfecto მიმართებითია. რთული წარსული დრო ძირითადად გამოიყენება სასაუბრო მეტყველებაში. მაგალითად: **Ya ve usted: por ahí dicen que estoy loca. Loca**

porque le he quitado del campo y le he mandado a aprender un oficio. Porque no quiero que sea un hombre quemado por la tierra, como fue su pobre padre - თქვენ თვითონ ხედავთ, მათთვის მე გიჟი ვარ. გიჟი იმიტომ ვარ, რომ მას სოფელი დავატოვებინე და გავაგზავნე ხელობის შესასწავლად. რადგანაც არ მინდოდა, რომ მამავისივით მიწას ყოაილიყო მიჯაჭვული. უმეტესწილად დროისეული განსხვავება იმპერფექტის მნიშვნელობასა და მარტოე წარსულ დროს შორის ასპექტისეულ განსხვავებასთან ერთად გამოიხატება იმპერფექტის მიმართებით ხასიათში და მარტოეი წარსულის აბსოლუტურ ხასიათში. იგი გამოიყენება მოქმედების ხანგრძლიობის გამოსახატავად წარსულში. მაგალითად: **Aquel día nevaba mucho.** რაიმეს ასაღწერად. მაგალითად: **Mi casa tenía un gran balcón.** ის გადმოსცემს აგრეთვე ჩვეულებრივ ან განმეორებად მოქმედებას წარსულში. მაგალითად: **Iba a la playa cada día.** სასაუბრო მეტყველებაში, მას შეიძლება ჰქონდეს პირობითი კილოს მნიშვნელობა. მაგალითად: **Si pudiera, me iba de vacaciones.** **Pluscuamperfecto, Pretérito anterior** თავიანთი არსით შეფარდებითია. დროისეული თვალსაზრისით, ისინი გამოხატავენ მოქმედებას, რომლებიც წინ უწრებს სხვა წარსულში მომხდარ მოქმედებას. ამ ორ დროს შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ **Pretérito anterior** გამოხატავს მოქმედებას, რომელიც უშუალოდ წინ უწრებს წარსულში სხვა მოქმედებას. მაგალითად: **Aún no nos habíamos sentado a la mesa cuando llamaron al médico. Yo había pensado al principio que Dolores quería hacerme alguna confidencia pero en seguida comprendí que había huído del Bahondillo por el mismo reflejo que yo. Así que me hube lavado y aliñado un poco, salí a dar un paseo por la ciudad** - ის იყო მაგიდას უნდა მივხსდომოდით, რომ ექიმი გამოიძახეს: ვიფიქრე, რომ დოლორეს უნდოდა ჩემთვის რაღაც საიდუმლო გაენდო. შემდგომში კი მივხვდი, რომ იგი გაურბოდა იგივე

რეფლექსს ბაონდილოში, რასაც მე. თანამედროვე ესპანურ ენაში **Preterito anterior** ფაქტიურად გამოვიდა ხმარებიდან და ადგილი დაუთმო მარტოვ წარსულს. მაგალითად: **Apenas terminé de comer** (და არა **hube terminado de comer**) **besé al abuelo y fingí subir a acostarme** - მოვრჩი თუ არა ჭამას, ბებიას ვაკოცე და თავი მოვაჩვენე თითქოს მივდიოდი დასაწოლად. მარტოვი წარსული გამოიყენება წარსულში მომხდარი მოქმედების გამოსახატავად. ისეთი მოქმედების გამოსახატავად, რომელსაც კავშირი არ აქვს აწმყო დროსთან. მაგალითად: **Vivieron en Buenos Aires cuando se casaron.**

წარსული რთული მოქმედება მიუთითებს, რომ მოქმედება, რომელიც დაიწყო წარსულში დაკავშირებულია აწმყო დროსთან. მაგალითად: **La policía ha abierto una investigación** - პოლიციამ გამოძიება დაიწყო. მისი გამოყენება აუცილებელია, როდესაც მოქმედება სრულდება დროის რაღაც პერიოდში და რომელიც არაა დასრულებული. მაგალითად: **Hemos recibido muchas cartas hoy** - დღეს ბევრი წერილი მივიღეთ.

მომავალი დროის ფორმები გამოიყენება ისეთი მოქმედებების აღსანიშნავად, რომლებიც უნდა განხორციელდეს. მომავალ დროსთან დაკავშირებულია ვარაუდი, ანუ მოქმედების შესრულების შესაძლებლობა ან შეუძლებლობა. მომავალი დროის ფორმებს გააჩნიათ საკამოდ მრავალფეროვანი და აშკარა მოდალური შეფერილობა.

მაგალითად: **Traéme la ropa, Garduña, ya que estará seca... Qué hora será? -Serán las tres.** ასეთ შემთხვევაში მოდალური მნიშვნელობა გამოდის პირველ პლანზე, დროისეული მიმართება მომავლთან ქრება და მოქმედება შეიძლება დაკავშირებული იყოს აწმყო დროსთან.

დროისეული მნიშვნელობით **Futuro simple** გამოიყენება მომავალი დროის გამოსახატავად, ანუ შემდგომი მოქმედების გამოსახატავად აწმყო დროსთან მიმართებით. მაგალითად:

Yo estaré allí después de media noche. Te diré lo que he resuelto y lo que debes hacer... Ya te contaré. Esto es largo y debe ser hablado. He jurado que esta ausencia de ti concluirá pronto, concluirá. El corazón me dice que te veré. Maldito sea yo si no te veo - შუალამეს მე იქ ვიყავი. გეტყვი რა გადავწყვიტე და რა უნდა გააკეთო შენ. ეს გრძელი ისტორია და უნდა ვილაპარაკოთ. დაუიფიცე, რომ ეს შეზვედრა შენთან მალე დამთავრდება, დამთავრდება. გული მეუბნება, რომ შენ გნახავ. წყეულიმც ვიყო მე თუ ვერ გნახე.

მოდალური მნიშვნელობების გამოხატვა ახასიათებს. მომავალ დროს, რომელიც შეიძლება გაფართოდეს ანალიტიკური მნიშვნელობებით, რომლებიც წარმოიქმნება გრამატიკული კონსტრუქციების მეშვეობით, ესენია ზმნები **ir, haber de, tener que**. ეს ფორმები გამოიყენება იმისათვის, რომ დაზუსტდეს მომავალი დროის ზოგიერთი მოდალური ნიშან-თვისება.

მაგალითად: **Se me ha ocurrido... le vamos a dar al niño una sorpresa: verá usted, le vamos a decir que el Rey Melchor vendrá en persona a traerle los juguetes...; Y quien dice otra cosa ! Nadie tiene que andarme a mi con compasiones. Muchacha, has de ayudar en la cocina. Toda la tarde será tuya, pero la mañana me la empleas a mi** - აი რა მოხდა... უნდა გავაოცოთ ბავშვი:

დაინახავთ, როცა ვეტყვით მას, რომ მეფე მელქიორმა პირადად მოუტანა სათამაშოები. ვინ იტყვის სხვა რამეს ! არავის ვეცოდები. გოგონი, შენ უნდა სამზარეულოში დაეხმარო. მთელი საღამო შენთან იქნება, ხოლო დილით მე მას მოვიხმარ.

ესპანურ ენაში არსებობს მარტივი აბსოლუტური მომავალი (**Futuro simple**) დროის გარდა, რთული ფორმა (**Futuro compuesto**) მიმართებითი მომავალი. ამ ფორმაში გამოიხატება ალბათობა წარსულში. მაგალითად: **Sí en mi segundo - afirmé señalando al techo - vive la querida del**

director... un tal Felisa, qué llaman la chocolatera... La oído nombrar; la habrás visto alguna vez. Es guapa, un poquito ajada - დიახ, ჩემს ზემოთ სახურავთან ახლოს ცხოვრობდა ღირექტორის საყვარელი, ერთი ფელისა, რომელსაც ეძახდნენ შოკოლადს. მე გავიგე, როგორ ეძახდნენ მას ასე. მე ის ერთხელ ვნახე. ლამაზი იყო, მაგრამ ცოტა დამჭკნარი. **Futuro compuesto** გამოხატავს წინარე მომავალ დროს. იგი იწარმოება დამხმარე ზმნის **haber** მეშვეობით მომავალ დროში და საუღლებელი ზმნის უცვლელი ნამყო მიმღებობით. მაგალითად: **Habré hablado. El sábado próximo habré acabado.**

პირობითი კილოს ორივე დრო ზოგიერთი გრამატიკოსის მიერ განიხილება, როგორც მომავალი დროის ფორმები. ეს კილო ხილისა და გაიას მიერ იწოდება ჰიპოტეტურ დროდ. **El futuro hipotético.** მას მართლა შეიძლება ჰქონდეს მომავლის მნიშვნელობა წარსულთან მიმართებაში. მაგალითად: **Sabía que Antonio la mataría. Estaba segura de que la mataría. Le conocía bien; Total: que nos despedimos en la calle de Goya, acordando que me convidaría el lunes próximo, y que no tría; al otro lunes debía ir retirándome un ratito después de comer** - ვიცოდი, რომ ანტონიო მას მოკლავდა. მე მას კარგად ვიცნობდი. მოკლედ: ჩვენ ერთმანეთს დავშორდით გოიას ქუჩაზე, შევთანხმდით, რომ მომავალ ორშაბათს დამპატიყებდნენ და არა სხვა დღეს. შემდეგ ორშაბათს უნდა გამომეძებნა ცოტა დრო ჭამის შემდეგ, რომ მათ სეცხვედროდი. შეიძლება შევადაროთ მომავალის დრო აწმყოს. მაგალითად: - **Mira lo que te digo, muchacha: este año bajarás a la fiesta... Así es. Bien tendrás danza y baile, Eloisa. Malo será que no encuentres buen novio !... Y, de éstas, pronto celebramos bodas. Te aseguro que te haré buenas bodas, Eloísa !** - მისმინე რასაც გეტყვი გოგონი: ამ წელს, ჩვენ დღესასწაული გვექნება. ასეა ეს. შენ კარგად იცეკვებ. ცუდი იქნება, თუ ვერ ნახავ კარგ

საქმროს !... და მალე ვიზიემებთ შენს ქორწილს. გარწმუნებ, რომ კარგ ქორწილს გადაგიხდი, ელოიზა ! ესპანურ ენაში არ გამოიყენება კავშირებითი კილოს მომავალი დროის ფორმები. ესპანურ ენაში, როგორც სხვა ენებში არსებობს კილოს კატეგორია, რომელიც გამოხატავს მოქმედების მიმართებას სინამდვილისადმი, რომელსაც რეალურობის, წაქეზების, შესაძლებლობის მნიშვნელობა გააჩნია. ესპანურში ანსხვავებენ შემდეგ კილოებს: თხრობითს, კავშირებითს, ბრძანებითსა და პირობითს, რომლის არსებობა იწვევს რომანისტებს შორის დავას. მაგალითად ხილი, გაია და ბელიო და სხვები მიიჩნევენ, რომ კონდისიონალი ესპანურში კილო კი არა, არამედ თხრობითი კილოს ერთ-ერთი დროა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ პიპოთუთიკური მომავალი. მაგალითად: **Ella creyó un día que Daniel sería capaz de interpretarlos en su piano** - მან გაიფიქრა, რომ ერთ დღეს დანიელი შესძლებდა მათ შესრულებას პიანინოზე.

ესპანურში კავშირებითი კილო უფრო ხშირად გვხვდება დამოკიდებელ წინადადებაში, ვიდრე დამოუკიდებელში. დამოუკიდებელ წინადადებაში კავშირებითი კილოს გამოყენება დაკავშირებულია მოდალური ნაწილაკების **ojalá, tal vez** გამოყენებასთან. მაგალითად: **Ojalá venga a tiempo ! Tal vez no vuelva. Con un poco de suerte quizá llegue un día a...** ნეტავი დროზე მოვიდეს. შეიძლება არც კი დაბრუნდეს. სულ ცოტა შანსია იმის, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოვიდეს... დამოუკიდებელ წინადადებაში კავშირებითი კილოს გამოყენება ხდება. მთავარი წინადადების მოდალური ტიპის ზმნის გარდა არსებობს სხვა სიტყვათა ლექსიკო-გრამატიკული ჯგუფები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კავშირების **para que, con que** მაგალითად: **Y tu hijo ? ...Mañana te le manadré para que le tengas aquí todo el día** - და შენი ვაჟი ? ხვალ მას გამოგიგზავნი, რომ აქ შენთან იყოს მთელი დღე. აღსანიშნავია, რომ კავშირებითი კილო უფრო ხშირად გამოიყენება ესპანურში ვიდრე ფრანგულში.

კავშირებითი კილო არის სუბიექტურობისა და ალბათობის კილო. დამოკიდებულ წინადადებაში კონტექსტის მიხედვით და განსაკუთრებით დაქვემდებარებულ წინადადებებში თუ რომელი კილო უნდა იქნეს გამოყენებული დაკავშირებულია მთავარი წინადადების ზმნასა და იმ ფაქტზე, რომელსაც ის გადმოსცემს. კავშირებითი კილოს იმპერფექტი ფრანგულისაგან განსხვავებით ხშირად გამოიყენება და დროთა შეთანხმება ხდება, როგორც წერისას, ასევე ზეპირმეტყველების დროს. მაგალითად: **Quería que vinieras** ან **vinieses**.

ესპანურშიც არსებობს გვარის კატეგორია როგორც სხვა ენებში. მაგრამ ფრანგულისგან განსხვავებით ანსხვავებენ 5 გვარს. ესენია: აქტიური (**voz activa**), პასიური (**voz pasiva**), საშუალი (**voz neutra**), უკუქცევითი (**voz refleja**), ურთიერთქმედებითი (**voz recíproca**). ეს ფორმა გადმოიცემა უკუქცევითი ზმნებით. გამოხატავს ურთიერთქმედებას სუბიექტსა და ობიექტს შორის. მაგალითად: **Ellos se miraron en silencio**. ასპექტის კატეგორია არა თუ არაა გადაწყვეტილი ესპანურ ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებში, ის არც კი არაა განხილვის საგანი. ესპანელი მეცნიერები ხილი და გაია განიხილავენ ასპექტს, როგორც ლექსიკურ კატეგორიას. არსებობს სხვადასხვა საშუალებები, რომლებიც განიხილავენ მოქმედებას, რომლებიც ზმნითაა გადმოცემული, მასში მოცემული მომენტალურობის, განმეორებითობის, მოქმედების დაწყებისა და დასრულების თვალსაზრისით.

ზმნის უპირო ფორმები. უპირო ფორმების სისტემა წარმოადგენს ესპანური ენის გრამატიკული წყობის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს. იგი ამდიდრებს ესპანურ ენას ახალი ანალიტიკური ფორმებით. უპირო ფორმებია: მიმღეობა, გერუნდოვი, ინფინიტივი. ეს ფორმები ესპანურში იწოდება სხვადასხვანაირად. მაგალითად ესპანური აკადემიის გრამატიკასა და პოკა პონსის მიერ იგი მოიხსენება, როგორც

formas nominales, ბელიოს მიერ **derivados verbales**, ლენცის მიერ კი **verboides**. ინფინიტოვს გააჩნია, როგორც მარტოვი, ისე რთული ფორმა. მაგალითად: **Y sin esperar a más, resultamente y bramando de ira... salió de la sala y de la casa** - ისე, რომ მეტს არც კი ელოდებოდა, განრისხებული გავიდა ოთახიდან და სახლიდან.

ესპანურში არ არსებობს აწმყო დროის თუ წარსულის მიმღეობა. ამიტომ უმჯობესია ვთქვათ მარტო **Participio, participio pasado** ან **passivo**-ს ნაცვლად. მაგალითად: **Internado en la sierra, se empezó a oscurecer** - მთაზე ავიდა თუ არა, დაიწყო დაღამება. ესპანურ ენაში გერუნდოვი ისევე, როგორც ფრანგულ ენაში ასრულებს გარემოების როლს. მაგალითად: **Señores, miren ustedes qué cara, añadió, cogiéndole por la cabeza y presentándonoslo, sonriendo** - ბატონებო ერთმანეთს შეხედეთ სახეში, დაამატა, თავზე წაკვავლო ხელები და ერთმანეთს წარგვადგინა გაღიმებულმა.

იტალიურ ენაში ზმნას იგივე ფუნქციები გააჩნია, რაც სხვა რომანულ ენებში. ზმნებს თავიანთი უღვლილების ფორმები გააჩნიათ. ზმნის ინფინიტოვის დაბოლოებით შეიძლება გამოვარჩიოთ თუ რომელ ჯგუფს განეკუთვნება ესა თუ ის ზმნა. იტალიურში ფრანგულის მსგავსად ზმნების სამი ჯგუფია. I ჯგუფი ბოლოვდება - **are**-ზე, მეორე - **ere**-ზე, მესამე - **ire**-ზე. მაგრამ ყველა ზმნა როდი იუღვლის ერთნაირად. არსებობს ზმნები, რომლებიც წესიერია და ზმნები და ფორმები, რომლებიც არაწესიერია. ასევე არსებობს წესიერი და არაწესიერი დროები იგივე ზმნებისათვის. ყველა პირველი ჯგუფის ზმნა წესიერია, გარდა: **andare, dare, stare, fare**, რომლებიც I ჯგუფის ზმნები არაა მიუხედავად მათი დაბოლოებისა. II ჯგუფში არსებობს მთელი რიგი არაწესიერი ზმნებისა, ისევე, როგორც მესამე ჯგუფის ზმნებში. როგორც არ უნდა იყოს უღლება, თხრობითი კილოში მრავლობითი რიცხვის I პირი და კავშირებითი კილოს აწმყო დროში მრავლობითი რიცხვის I

პირველი იდენტურია **-iamo**, ხოლო კავშირებითი კილოს აწმყო დროში მრავლობითი რიცხვის II პირში გვაქვს **-iate**. თუ თხრობით კილოს აწმყო დროში I პირში ზმნა არაწესიერია **rimango** - ვრჩები, მრავლობითი რიცხვის III პირშიც ზმნა არაწესიერია **rimangono**. მას იგოვე ფუძე აქვს, ისევე როგორც მხოლობითი რიცხვის სამივე პირს **rimanga** და კავშირებითი კილოს აწმყო დროში მრავლობითი რიცხვის III პირს.

წესიერი ზმნების ბრძანებით კილოში იგოვე ფორმებია, რაც თხრობითი კილოში შესაბამისი პირებისათვის, გარდა I ჯგუფის ზმნებში, მხოლობითი რიცხვის II პირში. ბრძანებითი კილოს უარყოფით ფორმაში მხოლობითი რიცხვის II პირი შეესაბამება ინფინიტიურ ფორმას, რომელსაც ახლავს უარყოფის ნაწილაკი **non: Non venire, Marco!** ზოგიერთ ზმნას ინფინიტივი არა აქვს. ზრდილობიან ფორმაში, იმისათვის, რომ შეცვალონ არასრულფასოვანი ბრძანებითი კილო, იყენებენ კავშირებითი კილოს აწმყო დროს. მაგალითად: **Si alzi, Signore!** მხოლობითი რიცხვის II პირში, 5 ზმნას აქვს ერთმარცვლიანი ბრძანებითი კილოს ფორმა. ესენია: **dare - da', dire - di', fare - fa', stare - sta', andare - va'**; 3 ზმნა არაწესიერია. ესენია: **essere - sii, avere - abbi, sapere - sappi**. 5 ზნისათვის, მრავლობითი რიცხვის II პირი იწარმოება კავშირებითი კილოდან. მაგალითად: **essere - siate, avere - abbiate, potere - possiate, sapere - sappiate, volere - vogliate**. წესიერი ზმნების ნამყო მიმღეობა I ჯგუფის ზმნებისათვისაა **-ato/a/i/e, parlato**, II ჯგუფის ზმნებისათვის **-uto/a/i/e, venduto**, III ჯგუფის ზმნებისათვის **-ito/a/i/e capito**. აწმყო მიმღეობა თითქმის პრაქტიკულად არ გამოიყენება, როგორც ზმნური ფორმა და ზოგიერთ ზმნას ის არც კი აქვს. I ჯგუფის ზმნებისათვის მისი დაბოლოება იქნება **-ante: il cantante**. II, III ჯგუფის ზმნებისათვის **-ente, -iente: una ragazza sorridente e ubbidiente** - მომღიძარე და დამჯერი გოგონა. გერუნდივი მუდამ წესიერია და უცვლელია. მისი წარმოება ხდება I ჯგუფის ზმნებისათვის

–ando, cantando; II, III ჯგუფის ზმნებისათვის –endo, ripetendo, dormendo. 6 შემოკლებულ ზმნას, როგორებიცაა **bere, condurre, fare, dire, porre, trarre** აქეთ წესიერი გერუნდოვი, ანუ იგი ნაწარმოებია არაშერწყმული წესიერი ძველი ინფინიტოვისაგან. მაგალითად: **fare - facere - facendo**. ფრანგულის მსგავსად იტალიურში გვაქვს დამხმარე ზმნები ესენია: **avere, essere**. **Ho letto un libro poi ho dormito. Sei stata invitata**. ზოგიერთი ზმნა იუღლება ზმნით **essere**, როდესაც ისინი გარდაუვალია და ზმნით **avere**, როდესაც გარდამავალია. მაგალითად: **Il tempo è cambiato**. დამხმარე ზმნების ფუნქცია შეიძლება ჰქონდეთ ზმნებს: **andare, stare, venire**. მაგალითად: **La nave andò distrutta. Che cosa stai facendo ? Sto per andare a Roma**. ზმნებს **andare, venire, stare** აქეთ დამოუკიდებელი მნიშვნელობაც. მაგალითად: **Va a trovare Luca. Vieni con la macchina a prendermi alla stazione! Sta a te decidere. Dovere, potere, sapere, volere**, იწოდება ასევე დამხმარე ზმნებად, რადგანაც ისინი თან ახლავს სხვა ზმნას საწყისს ფორმაში. ისინი იუღლება იმ დამხმარე ზმნით რთულ დროში, რითაც იუღლება ინფინიტოვი, რომლის წინაც ისინი დაისმის. მაგალითად: **Maria ha dovuto studiare. Maria ha voluto lavarsi**.

უკუქცევითი ზმნები ყველა გარდამავალია, მათ ახლავთ ნაცვლასახელები **mi, ti, si, ci, vi** და ყველა იუღლება ზმნით **essere**. რთულ დროებში მათი ნამყო მიმღეობა უთანხმდება სქესსა და რიცხვში ქვემდებარეს. მაგალითად: **I ragazzi si lavano. I ragazzi si sono lavati**. რთულ დროებში, ნამყო მიმღეობა შეიძლება შეუთანხმდეს ქვემდებარეს ან პირდაპირ დამატებას. მაგალითად: **Lia si lava le mani. Lia si è lavata, lavate le mani**. ძირეულად ნაცვალსახელოვანი ზმნები ყველა გარდაუვალია, მათ ახლავთ ნაცვალსახელები **mi, ti, si, ci, vi**, რომელთაც უკუქცევითი მნიშვნელობა არა აქვთ, მაგრამ ზმნის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. ისინი იუღლება ზმნით **essere** რთულ დროებში და ნამყო მიმღეობა

უთანხმდება სქესსა და რიცხვში ქვემდებარეს. მაგალითად: **Lucia si ammala facilmente; si è ammalata** - ლუჩია ადვილად ხდება ავად. ზოგიერთი ზმნა ნაცვალსა ხელოვანია ფრანგულში და არაა ნაცვალსა ხელოვანი იტალიურში. მაგალითად: **ammalarsi - tomber malade, arrampicarsi - grimper, evolversi - évoluer, tuffarsi - plonger, vergognarsi - avoir honte... Si è congratulato con me.** პირიქითაც შეიძლება მოხდეს, რომ ზმნები, რომლებიც შინაარსის მიხედვით ნაცვალსა ხელოვანია ფრანგულში, იტალიურში არ იყოს ნაცვალსა ხელოვანი. ზოგიერთი იუღლება ზმნით **avere: diffidare - se méfier, esclamare - s'écrire, litigare - se disputer, passeggiare - se promener, sbagliare - se tromper, tacere - se taire.** მაგალითად: **Hanno litigato.** დანარჩენები ზმნით **essere: annegare - se noyer, appassire - se faner, crollare - s'écrouler, evadere - s'évader, insorgere - s'insurger, sorgere - se lever** (ციურ სხეულებზე ითქმის), **scappare - s'échapper, svanire - s'estomper, svenire - s'évanouir, tramontare - se coucher** (ციური სხეულები). მაგალითად: **Il sole è tramontato** - შუე ჩავიდა.

უპირო ზმნები ჩაისმის მხოლობითი რიცხვის III პირში. ესენია ზმნები, რომლებიც გადმოსცემენ ბუნებრივ მოვლენებს: **piove, nevicata, tuona, grandina, annotta...** ზმნები, რომლებიც გადმოსცემენ რაიმე მოვლენას და ზმნები და გამოთქმები, რომლებიც გადმოსცემენ შეფასებას და აუცილებლობას. მაგალითად: **pare, sembra, può darsi, bisogna, occorre, basta, è chiaro, è facile, è meglio.** იტალიურის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ყველა ზმნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც უპირო ზმნა. მათ თან ახლავს **si** და ჩაისმის მხოლობითი რიცხვის III პირში. მაგალითად: **Si vive. Si dorme. Si racconta che...** ნაცვალსა ხელოვანი ზმნების უპირო ფორმებად გამოყენებისას, მათ ემატება **ci.** მაგალითად: **Ci si alza.** უპირო ზმნების რთული ფორმები იუღლება დამხმარე ზმნით **essere.** მაგალითად: **È piovuto.** რთულ დროებში

ზმნების, რომლებიც გამოიყენება, როგორც უპირო ფორმები ნამყო მიმღებები უცვლელია თუკი ზმნა იუღლება პირიან ფორმაში დამხმარე ზმნით **avere. Si è dormito.** თუკი ზმნა იუღლება ზმნით **essere** პირიან ფორმაში, ნამყო მიმღება ჩაისმის მრავლობით რიცხვში. მაგალითად: **Si è partiti.**

მომავალ დროს შეუძლია გადმოსცეს ჰიპოთეტიკური მომავალი. მაგალითად: **Domani pioverà.** უახლოესი მომავალი არ იწარმოება არასოდეს ზმნით **andare**, რომელიც გამოხატავს მოძრაობას. ის შეიძლება გადმოცემულ იქნას ზმნით **stare**, რომელსაც მოსდევს წინდებული **per** და ინფინიტივი. მაგალითად: **Sto per partire.** მარტოვი წარსული ისევე როგორც ფრანგულში **passato remoto** გამოხატავს შეზღუდულ და დასრულებულ მოქმედებას, რომელსაც კავშირი არ აქვს აწყო დროსთან. მაგალითად: **Dante nacque nel 1265.** რაც შეეხება რთულ წარსულს ანუ **passato prossimo**-ს, მიუთითებს წარსულში დასრულებულ მოქმედებას, რომელიც დაკავშირებულია აწყო დროსთან. მაგალითად: **Ieri mi sono alzato tardi.** იტალიის სამხრეთში მარტოვ წარსულს იყენებენ ხშირად რთული წარსულის ნაცვლად. უახლოესი წარსული არასოდეს იწარმოება ზმნით **venire.** აწყოსთან მიმართებით იყენებს რთული წარსულის ფორმას და ზმნიზედებს, ესენია: **ora, or ora, proprio ora, poco fa, appena.** მაგალითად: **È appena tornato.** წარსულთან მიმართებით, ის გადმოიცემა წინარე წარსულის ფორმით, რომელსაც ახლავს ზმნიზედები ან დროის აღმნიშვნელი გამოთქმები, **allora, proprio allora, poco prima, appena.** მაგალითად: **Era tornato allora...**

მთავარ წინადადებაში პირობითი კილო გამოხატავს სპონტანურ სურვილს, რჩევას. **Secondo la radio ci sarebbero già dieci morti** - რადიოს მიხედვით უკვე 10 კაცი დაიღუპა, ან შეიძლება გამოხატოს ფაქტი, რომლის რეალიზება განიხილება, როგორც რაიმე პირობის შედეგი. პირობითის წარსული დრო ითხოვს კავშირებით კილოს ჰიპოთეტიკურში. *М.: Издательство, не avesse fame.*

იტალიურ ენაში კავშირებითი კილო უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე ამას აქვს ადგილი ფრანგულში. კავშირებითი კილო გამოიყენება ყველგან რაც სუბიექტურია, ყველაფერი რაც აზროვნებასთანაა დაკავშირებული. მაგალითად: **Ci andai prima che venisse**. კავშირებითი კილო მთავარ წინადადებაში ჩაისმის, რომ გამოხატოს გამხნეება: **Che Dio ti assista!** III პირში, რომ ბრძანება გამოხატოს ზრდილობიანი ფორმით და ჩაენაცვლოს ბრძანებით კილოს: **Si alzi, Signore!** კავშირებითი კილო ჩაისმის დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში უპირო გამოთქმების შემდეგ, როგორებიცაა: **basta che, bisogna che, conviene che, mi dispiache che, mi pare che, mi sembra che, occorre che, peccato che, è possibile che, può darsi che, si dice che, si racconta che**. მაგალითად: **Basta che tu venga** - შენ მხოლოდ მოდი. უნდა აღვნიშნოთ, რომ თხრობითი კილო ჩაისმის როდესაც დარწმუნებული ხარ რამეში. მაგალითად: **Credo che Dio esiste**. როდესაც მთავრი წინადადების ქვემდებარე იგივეა, რაც დამოკიდებული წინადადების, იყენებენ ინფინიტიურ კონსტრუქციას, რომელსაც უწრებს წინ წინდებული **di**: **Credo di esserci andato**. ხშირად მთავარი გამოხატული არაა, მაგრამ ის იგულისხმება. **Magari venisse (sarei contenta)**. კავშირებითი კილო ჩაისმის, როდესაც მთავარ წინადადებაში მოცემულია: **primo, ultimo, solo, unico**. **È l'unico amico di cui io mi possa fidare** - ის ერთადერთი მეგობარია, რომელსაც მე შემიძლია ვენდო. თუმცა თხრობითი შესაძლებელია...**di cui mi posso fidare**.

ბრძანებითი კილო გამოხატავს ბრძანებას, აკრძალვას, მოწოდებას: **Guarda, Aldo!** ბრძანებითი კილოს III პირში, იყენებენ კავშირებით კილოს ზრდილობიან ფორმაში. მაგალითად: **Guardi, Signor Aldo!** მხოლოდითი რიცხვის II პირი უარყოფითი ფორმა, გამოიხატება ინფინიტივით, რომელსაც წინ უსწრებს **non**: **Non venire, Luisa!** მხოლოდითი რიცხვის II პირი, თუკი ის მეორდება,

გამოხატავს პირობას, რომლის წყალობითაც ან რომლის საწინააღმდეგოდ რაღაც ხდება. მაგალითად: **Cammina cammina, arriva al lago** - მიდის, მიდის, მიადგა ტბას.

ინფინიტივი შეიძლება შემოყვანილ იქნეს სხვადასხვა წინდებულებით **a, da, di, per; È venuto a trovarmi. Sono qui a pregarla. C'è qualcosa da fare. Affermo di esserci andato. Sto per partire.** გაარსებითებული ინფინიტივის ხმარება ძალზე ხშირია ფრანგულში. მაგალითად: **Il calar del sole.**

გერუნდივი გამოხატავს მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც უკავშირდება მთავარი წინადადების ქვემდებარეს. ის მუდამ უცვლელია. მაგალითად: **Passando per la strada. I'ho visto.** ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზმნებით **andare, stare, venire** გვიჩვენებს ისეთ მოქმედებას, რომელიც თანდათან ვითარდება.

L'acqua sta crescendo. L'acqua va/vien crescendo.

არსებობს აბსოლუტური გერუნდივი, რომელსაც აქვს განსხვავებული ქვემდებარე მთავარის წინადადების ქვემდებარისგან განსხვავებით. ის დაისმის წინადადების თავში და მას მოსდევს ქვემდებარე. მაგალითად: **Cadendo la notte, si accende la luce.** აწმყო მიმდებარე იშვიათია ფრანგულში. ის გვხვდება გაზედსართავებული სახით: **una ragazza sorridente e ubbidiente**, გაარსებითებული სახით: **il cantante**, ადმინისტრაციულ ენაში და ის უთანხმდება არსებით სახელს: **è un funzionario dirigente l'ufficio.** მას თარგმნიან დამატებით დამოკიდებული ან დროით დამოკიდებული წინადადებით: **L'ho visto che mentre passava per la strada-** ის ქუჩაში მიმავალი ვნახე.

იტალიურში ნამყო მიმდებარე გამოიყენება რთული დროების საწარმოებლად. მისი გამოყენება დამოკიდებულია დამხმარე ზმნაზე. როდესაც ზმნით **avere** იუღლება, ის უთანხმდება პირდაპირ დამატებას, რომელიც მოთავსებულია ზმნის წინ, ეს შეთანხმება აუცილებელია მხოლოდ პირის ნაცვალასახელებთან: **Io, la, li, le** და **ne-**სთან: **Mi piace la**

giacca che hai comprato. როდესაც ის იუღლება ზმნით **essere**, ის უთანხმდება ქვემდებარეს: **Maria è venuta.** ნამყო მიმღეობის აბსოლუტური ფორმა გამოხატავს წინარე მოქმედებას, რომელიც მთავარშია გადმოცემული; ის ცვლის გარემოებით წინადადებას, დაისმის წინადადების თავში და უთანხმდება ქვემდებარეს. თუკი არსებობს პირის ნაცვალსახელი ის ჩაისმის შუაში. მაგალითად: **Finita la giornata, Lia torna a casa.** ნამყო მიმღეობა და ნაზმნარი ზედსართავი ერთმანეთს ჰგავს. ნაზმნარი ზედსართავი მიუთითებს მდგომარეობაზე (დამხმარე ზმნად გამოიყენება **essere**), ნამყო მიმღეობა მიუთითებს მოქმედების შედეგზე (დამხმარე ზმნაა **avere**). **Sono stanco, questo lavoro mi ha stancato** - ისინი დაღლილები არიან. ამ სამუშაომ დამღალა. უკუქცევით ფორმაში, იყენებენ ნამყო მიმღეობას. მაგალითად: **Elena si è chinata** - ელენემ თავი დახარა.

თავი VIII. ზმნიზედა

ზმნიზედა ჰქვია დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვას, რომელიც აღნიშნავს ზმნით გამოხატული მოქმედების დროს, სოვრცეს, ან გვიჩვენებს თუ რა ვითარებაში ხდება მოქმედება, ან რამდენჯერ და რა ზომით ხდება იგი ან კიდევ რა არის მოქმედების მიზეზი თუ მიზანი.

შინაარსის მიხედვით ზმნიზედის რამდენიმე ჯგუფი არსებობს. კერძოდ: ადგილისა, დროისა, ვითარებისა, ზომადენობისა, რიგობით-ჯერობისა, მიზეზისა და მიზნისა. წარმოების მიხედვით ზმნიზედები არის პირველადი და (ოდინდელი) და ნაწარმოები. პირველადი ზმნიზედებია: აქ, იქ, წინ, უკან, ასე, ისე, სად, შინ. ზმნიზედა ზმნის ამხსნელი სიტყვაა, ის ზმნით აღნიშნულ მოქმედებას განსაზღვრავს დროსა და სოვრცეში. არის შემთხვევები, როცა ზმნიზედა

ზედსართავს განსაზღვრავს: ძალიან ძვირი; მეტად ლამაზი, ფრიად მნიშვნელოვანი. არის შემთხვევები, როდესაც ერთი ზმნიზედა განსაზღვრავს მეორეს: მეტად ადრე; ძალიან გვიან. ეს დამხმარე მეტყველების ნაწილია, რომელიც გამოხატავს მოქმედების ნიშანს, მდგომარეობას, თვისებას, ასევე სხვადასხვა გარემოებებს, რომლის დროსაც სრულდება მოქმედება.

ფრანგულში ზმნიზედა უცვლელი სიტყვაა, რომელიც დაისმის სხვა სიტყვასთან და ცვლის მის მნიშვნელობას. ეს სიტყვა შეიძლება იყოს ზმნა, ზედსართავი ან სხვა ზმნიზედა. მაგალითად: **Il lit beaucoup.** ფრანგულში ანსხვავებენ ზმნიზედების ორ დიდ ჯგუფს. გარემოებითი და შეფასებითი. თითოეული მათგანი იყოფა 4 ქვეჯგუფად. გარემოებითის ქვეჯგუფებია: ვითარების, რაოდენობის, დროისა და ადგილის. შეფასებითის ქვეჯგუფებია: მტკიცების, უარყოფის, ეჭვის, კითხვითი. ვითარების ზმნიზედების მარტოვი ფორმებია: **bien, mieux, mal, pis, ainsi, même, exprès, debout, ensemble, plutôt, vite, volontiers... Il travaille bien.** ასევე გამოიყენება ზმნიზედური გამონათქვამი. ესენია: **à tort, à contrecœur, au hasard, à tâtons, à tue-tête, en vain, à l'envi, bon gré mal gré... Ne répondez pas au hasard.** ხშირად ზოგიერთი თვისებითი ზედსართავი სახელი გამოიყენება ზმნიზედის ნაცვლად. ამ შემთხვევაში ის უცვლელია. ესენია: **bas, haut, cher, clair, doux, fort, faux, net... Parlons bas.** ზოგიერთი ვითარების ზმნიზედა იწარმოება ზედსართავის მდედრობითი სქესის ფორმაზე - **ment** სუფიქსის დართვით. **Il m'écoutait attentivement.** ზოგიერთი ლათინური და იტალიური წარმოშობის სიტყვები ფრანგულში გამოიყენება, როგორც ვითარების ზმნიზედები. მაგალითად: **Travailler gratis, voyager incognito...** ზედსართავები, რომლებსაც მდედრობით სქესში აქვს დაბოლოებები **aie, ée, ie, ue,** კარგავენ **-e** დაბოლოებას სუფიქსის **-ment** წინ. მაგალითად: **vraiment,**

poliment...მაგრამ იწერება **gaiement, assidûment, goulûment, crûment, dûment**, სხვა თავისებურებაა **aveuglément, immensément, profondément, gëntiment, impunément**. ზედსართავები დაბოლოებებით **-ent(e), -ant(e)**, გვაძლევენ დაბოლოებებს **-ement, -amment: prudemment, constamment**, თუმცა არსებობს **lentement, présentement**. ზოგიერთი ვითარების ზმნიზედა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც რაოდენობის აღმნიშვნელი ზმნიზედა. **Il est bien méchant**. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც თვისებითი ზედსართავი. მაგალითად: **C'est une fille bien. Son frère est mieux qu'elle**. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც საზოგადო სახელი. **Je sens un léger mieux**. როგორც თვისებით ზედსართავებს, ვითარების ზმნიზედას შეიძლება ჰქონდეს შედარების ხარისხები. ესენია: დადებითი, შედარებითი, აღმატებითი. მაგალითად: **gentiment: plus(aussi, moins) gentiment, le plus(le moins, très, très peu) gentiment. Mieux, le mieux, pis, le pis**, გახლავთ ზმნიზედების **bien, mal** არაწესიერი ფორმები. **Tu travailles mieux (que lui)**. რაოდენობითი ზმნიზედებია, მარტივი ფორმები: **peu, beaucoup, bien, très, trop, assez, plus, moins, guère, presque, aussi, tant, tellement, combien, comme, que**. ზმნიზედური გამონათქვამებისაგან წარმოქმნილი ფორმებია: **à demi, à peine, à moitié, à gogo, peu à peu, peu ou prou, à peu près, pas du tout, tout à fait...** **Tu en dis trop, ou pas assez. Que vous êtes joli(e)! Elle reprend peu à peu des forces**. არ უნდა აგვერიოს **bien, aussi, fort**, ვითარების ზმნიზედები, რაოდენობის აღმნიშვნელ იგოვე ზმნიზედებთან. მაგალითად: **Elle travaille bien - Elle est bien sage. Il viendra aussi - Il est aussi sage. Il frappe fort - Tu es fort**.

ფრანგულში ადგილის ზმნიზედები არ ახდენენ დიფერენცირებას ადგილსამყოფელისა და მიმართულების მიხედვით. მაგალითად: **dedans, dehors** - შიგნით, შიგ; **en haut** - მაღლა, ზემოთ; **à droite** - მარჯვნივ; მაგალითად: **Ne**

restons pas derrière, passons devant. მას აქვს რთული ფორმებიც: **d'ici, par ici, çà et là, de - ci, de - là, deçà, delà, au - dessus, au - dessous, au - dehors, quelque part... Que regardes - tu là - haut?** ზოგიერთ ადგილის ზმნიზედას შეიძლება ჰქონდეს შედარების ხარისხები. მაგალითად: **loin, plus(aussi, moins) loin; très(le plus, le moins)loin.**

დიფერენცირებას განიცდის დროის ზმნიზედები. მაგალითად: აწმყოს პლანი - **hier, maintenant, ici;** წარსულის პლანი - **la veille, alors, là.** დროის ზმნიზედების მარტივი ფორმებია: **alors, maintenant, hier, demain, bientôt, tôt, tard, jamais, toujours, désormais, jadis, naguère, souvent... Parti hier, il reviendra bientôt.** დროის ზმნიზედები შეიძლება ნაწარმოები იყოს ზმნიზედური გამონათქვამისაგან: **aujourd'hui, d'abord, tout à coup, à présent, de nouveau, avant - hier, après - demain, sur - le - champ, dès lors...Arrivée aujourd'hui, elle repart sur - le - champ.** დროის ზმნიზედას შეუძლია გამოხატოს სხვადასხვა ნიუანსები: თარიღი ხანგრძლიობა, გამეორება: **Il sera là demain. Elle fut longtemps malade. Je souffre de temps en temps.** ზოგიერთ დროის ზმნიზედას აქვს შედარების ხარისხები. მაგალითად: **tôt, plus(aussi, moins), tôt, très(le plus, le moins) tôt. Un jour, tantôt, tout à l'heure** შეიძლება გამოხატოს წარსული ან მომავალი. მაგალითად: **Il partit un jour. Elle guérira un jour. Je l'ai vu(e) tantôt. Elle viendra tout à l'heure.** უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან შემდეგი ფორმები: **Jadis, naguère, tout à coup, tout d'un coup, aussitôt, aussi tôt, sitôt, si tôt, bientôt, bien tôt.**

შეფასებით ზმნიზედებს განეკუთვნება: მტკიცებითი, ეჭვის, უარყოფის, კითხვითი. უნდა აღვნიშნოთ, რომ გარემოებითი ზმნიზედა ცვლის სიტყვას, ხოლო შეფასებითი წინადადებას. მტკიცებითი ზმნიზედის ფორმებია: **oui, si, bien, certes, certainement, assurément, évidemment, en vérité, bien sûr, pour sûr, parfaitement, effectivement. As - tu reçu ma lettre?**

- **Oui. Si** ცვლის **oui**-ს უარყოფით კითხვაზე დადებითი პასუხის დროს. მაგალითად: **N'as - tu pas reçu ma lettre ? - Si. Oui, si**, ზოგჯერ განმტკიცებულა გამეორებით. **Oui, oui, j'arrive.** სხვა სიტყვის დამატებით. **mais oui;** ანდა ჩანაცვლებით: **certes, parfaitement, bien sûr, assurément...** ვარაუდის, ეჭვის გამომხატველი ზმნიზედების ფორმებია: **peut - être, sans doute, probablement, apparemment, soit. Peut - être se sont - ils égarés en chemin. Sans doute** და **sans aucun doute** უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან. პირველი გამოხატავს ვარაუდს, მეორე მტკიცებას. უარყოფის ზმნიზედებია: **non, ne, ne...pas, ne ...point, ne...jamais, ne...plus, ne ...personne, ne...rien, ne...aucun, personne ne, rien ne...Rien ne me verra plus, je ne verrai plus rien. Non** უარყოფის მახვილიანი ფორმაა, ხოლო **ne** უმახვილო ფორმა. უარყოფითი წინადადების გასაძლიერებლად თავში დაისმის ფორმა **non. Non, je ne la verrai pas. Ne** ზოგჯერ გამოიყენება მყარ გამოთქმებში. მაგალითად: **n'importe, je n'ose.** ზოგიერთ დაქვემდებარებულ წინადადებაში: **Si je ne me trompe.** იგი ზოგჯერ გამოტოვებულია ელიპტიკურ წინადადებაში. მაგალითად: **Point d'argent, point de suisse - Lit - il? -Jamais. Ne** ზოგჯერ შეიძლება იყოს ჩართული. **Je crains/ qu'il ne parte. Ne ...que,** ეს არ არის უარყოფა, ის შემზღუდავი გამონათქვამია. **Elle n'aime que la musique.** კითხვითი ზმნიზედების ფორმებია, ვითარების, რაოდენობის, ადგილის, დროის და მიზეზის გამომხატველი ნიუანსების მქონე ზმნიზედები. ესენია: **comment? combien? où? d'où? par où? quand? depuis quand? pourquoi? Comment vas - tu? d'où vient - il? pourquoi riez - vous?** ასევე პერიფრაზი **est - ce que** და ზმნიზედა **si.** მაგალითად: **Est - ce que tu l'aimes? - Dis - nous/ si tu l'aimes. Pourquoi** ზოგჯერ ჩანაცვლებულია ფორმით **que: Que ne se calme - t - elle? - Que tarde - t - il à revenir?**

ესპანურ ენაში ზმნიზედები გამოირჩევა ცნობილი გრამატიკული უნივერსალით, პოლივალენტურობით, რადგანაც ახდენს ისეთი ერთმანეთისაგან განსხვავებული მეტყველების ნაწილების მოდიფიცირებას, როგორებიცაა ზმნა და ზედსართავი.

ზმნიზედა ხასიათდება იმით, რომ ის ფლექსიას არ იცვლის სხვა დამხმარე მეტყველების ნაწილების მსგავსად. ლექსიკო-სემანტიკური და გრამატიკული ნიშნებით ზმნიზედა შეიძლება დაეყოს თვისობრივ და გარემოებით ზმნიზედებად. თვისობრივი ზმნიზედებია **bien, muy, cerca** ასევე ყველა ზმნიზედა, რომელიც ბოლოვდება სუფიქსზე **-mente, indudablemente, naturalmente, ciertamente**. მაგალითად: **Cierre bien la puerta. Lancéme a todo correr** - კარი კარგად დაეკეტე სირბილით გავიქეცი. თვისობრივ ზმნიზედების გრამატიკული ნიშნებია: 1. არა მარტო ზმნების არამედ ზედსართავებისა და ზმნიზედების მოდიფიცირების უნარი; 2. შედარებითი ხარისხების წარმოების უნარი. გარემოებითი ზმნიზედების შემადგენლობაში შედის ზმნიზედები, რომლებიც აღნიშნავენ დროისეულ და სივრცობრივ გარემოებებს. ამის მიხედვით ანსხვავებენ დროისა და ადგილის ზმნიზედებს. დროის ზმნიზედებს განეკუთვნება: **ahora, antes, aùn, ayer, después, ya, entonces, hoy, jamás** და სხვა. ადგილის ზმნიზედებს განეკუთვნება: **abajo, arriba, aquí, cerca, junto, lejos, encima, donde** და სხვა. შედარებითი ხარისხები გააჩნია თვისებით ზმნიზედებს. შედარებითი ხარისხისათვის გამოიყენება დამხმარე ზმნიზედა **más** ან **menos. más bien, más alto, más claramente**. აღმატებით ხარისხში გამოიყენება საშუალო სქესის არტიკლი **lo; lo más bien, lo más alto, lo más claramente. Me despedí con aquel sujeto le más pronto que fue posible** - იმ სუბიექტს რაც შეიძლებოდა სწრაფად დავეშვიდობე. ზოგიერთი ზმნიზედა აწარმოებს შედარებითი ხარისხების განსაკუთრებულ მოდელს, რომელიც არსებობს ტიპიურ

მოდელთან ერთად. მაგალითად: **bien - mejor - lo mejor, bien - más bien - lo más bien, mal - peor - lo peor, mal - más mal - lo más mal.** ზმნიზედის ძირითადი ფუნქცია წინადადებაში არის გარემოებითი. ზმნიზედებს ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლიათ შეცვალონ არსებითი სახელები, თუ ეს უკანასკნელი ადიექტივირებულია. მაგალითად: **Es una chica americana, muy artista.** ზმნიზედამ შეიძლება შეასრულოს განსაზღვრების როლი, მაგალითად: **el combate de ayer... la lucha de hoy.** ასევე გახდეს შედგენილი შემასმენლის ელემენტი. მაგალითად: **Si he querido bromear, dispénsenme todos: yo soy así -** თუ გავიხუმრე მაპატიეთ. მე ასეთი ვარ. ყველაზე ხშირად ადვერბიალიზაციას განიცდიან ზედსართავები. ეს ხდება სიტყვის ლექსიკური და გრამატიკული გადააზრებით. მაგალითად: **- Viene mucho por aquí?** ადვერბიალიზაციას განიცდის არსებითი სახელი **mañana,** რიცხვითი სახელი **primero,** წინდებულები **hasta** და **sხვა.** პირველადი ზმნიზედების რაოდენობა ესპანურში ცოტაა. მაგალითად: **ahora, antes, más, muy, acá.** ზმნიზედების წარმოების მორფოლოგიური ხერხებია სუფიქსის **-mente** დართვა მდებრობითი სქესის ზედსართავ სახელზე. თუკი წინადადებაში ერთ ზმნიზედას მოსდევს მეორე ზმნიზედა, ამ დაბოლოებით, მაშინ იგი დაისმის მხოლოდ ბოლოში, პირველი ზმნიზედის შემდეგ. მაგალითად: **Esto es: no sentía el pasado lírica ni musicalmente -** ზუსტად წარსულს ვერ გრძნობდა არც ლირიულად არც მუსიკალურად. ესპანურში სასაუბრო ენაში კნინობით სუფიქსებს ბოროტად იყენებენ. მაგალითად: **Si yo supiera me iría lejotes, lejotes!** - რომ მცოდნოდა ძალიან, ძალიან შორს წავიდოდი! ისევე როგორც ფრანგულ ენაში, ესპანურშიც ზოგიერთი ზედსართავი სახელი გამოიყენება ზმნიზედის ნაცვლად. ისინი ჩაისმის მამრობით სქესში. მაგალითად: **No hables tan bajo.** ზედსართავმა, რომელიც

თან ახლავს ზმნას, შეიძლება მიიღოს ზმნიზედის მნიშვნელობა. მაგალითად: **Viven tranquilos.**

იტალიურში ისევე, როგორც ფრანგულსა და ესპანურში ზმნიზედას მსგავსი ნიშნები გააჩნია. პირველადი ზმნიზედებია: **bene, forte, male, piano** და სხვა. უმეტესობა ზმნიზედებისა იწარმოება თვისებითი ზედსართავი სახელის მდებარეობითი სქესის ფორმაზე სუფიქსის **mente** დართვით. მაგალითად: **Leggevo tranquillamente. Mi saluta cortesemente. Parla semplicemente.** თუ ზედსართავი ბოლოვდება **le-**ზე, **re-**ზე, მაშინ ბოლო ხმოვანი არ შენარჩუნდება და - **mente** სუფიქსი დაერთვის. მაგალითად: **Mi parla gentilmente. Il film particolarmente interessante.** იტალიურში ცნობილია მუსიკალური ზმნიზედები **pianissimo, fortissimo.** სასაუბრო მეტყველებაში ამბობენ **benissimo.** ზმნიზედები ირთავენ სუფიქსს - **issimo,** როგორც ზედსართავები. მოკლე ზედსართავები ირთავენ ამ სუფიქსს, ხოლო გრძელი ზედსართავები ზმნიზედას **molto.** ვამბობთ **facilmente, facilissimamente. Studia tranquillamente, studia tranquillissimamente.** ისე ხდება, რომ ზოგჯერ აორმაგებენ ზედსართავს, რათა გამოხატონ აღმატებითი ხარისხი. მაგალითად: **Camina pian piano. Questo edificio è alto alto.** ზედსართავები, რომლებიც ბოლოვდება სუფიქსზე -**oni,** მიუთითებს საქციელს ან სიარულის მანერას. იგი იწარმოება არსებითი სახელის ან ზმნისაგან. მაგალითად: **la bocca, bocconi.** მაგალითად: **Il bambino cadde bocconi** - ბავშვი პირქვე დაეცა. ზოგიერთი ზედსართავი შეიძლება გამოყენებულ იქნას ზმნიზედის ნაცვლად. მაგალითად: **chiaro, forte, diritto, giusto. Paolo ha visto giusto.** ზოგიერთი ზმნიზედა ლათინური წარმოშობისაა. მაგალითად: **bene, male, così, come, insieme, volentieri. Abbiamo mangiato male.** ზოგიერთი ზმნიზედა მიიღება:

- წინდებულს + ზედსართავი: **alla svelta, d'improvviso.**
- წინდებულს + არსებითი სახელი: **a caso, in fretta.**

- ზედსართავის განმეორებით **pian piano**.

იტალიურში ანსხვავებენ დროის ზმნიზედებს. ესენია: **ieri, ora, adesso, allora, sempre, mai, fra poco, ogni tanto, ora...ora, d'ora in poi**.

È tornato ora. Ora te lo dico. Mai è stato fedele.

ადგილის ზმნიზედებია: **qui, qua, quaggiù, quassù, dentro, davanti, dietro, sopra, giù... Laggiù c'è una bianca**. იტალიურში არსებობს აგრეთვე რაოდენობის აღმნიშვნელი ზმნიზედები. ესენია: **poco, molto, tanto, troppo, abbastanza, almeno, assai, quasi** და ზმნიზედური გამოთქმები **all'incirca, così così, press'a poco, a un di presso, su per giù, sempre più, sempre meno. Hanno mangiato troppo. Abbiamo quasi finito. Siamo press'a poco della stessa età**. იტალიურში არის ასევე თანხმობის, ურაცოფის, ეჭვის ზმნიზედები. ესენია: **affatto, appunto, certo, davvero, già, precisamente, proprio, senz'altro, senza dubbio, sicuro; no, nè, neanche, nemmeno, neppure, mica, per niente, neanche per sogno; eventualmente, forse, magari, circa. È affatto incapace di parlare. Non lo vedo mai. Forse ho fatto male a dirglielo.**

ვითარების ზმნიზედების უმეტესობას, ზოგიერთ ადგილის ზმნიზედებს (**lonatano, vicino**), დროის ზმნიზედებს (**presto, tardi, spesso**) და რაოდენობის ზმნიზედებს (**molto, poco**) აქვთ შედარებითი ხარისხი უფროობითი (**più spesso**), ოდნაობითი (**meno spesso** და შედარებითი (**così spesso**); ზმნიზედების შედარებითი ხარისხები იწარმოება, ზედსართავის ხარისხების მსგავსად. **Va al cinema più spesso di me**. მათი ნაწილობრივი უფროობითი ფორმა იწარმოება არტიკლის გარეშე, რითაც ის განსხვავდება ფრანგულისაგან. მაგალითად: **Luigi è l'amico che invito più volentieri. Pietro mangia di più**. ზოგიერთ ზმნიზედებს არაწესიერი ფორმა აქვს შედარებით და აღმატებით ხარისხებში. მაგალითად: **bene - meglio - ottimamente, male - peggio - pessimamente, molto**

- più - moltissimo, poco - meno - minimamente, grandemente
- maggiormente - massimamente ან sommamente.

ზმნიზედები შეიძლება დაისვას ზედსართავის წინ, ზმნიზედის წინ, ზმნის შემდეგ. მაგალითად: **È proprio simpatico. Leo guida molto forte. Egli parlava lentamente.**

თავი IX. კავშირი

კავშირი ეწოდება დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელ სიტყვას, რომელიც მნიშვნელობას იძენს სხვა სიტყვებთან ხმარებით: ის აკავშირებს წინადადების ორ წევრს ან სხვა წინადადებას. კავშირი შეიძლება იყოს მარტოვი (და, თუ, ხოლო, ან...) ან შედგენილი (ვიდრე, თუნდაც, თორემ). ქართულში კავშირთა ორი ჯგუფი არსებობს: ერთში გაერთიანებულია მაერთებელი კავშირები, მეორეში მაქვემდებარებელი. მაერთებელ კავშირი შეიცავს 4 ქვეჯგუფს. გამოიყოფა: მაჯგუფებელი, მაცალკეებელი, მაპირისპირებელი და მაიგივებელი. მაქვემდებარებელი კავშირი დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს. კავშირის ადგილი დამოკიდებულებაშია.

მაქვემდებარებელი კავშირები იმის მიხედვით, თუ როგორ დამოკიდებულ წინადადებას აერთებენ მთავართან, რამდენიმე ჯგუფს შეადგენენ:

1. დროისა: რა, თუ არა, რაკი, როს, ოდეს, ვიდრე, რომ, სანამ...
2. მიზეზისა: რადგანაც, იმიტომ, ვინაიდან, რაკი...
3. მიზნისა: რათა, რომ, იმისათვის...
4. პირობისა: თუ, თუკი, რომ, უკუთუ...
5. დათმობისა: თუმცა, გინდ, თუნდ, მიუხედავად იმისა.

ქვეწყობის კავშირების მხრივ ქართულში ასეთი მდგომარეობაა: გვაქვს საკუთროვ კავშირი „რომ“, რომელიც აქვემდებარებს რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებულ წინადადებებს მთავართან და გვაქვს წვერი - კავშირები (მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები: ვინც, რაც, რომელიც, სადაც, როდესაც, როგორც...) რომელნიც კავშირის ფუნქციასაც ასრულებენ და წინადადებაში წვერადაც შედიან, როგორც ფრანგულში.

ფრანგულში კავშირი დამხმარე სიტყვაა, რომელიც გამოხატავს განსხვავებულ მიმართებებს წინადადების ერთგვაროვან წევრებს შორის, რთული წინადადების ნაწილებს ან დამოუკიდებელ წინადადებებს შორის. ანსხვავებენ თანწყობისა და ქვეწყობის კავშირებს. თანწყობის კავშირებია ფრანგულში **et, mais**. ქართულში მათ შეესაბამება და, თუ, მაგრამ. და, თუ - მაჯგუფებელი კავშირებია, რომელიც აერთებს წინადადების ორ წევრს ან ორ წინადადებას. გამოიყენება რთული თანწყობილი წინადადების ნაწილების შესაერთებლად. მაგრამ მაპირისპირებელი კავშირებია, რომელიც აპირისპირებს წინადადების ორ წევრს, ან რთული თანწყობილი წინადადების ორ ნაწილს. ეს კავშირები ერთმანეთს ჰგავს. ქართულში ხშირად გამოიყენება კავშირები მიტომ, შესაბამისად, მაშინ. ფრანგულში უპირატესობა აქვს კავშირ **et-ს**; შეიძლება გამოყენებულ იქნას **alors, c'est pourquoi**. ხშირად კავშირების გამოყენება არაა ეკვივალენტური ერთგვაროვანი წევრების თანწყობისას. ქართულ და-ს შეესაბამება **et, ou**, კავშირ არც-ს ფრანგული **ni, ni**.

ქვეწყობის კავშირები ერთგვაროვანია უფრო, გარდა **si, sinon, quand, où, combien** და სხვა. ყველა კავშირში შედის **que**, მაგალითად: **parce que, puisque, lorsque, quoique** და სხვა. ყველაზე განზოგადოებულია მნიშვნელობის მხრივ **que** - რომ. მას შეუძლია შეცვალოს ნებისმიერი კავშირი.

ესპანურშიც კავშირი დამხმარე მეტყველების ნაწილია. ის აკავშირებს ერთმანეთთან წინადადების წევრებს, დამოუკიდებელ წინადადებებსა და რთული წინადადების ნაწილებს. ისევე, როგორც ფრანგულში ესპანურშიც ანსხვავენ თანწყობისა და ქვეწყობის კავშირებს. თანწყობის კავშირები იყოფა მათემატიკურ, მათემატიკურ და მათემატიკურებელ კავშირებად. ესენია: **y, ni...ni; ora...ora, ya...ya; pero, más, sino, aunque.** მაგალითად: **Tomando ora la espada ora la pluma;**

Ahora, toda la vida parecía concentrarse en el mar, y el puerto abrigaba medio centenar de embarcaciones.

Yo ni soy sabia, ni filósofa, ni teóloga.

Ya en la milicia, ya en las letras. ...nos se trataba de robar, sino de dar vida a la cosecha. ქვეწყობის კავშირებია: **así que que, cuando, luego que, desde que, antes que, porque, puesto que; para que, a fin que de que, a que, si, dado que, en caso que, como, como si, aunque, bien que** და სხვა. მაგალითად: **Llevantamos el campo porque la tarde está cayendo** - ბანაკს ვშლით, რადგან უკვე გვიანდება.

Yo le había dicho antes que allí me sentía existir - ადრე მისთვის ნათქვამი მქონდა, რომ იქ ვგრძნობდი რომ ვარსებობ.

კავშირების ფუნქციური თავისებურება ყველაზე მეტად შეიძლება განხილული იყოს წინადადებისა და სიტყვათშეერთების სინტაქსში.

იტალიურში კავშირები იგივე ფუნქციებს ასრულებენ, რასაც ფრანგულ და ესპანურ ენებში. ანსხვავენ თანწყობისა და ქვეწყობის კავშირებს. თანწყობის კავშირებია, რომლებიც აერთებენ სიტყვებსა და წინადადებებს. მაგალითად: **e, anche, nonché, pure, né, neanche, nemmeno, neppure.** მაგალითად: **Ragazzi e ragazze andavano e venivano** - გოგონები და ბიჭები მიდიოდნენ და მოდიოდნენ. **e** კავშირი გარადაიქმნება **ed**, ხმოვნის წინ. მაგალითად: **Io ed Elena siamo sorelle.**

კავშირი **e** გამოიყენება იდიომატურ გამოთქმებში, რომელსაც მოყვება ციფრი, **tutti e due**, ანდა **bello**, რომელსაც მოსდევს მიმღეობა. **È bell' e fatto**. კავშირი **anche** დაისმის სიტყვის წინ, რომელსაც ის უკავშირდება და იკვეცება პირის ნაცვალსახელის წინ, რომელიც იწყება ხმოვნით. მაგალითად: **Lea vive a Roma, anch'io**.

უარყოფითი კავშირები წინ უსწრებენ ზმნას წინადადებაში სხვა სახის უარყოფის გარეშე. თუ ისინი მას მოსდევს, მაშინ ემატება უარყოფის ნაწილაკი **non**. **Neanche lei ha mangiato**. იმისათვის, რომ გამოვხატოთ ალტერნატივა, იყენებენ კავშირებს **o, oppure, ossia, ovvero, altrimenti**. მაგალითად: **Puoi comprare un dolce oppure un gelato** - შეგიძლია იყიდო დესერტი ან ნაყინი.

მაერთებელ კავშირს შეუძლია შემოიყვანოს ახსნა განმარტება: **cioè, vale a dire, difatti, infatti, in effetti**: **Non l' ho trovato: infatti era già uscito**. მას შეუძლია შემოიყვანოს დასკვნა: **dunque, quindi, perciò**: **Non avevo il tuo indirizzo, perciò non ti ho scritto**. კავშირი გამოხატავს შეზღუდვას, დაპირისპირებას ანდა რაიმეს აძლიერებს: **ma, tuttavia, però, eppure, invece, bensì, anzi**; **Non mi dispiace, anzi mi fa piacere**. კავშირი გამოხატავს კორელაციას: **e...e, né...né, sia...sia, così...come/tanto...quanto, non solo...ma anche**. **Qualcuno risponde sempre, sia di giorno, sia di notte**.

რაც შეეხება მაქვემდებარებელ კავშირებს, ყველაზე გავრცელებულია კავშირი **che**. მას შემოყავს დამატებით დამოკიდებული წინადადება, თუკი თხრობით კილოში მთავარი წინადადება გამოხატავს ან ადასტურებს იმას, რაც უეჭველია: **Dico che non è venuto**. კავშირებით კილოში, როდესაც მთავარი წინადადება გამოხატავს ეჭვს, სურვილს, გრძნობას, როდესაც უეჭველობა უკუგდებულა. მაგალითად: **Ignoravo che fosse malata. Vuole che la lezione sia studiata** - არ ვიცოდი, რომ ის აუად იყო. მას სურდა გაკვეთილი ესწავლა. პირობით კილოში, როდესაც ფაქტი

მხოლოდ შესაძლებელია. მაგალითად: **Dico che andrei volentieri al cinema.** იგი გამოიყენება მიზეზობრივ წინადადებაში თხრობით კილოში: **Entra che fa freddo fuori,** ასევე წინადადებაში, რომელშიც თანმიმდევრული აზრია გადმოცემული და თხრობით კილოშია. მაგალითად: **Fa tanto caldo che si suda.** ბოლო წინადადებაში, რომელიც ყოველთვის კავშირებით კილოშია. **State attenti che il bimbo non cada** - ყურადღებით იყვნენ, რომ ბავშვი არ დაერდნილიყო. ტემპორალურ წინადადებაში, რომელიც თხრობით კილოშია. მაგალითად: **Parti che spuntava l'alba. Che** შეიძლება ნაგულისხმევი იყოს თუკი დამატებით დამოკიდებული წინადადება კავშირებით კილოშია. **Penso sia già partito.** თანწყობილი წინადადების შემთხვევაში, ცდილობენ არ გაიმეორონ კავშირი. მაგალითად: **Dice che Pietro è nato in Italia ed è emigrato a Parigi.** თუ რამდენიმე ქვეწყობილი წინადადება გვაქვს კავშირი **che** არასოდეს არ ცვლის სხვა კავშირს. მაგალითად: **Quando fa caldo e ho tempo, viaggio** - როდესაც ცხელა და დრო მაქვს, ვმოგზაურობ.

თავი X. წინდებულები

წინდებულები რომანულ ენებში და თანდებულები ქართულში გამოხატავენ სახელების სხვადასხვა მიმართებას სხვა სიტყვებთან. წინდებულები სიტყვების წინ დაისმება, ხოლო თანდებულები სიტყვების შემდეგ, ოღონდ ერწყმიან სიტყვებს. საერთოდ, ქართულში თანდებულები წარმოშობით იგივეა, რაც ზმნისწინი, ე.ი. წინდებულები ოღონდაც ზმნისათვის. შემდეგ, ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, მომხდარა მათი დიფერენციაცია სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა შორის. ქართულში თანდებულები ეწოდება

დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვას ან ბგერათა კომპლექსს, რომელიც დაერთვის სახელის ამა თუ იმ ფორმას და აღნიშნავს მდგომარეობას, მიმართულებას, მსგავსებას ან სხვა რაიმე დამოკიდებულებას დასახელებულ საგანთან. თანდებული მხოლოდ სახელს ახლავს. თანდებული არის მარტივი (გან, თვის, ზე, ში... დღეს მასში აღარაფერი გამოიყოფა) და რთული ე.ი. ისეთი, რომელიც რამდენიმე ნაწილად იშლება: გამო, მიერ, მიმართ.

თანდებული დღეს სრული მნიშვნელობის არამქონე მეტყველების ნაწილია, მაგრამ თანდებულები სრულმნიშვნელოვან სიტყვათაგან მომდინარეობენ. ამ სიტყვებმა დროთა განმავლობაში დაკარგეს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და დამხმარე სიტყვებად იქცნენ. მაგ. – თვის თანდებული – თავ სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან მომდინარეობს, ასევე სრულმნიშვნელოვანი სიტყვების დამხმარე სიტყვებად ქცევის შედეგად მივიღეთ თანდებულები: მაგოვრად, თაობაზე, მიხედვით, ნაცვლად. განსაკუთრებით ხშირია დღევანდელ ქართულში ზმნიზედის გამოყენება თანდებულის მნიშვნელობით (განსაკუთრებით ადგილისა და დროის ზმნიზედებისა): მდინარის გაღმა, სახლის წინ, სახლის უკან, სახურავის ქვეშ, ორი დღის შემდეგ, ამ მთას იქით, ჭერქვეშ...

ფრანგულ ენაში, მორფოლოგიური შედგენილობის მიხედვით გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები. მარტივი (**à, de, en, pour**; -გან; -იდან; -კენ; -მდე; -ვით; -თან; -ში; -ზე): მარტივი წარმოქმნილი (**sauf**; უკან, წინ); ნაწარმოები არსებითი სახელისაგან (**à côté de...** დახმარებით, წყალობით, რაოდენობით).

ფრანგულში **dans la maison, à la maison** შეუძლია გამოხატოს როგორც ადგილმდებარეობა, ისე მოძრაობა. ეს ორი რამ განსხვავდება მხოლოდ ზმნებით - **aller à Paris; vivre à Paris**. ქართულშიც იგივე მდგომარეობაა. ფრანგულში ქართულისაგან განსხვავებით უფრო ნაკლებად ხდება

საპირისპირო მნიშვნელობის მქონე წინდებულების დიფერენცირება, **verser dans un verre** - ჭიქაში ჩასხმა; **boire dans un verre** - ჭიქიდან დალევა.

ყველა ენაში გამოიყოფა წინდებულები, რომლებიც აბსტრაქციის უმაღლეს ხარისხს აღწევენ. ფრანგულში ყველაზე მეტ გრამატიკალიზაციას მიაღწია წინდებულებმა **de, à, en, sur, par**; წინდებულ **à**-ს ქართულში შეესაბამება თანდებულები - ში, - ოდ ან სახელი ვითარებითი ბრუნვის ფორმით. მაგალითად: **travailler à l'usine; aller à la chasse; acheter au marché**. ქართულად ვამბობთ მიწვევით - **sur l'invitation**; **à l'exemple** ვინმეს მაგალითით; სიტყვათშეერთებებში **de** გამოხატავს ნებისმიერ მიმართებებს, რომლის გადმოსაცემად ქართული იყენებს სხვადასხვა თანდებულებებს. მაგალითად: **son arrivée de Paris** - მისი ჩამოსვლა პარიზიდან; **une lettre de Pierre** - წერილი პიერისაგან; **la route de Paris** - გზა პარიზისაკენ. ფრანგულ მეტყველებაში წინდებულები უფრო ხშირად გამოიყენება ვიდრე ქართულში თანდებულები.

თავისი პირველადი მნიშვნელობით **de** გამოხატავდა მოძრაობის საწყის წერტილს. შემდეგ იგი უკვე ნათესაობით ბრუნვას გადმოსცემს. თარგმნის დროს უნდა გავითვალისწინოთ სინტაგმის მართვის კომპონენტები, დამოკიდებული კომპონენტის სემანტიკა და სინტაქსური ფუნქცია, რადგან მიმართებებს შორის საზღვრები პირობითია და ისინი შეიძლება გადაიკვეთოს.

de+infinitif - ქვემდებარის ფუნქციით - **Et de penser à toi me soutiendra** - შენზე ფიქრი ჩემთვის მხარდაჭერა იქნება. ამ შემთხვევაში **de** წინდებულს ქართულში ნულოვანი ეკვივალენტი აქვს. **de+infinitif** - ზმნის დამატების ფუნქციით **Je refuse de partir** - მე უარს ვამბობ გამგზავრებაზე. ზმნური სინტაგმა **V+de+S** - **sortir d'une pièce** - ოთახიდან გასვლა. ამ შემთხვევაში ქართული ეკვივალენტი იქნება ლოკალური, გამოსვლითი ბრუნვა, რომელიც იწარმოება

სახელის მოქმედებითი ბრუნვის ფორმაზე - გან თანდებულის დართვით: ოთახ-ით-გან '! ოთახ-იდ-გან '! ოთახიდან. **de-ს** შეუძლია გამოხატოს მოქმედების მიზეზი; **trembler de froid**; რომლის ქართული ეკვივალენცია თანდებული გან, დართული ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე ან ცალკე მდგომი თანდებული - გამო, ასევე ნათესაობით ბრუნვას დართული: სიცვიისაგან, სიცვიის გამო. სინტაქსური ფუნქცია ქართულშიც და ფრანგულშიც მიზეზის გარემოებაა. **De-ს** შეუძლია გამოხატოს მოქმედების საშუალება, ხელსაწყო **de+S - montrer du doigt; orner de drapeaux; de+S -** დამატების როლში **la ville de Paris**; პასიურ ფორმაში სინტაგმის დამოკიდებული კომპონენტი გამოხატავს მოქმედების აგენს. **Il est aimé de ses amis**. დამოკიდებულ კომპონენტს ვითარების მნიშვნელობით ქართულში შეესაბამება მოქმედებითი ბრუნვა - **parler d'un ton severe** - მკაცრი ტონით ლაპარაკი. არქაული გამოყენების მაგალითია, როდესაც დამოკიდებული კომპონენტი და შემასმენლის სახელადი ნაწილი გამოიყენება შენაცვლების მნიშვნელობით. **Si j'étais de Jean (être à la place de)** ჟანის ადგილას მე... **de+N de matière** - ეკვივალენტი ნოვთიერების სახელიდანაა ნაწარმოები. მაგალითად: **Les marches de pierre** - ქვის საფეხურები, არსებითი სახელია, რომელიც ხმარებულია სუბსტანციურ, მართულ მსაზღვრულად. **S+de(art)+S** - გამოხატავს საგანს და მის თვისებას. მისი ეკვივალენცია არსებითი სახელი ან ნაწარმოები ზედსართავი. **La beauté du soir** - საღამოს სილამაზე. **S+de+S** - გამოხატავს ნოვთიერებას და მისი შემცველის მიმართებას. **Un verre de vin** - ჭიქა ღვინო.

წინდებული **à** გამოხატავს მიცემით ბრუნვას. **V+à+S - Il consent à partir**, რომელიც ქართულად თარგმნისას მოგვცემს ან ზმნის კავშირებითში დასმის აუცილებლობას, (გაემგზავროს), ან საწყისს, რომელიც იდგება თან თანდებულთან ნათესაობით ბრუნვაში: გამგზავრებისათვის,

ან - ზე თანდებულებიან მიცემითში: გამგზავრებაზე. ის თანახმაა გამგზავრებისათვის. **V+à+S** - შეუძლია გამოხატოს სიფრცობრივი მიმართებები. **être à Paris** - პარიზში ყოფნა; **assister à une séance** - შეკრება დასწრება; **aller à Paris**; **écrire à un ami** - გამოხატავს საგნისაკენ მიმართულებას. **V+à+ (adj)** - გამოხატავს დროისეულ მიმართებებს. **Venir à la nuit tombante** - დაღამებისას მოსვლა; **venir à 9 heures** - ქართულში ეკვივალენტი იქნება დროის ზმნიზედა ნათესაობით - მიცემითი ორმაგი ბრუნვის ფორმით.; **à ce soir** - საღამომდე; ვითარების გარემოება გამოიხატება ზმნური სინტაგმით **V+à+0art(+adj)+S** - **aller à pied**; **voir à l'œil nu**. რაოდენობრივი მიმართება გამოიხატება - **travailler du matin au soir** - დილიდან საღამომდე მუშაობა. ქართული ეკვივალენტი იქნება - გან თანდებულებიანი მოქმედებითი ბრუნვა (დილ - ით - გან ! დილიდან) და - მდე თანდებულებიანი ვითარებითი ბრუნვა (საღამოდ მდე ! საღამომდე). კუთვნილებითი მიმართება გამოიხატება **S+à+pron. tonique, son bonheur à lui** - მისი ბედნიერება. აქ ვადგენთ მფლობელის სქესს. **S+à+0art+S** - გამოხატავს საგანს და საშუალებას, რომელსაც იგი მოყავს მოძრაობაში **une charette à bras** - ხელის ურიკა. **Une machine à vapeur** - ორთქლის მანქანა; **une lampe à alcool** - სპირტქურა; **S+à+0art+S** - გამოხატავს საგნის თვისებას - **une jupe à carreaux** - კუბოკრული ქვედა კაბა; **homme aux bottes** - ჩექმებიანი კაცი; **S+à+0art+S** - გამოხატავს საგანს და მის დანიშნულებას **une boîte à lettres**; **brosse à dents**; **masque à gaz**;

წინდებულები **histoire de** - პირველად გამოიყენა ბალზაკმა. ჩვენ დროში იგი განიხილება როგორც მეტად ფამილარული სტილის წინდებულები. იგი გვხვდება ზმნურ სინტაგმაში **V+histoire de +inf - dire qch histoire de rire** - გასაცინებლად რაიმეს თქმა; მისი ეკვივალენტებია გულისათვის; თვის+არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვა ან რათა; იმისათვის+ინფინიტივი - ლექსიკური ეკვივალენტი. ზოგჯერ

Voici, voilà ასრულებენ წინდებულის როლს. მაგალითად: **Voici huit jours que je suis là (=je suis là depuis huit jours).** ერთი და იგივე სიტყვა ზოგჯერ ზმნიზედაა, ზოგჯერ წინდებული: **Passez devant - ზმნიზედაა, devant la fenêtre - წინდებული.** ძველ ენაში დამატების აგება ხდებოდა პირდაპირ წინდებულის გარეშე. მაგალითად: **l'Hôtel - Dieu (de par Dieu), Bourg - la - Reine (=le bourg de la Reine).** წინდებულია გამოტოვებული ქუჩების, მოედნების, ძეგლების, სკოლების სახელებთან, ასევე კულინარულ ტერმინოლოგიაში, თარიღებსა და ქარგონებში. მაგალითად: **la rue Voltaire, la tour Eiffel, le homard mayonnaise, fin novembre, une veste sport...** ზოგჯერ წინდებული მოკლებულია ყოველგვარ მნიშვნელობას და ჩართულია. მაგალითად: **la ville de Paris; le mois de juin. Quoi de neuf ?** ზოგჯერ სულ ერთია როგორ ვიტყვი: **aimer lire, aimer à lire, aimer de lire;** წინდებულის შეცვლამ შეიძლება აზრი შეცვალოს. მაგალითად: **le train de Lyon**(რომელიც ჩამოდის ლიონიდან), **le train pour Lyon**(რომელიც მიდის ლიონში). უნდა ვთქვათ: **parler à un ami, causer avec un ami, aller à la boucherie, aller chez le boucher, aller en voiture, aller à bicyclette; être furieux contre** და არა **être furieux après, la femme de Jean** და არა **à Jean, en réponse à,** და არა **suite à...**

ესპანურ ენაში ისევე, როგორც ფრანგულ ენაში წინდებულები მრავლად გამოიყენება, რადგანაც ესპანურ ენაში არ არსებობს ბრუნვის კატეგორია. მაგალითად: **Fue a la tienda, a comprar el pan, con el dinero dentro del puño...se entretuvo en la esquina para contar los tapones de botella de cerveza.** წინდებულებთან დაკავშირებით ლინგვისტებს შორის განსხვავებული აზრი არსებობს. ზოგი თვლის, რომ წინდებულები არაა დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილები, ზოგნი კი პირიქით. წინდებულს აქვს არა მარტო დამოუკიდებელი გრამატიკული ფუნქცია, არამედ

სემანტიკური ფუნქციაც. მათი გრამატიკული ფუნქცია იმაში გამოიხატება, რომ ისინი გამოხატავენ კავშირს რეალური ცხოვრების საგნებს შორის. გამოხატული მიმართებების ხასიათის მიხედვით წინდებულები იყოფა ორ ქვეჯგუფად. აბსტრაქტულ და კონკრეტულ წინდებულებად. ესენია: **a, de, con, en, por. Hablé de las marismas a don Rosendo Belinchón, a don Feliciano y a dos indianos más** - დაბალი ნაპირების შესახებ დაელაპარაკა დონ როსენდო ბელიჩონს, დონ ფელისიანოს და კიდევ ორ ინდიელს. კონკრეტული ტიპის წინდებულებია: **ante, bajo, contra, desde, entre, hacia, hasta, según, sin, sobre, tras**. ზოგიერთი ლინგვისტი, მაგალითად ლენცი მიიჩნევს, რომ უნდა განვასხვაოთ სამი ტიპის წინდებულები. ესენია: სივრცობრივი, დროისეული, პირობითი. წინდებულების კლასის შევსება ხდება რთული წინდებულების მეშვეობით, ან წინდებულებიანი გამოთქმების მეშვეობით, რომლებიც წარმოიქმნება მარტოვი წინდებულების შერწყმით ზმნიზედასა და არსებით სახელთან. მაგალითად: **junto a, fente a, acerca de, cerca de, debajo de, por debajo de, dentro de, con respecto a, en atención a, en orden a, en referencia con, a consecuencia de**.

ესპანურ ენაში წინდებული **a** დაისმის სულიერი სახელის აღმნიშვნელი პირდაპირი დამატების წინ. მაგალითად: **He conocido a tu primo. A** წინდებული გამოიყენება მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნების წინ, რათა აღნიშნოს მიმართულება. **Este verano vamos a Italia. En** წინდებული გამოიყენება ისეთი ზნების წინ, რომლებიც მოძრაობას არ აღნიშნავენ. მაგალითად: **Trabaja en Londres. A** წინდებული გამოიყენება დროის გარემოებების წინ. **A los dos. Estamos a 12 de junio. En** წინდებული გამოხატავს ხანგრძლიობას. მაგალითად: **Lo hizo en un momento. A, en** წინდებულები გამოიყენება სხვადასხვა გამოთქმებში: **a que, en voz baja, en voz alta, en contra de, a favor de, en serio, en broma, en cambio, a cambio**. წინდებული **de** გამოხატავს წარმოშობას, წივთიერებას,

რადაცის ფლობას, კუთვნილებას, საგნებისა და პიროვნებების დახასიათებას. მაგალითად: **El chico de Juana, la casa de mis padres, Este jersey es de mi hermano, un hombre de palabra. De** წინდებულს შემოყავს ინფინიტოვი, რომელიც არსებითი სახელის დამატებაა ან ზოგიერთი ზედსართავის დამატება. მაგალითად: **la máquina de coser.** წინდებულს **de** შემოყავს დროის, ვითარების, მიზეზის გარემოებები. მაგალითად: **No se ve nada de noche. Andaba de puntillas. Lloraba de alegría.** ასევე იგი შედის სხვადასხვა გამოთქმების შემადგენლობაში. **Con** წინდებულს შემოყავს ვითარების გარემოება. მაგალითად: **Ese empleado trabaja con pocas ganas. Con** წინდებულს შემოყავს დამატება, რომელიც გამოხატავს რაიმე ხერხს. მაგალითად: **Corta el pan con la mano. Con** წინდებულს შემოყავს მიზეზის დამოკიდებული წინადადება. მაგალითად: **No oigo nada con el ruido que hay.** ის გამოხატავს ასევე თანხლებას. მაგალითად: **Ese chico trabaja con nosotros. Con** შედის სხვადასხვა გამონათქვამების შემადგენლობაში: **con que, con tal (de) que. ¡Conque no quiere pagar las facturas ! Por** წინდებული გამოხატავს გადაადგილებას, ადგილს, რომლითაც უნდა გაიარონ, ხანგრძლიობას. იგი შედის სხვადასხვა გამონათქვამებში - **por la mañana, por la noche, por ahora, por lo/de pronto, ir por, por fin, por poco por lo general** და სხვა. მას შემოყავს სხვადასხვა დამატებები. მაგალითად: **Están viajando por España. Pasa por aquí. Me voy a quedar por unos días. Gracias por los regalos. Para** წინდებული გამოხატავს მიზანს, დანიშნულებას. **Te vas para no volver.** მას შეუძლია გამოხატოს ადგილი, საითკენაც მიემართებიან, თუკი ის ადგილის გარემოების წინ დაისმის. **Íbamos para el norte.** ეს წინდებული შეიძლება დაისვას დროის გარემოების წინ, იგი ახდენს მოქმედების ლოკალიზებას მომავალ დროში. **Creo que vienen para el mes qui viene.** მას შეუძლია გამოხატოს მიახლოებითი

ხანგრძლიობა. **Le cedieron la presidencia para un año.** წინდებულს შეუძლია გამოხატოს თვალსაზრისი. **Para mí es un detalle sin importancia.** ის შედის სხვადასხვა გამონათქვამის შემადგენლობაში. **Estar para+infinitivo, no estar+infinitivo, para con... estaba apunto de acostarme, cuando me llamaste.** ესპანურ ენაში გვაქვს სხვა წინდებულებიც: **desde, hacia, hasta, sin, según, contra, delante, detrás, debajo, encima, ante, tras, bajo, sobre. Te llamo desde mi casa. Está sin trabajo. Lo hace según tus deseos. La casa está contra el sur. Está delante de la casa. Ante tal situación no supo qué hacer. Está tras un empleo. No tengo nada que decir sobre esa cuestión - ამ საკითხზე არაფერი მაქვს სათქმელი. Sobre წინდებული შედის გამონათქვამებში: sobre todo, sobre seguro, sobre aviso.**

იტალიურში წინდებულს მსგავსი ნიშნები გააჩნია. ის შეიძლება კომბინირებდეს განსაზღვრულ არტიკლთან ერთად, მაგრამ უმეტესობა მათგანი არტიკლის გარეშე გამოიყენება. მაგალითად: **Vado a teatro; Esce di scuola.** არტიკლი აღდგება, როდესაც გამოთქმა განსაზღვრულია. **Vado al teatro San Carlo. Esce dalla scuola elementare.**

A წინდებული გადადის ფორმაში **ad**, ხმოვნის წინ. **Comonciano ad arrivare.** სხვა წინდებულებია **con, da, di, in, per, tra ou fra.** სხვა მარტოვი წინდებულებია: **contro, dentro, dietro, dopo, senza, su, sopra, sotto, verso, avanti, eccetto, salvo, tranne, durante, entro, lungo, mediante, nonostante, malgrado, oltre.** მაგალითად: **Corre lungo il fiume.** რთული წინდებულებია: **accanto a, vicino a, davanti, di fronte a, fin da, sin da, fino a, sino a, in fondo a, intorno a, invece di, lontano da, per mezzo di, fuori di, prima di, in mezzo a, nel mezzo di.** მაგალითად: **Marco è accanto alla porta. Fin da giovane andó per il mondo.**

იტალიურ ენაში წინდებული **a** გამოიყენება იმისათვის, რომ გამოხატოს კუთვნილება, ადგილი, სადაც იმყოფებიან,

ადგილი საითკენაც მიემართებიან, მანძილი, ზომა, ფორმა, ვითარება, ქცევა, განაწილება, დრო, საშუალება, მიზანი. ის გამოიყენება ინფინიტივის წინ, რომელიც მოსდევს მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნას, მას შემოყავს თხრობის ინფინიტივი. მაგალითად: **Parlo a Paolo. Sono a Roma. Vanno ad Ancona. A dieci metri; va al cento chilometri l'ora; la scala a chiocciola; dipinto ad olio; Rimane a bocca aperta; uno a testa; mangia a mezzogiorno, è una nave a vapour; un cane a difesa della casa. Vado a mangiare. E tutti a parlare.** **Con** წინდებული გამოხატავს კავშირს, თანხლებას, ურთიერთობას, ვითარებას, ხერხს, განმასხვავებელ ნიშანს, მიზეზს. მაგალითად: **Beve tè con limone. Passeggio con Michele. Hai una casa con giardino. Lavori con piacere. Cammina col bastone. L'uomo con i baffi è suo nonno. Col bel tempo tornano le cicogne. Da** წინდებული გადმოსცემს დაშორებას, ადგილს, საიდანაც გავიქვით, განსხვავებას, აღწერას, მახასიათებელ დეტალს, ღირებულებას. მაგალითად: **Vengo da Venezia. Da quanto tempo sei a Roma? L'uccello entra dalla finestra. È diverso dagli altri. Un bimbo dai capelli biondi, una cosa da nulla, una moneta da cento lire,** მაგრამ ამბობენ **un quadro di valore.** იგივე წინდებულს შეუძლია გამოხატოს ჩვევა, დანიშნულება, ვალდებულება, შედეგი, საშუალება, ხარისხი, მიზეზი. მას შემოყავს ზედსართავის ან არსებითი სახელების წინ, ცხოვრების პერიოდი. მას შემოყავს ასევე დამეტება. აქვს მნიშვნელობა ფრანგული წინდებულის **chez** მსგავსად. **Vado da Elena,** მაგრამ ხშირად ის ქმნის ორაზროვან მნიშვნელობებს **Lo fa da sé.** მაგალითად: **la sala da pranzo; ho da studiare; fa un caldo da morire; giudica le persone dai fatti; un passo da gigante; piangeva dalla gioia; da giovane era bella; fu preso dai carabinieri. Di** წინდებული შეიძლება შეიკვეცოს ხმოვნის წინ. **La carta d'Italia.** ის მიუთითებს მფლობელობას, კუთვნილებას, ნივთიერებას, ხარისხს, შემადგენლობას.

ზომას, დროს, წარმომავლობას, თუკი არსებითი სახელი არაა განსაზღვრული ან არ არის საკუთარი არსებითი სახელი. მაგალითად: **Di chi è questo libro ? - è di Pia. Questo vestito è di lana; un biglietto di prima classe, la tazza di caffè,** არ უნდა აგვერიოს **una tazza da caffè - ში; D'estate si sta bene; Esco di casa; esco di casa.** მაგრამ ამბობენ: **Esco dalla casa di Cecilia. Vengo da Roma.** ამ წინდებულს შემოყავს თანდათანობითი მოქმედება, მანერა, მიზეზი, თუკი სიტყვას არ ახლავს განსაზღვრული არტიკლი, შეფასება. მას შემოყავს აგრეთვე შედარებით ხარისხში მეორე წევრი, დაქვემდებარებული წინადადება. მაგალითად: **di casa in casa; arrivo di corsa, trema di paura, un quadro di valore; è più bello di te. Penso di vederlo. In** წინდებული გამოხატავს ადგილს, სადაც იმყოფებიან, სიტუაციას, მოძრაობას, განსაზღვრულ დროს, მანერას, ადამიანთა რიცხვს, რომლებიც ჯგუფს ქმნიან, ზოგჯერ ნივთიერებას. მაგალითად: **Abito in via Garibaldi. Va in giardino. In gennaio, nel 1926. Vive nella miseria. In Quattro e quatt'otto; vanno in due a teatro, sono in pochi. Questo libro è rilegato in cuoio. Per** წინდებული გადმოსცემს ყოველთვის „თვის“. მიუთითებს ხანგრძლიობას, ადგილს, საიდანაც უნდა გაიარონ, ხერხს, განაწილებას. თუკი ის მოთავსებულია ზმნას **stare** და ინფინიტის შორის, მას შეუძლია გადმოსცეს უახლოესი მომავალი. მაგალითად: **Parte per Roma, Viene per un mese. Va per monti e per valli. Manda la lettera per via aerea. In fila per tre. Sto per partire. Tra, fra,** წინდებულები ნიშნავს „შორის“, აღნიშნავენ მანძილს. მაგალითად: **un pranzo tra amici. Fra cento metri saró a casa.** სხვა მარტივი წინდებულებია: **dentro, contro, dietro, dopo, senza, su, sopra, sotto, verso, avanti, eccetto, salvo, tranne, durante, entro, luogo, mediante, nonostante, malgrado, oltre. Corre lungo il fiume.** თუკი წინდებულები **contro, dentro, dietro, dopo, senza, sopra, sotto, su, verso** წინ უსწრებენ

ნაცვალსახელებს, მათ აუცილებლად მოსდევს წინდებული
di. მაგალითად: **Il gatto è contro di lei.** მაგრამ **il gatto contro la donna.** Su წინდებულმა შეიძლება გამოხატოს მიახლოებითობა, და მოახდინოს კომბინირება არტიკლთან. მაგალითად: **Pesa sui cento chili. Avanti** გამოიყენება გამონათქვამში **avanti Cristo. Entro** წინდებული აღნიშნავს დროის ლიმიტს, რომელსაც არ უნდა გადასცდე. მაგალითად: **Devi recapitare questo lavoro entro la fine del mese** - შენ უნდა გადასცე ეს სამუშაო თვის ბოლოს.

XI. შორისდებული

შორისდებული ჰქვია ბგერას, ბგერათა კომპლექსს ან სიტყვას, რომელიც ადამიანს აღმოხდება ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით. შორისდებული ადამიანის გრძნობასა და ნება - სურვილს გამოხატავს უშუალოდ, მათი დასახელების გარეშე. შორისდებული დანიშნულებით წინადადების ბადალია. წარმოების მიხედვით შორისდებულები არის პირველადი და მეორეული.

პირველადია შორისდებული, რომლებიც, როგორც ცალკეული ბგერები ან ბგერათა კომპლექსები წარმოადგენენ უშუალო ბგერითს რეაქციას ამა თუ იმ მოვლენაზე, ასეთებია: ო, ვიშ, ერიჰაა; ტს, სსს, ვაჰმე, ვაიმე, უიმე. დახე, დახეთ, ჩუ, ბეჩა(ბედ შავო). მეორეული შორისდებულებია აგრეთვე ფიცილის, მისალმება - გამომშვიდობების, სააღერსოდ თუ სამადლობლად გამოყენებადი ფორმულები: ჩემმა მზემ, ღმერთმანი, გამარჯობა, გაგიმარჯოს, ძილი ნებისა, ნახვამდის, გენაცვალე, შენი ჭირიმე...შორისდებულების ჯგუფები შინაარსის მიხედვით გამოხატავენ: ნატვრას, მოწონებას, სიხარულს, აღტაცებას, მწუხარებას, გაკვირვება - გაოცებას, დანანება სიბრალულს, დაცინვას, ნიშნის

მოგებას, ზიზღს, დასტურს, წაქეზება გამხმევებას, მოწოდება - შეძახილს, გაწყრომას, ბრძანებას, დამუქრებას. ამ ბოლო ჯგუფში შემოდის შორისდებულები, რომლებითაც ცხოველებსა და ფრინველებს მიმართავენ: აქშა! წიპ - წიპ! ჭუკ - ჭუკ! ხი, ჰამოო!

ფრანგულ ენაში შორისდებული უცვლელი სიტყვაა, რომელსაც იყენებენ სალაპარაკო ენაში, წერითი ენის დიალოგებში. ზმნიზედისაგან, წინდებულისაგან და კავშირისაგან განსხვავებით, რომელთა გრამატიკული როლი მნიშვნელოვანია, შორისდებული არ ასრულებს არავითარ გრამატიკულ როლს და არ ხდება მისი ანალიზი. იგი გამოიყენება იმისათვის, რომ რელიეფი, სიცოცხლე შეეძინოთ ფრაზას, სტილს. მაგალითად: **Pouah! quelle horreur! - Brr! quel froid!** იგი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი სიტყვით ან სიტყვათა ჯგუფით. მას სხვადასხვა წარმოშობა აქვს. იგი შეიძლება იყოს უბრალო ყვირილი: **ah! ha! oh! ho! ô! aïe! hep! hop! pst! hum! hem! hm! brr! fi! pouah! bah! bof! euh!(heu!) eh eh!...** ონომატოპეა, ანუ ხმით მიბაძვა რაიმე ხმაურის, ცხოველის ყვირილის: **pan! pan! pan! boum! badaboum! patatras! crac! cric! clac! clic clac! plouf! teuf teuf! tic - tac! cocorico! coin coin! miaou! meuh! cui - cui! bêt!ouaoua!...** სიტყვა, (არსებითი სახელი, ზმნა, ზმნიზედა) რომელიც გამოყენებულია, როგორც შორისდებული: **diable! ciel! peste! silence! parfait! chic! tiens! allons! assez! debout! arrière! bien!...** სიტყვათა ჯგუფი მეტ - ნაკლებად რთული: **bon sang! par exemple! voyez - vous ça!** დამახინჯებული გინება: **parbleu! morbleu!...** გინება, „უხეში სიტყვები“, რომლებიც უხვადაა ფრანგულში. მაგალითად: **putain! saloperie! merde!...** უცხო სიტყვები: **bis! bravo! hourrah! stop! baste! go! O.K.! allo!...** შორისდებულმა შეიძლება გამოხატოს მრავალფეროვანი ნიუანსები, ენთუზიაზმი, აღფრთოვანება, მოწოდება, განტვირთვა, აღგზნება, წყევლა, იმედგაცრუება, ტკოვილი, გულგრილობა, ეჭვი, ბრძანება,

შეძახილი, გაოცება, გინება, ირონია. ზოგიერთი შორისდებული, **ah, oh**, ინტონაციის მიხედვით გადმოსცემენ ენთუზიაზმიდან დაწყებული, სასოწარკვეთამდე.

ესპანურში შორისდებულს ისეთივე თვისებები გააჩნიათ, რაც სხვა ენებში. სემასიოლოგიური თვალსაზრისით ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა **oh, eh, caramba, arre, vaya**, აქვთ საერთო მნიშვნელობა, რომელიც მდგომარეობს სუბიექტის ემოციურ - სურვილისებრი რეაქციის გადაცემით სინამდვილეზე.

შორისდებულები გამოიყენება პირდაპირ მეტყველებაში და არ გადმოიცემა ირიბში. წერით მეტყველებაში ისინი გამოიყენება იმ მიზნით, რომ მასში აღადგინონ სიტუაცია, რომელიც გულისხმობს მოსაუბრეთა უშუალო კომუნიკაციის პროცესს. შორისდებულებს აქვთ უნარი იყვნენ წინადადების ეკვივალენტები. მორფოლოგიური თვალსაზრისით შორისდებული ხასიათდება იმით, რომ ის უცვლელია. წარმოშობის თვალსაზრისით ისინი იყოფა პირველად და წარმოქმნილ შორისდებულებად. პირველი ჯგუფი არაა კავშირში არცერთ მეტყველების ნაწილთან. ესენია: **ah, oh, ay**. მეორენი ნაწარმოებია მთავარი მეტყველების ნაწილებისაგან ცალკეულ სიტყვათა ან სიტყვათა ფორმების ლექსიკო - გრამატიკული გადააზრების საფუძველზე. ზმნისგან წარმოქმნილი შორისდებულებია, მაგალითად: **Vamos, estás loca; Mira, vamos al cuarto de Eulalia**. არსებითი სახელებისაგან წარმოქმნილებია, მაგალითად: **¡Cáscaras! ¿Has oído?**

იტალიურში შორისდებულებს იგივე თვისებები აქვთ, რაც ფრანგულ და ესპანურ ენებში. იტალიურშიც გვაქვს პირველადი ფორმები. ესენია: **ah, eh, ih, oh, uh; ahi, ehi, ohi, uhi, beh, ehm, mah; ahimé, ohimé, ohibò, ehilà**. ნაწარმოები ფორმებია: **accidenti, aiuto, coraggio, forza, guai, pazienza, peccato; attento, bravo, zitto, pronto; basta, ferma, figurati; avanti, bene, certo, ecco, fuori, piano, presto, via; dio miò,**

perbacco, per amor di Dio, Poveri noi, al diavolo, iu bocca al lupo, beati voi. შორისდებულები გამოხატავენ მოწონებას(**bene, bravo!**), გამხნეებას(**animo! dai! su!**), სიხარულს(**viva! evviva! urrà!**), ტკივილს(**ahi! oh! ahimé! ohimè!**), ზიზღს(**ich, puah!**), გაოცებას(**oh, diamine! caspita!**), ეჭვს(**eh, mah! chissà!**), წუხილს(**uffa!**), მუქარას(**abbasso! guai! ohé!**), მისალმებას(**ciao, salve, arrivederci**).

შორისდებულებს იტალიურში მოსდევს ასო **h**, რათა თავიდან ავიცილოთ სუფთა ხმოვნებში აღრევა: **ah! eh! ih! oh! uh!** შორისდებული შეიძლება იყოს ერთმარცვლიანი: **ahi! eh! oh! uhi! beh! ehm! mah!** მათი წარმოება შეიძლება ორი სიტყვის მიერთებით: **ahimé! ohimé! ohibò! ehilà;** მათ აწარმოებენ არსებითი სახელებისაგან: **accidenti! aiuto! coraggio! forza! guai! pazienza! peccato!**

ასევე ზედსართავეებისაგან, რომელთაგან ზოგიერთი უთანხმდება იმ პირს, რომელსაც მიმართავენ: **attento/a/i/e! bravo/a/i/e! zitto/a/i/e! pronto!** ზმნებისაგან: **basta! ferma! figurati!** ზმნიზედებისაგან: **avanti! bene! certo! ecco! fuori! piano! presto! via!** გამოთქმებისაგან: **Dio mio!**

perbacco! per amor di Dio! Poveri noi! in bocca al lupo! beati voi!

დასკვნა. ლინგვისტიკაში შორისდებულები შეიძლება გამოვრიცხოთ მეტყველების ნაწილების შემადგენლობიდან. ისინი არ გამოხატავენ ცნებებს. გამოხატავენ რა რაღაც შინაარსს, მას აღნიშნავენ, როგორც ბლოკს, რომელიც არ საჭიროებს ანალიზსა და სინთეზს. ისინი გამოხატავენ განსაკუთრებულ სიტყვებს, რომლებიც ენობრივ სისტემაში სარგებლობენ (და დისკურსში) მაქსიმალური თავისუფლებითა და დამოუკიდებლობით, ჩანს, რომ ისინი არ შედიან არც ერთი ქვესისტემის შემადგენლობაში. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი ტიპის სიტყვები, რომლებიც ჩვეულებრივ ჩაისმის როგორც წინადადება ფრაზები, აღმოჩნდება, რომ მეტ ნაკლებად განვითარებული

წინადადების წვერებია, ისინი უახლოვდებიან ნაწილაკებს. ამ სიტყვებს შეუძლიათ შეთანხმება სპეციფიკურ შემთხვევებში ნომინაციურ სიტყვებთან და შეუძლიათ შეადგინონ მათი ექსპრესიული სუბსტიტუტის როლი, რაც არ ცვლის არანაირად მათ ბუნებას.

XII. სინტაქსი

ტერმინი სინტაქსი მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან **Syntaxis**, რაც ქართულად შედგენას ნიშნავს. სინტაქსი არის გრამატიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის წინადადების ტიპებს და წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესებს. იგი არკვევს, რა და რა ტიპის სიტყვები შეიძლება შეეწყოს ერთმანეთს, რა სახის ურთიერთობა შეიძლება დამყარდეს მათ შორის და რა დანიშნულება აქვს ამა თუ იმ სიტყვას წინადადებაში (ლ. კვაჭაძე).

სინტაქსური ერთეულებია: წინადადება, წინადადების წვერი და სინტაქსური წყვილი(სიტყვათა შეკავშირება). წინადადება წარმოადგენს ერთ მთლიან დამოუკიდებელ ერთეულს, სტრუქტურულ მთლიანობას. დამთავრებული აზრის სიტყვიერ ფორმაში გამოხატვას უზრუნველყოფს შემდეგი საშუალებები: წინადადება წარმოადგენს სიტყვათა ორგანიზებულ შენაერთს, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს. მაგ.: გათენდა, წვიმს, მზე ამოვიდა. ცელქი სიო აღტაცებით ბუჩქნარს დალალს უხუჭუჭებს. წინადადება ძირითადი სინტაქსური ერთეულია. სრულმნიშვნელოვანი სიტყვა წინადადებაში სხვა სიტყვასთან დაკავშირებისას წინადადების ნაწილია, მას წინადადების წვერი ჰქვია. წინადადების წვერი უმცირესი სინტაქსური ერთეულია. წინადადების წვერი სრულმნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილებით გადმოიცემა. ორი წვერი, ერთმანეთთან

დაკავშირებული, სინტაქსური ერთეულია, რომლის ნაწილებიც ერთმანეთს შეეფერება როგორც მნიშვნელობით, ისევე ფორმითაც. რადგანაც ეს ერთეული ორი წვერისაგან შედგება, მას სინტაქსური წყვილი ანუ სინტაგმა ჰქვია. მარტოე წინადადებაში იმდენი წყვილია, რამდენი წვერიცაა ერთის გამოკლებით. წყვილის წვერებს შორის ენაში შემუშავებული წესების შესაბამისად დამყარებულ კავშირს სინტაქსური კავშირი ჰქვია. წყვილის წვერთა სინტაქსური ურთიერთობა ქვეწყობითია. ფორმის მიხედვით ერთი მათგანი წამყვანია, მთავარია, მეორე - დაქვემდებარებული, ანუ ერთის ფორმა დამოკიდებულია მეორის ფორმაზე. მაგალითად: ჩვენ ვკითხულობთ. ბავშვები მოვიდნენ. სინტაქსური შეკავშირების სახეებია: შეთანხმება, მართვა და მირთვა. შეთანხმება ჰქვია სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის ისეთ სახეს, როცა დაქვემდებარებული სიტყვა იმ ფორმას იღებს, რომელიც აქვს მთავარ, წამყვან სიტყვას. იმ სიტყვას, რომელიც ითანხმებს, მათანხმებელი ეწოდება, იმ სიტყვას კი, რომელიც ეთანხმება - შეთანხმებელი. მათანხმებელი სიტყვა სახელია, შეთანხმებული კი სახელი(სახელზმნა) ან ზმნა. მაგალითად: შემკრთალი ბედურები მათანხმებელია ბედურები, შეთანხმებულია შემკრთალი.

მართვა ჰქვია სიტყვათა ისეთ სინტაქსურ დამოკიდებულებას, როდესაც ერთი სიტყვა მოითხოვს მეორისაგან ისეთ ფორმას, რომელიც მას არ გააჩნია საერთოდ ან არა აქვს(არ შეიძლება ჰქონდეს) მოცემულ შემთხვევაში. იმ სიტყვას, რომელიც მართავს, მმართვეი ეწოდება, იმ სიტყვას კი, რომელიც იმართვის, მართული ჰქვია. მაგალითად: ტყის ჰაერმა, მთავარი სიტყვაა ჰაერმა, ტყის კი მასზეა დამოკიდებული. ჰაერმა მმართვეია, ტყის მართული.

მირთვა ჰქვია სრულმნიშვნელოვან სიტყვათა ისეთ შეკავშირებას, როცა წამყვანი სიტყვა დამოკიდებულს შინაარსობრივად აკავშირებს ისე, რომ ამას რაიმე

გრამატიკული გამოხატულება არ ახლავს. წამყვანი სიტყვა, ჩვეულებრივ, პირიანი ზმნაა ან სახელზმნა: გუშინ მოვიდა, კარგად სწავლა, ქალაქში ცხოვრობს...

სიტყვათა დაქვემდებარება ორგვარია: ცალმხრივი და საურთიერთო. ცალმხრივია დაქვემდებარება, როდესაც წყვილის ცალთაგან ერთი გაბატონებულია, მეორე - დაქვემდებარებული. როდესაც წყვილის ცალები ერთმანეთზე ახდენენ გავლენას, მაშინ დაქვემდებარება საურთიერთოა. ისინი ერთმანეთის მიმართ დამქვემდებარებლებიც არიან და დაქვემდებარებულებიც. საურთიერთო, ჩვეულებრივ არის მართვა. საურთიერთო მართვა გვაქვს წინადადების მთავარ წევრთა შორის, ცალმხრივი კი მთავარსა და არამთავარ ან თვით არამთავარ წევრთა შორის. საურთიერთო მართვა კოორდინაციის სახელითაც არის ცნობილი. ქართული ზმნის მთავარი თავისებურებაა მისი მრავალპირიანობა, რითაც იგი, მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა ენებისაგან.

ზმნა - ძირითადი კოორდინატია, კოორდინაციის ცენტრი. დიდი კოორდინატია ქვემდებარე, მცირე კი - დამატება. იგი მართავს ზმნის პირს, მაგრამ ვერ ითანხმებს ზმნას მრავლობითში. კოორდინაციის სისტემა სინტაქსში შედგება ზმნის მორფოლოგიური თავისებურებისა - ორპირიანობისა. ორპირიანი გარდამავალი ზმნის არსებობა ქართულში იძლევა კოორდინაციას სინტაქსში (არნ. ჩიქობავა).

წინადადების ერთ ერთი ძირითადი ნიშანთაგანია პრედიკატულობა, რაც მიიღწევა ზმნა შემასმენლის მეშვეობით. ყოველ წინადადებას ახასიათებს ინტონაცია, რომელიც აერთიანებს მასში შემავალ სიტყვებს ერთ მთლიან ენობრივ ერთეულად. მაგალითად: მზე ამოვიდა, გათბა ღლე, დარები დადგა მზიანი. წინადადება ჰქვია გაბმული მეტყველების ერთ ისეთ მთლიან ერთეულს, რომელიც შედგება გრამატიკის წესების შესაბამისად გაფორმებული ერთი ან რამდენიმე ერთმანეთთან შეწყობილი სიტყვისაგან

და დამთავრებულ აზრს გამოხატავს. მტკიცების მიხედვით წინადადება ორგვარია: წართქმითი და უკუთქმითი. წინადადების ტიპები მოღალღობის(შინაარსის) მიხედვით შეიძლება იყოს: თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილისა და კითხვით - ძახილისა. აგებულების მიხედვით ქართულში სამი ტიპის წინადადება გამოიყოფა: მარტივი, შერწყმული და რთული. წინადადების წვერები ორგვარია: მთავარი და არამთავარი. ევროპული ენების საფუძველზე შემუშავებული ტრადიციით ჩვენშიც წინადადების მთავარ წვერებად დიდხანს ითვლებოდა ქვემდებარე და შემასმენელი, ხოლო არამთავარ წვერებად - დამატებები, განსაზღვრება და გარემოება.

იმის საფუძველზე, რომ ევროპული ზმნა ერთპირიანია, ქართულში კი ზმნა შეიძლება იყოს ორპირიანიც და სამპირიანიც, არნ. ჩიქობავამ გამოთქვა და დაასაბუთა მოსაზრება, რომ პირდაპირი და ირიბი დამატებებიც, როგორც ქვემდებარის ტოლი სინტაქსური ძალის მქონენი, ქართულში მთავარ წვერებად უნდა იქნენ მიჩნეული. დღეისათვის ეს მოსაზრება საყოველთაოდაა გაზიარებული.

მარტივია წინადადება, რომლის აზრიც ერთი ან ერთმანეთთან დაქვემდებარებით დაკავშირებული რამდენიმე სიტყვით გადმოიცემა: გადაიქუხა. შერწყმულია წინადადება, რომელშიც მოიპოვება რამდენიმე ერთგვარი წვერი: ხის ტოტებზე ჩიტუნები ფრთხილობენ, სრიალობენ. რთულია წინადადება, რომელიც რამდენიმე (ორი ან ორზე მეტი) მარტივი ან შერწყმული წინადადებისაგან შედგება: ხმაურობა სუსტდებოდა და ღამის უფსკრული მიდამოს ეპარებოდა.

მარტივი წინადადება შეიძლება იყოს გაუერცობელი და გაერცობილი. იგი შეიძლება იყოს სრული და უსრული. წინადადებას, რომელშიც რამდენიმე ერთგვარი წვერი მოიპოვება, ერთგვარწვერებიანი ანუ შერწყმული წინადადება ჰქვია. შერწყმული წინადადება შეიძლება იყოს:

ერთგვარქვემდებარებიანი, ერთგვარშემასმენელებიანი, ერთგვარგანსაზღვრებებიანი, ერთგვარ - გარემოებებიანი, ნარევი. არსებობს რთული ქვეწყობილი და რთული თანწყობილი წინადადება. ამის შესახებ ჩვენ აღარ შევჩერდებით, რადგანაც ეს თითქმის ყველასათვის ნაცნობია. მხოლოდ შეიძლება დავამატოთ ის, რომ რთულ წინადადებაში შეიძლება ერთდროულად თანწყობაც იყოს და ქვეწყობაც. ასეთ წინადადებას ზერთული ანუ ნარევი სახის რთული წინადადება ეწოდება. მაგალითად: - გაიარა რამდენიმე წუთმა და გამოჩნდნენ ცხენოსნები, რომელთაც მარხილი მიუახლოვდა.

სინტაქსის სფეროში განსხვავება ფრანგულ და ქართულ ენებს შორის ნაკლებად მნიშვნელოვანია. განსხვავება მაინც არსებობს. ქართული მიეკუთვნება ერგატიული წყობის ენებს, ფრანგული კი ნომინაციური წყობის ენებს. სინტაქსური კავშირის საშუალებები. მორფოლოგიური ტიპი

მართვა, შეთანხმება. მართვა ფრანგული ენისათვის დამახასიათებელი არაა. შეთანხმება ორივე ენაში ვლინდება შემდეგ ჯგუფებში. არსებითი სახელი - ზედსართავი - **de hautes maisons**. ქვემდებარე - შემასმენელი; **La maison est grande; je parle**. დიდი სახლი, მე ვლაპარაკობ. მართვა გამოიყენება ქართულ ენაში. ის ურთიერთობები, რაც ქართულ ენაში მართვის საშუალებით მყარდება, ფრანგულში წინდებულს გააჩნია. მაგალითად: ქართულში სახელი მართავს სახელს (სახელზმნას) ბრუნვაში: ბიჭის დედა; ქართულში უფორმო სიტყვა (თანდებული) სახელს მართავს ბრუნვაში: ბიჭი მიდის ქალაქში. ფრანგულში ბრუნვა არაა და ამიტომ წინდებულები გადმოსცემენ ბრუნვებს. როგორც ბრუნვის, ასევე წინდებულების ანალოგია იმაში მდგომარეობს, რომ ისინი გამოხატავენ არსებითი სახელის ფუნქციებს წინადადებაში. მაგალითად: ბიჭმა მისცა წიგნი გოგოს - **donner un livre à son camarade**; მას თავბრუ ესხმის **La tête lui tourne**. სიტყვებს შორის კავშირი შეიძლება

იყოს ძლიერი, საშუალო, სუსტი. სიტყვათა განლაგების მნიშვნელობა დიდია ყველა ენაში. მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ ენებში აქვს სიტყვათა რიგს, სადაც არ არის განვითარებული სიტყვათა ფორმაცვალების სისტემა. ასეთ ენებში სიტყვათა წყობა შედარებით მყარია. სიტყვის სინტაქსურ ფუნქციას მისი ადგილი განსაზღვრავს. ქართულში გვაქვს საშუალო კავშირი, რადგან იგი მდიდარია სიტყვის მაწარმოებელი აფიქსებით და ამიტომ სიტყვათა რიგი შედარებით თავისუფალია. ეს ნიშნავს, რომ სიტყვების გადაადგილებით კავშირი არ ირღვევა. ფრანგულში გვაქვს ძლიერი კავშირი ანუ სიტყვათა გადაადგილება არ შეიძლება, რომელსაც მივყავართ სუსტი კავშირის წარმოქმნამდე. მეტყველების ნაწილებსა და წინადადების წევრებს შორის არსებობს ფუნდამენტური შესაბამისობა. რაც შეეხება წინადადების წევრების სტრუქტურას, ფრანგული ენა იყენებს ანალიტურ ფორმებს, ქართული ენა კი სინთეზურ ფორმებს. მაგალითად: **par hasard** - შემთხვევით; **On était toujours vainqueur** - ჩვენ ყველგან ვიმარჯვებდით. ქართულიდან ფრანგულზე თარგმნისას გვიწევს 50% მეტყველების ნაწილების შეცვლა, ვიდრე პირიქით. ეს აიხსნება ქართული ენის სინტაქსისა და სიტყვათწარმოების მეტი მოქნილობით. განასხვავებენ წინადადების შემდეგ ტიპებს: მარტივი, შერწყმული და რთული. მარტივი წინადადება თავის მხრივ, შეიძლება იყოს უქვემდებარო, სრული და უსრული, განზოგადებულპირიანი, განუსაზღვრელპირიანი (ამბობენ), სახელდებითი. მარტივი წინადადება აღნიშნავს პროცესს, რთული – გამოხატავს კავშირს ორ ან მეტ მოვლენას შორის. მოდალობის მიხედვით წინადადება არის თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილის. კითხვითი წინადადება მოითხოვს ქართულში სიტყვას: ვინ? რა? როდის? როგორ? ან კითხვით ნაწილაკს: განა, ნუთუ, ხომ, თუ... კითხვით წინადადებაში შესაძლოა არ იყოს არც კითხვითი სიტყვა და არც კითხვითი ნაწილაკი.

იყოს მხოლოდ ინტონაცია. რაც შეეხება წინადადების მთავარ წევრებს, ამ მხრივ ქართულსა და ფრანგულში განსხვავებული ვითარებაა. ფრანგულში წინადადების მთავარი წევრებია შემასმენელი და ქვემდებარე, რადგან ამ ენაში ზმნა მხოლოდ სუბიექტური პირის გაგებას შეიცავს. ქართული ენის წინადადებაში კი მთავარი წევრებია შემასმენელი, ქვემდებარე, პირდაპირი დამატება და ირიბი დამატება. ეს ქართული ზმნის ბუნებიდან გამომდინარეობს: ის თავის თავში შეიცავს ობიექტურ პირების გაგებასაც და შეიძლება იყოს ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი. ამიტომ ამბობენ, რომ წინადადებაში იმდენი მთავარი წევრია, რამდენ პირიანიც არის ზმნა, პლიუს ერთი (ეს ერთი - თვითონ ზმნა შემასმენელია). შემასმენელი - ზმნის პირიანი ფორმა წარმოადგენს ძირითად საკვანძო ნაწილს ყოველი ფრანგული ფრაზისა. ქართულში ხდება „ყოფნა“ ზმნის ფორმის შეკვეცა. წინადადებისათვის დამახასიათებელი ერთ - ერთი ძირითადი ნიშანია პრედიკატიულობა. ამის გამო წინადადება ხშირად მარტო ზმნა - შემასმენლით გადმოიცემა, ერთი სიტყვით: თენდება, წვიმს. ქართულში ასეთ წინადადებებს უქვემდებარო წინადადებებს უწოდებენ, რადგან მოცემულ შემასმენელთან ქვემდებარე არც მოიპოვება და არც იფარაუდება. შემასმენლის სტრუქტურული ტიპები - მარტივი ზმნური შემასმენელი - მას სძინავს, რომელიც გადმოიცემა ზმნის პირიანი ფორმით. **Il lit un livre.** შედგენილი ზმნური შემასმენელი - ინფინიტივისა და საუღლებელი ზმნისაგან - **Il veut manger** ან მან დაიწყო მუშაობა. სახელადი შემასმენელი - შედგება მაკავშირებელი ზმნისა და არსებითი სახელისაგან ან ზედსართავისაგან. **Vcop+(Adj)N - Il est gai** ან ის მასწავლებელია. ზმნური სახელადი შემასმენელი - შედგება ზმნისა და განსაზღვრებისაგან - ის დაღლილი მოვიდა; **Il est mort heureux.** ზმნური ზმნიზედური შემასმენელი შედგება ზმნისა და ზმნიზედისაგან. ის კარგად იქცევა; **Le patron était somptueux** პატრონი

დამაჯერებლად გამოიყურებოდა. შემასმენლის სემანტიკური ტიპები - 2 ტიპია პრედიკატის: პროცესუალური და კვალიფიკაციური. I გამოხატავს მდგომარეობას, მეორე ახასიათებს ან კვალიფიკაციას ახდენს სუბიექტისას. მაგალითად: დათოს სძინავს. დავითი სტუდენტია. ქართულში შედგენილი შემასმენელი გადმოიცემა სახელადი ნაწილისაგან (ბრუნვიანი სიტყვისაგან), რომელსაც აქვს ლექსიკური მნიშვნელობა, რომელიც გადმოგვცემს ზმნურ კატეგორიებს: პირს, რიცხვს, დროს, კილოს... სახელადი ნაწილი შეიძლება გადმოცემული იყოს სხვადასხვა მეტყველების ნაწილით და იღგეს სახელობით ბრუნვაში (იშვიათად ნათესაობითში - მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი...)

Pierre dort. პროცესუალური პრედიკატი. ეგზისტენციური - **Il y a deux sources d'eau chaude;** უსუბიექტო - **Il pleut.** სტატალური - **Je me trouvais bien, très bien.** რეალური წინადადება - **Je vois une maison.** ლოკალური - **Tous trois montaient l'escalier.** აქტიური **Il a fait une longue promenade.** ფრანგულში უფრო ხშირად გამოიყენება გარდამავალი და პასიური კონსტრუქციები, ქართულში - გარდაუვალი და უპირო. პირდაპირი დამატება ასრულებს მნიშვნელოვან როლს ფრანგულ წინადადებაში, როგორც სტრუქტურულ, ასევე სემანტიკურ მიმართებებში. ამიტომაც მას მიიჩნევენ ბევრი ლინგვისტი III მთავარ წევრად. ორივე ენაში ანსხვავებენ უკავშირო და კავშირიან რთულ წინადადებებს, რომლებიც თავის მხრივ იყოფა რთულ თანწყობილ და რთულ ქვეწყობილ წინადადებად. წინადადების კომუნიკაციური ტიპებია: კითხვითი, რომელიც გადმოიცემა ინტონაციით, სიტყვათა რიგით, ნაწილაკებით. მაგალითად: **Où votre frère trouve - t - il ce livre?** ფრანგულში გამოიყენება დანაწერვებითი კითხვა: **C' est un Français, n' est - ce - pas?** მეორე ტიპია უარყოფითი ნაწილაკებით (**ne, ni, არც, ვერც**), უარყოფითი სიტყვებით (**personne, rien, aucun, არავინ, არაფერი, არცერთი**). **Il n' est pas venu très**

tard ის არც ისე გვიან მოვიდა. ფრანგულში გვაქვს სიტყვათა პირდაპირი რიგი, რომელიც ასრულებს სტრუქტურულ - გრამატიკულ ფუნქციებს: **Il a donné un livre à ce garçon amusant.** ქართულში სიტყვათა რიგი ხშირად გამოიყენება მონათხრობის გამოსაცოცხლებლად. ეს მისი სტილისტური ფუნქციაა, რაც არაა დამახასიათებელი ფრანგულისათვის. ფრანგულში გვაქვს პროგრესული სიტყვათა რიგი, ეს იმას ნიშნავს, რომ დამოუკიდებელ სიტყვას მოსდევს დამოკიდებული, მსაზღვრელს - საზღვრული. წინადადებაში ანსხვავებენ თემას (ის რაც ცნობილია წინასწარ გამონათქვამში) და რემას (ახალი, ის რაც ახალი ინფორმაციაა გამონათქვამში), თემა ვლინდება კითხვაში: რას აკეთებს პეტრე? ხოლო რემა ვლინდება პასუხში პეტრე კითხულობს. წინადადება, რომელიც ორჯერ შეიცავს ორწერვიანია ანუ დირემაა. რემა ყოველთვისაა წინადადებაში, ხოლო თემა, რომელიც ცნობილია მოლაპარაკეთათვის შეიძლება არ იყოს წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში იქნება ერთწევრიანი წინადადება ანუ მონორემა.

სასაუბრო ენა, რომელიც იყენებს ინტონაციას, ხშირად სწრაფია და იყენებს უფრო ხშირად თანწყობილ და შერწყმულ წინადადებებს. **Il fait froid, (donc) j'allume (mon feu).** წერის დროს კი პირიქით, უფრო ხშირად ვიყენებთ ქვეწყობილ წინადადებას. მაგალითად: **Il fait si froid que j'allume mon feu.** ფრანგულში წინადადება შეიძლება იყოს დამოუკიდებელი, მთავარი, დაქვემდებარებული, თანწყობილი, შერწყმული, არასრული. როდესაც არასრულია წინადადება, მასზე ამბობენ, რომ ის ელიპტურია. მაგალითად: **Tel père, tel fils.** დამოუკიდებელი წინადადება შეიძლება გამოხატულ იქნეს ერთი სიტყვითაც. მაგალითად: **entrez ! Jean ! hélas ! où ?** ის ხშირად ელიფსურია ანდაზებში, შემახილებში, ტელეგრაფულ სტილში. მაგალითად: **A bon chat, bon rat. Ce monstre d'enfant ! « Accident. Saufs. Rentrons bientôt.**

Baisers. Paul. » ფრანგულში გეხვდება ჩართული წინადადებაც. მაგალითად: **Arrêtons - nous, dit - il, car cet asile est sûr.** დამოუკიდებელი წინადადება შეიძლება იყოს დადებითი, უარყოფითი, კითხვითი, კითხვით - უარყოფითი, ძახითი. მთავარია წინადადება თუკი მას ერთი ან რამდენიმე დამოკიდებული წინადადება ახლავს. მაგალითად: **Je sortirai ce soir si j'ai terminé ce travail.** მთავარი წინადადების სინტაქსი იგოვია, რაც დამოიკიდებულის. ისიც შეიძლება იყოს ძალზე მოკლე, დაყვანილი ერთ სიტყვამდე. ასევე ელიფსური. ზოგჯერ მთლიანად გამოტოვებული. მხოლოდ დაქვემდებარებული წინადადება იქნება გამობატული. მაგალითად: **Si je t'aime ! Puisque je te le dis !** დამოუკიდებელი ჩართული წინადადება ხდება მთავარი, როდესაც ის ახლავს დამოკიდებულს. მაგალითად: **Voyons/ dit - il/ (quand on l'eut averti/ réfléchissons.)** დაქვემდებარებული წინადადების 4 ტიპი გამოიყოფა: მიმართებითი, დამატებითი, გარემოებითი, მიმღეობითი. მაგალითად: **Il est des dates/ dont on se souvient (=mémorables); Je sens que tu as compris cette leçon. On entendait un enfant sangloter; Il sort quand le jour tombe;** მიმღეობითი წინადადება შემოდის ყოველგვარი დამოკიდებული სიტყვის გარეშე. **Le repas achevé,/ on se leva de table.** ზოგიერთი მიმღეობითი წინადადება გარდაიქმნა მყარ შესიტყვებად. მაგალითად: **Le cas échéant; séance tenante; toutes affaires cessantes; cela dit; cela fait; cela étant; Dieu aidant; moi vivant; dimanches exceptés; toutes choses égales d'ailleurs, ce non obstant.**

ესპანურში იგივე მდგომარეობა გვაქვს. სინტაქსური თვალსაზრისით მსგავსება არსებობს სხვა ენებთან. ესპანურში, ისევე როგორც სხვა რომანულ ენებში მეტყველების ნაწილებს თავინთი სინტაქსური ფუნქციები გააჩნიათ. წინადადებაში არსებითი სახელი შეიძლება ასრულებდეს ნებისმიერ ფუნქციას. იგი შეიძლება იყოს

ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, შემასმენლის სახელადი ნაწილი, ირიბი დამატება, გარემოება, განსაზღვრება. ცალკე გამოყენებული არსებითი სახელი არ შეიძლება იყოს პრედიკატი, თუმცა სახელდებით წინადადებაში ცალკეული არსებითი სახელი ანდა არსებითი სახელი დამოკიდებული სიტყვებით ითავსებს ქვემდებარესა და შემასმენელს. მაგალითად: **Gibraltar...Hotel Victoria...Mes de marzo... Simpatía y buena acogida en las Autoridades Inglesas. Día grises; inquietudes, dificultades económicas, soledad, incertidumbre** - გიბრალტარის სრუტე...სასტუმრო ვიქტორია...მარტის თვე...სასიამოვნო მიღება ინგლისის ხელისუფლების ორგანოების მიერ. ღრუბლიანი დღეები; წუხილი, ეკონომიკური სირთულე, სიმარტოვე, გაურკვევლობა. ზედსართავი სახელი წინადადებაში ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას:

1. იგი გვევლინება არსებითი სახელის განმსაზღვრელად;
2. პრედიკატიული ფუნქცია, რომელიც მას აქვს შემასმენლის სახელადი ნაწილის როლში. მაგალითად: **Cruzamos una serranía desierta; Tres autobuses diarios cubren los nueve kilómetros. El mar está caliente como una bañera** - მივადექით უკაცრიელ მთიან ადგილს. სამმა ყოველდღიურმა ავტობუსმა დაფარა 9 კილომეტრი. ზღვა ისეთივე ცხელი იყო, როგორც აბაზანა. ზმნა წინადადებაში ასრულებს შემასმენლის ფუნქციას. ზმნიზედა კი გარემოების ფუნქციას. ზმნიზედას ზოგ შემთხვევაში შეუძლია მოახდინოს არსებითი სახელის მოდიფიცირება, თუ ეს უკანასკნელები ადიექტივირებულია. მაგალითად: **Una mujer come Suncha, tan persona.** ზმნიზედას შეუძლია ასევე შეასრულოს განსაზღვრების ფუნქცია. მაგალითად: **Si he querido bromear, dispénsenme todos: yo soy así** - თუ ხუმრობა მოვიდომე, ყველამ მომიტევეთ, მე ასეთი ვარ. ესპანურში კითხვითი და ძახითი წინადადებები შემოყვანილია გადაბრუნებული სასკენი ნიშნებით.

მაგალითად: **Pero ¿qué haces aquí ? Oye, ¡qué alegría verte !** კითხვითი წინადადებები მიზეზის ან მიზნის შემოყვანილია ნაცვალსახელით **qué**, რომელსაც ახლავს შესაბამისად წინდებულები **por, para**. **¿Por qué lloras ? ¿ Para qué has venido ?** როგორც ფრანგულ წინადადებაში, შემოყვანილი იქნება თუ არა კითხვითი წინადადება კითხვითი სიტყვით, რომელზეც კითხვა მოდის და დაისმის წინადადების თაში. **¿Vendrás conmigo ? ¿Aquí tienes cita ?** პირობით წინადადებაში დროები ისეთივე სახით გადმოიცემა, რაც ფრანგულ ენაში. მაგალითად: **Si quieres, vamos**. მთავარ წინადადებაში, ზმნების **poder, querer, deber**, პირობითი კილო ჩანაცვლებულია კავშირებითი კილოს უსრული ფორმით - **ra**. პირობითი კილოს წარსულ დროში მთავარი წინადადების შემთხვევაში შეიძლება ჩანაცვლებულ იქნეს კავშირებითი კილოს წინარე წარსულით. მაგალითად: **Quisiera decírtelo, si me lo permitieras. Lo hubiera hecho si me hubieran dejado** - თუ ნებას მომცემ რაღაცას გეტყვოდი. როდესაც ინფინიტიურ წინადადების ქვემდებარე არაა იგვე, რაც მთავარის, ეს უკანასკნელი უნდა ჩასმულ იქნეს აუცილებლად ინფინიტივის შემდეგ. მაგალითად: **De decírmelo tú antes, no habría venido** - ადრე რომ გეთქვა, არ მოვიდოდი. დამატებით დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ შემოყვანილია კავშირით **que**, რომელსაც წინ უსწრებს წინდებული. მაგალითად: **Quiero que me digas la verdad**. ხშირად **que** გამოტოვებულია, განსაკუთრებით წერისას, ისეთი ზმნების შემდეგ, რომლებიც გამოხატავენ ბრძანებას, ვალდებულებას, რჩევას, და ა. შ. **Les ruego me envíen una documentación** - გთხოვთ გამომიგზავნოთ საბუთები.

თუკი მთავარი წინადადების ზმნა გადმოსცემს ფაქტს, მაშინ დამოკიდებული წინადადების ზმნა თხრობით კილოშია. მაგალითად: **Creo que de ahora en adelante todo saldrá bien** - ვფიქრობ ამიერიდან ყველაფერი კარგად გამოვა. თუკი

მთავარი წინადადების ზმნა გამოხატავს ეჭვს, გრძნობას, ვარუდს, მაშინ დამოკიდებული წინადადების ზმნა კავშირებით კილოშია. მაგალითად: **No creo que tengamos tiempo de terminarlo todo** - არა მგონია ყველაფრის დამთავრების დრო გვექონდეს. დამოკიდებული წინადადების დრო იმართება დროთა შეთანხმებით: **No creía que terminarás tan pronto.** დროის დაქვემდებარებული წინადადებები ესპანურში შემოყვანილია კავშირებით, როგორებიცაა **cuando, mientras,** ან კავშირით **que. Volveremos cuando haga buen tiempo** - დაქვემდებარებულ წინადადებაში ზმნა კავშირებით კილოშია. მიზეზით დაქვემდებარებული წინადადება ხსნის მოქმედების მოტივს, რომელიც გამოხატულია ძირითადი ზმნით. იგი თხრობით კილოში დგას. მაგალითად: **No pude llamar porque estaba de viaje** - ვერ დავრეკე, რადგანაც ვმოგზაურობდი. ზმნა შეიძლება იდგეს პირობით კილოში. მაგალითად: **Como no te serviría de nada protestar, cállate** - პროტესტი არაფერში გამოგადგება, ამიტომ გაჩუმდი. მიზეზით დამოკიდებული წინადადებები შემოიყვანება კავშირებით **porque, ya que, como.** ესპანურში გამოიყოფა ასევე მიზნით დამოკიდებული წინადადება, რომელიც მიუთითებს განზრახვას, რომლითაც განხორციელებულია მთავარი წინადადების მოქმედება. ზმნა ყოველთვის კავშირებით კილოში. მაგალითად: **Regamos las flores para que crezcan.** დამოკიდებული წინადადების შემოყვანა ხდება კავშირებით **para que, a que.** შედეგობრივი წინადადებაში დამოკიდებული წინადადება შემოყვანილია კავშირით **tanto ...que, tal ...que, así que, por(lo) tanto, (y) por eso, de aquí que, de ahí que, por muy ...que, por más.. que. Come tanto que va a engordar.** ესპანურში ანსხვავებენ ასევე დათმობით წინადადებას. ის შემოდის კავშირებით **aunque, aun cuando, a pesar de (pese a). Aunque sea caro, voy a comprarlo. Por barata que sea la casa, no me interesa** - თუნდ ძვირი იყოს, მას ვიყიდი. რაც უნდა იაფი იყოს, არ მაინტერესებს.

იტალიურ ენაში სინტაქსური თვალსაზრისით მდგომარეობა იგოეა, თუმცა იტალიური ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებში წინადადება ითვლება მარტოდ თუკი იგი შეიცავს მხოლოდ ერთ ზმნურ ფორმას, სულერთია იგი პირიანი თუ უპირი. ამიტომ წინადადება, რომელიც შეიცავს ორ ან რამდენიმე ერთგვაროვან შემასმენელს, ან ზმნის პირიან ფორმასა და მიმღეობით ფორმას, ინფინიტიურ დამატებას, ასევე რთულ დაქვემდებარებულ და თანწყობილ წინადადებებს განიხილება, როგორც რთული წინადადებები, რომლებიც იწოდება ტერმინით « periodo ».

მაგალითად: **Egli è nel ristorante - Egli mangia al ristorante.**

ლიტერატურული ენის ნორმის განახლება ხდება იმით, რაც მის გარეთ იმყოფება. თუმცა ამა თუ იმ ფორმების, რომლებიც ხალხურ მეტყველებაში გვხვდება, ლიტერატურულ ენაში შეღწევის ალბათობა არაერთგვაროვანია და დამოკიდებულია არა მარტო სოციალური ან დიალექტურ შეფერილობაზე, არამედ მათ სტრუქტურულ თავისებურებებზე; სასაუბრო მეტყველების მოძველებული სინტაქსური წყობა და ზოგიერთი მოდელი, რომლებიც არ შეესაბამება თანამედროვე ლიტერატურული ენის სინტაქსურ სისტემას, ხშირად ხდება წინა ეპოქის რელიქტები.

თანამედროვე იტალიურ ენაში აღარ არსებობს ზოგიერთი ფორმა, რომელიც ახასიათებდა ძველ იტალიურ ენას, რომლებიც სასაუბრო ენაში აგრძელებენ არსებობას; ამიტომ არც თუ ისე ადვილია ავხსნათ ისინი შიდაენობრივი სტრუქტურული მიზეზებით. იტალიურში არსებობს: სიტყვათა პირდაპირი რიგი წინადადებაში, იშვიათად ხდება ინვერსია ქვემდებარის, ქვემდებარის პოზიციის შეცვლა ნაცვალსახელებითა ან არსებითი სახელებით; სისტემაში განუსაზღვრელი პირის სუბიექტური პირით ჩანაცვლების არსებობა; იშვიათად არსებობს პასიური და უკუქცევილი ფორმების, როგორც სუბიექტზე კონკრეტული ინფორმაციის მოსპობის საშუალების არსებობა, ერთპირიანი მოდულების

ნაკლები პროდუქტიულობა; აღქმის ზმნების პირდაპირ გარადმავალი მოდელების მაღალი სიხშირე. იტალიურში ადგილი აქვს საპირისპირო მოვლენებს: სიტყვათა თავისუფალი რიგი, ქვემდებარის ინვერსიის მაღალი სიხშირე, ერთპირიანი მოდელების მაღალი პროდუქტიულობა, უკუქცევითი და პასიური ფორმების გამოყენება, პირის მოსპობის ტენდენცია ანუ თხრობიდან სუბიექტის ამოშლა, გარდაუვალი მოდელების, რომლებიც მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნებისგან შედგებიან მაღალი სიხშირე. ეს თვისებები შეიძლება განხილულ იქნას, როგორც იტალიური ენის სინტაქსური სისტემის საერთო ტიპოლოგიური მახასიათებლების ნაწილი. მაგალითად: **Lo fa cascare in terra. O ragazzi, mi fo far la barba da Silvano.** დაუგდე მიწაზე. ბიჭებო სილვანოს გავაპარსინე წვერი.

Alla signora Maria disse che non voleva più che Ippolito gli desse ripetizione. ქალბატონი მარია ამბობს, რომ არ სურს, რომ იპოლიტომ ეს გაამეორებინოს.

Siamo già alle soglie di questa meravigliosa festa che ancora adesso la attendiamo con gioia. ჯერ კიდევ ემოციებში ვართ ამ შესანიშნავი დგესასწაულის გამო, რომელსაც მოუთმენლად ველით.

იტალიური ენა გამოყოფს სხვადასხვა ტიპის რთულ ქვეწყობილ წინადადებებს. ესენია: დამატებით დამოკიდებული, მიზეზობრივი, მიზნობრივი, დროისეული, დათმობითი, პირობითი ან ჰიპოთეტური, შედეგობრივი. დამატებით დამოკიდებული წინადადებაში ზმნა თხრობით კილოშია, თუკი მთავარ წინადადებაში ჰქმმარიტებაა გადმოცემული. მაგალითად: **Dico che non è venuto.** თუკი მთავარში გადმოცემული ეჭვი, ვარაუდი, გრძნობა, სურვილი, მაშინ დამოკიდებული ზმნა კავშირებით კილოშია. მაგალითად: **Ignoravo que fosse malata.** პირობით კილოშია ზმნა თუკი ფაქტი მხოლოდ ივარაუდება. მაგალითად: **Dico che andrei voloutieri al cinema.** მიზეზობრივ დამოკიდებული

წინადადების ზმნა თხრობითშია და ხშირად გამოიყენება სასაუბრო ენაში. მაგალითად: **Entra che(ché) fa freddo fuori!** შედეგობრივ წინადადებაში ზმნა ჩვეულებრივ თხრობით კილოშია. მაგალითად: **Fa tanto caldo che si suda.** მიზნობრივ წინადადებაში ზმნა კავშირებით კილოშია. მაგალითად: **State attenti che il bimbo non cada!** დროისეულ წინადადებაში ზმნა თხრობით კილოშია. მაგალითად: **Partì che spuntava l'alba.** შედარებით წინადადებაში, უფროობითობას თუ ოდნაობითობას გამოხატავენ, ზმნები თხრობით კილოშია და უფრო ხშირად კავშირებითში. ისინი შემოყვანილია ფორმებით: **più...che(non) - più...di quanto - più...di quello che - meno...che(non) - meno...di quanto - meno...di quello che.** **Questo film è più bello di quanto pensavo(non)pensassi.** როდესაც წინადადებაში გადმოცემულია თანაბრობის იდეა, ზმნა თხრობითშია, თუკი მოქმედება სავარაუდოა ზმნა ჩაისმის პირობით კილოში. ისინი შემოდინა ფორმებით: **(così)...come - (tanto)...quanto - (tale)...quale; Ho lavorato quanto ho potuto.** დათმობითი წინადადების ზმნა მუდამ კავშირებით კილოშია და შემოყვანილია ფორმებით **ancorché, benché, nonostante(che) - sebbene - per quanto - quantunque; Per quanto sia ricco, vive modestamente.** პირობით წინადადება შემოდის ფორმით **se.** თუ მთავარი წინადადების ზმნა აწმყო დროშია, დამოკიდებულშიც აწმყო დრო იქნება. მაგალითად: **Se vuoi, posso venire a trovarti.** თუ მთავარის ზმნა მომავალშია, დამოკიდებულშიც მომავალი იქნება. მაგალითად: **Se vorrai, potrò venire a trovarti.** თუ მთავარის ზმნა პირობით კილოშია, დამოკიდებულში კავშირებითის იმპერფექტი გვექნება, ხოლო თუ მთავარის ზმნა პირობითის წარსულ დროშია, დამოკიდებულში გვექნება კავშირებითის წინარე წარსული. მაგალითად: **Se tu volessi, potrei andare a trovarti. Se tu avessi voluto, sarei potuto andare a trovarti.** შედეგობრივი წინადადების ზმნა ხშირად თხრობითშია, მაგრამ თუკი შედეგი მხოლოდ შესაძლებელია, მაშინ

კავშირებითსა ან პირობით კილოშია. მაგალითად: **Si misero a parlare piano di modo che nessuno sentisse.** მიზნობრივში ზმნა მუდამ კავშირებით კილოშია და შემოყვანილია ფორმით **perché.** დროისეული წინადადების ზმნა ან თხრობითშია ან კავშირებით კილოში. ის შემოდის კავშირით **quando; Pioveva quando volle partire.** რაც შეეხება თანწყობილ წინადადებებს, მათ შესახებ ჩვენ ვისაუბრეთ, როდესაც ვსაუბრობდით თანწყობის კავშირებზე.

დასკვნა. სინტაქსის სფეროში ფრანგული ენა აგრძელებს მრავალ ტენდენციას, მას უფრო მეტად, ვიდრე ქართულს ახასიათებს გრამატიკული ფორმების მეორედ ფუნქციებში გამოყენება. მეტყველების ნაწილების გადატანითი მნიშვნელობით გამოყენება. მაგალითად, ზედსართვის მნიშვნელობით (**table de bois, il a du courage**). ფრანგულში პირდაპირი ობიექტის მქონე ზმნები უფრო მეტ კომუნიკაციურ დატვირთვას განიცდის. მაგალითად: **avoir, donner, perdre, recevoir, voir, entendre, occuper, couvrir.** ქართულ წინადადებაში პირიქით უფრო მეტ როლს ასრულებს გარდაუვალი ზმნები (სიარული, მოსვლა, დავარდნა, დგომა, წოლა); ლოგიკო - კომუნიკაციური და სინტაქსური სტრუქტურები ავლენს ფრანგულ ენაში მეტ პარალელიზმს, ვიდრე ქართულში. თემა მასში ხშირად ემთხვევა ქვემდებარეს, მაშინ როდესაც ქართულ წინადადებაში სინტაქსური ქვემდებარე ხშირად გამოხატავს რემას.

თავი XIII. ქვემდებარისა და დისკურსის ინვერსია რომანულ ენებში

სახელადი სინტაგმა ზმნის მარცხნოვ ან მარჯვენოვ ჩნდება რომანულ ენებში. „ინვერსიას“ უწოდებენ ქვემდებარის დასმას ზმნის შემდეგ. ქვემდებარის დასმა ზმნის წინ ან მის შემდეგ ქმნის სინტაქსურ და ინფორმაციულ იძულებით სირუაციას. პრაგმატული მიდგომა უშვებს იმ ფაქტს, რომ ინვერსია ესაა მრავალფაქტობრივი მოუღენა. ფრანგულ ენაში არსებობს ინვერსიის ორი ფორმა სტილისტური და ტრანსფორმაციული. სტილისტურ ინვერსიაში არ არსებობს ფიქსირებული ადგილი ქვემდებარისათვის. ტრანსფორმაციულ ინვერსიაში ის აუცილებლად წინადადების მარჯვენა მხარეს დგას. ობიექტის პრონომინალიზაცია ხდება სტილისტურ ინვერსიაში, მაშინ როდესაც ის შეიძლება გამოჩნდეს პოსტვერბალურ სახელად სინტაგმაში ტრანსფორმაციული ინვერსიის დროს.

სტილისტური ინვერსიის მაგალითობა:

F. (Je me demande) à qui a parlé Paul?

Voici le livre qu'a rédigé le fils de Marie.

ტრანსფორმაციული ინვერსიის მაგალითობა:

F. (Paul pense que) devront repasser l'examen tous les étudiants qui ont raté le contrôle continu.

ინვერსია თავისუფალია ძირეულ წინადადებაში. მისი თვისებებია: ის აუცილებელია პასუხში, რომლებიც წარმოადგენს სახელად სინტაგმას. ქვემდებარე ჩნდება აუცილებლად პასუხში წინადადების მარჯვენა ზღვარზე. ის არაა სავალდებულო ლექსიკურად ძირითად ზმნაში.

მაგალითად:

F. Qui a mangé la pomme?

E. Se la comió Maria.

I. L'ha mangiata Maria.

F. Marie l'a mangée.

ფრანგული სათვის არაა დამახასიათებელი თავისუფალი ინვერსია. აღსანიშნავია, რომ ტრანსფორმაციული ინვერსია შეიცავს თავისუფალი ინვერსიის რამდენიმე ნიშანს. სინტაქსური ინვერსია დამახასიათებელია ძირეულ და დაქვემდებარებულ წინადადებებში. მისი მახასიათებელი თვისებებია: ის გამოიყენება ფართო ლოკალიზაციის წინადადებებში; ის უქმნის ზმნას ორმაგ ზეწოლას.

მაგალითად:

F. Qu'est - ce qu'il y a?

E. Están tocando las campanas.

I. Suona il campanello.

F. Les cloches sonnent.

ესპანური ენისათვის თავისუფალი ინვერსიისა და ტრანსფორმაციული ინვერსიის გარდა არსებობს ეგრეთწოდებული „ემფატურ სიტყვათა რიგი“. იგი გამოიყენება მხოლოდ ფუძისეულ წინადადებაში; მისი ასოცირება ხდება შემადგენელი ელემენტის ვიწრო ფოკალიზაციის დროს, რომელიც რეალიზდება ზმნის წინა პოზიციაში და ატარებს სპეციფიკურ აქცენტს. სახელად სინტაგმა ქვემდებარეს არ აქვს მყარი ადგილი.

მაგალითად:

F. Qu'as - tu fait?

E. Eso mismo hice yo.

F. J'ai fait la même chose.

F. D'où est - ce que don Fermín a retiré ses éperons?

E. De la sala sacó don Fermín ses espuelas.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვემდებარე ზმნის წინაა, როდესაც ის მჭიდროდაა ფოკალიზებული და ატარებს სპეციფიკურ აქცენტს.

მაგალითად:

F. Qui a retiré ses éperons de la salle?

E. Don Fermin sacó sus espuelas de la sala.

როდესაც ვსაუბრობთ დაქვემდებარებულ წინადადებაში სინტაქსურ მახასიათებლებზე, იგი თავს იჩენს დამატებით დამოკიდებულ და დროისეულ წინადადებაში.

მაგალითად:

E. La manzana que le dió Pablo está sobre la taula.

F. La pomme que lui a donné Paul est sur la table.

I. La mela che gli ha dato Paolo è sulla tavola.

E. Son grandes lo que lanzan los policías contra los manifestantes.

F. Ce sont des grenades que lancent les policiers contre les manifestants.

I. Sono granate quelle che lanciano i poliziotti contro i manifestanti.

E. Después de que comieran el pastel los niños.

F. [un gâteau] après que l'eurent mangé les enfants.

I. dopo che l'ebbero mangiato i bambini.

აღვნიშნავთ, რომ სინტაქსური ინვერსია გამოიყენება დროისეულ დაქვემდებარებულ წინადადებაში.

მაგალითად:

E. cuando salga el sol.

F. dès que se lève le soleil.

I. non appena si alza il sole.

ინვერსია აუცილებელია თუ ქვემდებარე ძალზედ ფოკალიზებულია. მაგალითად: **Qui a mangé la pomme? - Marie l'a mangée.** საკითხის განზოგადება ძირეულ წინადადებაში არ იძლევა საშუალებას გაუწიოს ანგარიში ინვერსიას დაქვემდებარებულ წინადადებაში. ინვერსია გამოიყენება თუ ზმნა ან ზმნური სინტაგმა მეორდება. ამ შემთხვევაში ზმნური სინტაგმა შეიძლება გამოტოვებულ იქნეს, რაც მიუთუთებს იმაზე, რომ იგი მეორდება.

მაგალითად:

F. Qui a mangé la pomme?

E. Quién comió la manzana?

a. Ha comido la manzana María.

b. María

განზოგადოების შემთხვევაში, ქვემდებარე აუცილებლად დგას ზმნის წინ პასუხებში, რომლებიც ცვლიან კითხვის შინაარსსა და ზმნური სინტაგმის ფორმას.

მაგალითად:

Qui a repeint la table?

E. María la preparó.

I. Maria l'ha levigato.

F. Marie l'a poncée.

ესპანურ ენაში ემფატური რიგია. იგი გამოიყენება ზმნის შემდეგ იმ შემთხვევაში, როდესაც ზმნური სინტაგმა მეორდება.

მაგალითად:

A quién le dió su carro Maria? A qui Marie a - t - elle donné sa voiture?

i. A Pablo se lo dió su carro María? (la pobrecita).

Elle/la pauvre l'a donné à Pablo.

ii. A Pablo se lo prestó (la pobrecita).

(La pobrecita) se lo prestó a Pablo.

Elle/la pauvre l'a prêté à Pablo.

იგი გამოიყენება ტრანსფორმაციულ ინვერსიასა და სტილისტურ ინვერსიაში, რომელიც თავს იჩენს დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში.

მაგალითად:

Qui est reçu?

F. Sont reçus Pierre, Paul et Bernadette.

Que sont devenus les étudiants dont Bernard s'est occupé?

F. Les étudiants dont Bernard s'est occupé ont tous brillamment réussi.

Les étudiants que Bernard a entraînés ont tous réussi aux Olympiades, ceux qu'il a soignés sont devenus prof de gym.

როდესაც ვსაუბრობთ ფართო ფოკალიზაციაზე, იგი არ განსაზღვრავს ქვემდებარის ადგილს. საუბარია ისეთ შეკითხვაზე, როგორიცაა **qu'est - ce qui se passe?**

Qu'est - ce qui se passe?

E. María ha comido la manzana.

Et Marie, tu as des nouvelles?

E. Su marido murió hoy en la mañana.

I. Suo marito è morto questa mattina.

ქვემდებარის ფოკალიზება უცებ არ ხდება. სახელადი სინტაგმა **SN=son mari** იქნება ალბათ წარმომადგენლობითი ფოკუსი. მას შემოაქვს ახალი ინფორმაცია, რომლის

ასიმილირდება იმ ფაქტთან, რომ მას შემოყავს დისკურსის რეფერენტი.

დისკურსში ინვერსიის კვლევებზე უარს ამბობენ, როდესაც ცდილობენ მოახდინონ იმ ფაქტორების იზოლირება, რომლებიც ახდენენ ინვერსიის ლეგიტიმაციას, ეძებენ რა ამ ფაქტორებს ზმნის სინტაქსურ ან სემანტიკურ სტრუქტურაში, სახელადი სინტაგმის ინფორმაციულ სტატუსსა თუ დისკურსიულ სტატუსზე, რომელიც ასოცირებულია სახელად სინტაგმასთან. შეიძლება დავასკენათ, რომ ინვერსიის განზოგადოება არ შეიძლება. იგი წარმოადგენს სტილისტურ ფიგურას. ინვერსია არ არის ცდომილი მოვლენა. იგი არაა პრაგმატულად ერთიანი მოვლენა. ის მიზნად ისახავს ორ განსხვავებულ ფაქტორს, რომლებმაც შეგუების ორი პირობა წარმოქმნა. პირველი პირობა, მიზნად ისახავს დისკურსიული წესრიგის ფაქტორს. მოსალოდნელია, რომ ეს ფაქტორი სრულიად ინდიფერენტული იყოს წინადადების კონსტიტუენტების სინტაქსური და სემანტიკური ნიშნებისაგან, სადაც ჩნდება ინვერსია. მოსალოდნელია, რომ არსებობდეს ინვერსია წინადადებებში, რომლებსაც შემოაქვთ ახალი ინფორმაცია და წინადადებებში, რომლებშიც დანაწილებულია მათი შინაარსი, არის თუ არა ფოკალიზებული სახელადი სინტაგმა. მეორე პირობაა, სავარაუდო განლაგების პირობა, რომელიც მიზნად ისახავს ეპისტემური რიგის ფაქტორს. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ინვერსია, როგორც დისკურსიული მარკერი იმის საპირისპიროდ, რასაც მხარს უჭერს პრაგმატული ლიტერატურა ორი განზოგადოებით. ქვემდებარის ზმნის წინ განთავსება აღნიშნავს გაბმულ დისკურსში თემატურ უწყვეტობას. ქვემდებარის ზმნის შემდეგ განთავსება კი აღნიშნავს გაბმულ დისკურსში თემატურ წყვეტას. მცდარია აზრი, თითქოსდა ინვერსია არის თემატური წყვეტის აღმნიშვნელი.

მაგალითად:

I. A Parigi è stato assassinato R.B. Lo ha ucciso uno squilibrato.

F. R.B. a été assassiné à Paris. Il a été tué par un déséquilibré mental.

ჩვენს მიერ გამოყოფილ იქნა ქვემდებარის ინვერსიის შევუების ორი პირობა, რომლებიც არაა დაკავშირებული არც სინტაქსურ კონსტრუქციასთან, არც განსაკუთრებული ტიპის ფოკუსის კონფიგურაციასთან. ამას თავისი მიზეზები აქვს გრამატიკისათვის. ინვერსიის მეშვეობით ხდება წინადადების ტოპოლოგიური ბუნების უხეში ორგანიზება. ველი ზმნამდე და ზმნის შემდეგ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის მონაწილეობს კონსტიტუენტების ხაზოვნურ განლაგებაში და არა მათ იერარქიულ განთავსებაში. ეს ისაა, რაც ხსნის იმას, რომ ყველა განხილული ენა ემორჩილებოდეს ორ იმავე პირობას, მაშინ როდესაც მათთვის ნაცნობია ქვემდებარის განთავსების განსხვავებული სინტაქსური შეზღუდვა. ვინაიდან ორი პირობა არ ახდენს სტრუქტურული თუ ლექსიკური შეზღუდვის სპეციფიკას, შესაძლებელია, რომ ისინი აქტიურები იყვნენ ენათა სხვა ოჯახისათვის იმ პირობით, რომ ისინი არ იყვნენ შეზღუდულები კონსტიტუენტების ტოპოლოგიური(დისკურსული) რიგით.

თავი XIV. ლექსიკა

ქართული ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში საკუთროვ ქართული სიტყვები საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ქართული ენის ლექსიკას, მის მნიშვნელობით მხარეს უეჭველ თავისთავადობას, თვითმყოფადობას ანიჭებს ის შინაარსობრივი ჯგუფები, რომელთაც საკუთროვ ქართული

სიტყვები ქმნის. ესაა: სხეულის ნაწილთა სახელები: ფეხი, ხელი, თვალი, ცხვირი..., ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სიტყვები, დედა, მამა, პაპა, შვილი, ძმა..., მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა: წაბლი, მუხა, ხარი, ძროხა, ნეხვი, ტახი...ბუნების მოვლენათა თუ ციურ სხეულთა სახელწოდებანი, რიცხვითი და ზედსართავი სახელები, ნაცვლასახელები და ზმნისართები... რაც შეეხება ზმნებს, ისინი, შეიძლება ითქვას, მთლიანად ქართულია. ნასესხები ზმნური ფუძეები ძალიან ცოტაა.

ქართულში მრავლადაა სპარსულიდან, არაბულიდან, თურქულიდან, ოსურიდან, ბერძნულიდან...ნასესხები სიტყვები. ირანულიდანაა ნასესხები სიტყვები: განძი, სპილენძი, მასპინძელი, ეშმაკი, ღროშა, ფართო, ავაზაკი, აზნაური, ამბავი, ვარდი, ამხანავი, ანდერძი, იატაკი, მარხვა, სამკაული, მგოსანი, ჭაბუკი...

არაბულიდანაა ნასესხები: ალამი, ამანათი, ბედაური, ვექილი, ზამბახი, თამაში, ოქმი, შარვალი, ხალხი, ჯიში...

თურქულიდან მომდინარედ ითვლება: ბოდმა, თეფში, იარაღი, ოთახი, ყაჩაღი, ჩოხა...

ბერძნული წარმოშობისაა: კვირა, პარასკევი, ანგელოზი, დიაკონი, ეკლესია, პარაკლისი, ალოე, ბარბაროსი, თეატრი, კანონი, კიტრი, მელანი, სტაფილო, ფასი...

საერთო რაოდენობა ნასესხები სიტყვებისა ქართულში საკმაოდ დიდია, მაგრამ ამით ენის თვითმყოფადობა არ შელახულა, რადგან გრამატიკული წყობის აქტივობის წყალობით მათი არაქართული წარმოშობა თვალში საცემი არ არის. ნასესხები სიტყვები ქართულში იბრუნვიან, აწარმოებენ რიცხვს, აქტიურად მონაწილეობენ ქართულ სიტყვაწარმოებაში, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, აქტიურად ქართულდებიან და ქართულდობენ.

ენის ლექსიკური შედგენილობა ცვალებადია. ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ ენის ლექსიკურ ფონდს აკლდება სიტყვები, რომელთა შესაბამისი საგნები თუ მოვლენები

ისტორიის კუთვნილება გახდა (ბოქაული, ხმალი, მამასახლისი...), სანაცვლოდ შემოდის ახალი ყოფისათვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები (თანამგზავრი, შვეულმფრენი, თვითმფრინავი, ტველვეიზორი, რობოტი, მეტრო... და ა. შ.)

თანამედროვე ქართული ლექსიკა საკმაო სისრულით ასახავს სამეცნიერო - ტექნიკური პროგრესის მიღწევებს. იგი მდიდარია და მრავალფეროვანი. ლექსიკის სიმდიდრე ენის სიმდიდრეა. ამიტომაც ითვლება, რომ ქართული დიდად განვითარებული ენაა. ესაა ენა, რომლითაც შეიძლება გამოითქვას ყოველგვარი აზრი, რომლითაც შეიძლება აისახოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, ურთულესი ფილოსოფიური აზროვნების ყველა ასპექტი. მას აქვს მდიდარი გამომსახველობითი საშუალებები. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ სინანულით, რომ ბოლო დროს ნაკლები ყურადღება ეთმობა ნორმის ფარგლებში ახალი ტერმინების დამკვიდრებას, რაც გარკვეულად ხელს უწყობს ინგლისური ტერმინების კალკირებას, განსაკუთრებით თანამედროვე ტექნოლოგიებში. ხშირად კი ჟურნლისტებიც ცოდავენ და შეუმოწმებლად იყენებენ სიტყვებს, რომლებიც უცხოური წარმოშობისაა და არც უჩნდებათ სურვილი, რომ ის გადაამოწმონ ლექსიკონში. ასეთია სიტყვა „კუმირი“, ეს რუსული სიტყვაა და ნიშნავს კერპს და რატომღაც მას ქართულ სიტყვად აღიქვამენ. აღარაფერს ვამბობთ ინფორმატიკასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას, რომლებსაგანაც ცალკე ზმნებს ქმნიან. მაგალითად: პრინტერი, დაპრინტვა, ამოპრინტვა. ქსეროქსი, დაქსეროქსება, გადაქსეროქსება. ამაზე უნდა იფიქრონ ქართული ენის სპეციალისტებმა, რათა არ მოხდეს ქართული ენის ბარბარიზმებით „დაბინძურება“.

რომანულ ენებში უფრო მეტი მსაგავსებაა, თუნდაც იმიტომ, რომ მათი ძირი ენა ლათინური იყო. რომანული შეპირისპირებითი ენათმეცნიერება, მისდევდა რა

კომპარატივისტიკის საერთო მიმართულებას XIX საუკუნეში, რომელმაც განაცხადა, რომ არსებობს პრინციპი „ფონეტიკური ცვლილებების რეგულარულობის“ შესახებ, არ წამოუყენებია კონსტრუქციული ისტორიული რეკომენდაციები იმისათვის, რომ მოეხდინა რომანული ენების ლექსიკაში მსგავსებებისა და განსხვავებების სისტემატიზაცია (კლასიფიკაცია).

ლინგვისტები ხშირად აქცევენ ყურადღებას რომანულ ენებში განსხვავებას ლექსიკის სფეროში. იორგო იორდანმა შეარჩია კატალონური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდისაგან 100 სიტყვა, რომელიც უცნობი იყო სხვა რომანული ენებისათვის, და 140 სიტყვა, რომელიც ნაცნობი იყო მხოლოდ ესპანური და პორტუგალიური ენებისათვის.

ი.იუდი აღნიშნავს მრავალ განსხვავებას ერთი მხრივ ესპანურსა და მეორე მხრივ ფრანგულსა და იტალიურს შორის. მაგალითად: **cugino - cousin - primo; sera - soir - tarde; letto - lit - cama; cane - chien - perro; burro - beurre - manteca; grigio - gris - pardo; troppo - trop - demasiado; pregare - prier - rezar; arrivare - arriver - llegar; mangiare - manger - comer** და სხვა. ლათინური წარმოშობის ოქსიტანურ ლექსიკას უკავია შუამავალი მდგომარეობა **გალო - რომანულ** და **იბერო - რომანულ ჯგუფებს** შორის. უმეტეს შემთხვევაში ის ახლოსაა **გალო - რომანულ ლექსიკასთან**. მაგალითად: **tropare** > ოქსიტ. **trouver - hallar** (ესპანური) – **trovare** (იტალ); **fenestra** > ოქსიტ. **finestra - fenêtre - ventana** (ესპანური), **finestra** - იტალ.

რომანულ ენებში განსხვავებების დადგენა, ანუ ინდივიდუალური ნიშნების აღმოჩენა ლექსიკო - სემანტიკურ ერთეულთა ფუნქციონირებასა და განვითარებაში, მკვლევარებს ორიენტაციას უკეთებდა იქითკენ, რომ მოეხდინათ ცალკეული სიტყვების ანალიზი (თვით ისეთი სიტყვებისაც კი, რომლებიც შედიოდნენ მონათესავე ტერმინების თემატურ ჯგუფში, ასახელებდნენ სხეულის

ნაწილებს, წელიწადის დროებს, რელიგიურ დღესასწაულებს და ა. შ.), იმისათვის, რომ გამოეკვლიათ განსაკუთრებული ლინგვისტური ხასიათის ან ექსტრელინგვისტური ხასიათის გარემოებები (მაგალითად, ეგროფორდებული ომონიმთა შეჯახება).

ა.მეიე თავის ნაშრომში „შესავალი ინდოევროპულ ენათა კვლევაში“, იხილავს რა ლექსიკის საკითხებს, განიხილავს ცალკეულ სიტყვებს და არა ლექსიკურ პარადიგმებს. მისი აზრით, ცალკეულ სიტყვათა ანალიზი, ცოტა რამეს აძლევს ინდოევროპეისტს: „დამადასტურებელია: ცალკეულ გრამატიკულ ფორმათა თანხვედრა, ლექსიკაში თანხვედრას სრულებითაც არა აქვს დამადასტურებელი ძალა“ (მეიე, 1938, 69).

მეიეს ეს სექცტიკური დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რომ მოხდეს ინდოევროპულ ენათა რეკონსტრუქცია გარკვეულწილად გამართლებულია. რომანულ ენათა საერთო ნიშნების დადგენისას ლექსიკურ დონეზე, შეიძლება აღმოჩნდეს ცალკეულ სიტყვათა დამთხვევა თვით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი ლათინური ენიდან არ არიან წარმოქმნილნი ანდა არის ძალზე გვიანდელი ნასესხობა. ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ აუმაღლოთ ლექსიკურ მონაცემთა ჭეშმარიტება, რათა დავამტკიცოთ რომანული ენების ერთნაირი წარმოშობა. იმის შესაძლებლობა, რომ ლექსიკა გავუთანაბროთ გრამატიკას, მდგომარეობს ლექსიკურ სტრუქტურულ პარადიგმათა ცნების გამოყენებაში. ე. კოსერიუ განსაზღვრავს ლექსიკურ ველს, როგორც პარადიგმას, რომელიც შედგება მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულებისაგან (ლექსემებისაგან) და უპირისპირებს მას (პარადიგმას) ფონოლოგიასა და გრამატიკაში მიკრო და მაკრო სისტემებს („წინა რიგის ხმოვნები“, „ბაგისმიერი თანხმოვნები“, „ზმნური დროისეული ფორმების სისტემა“. ამ შემთხვევაში ლექსიკასა და

გრამატიკას შორის არ არის არსებითი განსხვავება. ლექსიკური ველი მსგავსია გრამატიკული კატეგორიის(სახელი, სქესი, დრო, ასპექტი და ა. შ.), რადგანაც ველის შიგნით ოპოზიცია ანალოგიურია იმ ოპოზიციის, რომელიც არსებობს გრამატიკული კატეგორიის შიგნით.

ვაისბერგერის კვლდაკვალ, კოსერიუ ყოფს ლექსიკურ ველებს რამდენიმე ტიპად: ერთი მხრივ მარტოვი, ხაზოვანი ან ერთგანზომილებიანი და რთული ან მრავალგანზომილებიანი მეორე მხრივ. მაგალითად ფრანგული მიკროველები **large - étroit, grand - petit** განეკუთვნება ერთგანზომილებიანს. ფრანგულ ორგანზომილებიან ველს **facil/léger/difficile/lourd** შეესაბამება ესპანური **facil/liviano/dificil/pesado**, იტალიური - **facile - difficile - leggero - pesante**.

თუ გავაანალიზებთ ფრანგულ **en noir et blanc et en couleurs**, ესპანური **en blanco y negro y en colores**, იტალიური **in bianco e nero a colori**, მსგავსება შესადარებელ ენებში მდგომარეობს არა მხოლოდ ლექსემათა **noir, negro, nero - blanc, blanco - bianco - couleurs, colores, colori**, გარეგნულ მსგავსებაში, არამედ ძირითადად მესამე ელემენტის განსაკუთრებულ მნიშვნელობაში, **couleur, color, colore**, რომელიც მოცემულ ენებში პოლისემანტურია, რადგანაც თავის ლექსიკურ ველში, ამ ლექსემას უკავია ორი პოზიცია: არქილექსემის პოზიცია, რომელსაც აქვს ზოგადად ფერის მნიშვნელობა: ფრანგული **couleur verte**, ესპანური **color verde** და არქილექსემის პოზიცია, ფერის ქრომატიული აღნიშვნის სფეროში (შევად. **en couleurs, en colores, a colori**) აქრომატულ მნიშვნელობასთან შეპირისპირებით. თუკი ფონეტიკაში მსგავსების ნიშნები განისაზღვრება მატერიალური და ფუნქციური ნიშნებით, მაშინ ლექსიკაში მატერიალურის და ფუნქციური (სემანტიკურის) თვისებების ეს კავშირი ყოველთვის არ უნდა იქნეს გათვალისწინებული.

რომანულ ენათა ერთიანობა მდგომარეობს იმაში, რომ მათში გამოიყენება ორი ლექსიკური ერთეული, იმისათვის რომ გადმოცეთ ცნებები „სმა“ და „ჭამა“, თუმცა მთელ რიგ ენებში გამოიყენება წარმოშობის მიხედვით განსხვავებული ლექსემები, როლებიც გამოხატავენ „ჭამას“, ესპანური **comer**, ფრანგული **manger** და ა. შ.

რომანული ენების მსგავსების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ლექსიკურ ერთეულთა არსებობა, რომლებმაც ლათინურისაგან ისესხა ერთნაირი ან დაახლოებით ერთნაირ მნიშვნელობათა ერთობლიობა ანდა ზოგიერთი მათგანი. ასე მაგალითად ლათინურში არსებობდა სიტყვა **successus**, რაც ნიშნავდა 1. შედეგი; 2. კარგი შედეგი, წარმატება. მსგავსი მნიშვნელობებია აქვს რომანულ ენებში. მაგალითად: **succès - suceso - successo**. „წარმატების“ გამოსახატავად ესპანური უპირატესობას ანიჭებს **éxito**, მაშინ როდესაც ფრანგულში გვაქვს **succès**, იტალიურში **successo**. იტალიურში გვაქვს სიტყვა **esito**, მაგრამ მას ვიწრო მნიშვნელობა აქვს, იგი ნიშნავს „კეთილი დასასრული“, ფრანგულში კი **exit** აქვს თეატრალური მნიშვნელობა „მსახიობის სცენიდან წასვლა“.

ფრანგული **fleuve** შეესაბამება იტალიურ სიტყვას **fiume**, ესპანურს **rio**. თუკი დავეყრდნობით შესაპირისპირებელი სიტყვების მატერიალურ მხარეს, ჩვენ შევძლებთ გავაკეთოთ მარტივი დასკვნა იმის შესახებ, რომ ფრანგული ენა ჰგავს ამ მხრივ იტალიურს, მაგრამ ორივე განსხვავდება ესპანურისაგან. ამით ვაღიარებთ, რომ რომანული ენები იყოფა ორ ჯგუფად და შესაბამისად, ისინი ერთგვაროვანი არაა. რომანული ენები გამოიყენებდნენ მხოლოდ ერთ სიტყვას: **fleuve - fiume - río**. ამის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა. რომანულ ენებს აქვთ ნეგატიური ხასიათის საერთო ნიშანი: მათ არ გააჩნიათ სინონიმური საშუალებები მოცემული საგნის მატერიალურად განსხვავებული ნომინაციისათვის.

ლათინურ ენაში სიტყვა **tempus**, ხშირად აღნიშნავდა „დროს“, „დროის მონაკვეთს“, და მხოლოდ ძალზე იშვიათ შემთხვევაში გამოიყენებოდა „ამინდის“ მნიშვნელობით. რომანულ ენებში ფრანგული **temps**, ესპანური **tiempo**, იტალიური **tempo**, შესაბამის ლექსემებს ლათინურთან **tempo**, აქვთ ქრონოლოგიური და მეტეოროლოგიური მნიშვნელობები. იტალიურ ენაში სიტყვა **tempo** აღნიშნავს ასაკს. **Uomo di mezzo tempo** - შუა ხნის მამაკაცი; **uomo di gran tempo** - მოხუცი; ესპანურშიც სიტყვა **tiempo** ასევე გამოიყენება ცნება „ასაკის“ აღსანიშნავად, მაგრამ უპირატესად პატარების მიმართ (**¿Cuánto tiempo tiene el niño?** - რამდენი წლისაა ბავშვი? **Tu hijo y el mío son del mismo tiempo** - ჩვენი შვილები ერთი ასაკის არიან).

რაც შეეხება სიტყვას **tempestas**, რომანული ენები (ფრანგული **tempête**, ესპანური **tempestad**, იტალიური **tempesta**) შეინარჩუნეს მნიშვნელობა „ამინდის მდგომარეობა“, რომელიც შევიწროვდა და მიიღო მნიშვნელობები „ქარიშხალი“, „შტორმი“, „ძლიერი წვიმა“, ქარი, სიტყვა“ და ა. შ.

ლათინური **tempus** გამოხატავდა „დროს“ გრამატიკული მნიშვნელობით. რომანულ ენებში არ არსებობს ცალკეული სიტყვები, რომ გამოხატოთ გრამატიკული დრო. ეს ნაკლი რომანულ ენებში ივსება რთული(შედგენილი) ტერმინების მეშვეობით(მაგალითად: ფრანგულში **temps absolu**, **temps secondaires**, **temps relatif**, **temps principaux**, **temps simple**, **temps composés** და ა. შ.).

ესპანელმა გრამატიკოსმა ვიდალ ლამკისმა შესთავაზა, რომ შემოეტანათ ახალი ტერმინი **época**, რათა თავიდან აეცილებინათ ამგვარად არასასურველი პოლისემია: **tiempo** - **época**, მისი აზრით ასახავდა იმ განსხვავებას, რომელსაც ინგლისელები აკეთებენ **tense** და **time** - ს შორის.

თანამედროვე ფრანგულ ენაში მნიშვნელობა „ვარდნა“ გამოიხატება ზმნით **tomber**, ძველ ფრანგულში კი იყო

cheoir, რომელიც შეიძლება ჩავამწკრივოთ იტალიურ ზმნასთან **cadere**, ესპანურ **caer** - თან.

თანამედროვე ესპანურ ენაში **salir**, ნიშნავს „გასვლას“, ფრანგულში **sortir**, ხოლო იტალიურში **uscire**, ეს ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდება სამივე ენაში.

ლექსიკური სესხების პროცესი რომანულ ენებში ზრდის მსგავსებას მათ შორის.

ის ფაქტი, რომ რომანულ ენებს შორის არსებობს მსგავსება, მიუთითებდა ბევრი ლინგვისტი, და ლინგვისტური ლიტერატურა ამ მხრე სულ უფრო იზრდება. ამ შრომებში ისმება, როგორც ისტორიული ხასიათის კონკრეტული საკითხები, რომლებიც ეხება ენობრივ კონტაქტებს, ისე ენობრივი კონვერგენციის საერთო პრობლემები.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტიპოლოგიური თავისებურებაა რომანული ენების ლექსიკაში, მათში ლათინურიდან შემორჩენილი ელემენტები, იქნება ეს არქაული, კლასიკური, ვულგარული პერიოდის, შუა საუკუნის ლათინურიდან მოყოლებული და აღორძინებამდე. ლათინური ლექსიკის პირველ ფენას უწოდებენ ძირძველს ანუ ხალხურს, მეორე ფენას კი მწიგნობრულ ანუ სამეცნიეროს. მაგალითად: იტალიურში **folio**, ლათინურში **folio, folium**; ესპანურში **cadera**, ლათინურში **cátedra, cathedra**; ფრანგულში **jour**, ლათინურში **diurne diurnus**.

ასეთი ფორმების შექმნამ ხელი შეუწყო დუბლეტური წყვილების შექმნას. მაგალითად ფრანგულში: **tente - tendu, faute - failli, mors - mordu, fonte - fondu**, ესპანურში **roto - rompido, tinto - teñido** და ა. შ.

ბრეალი თვლის, რომ ფრანგული ენიდან თუ ამოვიღებთ ყველა ლათინური წარმოშობის სიტყვას, რომელიც ნასესხები იყო შეგნებულად, მაშინ ის გახდება კილო - კაეის დონეზე.

ლექსიკური დუბლეტების ცნება არსებობდა ლათინურშიც. ერთი ეტიმონისაგან შეიძლება წარმოქმნას ორი ან რამდენიმე წარმონაქმნი. მაგალითად: იტალიური

fragile, frale, ლათინურში **fragilis**; ესპანურში **seña, sino, signo**, ლათინურში **signum**.

ორმაგ ფორმებს სხვადასხვა სახელწოდებები აქვთ. იტალიურად **doppioni, doppie forme, dittologie**, ფრანგულად **doublets, doubles formes**, ესპანურად **palabras biformes**. თუმცა, ვინაიდან ერთ ლათინურ ეტიმონს შეიძლება შეესაბამებოდეს არა მარტო ორი, არამედ მეტი რომანული სიტყვა, შემოყვანილ იქნა რამდენიმე სახელწოდება, რომელიც ხაზს უსვამდა ამ პოლიფორმიზმს. მაგალითად: იტალიურად **forme divergente, allotropi**, ფრანგულად **formes divergentes**.

რომანულ ენებში ადგილი ჰქონდა ფონეტიკურ ვარიანტებს, რომლებიც გადმოსცემენ სხვადასხვა მნიშვნელობებს. ფონეტიკური ვარიანტები ჩვეულებრივ ევოლუციის სხვადასხვა ფაზებს აღნიშნავენ; უმეტესწილად ეს თავისებურება პოულობს ასახვას სხვადასხვა დიალექტებში, რომლებიც თანაარსებობენ.

საფრანგეთში დიალექტები მკვეთრად უპირისპირდებიან საერთო ენას. იმ ფორმათა რაოდენობა, რომლებიც დაიყვანება ერთ დიასისტემამდე აქ ნაკლებია, ვიდრე სხვა რომანულ ენებში.

ფლორენციულ დიალექტში დუბლეტური ფორმები ჩნდება შესამჩნევი უკვე XIII საუკუნეში. ლათინური სიტყვების მოზღვაება ხდება იმ დროს, როდესაც ფლორენციაში არსებობდა უკვე ალოტროპები: **macchia** < **macia**, **maglia** < **maclja**. ორივე ვარიანტი მომდინარეობს ლათინური ფორმიდან **macula**. ლიტერატურული სამწერლობო ენიდან ნასესხები **macula, macola**, გახდა იტალიური ენის სამწერლობო ენის საკუთრება, უკვე ფართოდ ცნობილ ალოტროპებთან. ასე ჩამოყალიბდა ეტიმოლოგიური დუბლეტები **coppia - copula, spezie - specie, palio - pallio, ministero - ministerio**. თავიანთი წარმოშობით მწიგნობრული სიტყვები, ისეთები როგორებიცაა **macula, fragile, pallio**,

ministerio, copula და ა.შ., სკოლის, ეკლესიის, სასამართლოს მეშვეობით შეიძლება „სოციალიზებული“ ყოფილიყო და გავრცელებულიყო ყველა სოციალურ ფენაში. ლათინიზმების მოზღვაება აღორძინების ხანაში დაემთხვა ეროვნულ იტალიური ენაში, რომელიც ფორმირების პროცესში იყო, დიალექტიზმების კონცენტრაციას. ამასთან დაკავშირებით ლათინიზმი **placito** დადგა ფლორენციული ფორმის **piato** და ნეაპოლიტანურის **chiaito** გვერდით. ამავე პერიოდში ლათინური ფორმები აწარმოებენ დუბლეტურ რიგებს რომანული თუ არარომანული წარმოშობის სიტყვებთან: **ostello**(ფრანგულად **hôtel<hostel**), **borsiglio**(ესპანურად **bolsillo**) - **borsello**. რომანულ ენებში გვიანდელი წარმოშობის ლათინიზმების არსებობა წარმოადგენს არსებით ნიშანს ეროვნული ლექსიკური სისტემების სრულყოფისა და განვითარების თვალსაზრისით. ეს საერთო ხასიათი თავს იჩინს არა მარტო მატერიალური თანხვედრის გაზრდილ შემთხვევებში, არამედ ასევე იმაში, რომ მათ საერთო ძირი ლათინური ენა აქვთ, ასევე ექსტრალინგვისტური ხასიათის მოტივებში (ეროვნულ ენათა ჩამოყალიბება, რომელთაც უნარი აქვთ აიღონ ლიტერატურული ენების ფუნქცია, რომელთაც განვითარებული სტილისტური სისტემა გააჩნიათ, რომელთა გამოყენება შეიძლება გართულებულ კომუნიკაციურ, ექსპრესიულ, მხატვრულ ესთეტიური ამოცანების გადასაწყვეტად). ლათინიზმების გულმოდგინე ანალიზი, რომლებიც ნასესხებია რომანული ენების მიერ, გვაჩვენებდა გასაოცარ დამთხვევას ლექსემებში, არა მარტო სემანტიკურ პლანში, არამედ ფორმალურ პლანში. ის, რომ ფონეტიკური პლანის მიხედვით სიტყვები განსხვავდება და რომ არსებობს მსგავსება ლათინურ ნასესხობებში, გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ მსგავსება შესადარებელ ენათა ფონეტიკური ევოლუციის პროცესებში. ხალხური ფორმების მსგავსება და მწიგნობრული ფორმების შედარებითი ერთგვაროვნება, როგორებიცაა იტალიური **fralc**, ფრანგული

frêle, იტალიური **fragile**, ფრანგული **fragil**, იტალიური **maglia**, **macchia**, ესპანური **mancha**, იტალიური **macula**, **macola**, ესპანური **maucha**, იტალიური **macula**, **macola**, ესპანური **mácula**, მოწმობს იმაზე, რომ მთელი რიგი ფონეტიკური გადასვლები, რომლებმაც წარმოქმნეს დივერგენტული ფორმები, უკვე გარკვეული ხანია არ რეალიზდება და ნასესხობათა ათვისება ხორციელდება საკმაოდ ერთგვაროვნად.

ლათინურიდან სესხების გარდა, არსებობდა ასევე შიდასტრუქტურული ხასიათის მიზეზები, რომელიც კარგად ჩანს ფრანგული ენის მაგალითზე.

ფრანგულმა ენამ განიცადა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილებები ლექსიკის სფეროში XVI საუკუნიდან დღემდე. უმეტესობა ძველი სიტყვებისა გაქრა, შემცირდა მათი სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობანი, დასუსტდა სიტყვათა სემანტიკური ავტონომია, მოხდა სიტყვათა ჯგუფების ლექსიკალიზაციის პროცესის ინტესიფიკაცია. ფრანგულში ლექსიკურ ერთეულთა რეპერტუარი, სხვა ენებთან მიმართებაში შედარებით შეზღუდულია. მასში ფართოდაა განვითარებული პოლისემია. სიტყვაწარმოების შეზღუდულმა შესაძლებლობებმა ლათინიზმების ზრდის სტიმულირება მოახდინა. წამოიქმნა ჰიბრიდული წყვილების დიდი რაოდენობა, რომლებშიც ძირეული ფრანგული სიტყვა შეესაბამება ლათინური(ბერძნულ - ლათინური) წარმოშობის ნაწარმოებ სიტყვას. შარლ ბალი მათ უწოდებდა «რომანული და ლათინური წარმოშობის ნარევის». მაგალითად: **éteindre** - ჩაქრობა - **extinction**, **poitrine** - გულმკერდი - **pectoral**, **eau** - წყალი - **aqueux** - წყლისა, **lettre** - წერილი - **épistolaire** - ეპისტოლარული, **semaine** - კვირა **hebdomadaire** - ყოველკვირეული.

თუკი შევადარებთ ფრანგულ წყვილებს ამ წყვილების წევრების ეტიმოლოგიის თვალსაზრისით, მაშინ ერთ

შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ ორივე წყვილი ისტორიულად ნათესაურ კავშირშია(ეტიმოლოგიური დუბლეტები ისეთი ფუძეების, როგორებიცაა **évêque - episcopal**, მეორე შემთხვევაში ისინი გენეტიკურად არ არიან დაკავშირებული (**semaine - hebdomadaire**).

რომანულ ენებში ლათინური წარმოშობის სამეცნიერო სიტყვების ბედი განსაკუთრებულია სხვა ენებში ლათინურ ნასესხობებთან შედარებით. თუ შევადარებთ ფრანგულ **contenant - continent, vaillant - équivalent, voyant - évident, confiant - confident, suivant - conséquent**, ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ამ წყვილების პირველი სიტყვები შეიცავენ სუფიქსებს –**ant**, მეორენი კი –**ent**. ისინი ერთნაირად წარმოითქმის და მხოლოდ განათლებულ ხალხს, ანუ მათ ვინც ლათინური იცის ძალუძს განასხვავოს ისინი. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი წყვილების სერია, როგორიცაა **contenance - continence, vaillance - équivalence, (pré)voyance - évidence, confiance - confidence**. ყველა არსებითი სახელი, რომელიც ბოლოდება - **ence** - ზე, მეცნიერული წარმოშობისაა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ისინი წარმოქმნილი ლათინური –**entia** - დან (**abstinence, intelligence**), ანდა ისინი წარმოიქმნენ შედარებით ახლახან ზედსართავებისაგან –**ent** (**intermittence, résidence**). ფრანგული სიტყვები სუფიქსით –**ant** შეიძლება ჩაითვალოს მეცნიერულად, თუკი ისინი ლათინური სუფიქსიდან –**antia** (**consonance, substance**) წარმოიქმნა, და პირიქით ხალხური წარმოშობისაა თუკი ისინი წარმოიქმნა ლათინური სუფიქსიდან - **entia** ანდა წარმოიქმნება ახლანდელი დროის მიძლეობებისაგან. რაც შეეხება სამეცნიერო სიტყვას **substance**, მას აქვს თავისი ხალხური წარმოშობის დუბლეტი **sustance**. განსხვავება აქ არის არა სუფიქსში, არამედ **sub - , su -**, ვარიაციულობაში. შეიძლება შევადაროთ კიდევ სიტყვათა ორი რიგი:

appartenance abstinence

assistance affluence
bienfaisance audience
bienséance concupiscence
confiance confidence
consistance conscience
convenance crédence
croissance désinence
plaisance éloquence

მარჯვენა მხარეს მოთავსებული ყველა სიტყვა მეცნიერული წარმოშობისაა. უმეტესობა მათგანი ფრანგულში გაჩნდა XV საუკუნეში. შედარებით ადრინდელი გაჩნდა XIV საუკუნის სამეცნიერო შრომებში. კიდევ უფრო ადრინდელი (**conscience, éloquence**) გამოიყენებოდა მხოლოდ რელიგიური ხასიათის ლიტერატურაში.

ხალხური წარმოშობის სიტყვების კატეგორიაში არ შედის XIII საუკუნის და არც XII საუკუნის ლათინური ნასესხობები. მათ განეკუთვნებათ მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებული ვულგარულ ლათინური სიტყვები, და ასევე ისინი, რომლებიც წარმოქმნილ იქნენ თვით ფრანგული ენის შიდა საშუალებების ხარჯზე.

სიტყვათა მოტივირებულ თუ არამოტივირებულ სიტყვებად დაყოფის თვალსაზრისით და შესაბამისად ენათა გრამატიკულ თუ ლექსიკურ ენებად დაყოფის თვალსაზრისით, ფრანგული ენა წარმოადგენს მეორე ტიპის აშკარა მაგალითს (ლექსიკური, არამოტივირებული სიტყვებით). ფრანგული ენის ლექსიკის მკველვარები, მათ შორის ბალი, ულმანი, ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ ფრანგულ ენაში არ არსებობს თვითახსნადი სიტყვები, როგორც არსებობს გერმანულ ენაში, რომელშიც ფართოდაა გავრცელებული სიტყვათა წარმოება, რომლებიც გამჭვირვალეა თავისი მორფოლოგიური სტრუქტურით. იგივე შეიძლება ვთქვათ ქართულ ენაზე. მაგალითად: **dé** - სათითე; **gant** - ხელთათმანი.

დასკვნა

ჩვენს მიერ განხილულ იქნა ქართული და რომანული ენების მოფოლოგიური და სინტაქსური ასპექტები. შევეცადეთ ყურადღება გაგვემახვილებინა ქვემდებარისა და დისკურსის ინვერსიაზე.

ჩვენი მიზანი იყო გვესაუბრა რომანული ენების თანამედროვე მდგომარეობაზე და მოგვეხდინა მათი შეპირისპირება გრამატიკის დონეზე. თუმცა წინგში არის მცდელობა მოხდეს რომანული ენებისა და ქართული ენის შეპირისპირება ლექსიკის დონეზე. რა თქმა უნდა მათი შეპირისპირება სრულყოფილი არ არის და არც გვაქვს ამის პრეტენზია. ჩვენი მიზანი იყო უფრო ზოგადი სახით მოგვეხდინა რომანული ენების აღწერა, რაც საშუალებას მისცემს რომანისტებს დააფიქსირონ თუ რა მსგავსება და განსხვავება არსებობს მათ შმობლიურ ენასა და მათ მიერ შესწავლილ ერთ, რომელიმე რომანულ ენას შორის.

ამ წიგნში, რომანისტი იპოვის თითქმის ყველაფერს, რაც მას სჭირდება იმისათვის, რომ ზოგადი წარმოდგენა ჰქონდეს რომანული ენების ტიპოლოგიურ კვლევაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს კველვა სინქრონულია და არა დიაქრონული, რასაც მუდამ ადგილი ჰქონდა რომანული ენების კვლევისას. ჩვენი აზრით, ეს ნაშრომი საინტერესო იქნება მათთვის, ვინც არსებით სახელს იკვლევს დეტერმინანტივის გარეშე მარტივი წინადადების დონეზე. საინტერესოა ასევე რომანულ ენებში ნაცვალსახელი - კლიტიკების პრობლემა. რაც მთავარია, ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რომანისტს, რომელი ენის სპეციალისტიც არ უნდა იყოს იგი, წარმოდგენა უნდა ჰქონდეს სხვა რომანულ ენებზე, კონკრეტულად სამ ძირითად რომანულ ენაზე, ფრანგულ, ესპანურ და იტალიურ ენებზე. ბევრს მიაჩნია, რომ კარგად იცნობს ქართული ენის გრამატიკას, მაგრამ დაკვირვებებმა დაგვანახა, რომ ეს

ყოველთვის ასე არ არის. ამიტომ, ამ წიგნში მოცემული ქართული ენის გრამატიკის საკითხების შეპირისპირებითი კვლევა რომანულ ენებთან გაამყარებს იმ ცოდნას, რაც აქვთ მაგისტრ რომანისტებს ამ სფეროში და დახმარებას გაუწევს მათ შემდგომი კვლევების ჩატარებაში.

ბიბლიოგრაფია

1. ალისოვა ტ. ბ., „თანამედროვე იტალიური ენის სინტაქსის ნარკვევები“, გამომცემლობა „მგუ“ (მარტოვი წინადადების სემანტიკური და გრამატიკული სტრუქტურა). რუსულ ენაზე, 1971;
2. E. Bayle, D. Polard, Les langues modernes, Grammaire active de l'italien, Le livre de Poche, Librairie Générale Française, 1996;
3. P. Berthier, Grammaire de l'italien, Ophrys, 1987.
4. Bibliographie sélective de linguistique française et romane, Texte imprimé. Willy Bal, Jean Germain, Jean Klein, Pierre Swiggers, Duculot, 1997;
5. Eugenio Coseriu, Estudios de Lingüística Románica, Biblioteca Románica Hispánica, Editorial Credos, Madrid, 1987;
6. Delbecque Nicole, Swiggers Pierre, Études de linguistique générale et romane, 1992;
7. Danièle Godard, Les langues romanes, Problèmes de la phrase simple, CNRS Éditions, Paris, 2003;
8. A. Hamon, Guide de Grammaire, Toutes les règles indispensables pour éviter les pièges, Marabout, Hachette 1987.
9. M. Iliescu, L. Mounin, Typologie de la morphologie verbale romane, synchronique, Innsbrucker Beiträge zur Kulturwissenschaft 80. Innsbruck: AMOE, 1991;
9. J - M. Klikenberg, Des langues romanes, Duculot, champs linguistiques, Paris Bruxelles, 1999;
10. Félix Lecoy, Mélanges de philologie et de littérature romanes, Paris: Droz [diffusion Champion], 1988;
11. ო. მიქიაშვილი, ქართული ენა, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი 1998;
12. სტეპანოვი გ. ვ. , რომანული ლიტერატურული ენების ჩამოყალიბება, რუსულ ენაზე, „ნაუკა“, მოსკოვი, 1984;

13. Tradition de l'humanisme. Eléments de Linguistique Romane par Ed. Bourciez, Éditions Klincksieck, 1967;
14. ვასილევა ო. კ. - შვედე; სტეპანოვი გ. ვ. - ესპანური ენის თეორიული გრამატიკა(მეტყველების ნაწილების მორფოლოგია და სინტაქსი), რუსულ ენაზე, მოსკოვი „ვისშაია შკოლა“, 1990;
15. B. E. Vidos, Manual de Lingüística Romanica, Cultura e historia Aguilar, 1973 Madrid;
16. ქ. ჯაში, ფრანგული და ქართული ენების შეპირისპირებითი ტიპოლოგია, ლინგვა პლუსი, 2003.

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
თავი I. ზოგადი მიმოხილვა	4
ფონეტიკა	4
თავი II. არსებითი სახელი .	10
თავი III. არტიკლი	37
თავი IV. ზედსართავი სახელი .	51
თავი V. რიცხვითი სახელი	73
თავი VI. ნაცვალსახელი	.. 82
თავი VII. ზმნა	107
თავი VIII. ზმნიზედა	146
თავი IX. კავშირი	155
თავი X. წინდებული	159
თავი XI. შორისდებული . .	170
თავი XII. სინტაქსი	174
თავი XIII. ქვემდებარისა და დისკურსის ინვერსია რომანულ ენებში .	191
თავი XIV. ლექსიკა	197
დასკვნა	211
ბიბლიოგრაფია	213
სარჩევი	215